

სსბასს 46 - შეფასება

გამომცემლისაგან

წინამდებარე საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (სსბასს), ძირითადად, ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემულ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ 13-ს (ფასს 13), *შეფასება*“, „ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ზსფ) საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (სსბასსს) წინამდებარე გამოცემაში გამოყენებულია ამონარიდები ფასს 13-დან, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) ფონდის ნებართვით

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს ბასსს-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი, რომლის ასლები შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს უშუალოდ ფასს-ის საგამომცემლო დეპარტამენტში, შემდეგ მისამართზე: First Floor, 30 Cannon Street, London EC4M 6XH, United Kingdom.

ელ. ფოსტა: publications@ifrs.org

ვებ-გვერდი: www.ifrs.org

ფასს-ები, ბასს-ები, განსახილველი პროექტები და ბასსს-ის სხვა გამოცემები დაცულია ფასს-ის ფონდის საავტორო უფლებით.

“IFRS,” “IAS,” “IASB,” “IFRS Foundation,” “International Accounting Standards,” და “International Financial Reporting Standards” ფასს-ების ფონდის სავაჭრო ნიშნებია და არ უნდა იქნეს გამოყენებული, ფასს-ების ფონდის თანხმობის გარეშე.

სსბასს 46, შეფასება

შინაარსი

	პუნქტი
მიზანი	1
მოქმედების სფერო	2–5
განმარტებები.....	6
შეფასება	7–53
თავდაპირველი შეფასება	7–16
შემდგომი შეფასება	17–53
განმარტებითი შენიშვნები.....	54–55
ძალაში შესვლის თარიღი და გარდამავალი დებულებები	56–58
ძალაში შესვლის თარიღი.....	56–57
გარდამავალი დებულებები.....	58
დანართი A: პირვანდელი ღირებულება	
დანართი B: მიმდინარე საოპერაციო ღირებულება	
დანართი C: შესრულების ღირებულება შესრულების ღირებულება	
დანართი D: სამართლიანი ღირებულება	
დანართი E: ცვლილებები სხვა სსბასს-ებში	
დასკვნების საფუძველი	
დანერგვის მითითებები გამოყენებაზე	

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია შეფასების საფუძვლის განსაზღვრა, რაც მომსახურების დანახარჯების, საოპერაციო შესაძლებლობისა და აქტივებისა და ვალდებულებების ფინანსური შესაძლებლობების სამართლიანად ასახვაში დაგეხმარება. სტანდარტში განსაზღვრულია შეფასების აღნიშნული საფუძვლების მიდგომები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს ცალკეულ სსბასს-ებში ფინანსური ანგარიშგების მიზნების მისაღწევად.

მოქმედების სფერო

2. ერთეულმა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდის გამოყენებით ამზადებს და წარადგენს, აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებისას სსბასს 46, *შეფასება* უნდა გამოიყენოს.
3. მე-4 პუნქტში მითითებული შემთხვევების გარდა წინამდებარე სტანდარტი ვრცელდება მაშინ, როდესაც სხვა სსბასს-ით მოითხოვება ან ნებადართულია:
 - (a) ამ სტანდარტში განმარტებული ერთი ან მეტი შეფასების საფუძველი; და
 - (b) შეფასებები, რომლებიც შეფასების ერთ ან მეტ საფუძველს ემყარება (მაგალითად, სამართლიანი ღირებულება, შემცირებული გასვლის ღირებულებით).
4. ამ სტანდარტში მოცემული შეფასების მოთხოვნები არ ვრცელდება შემდეგ შემთხვევებში:
 - (a) ლიზინგის ტრანსაქციები, რომლებიც აღირიცხება სსბასს 43-ის, *იჯარა*, მიხედვით;¹
 - (b) ოპერაციები, რომლებიც აღირიცხება სსბასს 32-ის, *მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმებები: გრანტის გამცემი*, შესაბამისად, და
 - (c) შეფასებები, რომლებსაც გარკვეული მსგავსება აქვს ამ სტანდარტში მოცემულ შეფასების საფუძვლებთან, მაგრამ არ წარმოადგენენ აღნიშნულ შეფასების საფუძვლებს, როგორიცაა მაგალითად ნეტო სარეალიზაციო ღირებულება სსბასს 12-ში, *მარაგები*, ან გამოყენების ღირებულება სსბასს 21-ში, *ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება* და სსბასს 26-ში, *ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება* (თუმცა, წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება სსბასს 21-ით და სსბასს 26-ით შესაბამისად სამართლიანი ღირებულების შეფასებისას).
5. წინამდებარე სტანდარტში აღწერილი შეფასების მოთხოვნები ვრცელდება როგორც თავდაპირველ, ისე შემდგომ შეფასებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტულ სსბასს-ში კონკრეტული მითითებაა მოცემული.

განმარტებები

6. წინამდებარე სტანდარტში ტერმინები გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით:

აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად.

დანახარჯების მიდგომა არის შეფასების მეთოდი, რომელიც ასახავს თანხას, რომელიც საჭირო

იქნებოდა მიმდინარე მომენტში აქტივის მომსახურების პოტენციალის ჩასანაცვლებლად (ხშირად უწოდებენ ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულებას).

შესრულების ღირებულება არის დანახარჯები, რომელთაც ერთეული ეწევა ვალდებულების შედეგად წარმოქმნილი მოვალეობების შესრულებისას, იმის გათვალისწინებით, რომ ეს უმცირესი დანახარჯების გაწევით ხორციელდება.

მიმდინარე საოპერაციო ღირებულება არის თანხა, რომელსაც ერთეული შეფასების თარიღით აქტივის დარჩეული მომსახურების პოტენციალისთვის გადაიხდიდა.

¹ თუ წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება სსბასს 43-ის, *იჯარა*, გამოყენებამდე, ამ სტანდარტში მოცემული შეფასების მოთხოვნები არ ვრცელდება სსბასს 13-ზე, *იჯარა*.

დასაშვები საწყისი ღირებულება არის თვითღირებულების შემცვლელად გამოყენებული გარიგების ფასი შეფასების თარიღისათვის.

შემოსვლის ფასი არის ფასი, რომელიც გადაიხადეს აქტივის შესაძენად, ან მიიღეს ვალდებულების ასაღებად გაცვლის ოპერაციაში.

გასვლის ფასი არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვისას, ან, რომელიც გადასახდელი იქნება ვალდებულების გადაცემისას.

მოსალოდნელი ფულადი ნაკადები არის მომავალი შესაძლო ფულადი ნაკადების ალბათობებით შეწონილი საშუალო (ე.ი. განაწილების საშუალო).

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება არის ბაზრის მონაწილეების მიერ არაფინანსური აქტივის იმგვარი გამოყენება, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს აქტივის ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის (ე.ი. ოპერაცია) ღირებულება, რომლის ფარგლებშიც მოცემული აქტივი გამოიყენება.

პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად, შესაქმნელად ან განვითარებისთვის გადახდილი თანხა, დამატებული გარიგების დანახარჯები, ან ვალდებულების ასაღებად მიღებული თანხა, შემცირებული გარიგების დანახარჯებით, აქტივის შეძენის, შექმნის ან განვითარების ან ვალდებულების აღების დროისთვის.

შემოსავლების მიდგომა არის შეფასების მეთოდი, რომელიც მომავალ თანხებს (მაგალითად, ფულად ნაკადებს, ან შემოსავლებსა და ხარჯებს) გარდაქმნის ერთ მიმდინარე (ე.ი. დისკონტირებულ) თანხად.

ამოსავალი მონაცემები არის დაშვებები, რომლებიც გამოიყენება აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას, მათ შორის რისკთან დაკავშირებული დაშვებები, როგორიცაა:

- (ა) შეფასების საფუძვლის (როგორიცაა მაგალითად შეფასების მოდელი) მიხედვით შეფასებისას გამოყენებული კონკრეტული შეფასების მეთოდის თანდაყოლილი რისკი; და
- (ბ) შეფასების ამოსავალი მონაცემების თანდაყოლილი რისკი. ამოსავალი მონაცემები შესაძლოა იყოს ემპირიული ან არაემპირიული.

1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები არის აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივების ან ვალდებულებების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლებიც ერთეულისთვის ხელმისაწვდომია შეფასების თარიღით.

მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები არის 1-ელ დონეში ასახული კოტირებული ფასების გარდა სხვა ამოსავალი მონაცემები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემპირიულია აქტივთან ან ვალდებულებასთან მიმართებით.

მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები არის აქტივის ან ვალდებულების არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

საბაზრო მიდგომა არის შეფასების მეთოდი, რომელშიც გამოიყენება ისეთი ფასები და სხვა შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც მიღებულია იდენტური, ან შესადარისი (ე.ი.ანალოგიური) აქტივების, ვალდებულებების, ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფით შესრულებული საბაზრო ოპერაციებიდან.

ბაზრის მონაწილეები არიან აქტივის ან ვალდებულების ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზრის მყიდველები და გამყიდველები, რომელთაც ახასიათებთ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშანი:

- (a) ერთმანეთისგან დამოუკიდებლობა არიან, ე.ი. არ არიან ერთმანეთისთვის დაკავშირებული მხარეები, სხვას 20-ში, *დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები*, მოცემული განმარტების შესაბამისად. თუმცა, სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად შესაძლებელია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციის ფასის გამოყენება ამოსავალ მონაცემად, თუ ერთეულს გააჩნია მტკიცებულებები, რომ ოპერაცია განხორციელდა საბაზრო პირობებით.
- (b) კარგად ინფორმირებულები არიან, საკმარისად ნათელი წარმოდგენა აქვთ აქტივის ან ვალდებულებისა და ოპერაციის შესახებ ყველა არსებული ინფორმაციის საფუძველზე, იმ ინფორმაციის ჩათვლით, რომლის მიღებაც შესაძლებელია სტანდარტული და საყოველთაოდ აღიარებული სპეციალური შემოწმების ჩატარებით.
- (c) შეუძლიათ მოცემული აქტივით ან ვალდებულებით შესრულებულ ოპერაციაში მონაწილეობა.
- (d) სურთ მოცემული აქტივით ან ვალდებულებით შესრულებულ ოპერაციაში მონაწილეობა, ე.ი. ისინი რაიმე მიზეზით იძულებულები კი არ არიან, არამედ მოტივირებულები არიან, მონაწილეობა მიიღონ ამ ოპერაციაში.

საბაზრო ინფორმაციით დადასტურებული ამოსავალი მონაცემი არის ამოსავალი მონაცემები, რომლებიც, ძირითადად, მიიღება ემპირიული საბაზრო მონაცემებიდან, ან დასტურდება ემპირიული საბაზრო მონაცემებით, კორელაციით, ან სხვა საშუალებით.

ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი არის ბაზარი, რომელიც საშუალებას იძლევა, მაქსიმალურად გაიზარდოს ის თანხა, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად, ან მაქსიმალურად შემცირდეს თანხა, რომელიც გადასახდელი იქნებოდა აქტივის გადაცემისას, გარიგების დანახარჯებისა და სატრანსპორტო დანახარჯების გათვალისწინების შემდეგ.

ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ერთეული ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი, სხვასთან ერთად, მოიცავს ერთეულის საკუთარ საკრედიტო რისკსაც.

ემპირიული ამოსავალი მონაცემები ამოსავალი მონაცემები, რომლებიც დამუშავებულია საბაზრო მონაცემების გამოყენებით, როგორცაა საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია ფაქტობრივი მოვლენებისა თუ ოპერაციების შესახებ და ასახავს იმ დაშვებებს, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას.

ნებაყოფლობითი ოპერაცია არის ოპერაცია, რომელიც ბაზარზე განხორციელდა შეფასების თარიღამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომელიც ამგვარი აქტივებისა და

ვალდებულებებით ოპერაციების განსახორციელებლად საჭირო ტიპური და საყოველთაოდ მიღებული მარკეტინგული ღონისძიებების გატარების საშუალებას იძლევა; ეს არ არის ძალდატანებითი ოპერაცია (მაგალითად, ძალდატანებითი ლიკვიდაცია, ან იძულებითი გაყიდვა).

ძირითადი ბაზარი არის ბაზარი, სადაც ყველაზე დიდი მოცულობისა და ღონის აქტივობაა მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით.

რისკის პრემია არის კომპენსაცია, რომელსაც მოითხოვენ რისკის მოწინააღმდეგე ბაზრის მონაწილეები აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობით განპირობებული რისკის თავის თავზე აღების გამო. ასევე უწოდებენ „კორექტირებას რისკის გათვალისწინებით“.

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენაზე, შექმნაზე, განვითარებაზე ან გასვლაზე ან ვალდებულების აღებაზე და არ გაიწეოდა ერთეულს რომ არ შეეძინა, შეექმნა ან გაეყიდა მოცემული აქტივი, ან არ აეღო მოცემული ვალდებულება.

გარიგების ფასი არის აქტივის შეძენისთვის, შექმნისთვის ან განვითარებისთვის გადახდილი ანაზღაურება, ან ვალდებულების აღებისთვის მიღებული ანაზღაურება.

ტრანსპორტირების დანახარჯები არის დანახარჯები, რომლის გაწევაც აუცილებელი იქნება აქტივის ტრანსპორტირებისთვის მისი მოცემული ადგილსამყოფელიდან ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზრამდე.

სააღრიცხვო ერთეული არის აქტივის ან ვალდებულების აგრეგირების ან დეზაგრეგირების აუცილებელი ღონე, სხვას სტანდარტების შესაბამისად მისი აღიარების მიზნებისთვის.

არაემპირიული ამოსავალი მონაცემები არის ამოსავალი მონაცემები, რომლის დასამუშავებლად არ არსებობს საბაზრო მონაცემები და დამუშავებულია ყველანაირი ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე იმ დაშვებების შესახებ, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები აქტივის, ან ვალდებულების ფასის დადგენისას გამოიყენებდნენ.

სხვა სხვას-ებში განმარტებული ტერმინები წინამდებარე სტანდარტში იგივე მნიშვნელობით გამოიყენება და მოცემულია *ტერმინთა განმარტებების გლოსარში*, რომელიც ცალკე გამოიცემა.

შეფასება

თავდაპირველი შეფასება

7. იმ თარიღით, როდესაც აქტივი აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, ის თავდაპირველად უნდა შეფასდეს მისი გარიგების ფასით, დამატებული გარიგების დანახარჯები აქტივებისთვის ან გამოკლებული გარიგების დანახარჯები ვალდებულებებისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- (ა) გარიგების ფასი, მიმატებული ან გამოკლებული გარიგების დანახარჯები, სამართლიანად არ წარადგენს ერთეულის შესაბამის ინფორმაციას იმგვარად, რომ ის სასარგებლო იყოს ერთეულის ანგარიშვალდებულების, ან გადაწყვეტილებების მიღების მიზნით გამოსაყენებლად (იხილეთ პუნქტები 10–13); ან

(b) სხვაგვარად მოითხოვება ან ნებადართულია სხვა სსბასს-ით.

დარიცხვის მეთოდით სსბასს-ის პირველად გამოყენებისას სსბასს-ის მიღების თარიღით საწყის ფინანსურ მდგომარეობაში თავდაპირველი შეფასება უნდა განხორციელდეს სსბასს 33-ის, დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ები) პირველად გამოყენება, შესაბამისად.

გარიგებები ორგანიზებულ ბაზარზე

8. ორგანიზებულ ბაზარზე აქტივის შეძენის, შექმნის ან განვითარებისას ან ვალდებულების აღებისას გარიგების ფასი, მიმატებული ან გამოკლებული გარიგების დანახარჯები, ასახავს ბაზრის მონაწილეებს შორის შეთანხმებულ აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველ ღირებულებას შეფასების თარიღით არსებული ბაზრის პირობებში.
9. როდესაც არსებობს გარიგების ფასი, მიიჩნევა, რომ ის ასახავს შესაბამის ინფორმაციას გარიგების განხორციელების თარიღით. იმის განსაზღვრისას, გარიგების ფასი ასახავს თუ არა შესაბამის ინფორმაციას აქტივის ან ვალდებულების შესახებ, ერთეულმა შეიძლება გაითვალისწინოს გარიგების, აქტივის ან ვალდებულების სპეციფიური ფაქტორები.

გარიგებები, რომლებიც ორგანიზებულ ბაზარზე არ ხორციელდება

10. მოვლენის, რომელიც არ წარმოადგენს ოპერაციას ორგანიზებულ ბაზარზე, შედეგად აქტივის შეძენის, შექმნის ან განვითარებისას ან ვალდებულების აღებისას:

- (a) შესაძლოა გარიგების ფასზე დაკვირვება შეუძლებელი აღმოჩნდეს;
- (b) შესაძლოა გარიგების ფასი აქტივის ან ვალდებულების შესახებ სათანადო ინფორმაციას სამართლიანად არ ასახავდეს; ან
- (c) გარიგების ფასი შესაძლოა ნულის ტოლი იყოს.

მსგავს შემთხვევებში დასაშვებია საწყისი ღირებულება გამოიყენება აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი ღირებულების შესაფასებლად. თავდაპირველი შეფასებისას აქტივის ან ვალდებულების დასაშვებია საწყისი ღირებულების შეფასებისთვის გამოიყენება მიმდინარე ღირებულების შეფასება. მიმდინარე ღირებულების შეფასების საფუძვლები აღწერილია 23–31 ე პუნქტებში.

11. დასაშვებია საწყისი ღირებულებასა და გადახდილ ან მიღებულ ანაზღაურებას შორის ნებისმიერი განსხვავება აღიარდება შემოსავლის ან ხარჯის სახით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს წარმოადგენს მესაკუთრის შენატანს ან შესაბამისი სსბასს-ით სხვაგვარად მოითხოვება.
12. შემთხვევები, როდესაც გარიგების ფასი შესაძლოა ემპირიული არ იყოს ან სამართლიანად არ წარადგენდეს შესაბამის ინფორმაციას, მოიცავს შემდეგს:
 - (a) გარიგების ფასები, რომლებიც კონცესიურ ელემენტს შეიცავს;
 - (b) ერთეულისთვის მთავრობის მიერ უფასოდ გადაცემული აქტივები ან სხვა მხარის მიერ ერთეულისთვის შემოწირული აქტივები;
 - (c) კანონმდებლობით ან რეგულირებით დაკისრებული ვალდებულებები;

- (d) ანაზღაურების ან ჯარიმის გადახდის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დანაშაულის ჩადენის ან კონტრაქტის დარღვევის შედეგად;
 - (e) გარიგების ფასები, რომლებზეც გავლენას ახდენს მხარეებს შორის ურთიერთკავშირი ან ერთ-ერთი მხარის ფინანსური სირთულეები ან სხვა ზეწოლა; და
 - (f) გარიგების ფასები, რომლებიც ხელმისაწვდომი არ არის სსბასს-ის მიღების თარიღით, როგორც ეს განმარტებულია სსბასს-ში 33.
13. მოვლენის, რომელიც არ წარმოადგენს ოპერაციას ორგანიზებულ ბაზარზე, შედეგად აქტივის შეძენის, შექმნის ან განვითარებისას ან ვალდებულების აღებისას საჭიროა გარიგების ან სხვა მოვლენის ყველა შესაბამისი ასპექტის გამოვლენა და გათვალისწინება. მაგალითად, შესაძლოა საჭირო იქნეს სხვა აქტივების, სხვა ვალდებულებების, მესაკუთრეების შენატანების ან მესაკუთრეებზე განაწილების აღიარება, რათა სამართლიანად აისახოს ერთეულის ფინანსურ მდგომარეობაზე ამ გარიგების ან სხვა მოვლენის ზეგავლენის არსი და ნებისმიერი დაკავშირებული ზეგავლენა ერთეულის საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე.

გარიგების დანახარჯები თავდაპირველი შეფასებით

14. აქტივის შეძენასთან, შექმნასთან ან განვითარებასთან ან ვალდებულების აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები წარმოადგენენ იმ გარიგების მახასიათებელს, რომლის შედეგად განხორციელდა აქტივის შეძენა, შექმნა ან განვითარება ან ვალდებულების აღება. აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველ შეფასებაში აისახება აღნიშნული გარიგების დანახარჯები, რადგან ერთეული ამ დანახარჯების გაწევის გარეშე ვერ შეიძენდა, შექმნიდა ან განავითარებდა აქტივს ან აიღებდა ვალდებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც შესაძლოა გაწეულ იქნეს აქტივის გაყიდვის ან გასვლისას ან ვალდებულების შესრულების ან გადაცემისას, შესაძლოა სამომავლო გარიგების მახასიათებელს წარმოადგენენ. ცალსახად მოთხოვნის გარეშე შესაძლოა გარიგების დანახარჯები არ აისახება, რადგან თავდაპირველი შეფასება აქტივის შეძენის, ან ვალდებულების აღების დანახარჯებს ასახავს.

ეტაპობრივად განხორციელებული ოპერაცია

15. აქტივის შეძენა შეიძლება ეტაპობრივად განხორციელდეს ან შეძენის შემდეგ შესაძლოა დამატებითი დანახარჯები იქნეს გაწეული ერთეულის მიერ გამოსაყენებლად აქტივის ადაპტირებისთვის. ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც გაწეულ იქნა აქტივის გამოსაყენებლად მოსამზადებლად, აქტივის თავდაპირველი შეფასებისას იდენტიფიცირებული ანაზღაურების ფარგლებში აისახება.

გადავადებული გადახდები

16. როდესაც ფულის დროითი ღირებულება არსებითია—მაგალითად, როდესაც ანაზღაურებამდე დროის პერიოდის ხანგრძლივობა მნიშვნელოვანია—მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირდება, რათა აქტივის ან ვალდებულების პირველად აღიარებისას ის წარმოადგენდეს მიღებული ან გადახდილი თანხის ღირებულებას. მაგალითად, მომავალ ფულად ნაკადებსა და აქტივის ან ვალდებულების დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობა ამორტიზდება აქტივის ან ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ისე რომ, აქტივი ან ვალდებულება აისახოს იმ თანხით, რომელიც მიიღება, ან აისახოს საჭირო გადახდის ოდენობით გადახდის დროის

დადგომისას.

შემდგომი შეფასება

17. თავდაპირველი შეფასების შემდეგ, თუ შესაბამისი სსბასს-ით სხვაგვარად არ მოითხოვება, შერჩევა სააღრიცხვო პოლიტიკა, რათა აქტივი ან ვალდებულება შეფასდეს პირვანდელი ღირებულების საფუძველზე ან ღირებულების საფუძველზე. სააღრიცხვო პოლიტიკის აღნიშნული არჩევანი აისახება შეფასების მოდელის შერჩევის მეშვეობით.

შეფასების მოდელები

18. ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივები და ვალდებულებები რაოდენობრივად გამოისახება პირვანდელი ან მიმდინარე ღირებულებით. ამისათვის საჭიროა პირვანდელი ღირებულების ან მიმდინარე ღირებულების შეფასების მოდელის შერჩევა. შეფასების მოდელის შერჩევისას ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს საგნის მახასიათებლები, შეფასების მიზანი და წარმოდგენილი მონეტარული ინფორმაცია.

შეფასების საფუძვლები

19. შეფასების საფუძვლის შერჩევა უზრუნველყოფს დოკუმენტში, *კონცეპტუალური საფუძვლები საჯარო სექტორის ერთეულების ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის (კონცეპტუალური საფუძვლები)* აღწერილი ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლების მისაღწევად და უზრუნველყოფს ზოგადი დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებებში ინფორმაციის შეზღუდვების გათვალისწინებას შერჩეული შეფასების მოდელის მეშვეობით. აქტივის ან ვალდებულებისთვის შეფასების საფუძვლის გამოყენების შედეგად მიიღება ამ აქტივის ან ვალდებულების და დაკავშირებული შემოსავლისა და ხარჯების შეფასება. შეფასების საფუძვლის შერჩევა დამოკიდებულია გამოყენებულ შეფასების მოდელზე (იხ. დიაგრამა 36-ე პუნქტის შემდეგ).
20. სხვა სსბასს-ით შეფასების მოთხოვნების დადგენის შემდეგ ქვემოთ მოცემულ ერთ ან მეტ შეფასების საფუძველთან მიმართებით ერთეულმა შეფასების საფუძველი უნდა გამოიყენოს ამ მოთხოვნებისა და წინამდებარე სტანდარტში მოცემული შესაბამისი დანართების შესაბამისად:
- (ა) პირვანდელი ღირებულების საფუძველი (დანართი ა: პირვანდელი ღირებულება);
 - (ბ) მიმდინარე საოპერაციო ღირებულების საფუძველი (დანართი ბ: მიმდინარე საოპერაციო ღირებულება);
 - (ც) შესრულების ღირებულების საფუძველი (დანართი გ: შესრულების ღირებულება); და
 - (დ) სამართლიანი ღირებულების საფუძველი (დანართი დ: სამართლიანი ღირებულება).

პირვანდელი ღირებულების საფუძველი

21. პირვანდელი ღირებულების საფუძველი არის პირვანდელი, ერთეულისთვის სპეციფიკური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების საფუძველი უზრუნველყოფს მონეტარულ ინფორმაციას აქტივების, ვალდებულებებისა და დაკავშირებული შემოსავლისა და ხარჯების შესახებ იმ ინფორმაციის გამოყენებით, ნაწილობრივ მაინც, რომელიც მიიღება გარიგების ფასიდან ან მოვლენიდან, რომლის შედეგად ისინი წარმნიქმნენ.

22. თავდაპირველი შეფასების შემდეგ აქტივის ან ვალდებულების შეფასება არ ხორციელდება მისი მიმდინარე მდგომარეობის, ან აქტივის ღირებულების გაზრდის ან ვალდებულების ღირებულების შემცირების ასახვისთვის.

მიმდინარე საოპერაციო ღირებულების საფუძველი

23. მიმდინარე საოპერაციო ღირებულება უზრუნველყოფს მონეტარულ ინფორმაციას აქტივებისა და დაკავშირებული ცვეთის, ამორტიზაციის და სხვა შესახებ, იმ ინფორმაციის გამოყენებით, რომლის განახლება ხდება შეფასების თარიღით არსებული მდგომარეობის ასახვისთვის. ამგვარად, მიმდინარე საოპერაციო ღირებულება ასახავს აქტივების ღირებულების ცვლილებას ადრინდელი შეფასების თარიღის შემდეგ. სამართლიანი ღირებულებისა და შესრულების ღირებულების მსგავსად მიმდინარე საოპერაციო ღირებულება დამოკიდებული არ არის, ნაწილობრივაც კი, იმ ოპერაციაზე ან მოვლენაზე, რომლის შედეგადაც წარმოიქმნა აქტივი.
24. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია მიმდინარე საოპერაციო ღირებულების პირდაპირ განსაზღვრა აქტიურ ბაზარზე ფასებზე დაკვირვებით. მაგალითად, როდესაც ხელმისაწვდომია მსგავსი აქტივების ფასები, შესაძლოა საჭირო გახდეს ერთეულის აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასება მსგავსი აქტივის მიმდინარე ფასის შესწორების მეშვეობით, რათა აისახოს ერთეულის აქტივის უნიკალური ასპექტები მისი ამჟამინდელი გამოყენებისა და მდგომარეობის პირობებში.
25. მიმდინარე საოპერაციო ღირებულება განსხვავდება სამართლიანი ღირებულებისგან, რადგან ის:
- (a) ცალსახად შემოსვლის ფასია და მოიცავს ყველა დანახარჯს, რომლის გაწევა აუცილებელი იქნება აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალისთვის;
 - (b) ასახავს აქტივის ღირებულებას მის არსებულ მდგომარეობაში და არა აქტივის მაქსიმალურ და ყველაზე ეფექტიან გამოყენებას (მაგალითად, შენობა, რომელიც საავადმყოფოდ გამოიყენება, შეფასდება, როგორც საავადმყოფო); და
 - (c) სპეციფიურია ერთეულისთვის და შესაბამისად, ერთეულის ეკონომიკურ მდგომარეობას ასახავს.

შესრულების ღირებულების საფუძველი

26. შესრულების ღირებულება არის გასვლის, ერთეულისთვის სპეციფიკური დანახარჯი, რომელსაც ერთეული გასწევს ვალდებულების შედეგად წარმოქმნილი მოვალეობების შესრულებისას, იმის გათვალისწინებით, რომ ის აღნიშნულს უმცირესი დანახარჯებით განახორციელებს. შესრულების ღირებულება არის ფულადი სახსრების ან სხვა ეკონომიკური რესურსების, რომლის გადაცემასაც ერთეული მოელის ვალდებულების შესრულებისას, დღევანდელი ღირებულება. აღნიშნული ფულადი სახსრები ან ეკონომიკური რესურსები მოიცავს არა მხოლოდ უშუალოდ გადაცემულ თანხებს, არამედ თანხებს, რომელსაც ერთეული მოელის, რომ სხვა მხარეებს გადასცემს იმისათვის, რომ შეძლოს ვალდებულების შესრულება.
27. შესრულების ღირებულებაზე უშუალოდ დაკვირვება შეუძლებელია, რადგან ის განისაზღვრება ფულად ნაკადებზე დაფუძნებული შეფასების მეთოდებით. შესრულების ღირებულება ასახავს ერთეულისთვის სპეციფიკურ დაშვებებს და არა დაშვებებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები იყენებენ. პრაქტიკაში შესაძლოა მცირე განსხვავება არსებობდეს ბაზრის მონაწილეების მიერ

გამოყენებულ დაშვებებსა და ერთეულის მიერ გამოყენებულ დაშვებებს შორის.

28. შესრულების ღირებულება იგივე ფაქტორებს ასახავს, რომლებიც ასახულია სამართლიანი ღირებულების შეფასებაში, მაგრამ ერთეულისთვის სპეციფიკური პოზიციის და არა ბაზრის მონაწილის პოზიციის გათვალისწინებით.

სამართლიანი ღირებულების საფუძველი

29. სამართლიანი ღირებულების შეფასება არის საბოლოო, ბაზარზე დაფუძნებული შეფასება, რომელიც უზრუნველყოფს მონეტარულ ინფორმაციას აქტივების, ვალდებულებებისა და დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, იმ ინფორმაციის გამოყენებით, რომელიც განახლდება შეფასების თარიღით არსებული მდგომარეობის ასახვისთვის. ამგვარად, სამართლიანი ღირებულება ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების ცვლილებებს ადრინდელი შეფასების თარიღის შემდეგ. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება დამოკიდებული არ არის, ნაწილობრივაც კი, ოპერაციაზე ან მოვლენაზე, რომლის შედეგად წარმოიქმნა მოცემული აქტივი ან ვალდებულება.
30. სამართლიანი ღირებულება ასახავს ბაზრის მონაწილეთა პოზიციას. აქტივი ან ვალდებულება ფასდება იმ დაშვებების გამოყენებით, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ მოცემული აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას, თუკი ბაზრის მონაწილეები საკუთარი ეკონომიკური ინტერესის შესაბამისად იმოქმედებდნენ.
31. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების პირდაპირ განსაზღვრა აქტიურ ბაზარზე ფასებზე დაკვირვებით. ზოგიერთ შემთხვევაში კი ის არაპირდაპირ განისაზღვრება.

აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლები

32. შეფასების რომელიმე საფუძველი გამოიყენება კონკრეტულ აქტივთან ან ვალდებულებასთან მიმართებით. ამგვარად, შეფასების საფუძვლის გამოყენებისას ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს შეფასების თარიღით აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლები (მაგალითად, სამართლიანი ღირებულების შეფასებისას მახასიათებლების გათვალისწინება ხდება, თუკი ბაზრის მონაწილეები აღნიშნულ მახასიათებლებს აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას) გამოიყენებდნენ. მაგალითად, მსგავსი მახასიათებლებია:
- (a) აქტივის მდგომარეობა, გამოყენება და ადგილმდებარეობა; და
 - (b) აქტივის გაყიდვასთან, ან გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, თუ ასეთი არსებობს.
33. ამა თუ იმ კონკრეტული მახასიათებლის გავლენა შეფასებაზე განსხვავებული იქნება იმისდა მიხედვით, როგორ გაითვალისწინებდა ამ მახასიათებელს ერთეული ერთეულისთვის სპეციფიკურ შეფასებებში და როგორ გაითვალისწინებდნენ მას ბაზრის მონაწილეები ბაზარზე დაფუძნებულ შეფასებებში.
34. შეფასებული აქტივი ან ვალდებულება შეიძლება იყოს:
- (a) ცალკე აქტივი ან ვალდებულება (მაგალითად, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტი, ან არაფინანსური აქტივი); ან
 - (b) აქტივების ჯგუფი, ვალდებულებების ჯგუფი, ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფი


(მაგალითად, ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეული ან საწარმო).

35. აღიარების, ან ინფორმაციის გამჟღავნების მიზნებისთვის, აქტივი ან ვალდებულება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად მიიჩნევა, აქტივების ჯგუფად, ვალდებულებების ჯგუფად თუ აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფად, დამოკიდებულია იმაზე, რას წარმოადგენს მასთან დაკავშირებული სააღრიცხვო ერთეული. აქტივის ან ვალდებულების სააღრიცხვო ერთეულის დადგენა შესაძლებელია იმ სსპასს-ის მიხედვით, რომლითაც მოითხოვება ან ნებადართულია ღირებულების შეფასების ერთი ან მეტი საფუძველის გამოყენება, წინამდებარე სტანდარტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

შეფასების მეთოდები

36. ერთეულმა შეფასების ის მეთოდები უნდა გამოიყენოს, რომლებიც შესაბამისია მოცემულ გარემოებებში და რომლისთვისაც საკმარისი მონაცემებია ხელმისაწვდომი შეფასების საფუძველის შეფასებისთვის ან დასაშვები საწყისი ღირებულების განსაზღვრისთვის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე კონცეპტუალური საფუძვლების მე-7 თავის, ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება, საფუძველზე არის ნაჩვენები შემდგომი შეფასების საფუძველები. დიაგრამაზე ნაჩვენებია შეფასების სამი დონე და მათ შორის ურთიერთკავშირი.



37. შეფასების მეთოდი გამოიყენება, რათა შეფასდეს, თუ რა თანხით აღიარდება აქტივი ან ვალდებულება შერჩეული შეფასების საფუძველის ფარგლებში ან დასაშვები საწყისი ღირებულების განსაზღვრისას (იხ. მე- 10 პუნქტი). მსგავსი მეთოდები შეფასების საფუძველს არ წარმოადგენენ. მსგავსი მეთოდის გამოყენებისას აუცილებელია, რომ ამ მეთოდმა მოცემული შეფასების საფუძველისთვის შესაბამისი მახასიათებლები ასახოს. მაგალითად, როდესაც შეფასების საფუძველია სამართლიანი ღირებულება, შესაბამისი მახასიათებლებია ის მახასიათებლები, რომლებიც აღწერილია 29–31 პუნქტებში.
38. ფართოდ გავრცელებული შეფასების სამი მეთოდია საბაზრო მიდგომა, დანახარჯების მიდგომა და შემოსავლების მიდგომა. ამ მიდგომების ძირითადი ასპექტები შეჯამებულია 42–45 პუნქტებში. ერთეულმა აქტივის ან ვალდებულების შერჩეული შეფასების საფუძველის ფარგლებში შესაფასებლად შეფასების მეთოდები უნდა გამოიყენოს ზემოაღნიშნული მიდგომებიდან ერთი ან მეტი მიდგომის თანმიმდევრულად.
39. ზოგიერთ შემთხვევაში მართებული იქნება შეფასების ერთი მეთოდის გამოყენება (მაგალითად, აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იდენტიფიცირებადი აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასების გამოყენებით). სხვა შემთხვევებში მართებული იქნება

რამდენიმე შეფასების მეთოდის გამოყენება (მაგალითად, ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის შეფასებისას). შეფასების შერჩეული საფუძვლის ფარგლებში აქტივის ან ვალდებულების შესაფასებლად შეფასების რამდენიმე მეთოდის გამოყენებისას საჭიროა მიღებული შედეგების შეფასება მათი მნიშვნელობების დიაპაზონის გონივრულობის გასათვალისწინებლად.

40. შეფასების მეთოდები თანმიმდევრულად უნდა იქნეს გამოყენებული. თუმცა, მისაღებია შეფასების მეთოდში, ან მის გამოყენებაში ცვლილებების შეტანა (მაგალითად, მისი შეწონილი მნიშვნელობის შეცვლა, როდესაც შეფასების რამდენიმე მეთოდი გამოიყენება, ან შეფასების მეთოდის განსხვავებულად კორექტირება), თუ ამგვარი ცვლილების შედეგად მიიღება ისეთი შეფასება, რომელიც სამართლიანი ღირებულების ტოლია, ან ყველაზე უკეთ ასახავს სამართლიან ღირებულებას მოცემულ გარემოებებში. მაგალითად, ზემოაღნიშნული შეიძლება მოხდეს ნებისმიერ შემდეგ სიტუაციაში:
- (a) ვითარდება ახალი ბაზრები;
 - (b) ხელმისაწვდომი ხდება ახალი ინფორმაცია;
 - (c) ადრე გამოყენებული ინფორმაცია აღარ არის ხელმისაწვდომი;
 - (d) დაიხვეწა (გაუმჯობესდა) შეფასების მეთოდები; ან
 - (e) შეიცვალა საბაზრო პირობები.
41. სამართლიანი ღირებულების ცვლილებები (შესწორებები), რომლებიც გამოიწვია შეფასების მეთოდში, ან მის გამოყენებაში შეტანილმა ცვლილებებმა, უნდა აისახოს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება სსბას 3-ის, *სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*, შესაბამისად. თუმცა, არ მოითხოვება სააღრიცხვო შეფასების შეცვლასთან დაკავშირებით ბას 3-ის მიხედვით გასამჟღავნებელი ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენა ისეთი შესწორებებისთვის, რომლებიც გამოიწვია შეფასების მეთოდში, ან მის გამოყენებაში შეტანილმა ცვლილებებმა.

საბაზრო მიდგომა

42. საბაზრო მიდგომა იყენებს იდენტური ან შესადარისი (მაგალითად, მსგავსი) აქტივების, ვალდებულებების ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის საბაზრო გარიგებების შედეგად წარმოქმნილ ფასებსა და სხვა შესაბამის ინფორმაციას.

დანახარჯების მიდგომა

43. დანახარჯების მიდგომით განისაზღვრება თანხა, რომელიც ამჟამად იქნება საჭირო აქტივის მიერ უზრუნველყოფილი მომსახურების ჩასანაცვლებლად (ხშირ შემთხვევაში მას ჩანაცვლების მიმდინარე დანახარჯებს უწოდებენ) იდენტური, ან შესადარისი სარგებლიანობის მქონე შემცვლელი აქტივის შეძენით, შექმნით ან განვითარებით, კორექტირებული მოძველების გასათვალისწინებლად. მოძველება მოიცავს აქტივის ფიზიკურ დაზიანებას, ფუნქციურ (ტექნოლოგიურ) მოძველებას და ეკონომიკურ (გარეგნულ) დაძველებას და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ცვეთა.
44. შესადარისი სარგებლიანობის მქონე შემცვლელი აქტივის ღირებულება გამოითვლება როგორც

თანამედროვე ექვივალენტური აქტივის ღირებულება -ანუ აქტივის, რომელიც უზრუნველყოფს არსებული აქტივის ექვივალენტურ მომსახურებას.

შემოსავლების მიდგომა

45. შემოსავლების მიდგომის დროს მომავალი პერიოდის თანხები (მაგალითად, ფულადი ნაკადები, ან შემოსავლები და ხარჯები) გარდაიქმნება ერთ მიმდინარე (ე.ი. დისკონტირებულ) თანხად. შემოსავლების მიდგომის გამოყენებისას სამართლიანი ღირებულების შეფასება ასახავს მიმდინარე ბაზრის მოლოდინებს მომავალი თანხების შესახებ.

ცვეთა, გაუფასურება და სხვა კორექტირებები

46. ცვეთა და გაუფასურება გამოიყენება შეფასების საფუძვლებში პირვანდელი ღირებულების მოდელში და მიმდინარე ღირებულების მოდელში. ცვეთა და გაუფასურება თავისთავად არ წარმოადგენენ შეფასების საფუძველს ან შეფასების მეთოდებს. ისინი წარმოადგენენ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება აქტივის მოხმარების ან აქტივის მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის დაკარგვის ასახვად.
47. ორივე, პირვანდელი ღირებულების მოდელისა და მიმდინარე ღირებულების მოდელის ფარგლებში აქტივი დროთა განმავლობაში განახლდება, რათა აისახოს:
- (a) აქტივის შემადგენელი რესურსის ნაწილობრივ ან მთლიანად მოხმარება (ცვეთა ან ამორტიზაცია);
 - (b) მიღებული გადახდები აქტივის ნაწილობრივ ან მთლიანად დაფარვისთვის;
 - (c) იმ მოვლენების ზეგავლენა, რომელთა შედეგად აქტივი ნაწილობრივ ან მთლიანად აღდგენა შეუძლებელია (გაუფასურება); და
 - (d) პროცენტის დარიცხვა აქტივის ნებისმიერი კომპონენტის ფინანსირების კომპონენტის ასახვისთვის.
48. ორივე, პირვანდელი ღირებულების მოდელისა და მიმდინარე ღირებულების მოდელის ფარგლებში ვალდებულება დროთა განმავლობაში განახლდება, რათა აისახოს:
- (a) ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა, მაგალითად, გადახდების განხორციელებით ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ დასაფარად ან საქონლის ან მომსახურების მიწოდების მოვალეობის დაკმაყოფილების მეშვეობით;
 - (b) იმ მოვლენების ზეგავლენა, რომლებიც ვალდებულების დასაფარად საჭირო რესურსების გადაცემის ღირებულებას იმდენად ზრდის, რომ ვალდებულება წამგებიანი ხდება. ვალდებულება წამგებიანია, როდესაც საბალანსო ღირებულება საკმარისი აღარ არის ვალდებულების შესრულების ასახვისთვის; და
 - (c) პროცენტის დარიცხვა ვალდებულების ნებისმიერი კომპონენტის ფინანსირების კომპონენტის ასახვისთვის.

გარიგების დანახარჯები შემდგომი შეფასებისას

49. გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც არ გაიწეოდა ერთეულს რომ არ შეეძინა, შეექმნა ან განეცითარებინა, ან არ განეხორციელებინა აქტივის გასვლა, ვალდებულების

აღება ან დაფარვა.

50. დამატებითი დანახარჯები გარიგების პირდაპირი შედეგია. გარიგების დანახარჯები ოპერაციის განუყოფელი ნაწილია და მისი გაწევა არ მოხდებოდა, ეს ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. მაგალითად, მართალია, აქტივის შეძენის შემდეგ მის ოპერირებაზე გაწეული დანახარჯები დამატებითი დანახარჯებია, რადგან მათი გაწევა არ მოხდებოდა ერთეულს აქტივის რომ არ შეეძინა, მაგრამ ეს დანახარჯები არ არის გარიგების დანახარჯები, რადგან ისინი არ არის გარიგების პირდაპირი შედეგი.
51. დანახარჯები, რომლებიც აქტივის შეძენაზე, შექმნაზე ან განვითარებაზეა მიკუთვნებადი, დაკავშირებულია კონკრეტულად კონტროლის გადაცემის დანახარჯებთან. გადაცემამდე გაწეული დანახარჯები (მაგალითად, გარიგების თაობაზე მოლაპარაკების დანახარჯები), ან დანახარჯები, რომლებიც გაიწევა გადაცემის შემდეგ (მაგალითად, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები), არ შედის გარიგების დანახარჯებში.
52. გარიგების დანახარჯების აქტივის ან ვალდებულების შეფასებაში გათვალისწინება დამოკიდებულია შეფასების მიზანზე. როდესაც ერთეული აქტივის ან ვალდებულებას შემოსვლის შეფასების საფუძველზე ან გასვლის შეფასების საფუძველზე აღიარებს, ეს გავლენას ახდენს იმაზე, გარიგების დანახარჯები აისახება თუ არა მოცემული საგნის შეფასებაში.
53. გარიგების დანახარჯები შესაძლოა წარმოიქმნას აქტივის შეძენის, შექმნის ან განვითარებისას ან ვალდებულების აღებისას, აქტივის გასვლისას ან ვალდებულების დაფარვის ან გადაცემისას. აქტივის შეძენის, შექმნის ან განვითარებისას ან ვალდებულების აღებისას გაწეული გარიგების დანახარჯები იმ გარიგების მახასიათებელია, რომლის შედეგად განხორციელდა აქტივის შეძენა, შექმნა ან განვითარება ან ვალდებულების აღება და მსგავსი გარიგების დანახარჯები, რომლებიც გაწეულ იქნა ოპერაციაში შესვლისას, აისახება შეფასების შემოსვლის შეფასებაში. გარიგების დანახარჯები, რომლებიც გაიწევა აქტივის აგსვლისას ან ვალდებულების დაფარვის ან გადაცემისას, წარმოადგენენ მომავალ ან სავარაუდო მომავალ ოპერაციას. მაშასადამე, გარიგების დანახარჯები, რომლებიც გაიწევა გასვლის გარიგებისას, აისახება გასვლის შეფასების საფუძველებში, როდესაც შეფასება სპეციფიურია მოცემული ერთეულისთვის.

განმარტებითი შენიშვნები

54. ერთეულმა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარება, შეაფასოს შეფასების საფუძველი, შეფასების მეთოდი და ამოსავალი მონაცემები, რომლებიც ამ შეფასებებში გამოიყენება.
55. 54-ე პუნქტის მიზნების შესრულებისთვის, ერთეულმა იმ სსბასს-ში მოცემული შესაბამისი გამჟღავნების მოთხოვნები უნდა გამოიყენოს, რომელიც მოცემული აქტივის ან ვალდებულების შეფასებაზე ვრცელდება.

ძალაში შესვლის თარიღი და გარდამავალი დებულებები

ძალაში შესვლის თარიღი

56. ერთეულმა წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ნებადართულია სტანდარტების ვადაზე ადრე გამოყენება. სტანდარტის ვადაზე ადრე გამოყენების შემთხვევაში საჭიროა ამ ფაქტის განმარტებით შენიშვნებში ასახვა.
57. როდესაც ერთეული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის სსბასს 33-ში მოცემული განმარტების მიხედვით ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ გამოიყენებს დარიცხვის მეთოდის სსბასს-ს, წინამდებარე სტანდარტი ვრცელდება ერთეულის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც მოიცავს იმ პერიოდებს, რომლებიც იწყება დარიცხვის მეთოდის სსბასს-ის მიღების თარიღით ან მის შემდგომ.

გარდამავალი დებულება

58. ეს სტანდარტი პერსპექტიულად უნდა იქნეს გამოყენებული იმ პერიოდის დასაწყისიდან, როდესაც ის პირველად იქნა გამოყენებული.

პირვანდელი ღირებულება

ეს დანართი სსბასს 46-ის შემადგენელი ნაწილია.

შეფასება

- A1. პირვანდელი ღირებულების შეფასების საფუძვლის მიზანია უზრუნველყოს მონეტარული ინფორმაცია აქტივების, ვალდებულებებისა და დაკავშირებული შემოსავლისა და ხარჯების შესახებ იმ ინფორმაციის გამოყენებით, ნაწილობრივ მაინც, რომელიც მიიღება გარიგების ფასიდან (ან დასაშვები საწყისი ღირებულება, საჭიროებისამებრ) ან სხვა მოვლენიდან, რომლის შედეგად ისინი წარმნიქმნენ.
- A2. პირვანდელი ღირებულების საფუძველი არის:
- (a) აქტივის შეძენისთვის, შექმნისა და/ან განვითარებისთვის გადაცემული კომპენსაცია, მიმატებული გარიგების დანახარჯები;
 - (b) ვალდებულების აღებისთვის მიღებული კომპენსაცია, გამოკლებული გარიგების დანახარჯები; ან
 - (c) აქტივის ან ვალდებულების დასაშვები საწყისი ღირებულება ან სხვა მოვლენა, რომელმაც ის წარმოქმნა.

კომპენსაცია არის ფულადი სახსრები ან მისი ექვივალენტები ან გადაცემული ან მიღებული სხვა კომპენსაციის ღირებულება, რომელიც მიღებულ ან გადაცემულ იქნა იმ დროს ან პერიოდში, როდესაც განხორციელდა აქტივის შეძენა, შექმნა ან განვითარება ან ვალდებულების აღება.

თავდაპირველი შეფასება

- A3. თავდაპირველი შეფასება განისაზღვრება წინამდებარე სტანდარტის 7–16 პუნქტების შესაბამისად.

შემდგომი შეფასება

- A4. თავდაპირველი შეფასების შემდეგ იმ აქტივის ან ვალდებულების მთლიან საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც პირვანდელი ღირებულების საფუძველზე ფასდება, გავლენას არ ახდენს მიმდინარე საბაზისო საბაზრო პირობების ცვლილებები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ცვლილებები გაუფასურებას იწვევს. მაგალითად, თანხა, რომლითაც აღრიცხულია ძირითადი საშუალება, არ განახლდება ამ საგნის შეძენის, შექმნის ან განვითარების შემდეგ მისი მიმდინარე საბაზრო ფასის გაზრდის ასახვის მიზნით.
- A5. თუმცა, ისევე როგორც მიმდინარე ღირებულების შეფასებების შემთხვევაში, პირვანდელი ღირებულების საფუძველზე შეფასებული აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულება განახლდება ამ საგნის ცვლილებების ასახვისთვის, როგორც ეს 47-ე და 48-ე პუნქტებშია მითითებული.

ამორტიზებული ღირებულება

A6. პირვანდელი ღირებულების საფუძველი გამოიყენება ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებით, ამ ინსტრუმენტების ამორტიზებული ღირებულებით შეფასების გზით. ამორტიზებული ღირებულება ასახავს მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებებს, დისკონტირებულს იმ განაკვეთით, რომელიც თავდაპირველი შეფასებისას განისაზღვრება. ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება დროთა განმავლობაში განახლდება შემდგომი ცვლილებების ასახვის მიზნით, როგორიცაა მაგალითად პროცენტის დარიცხვა, ფინანსური აქტივის გაუფასურება ან გადახდები.

მიმდინარე საოპერაციო ღირებულება

ეს დანართი სსბას 46-ის შემადგენელი ნაწილია.

შეფასება

- B1. მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასების მიზანია იმ თანხის შეფასება, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა შეფასების თარიღით არაფინანსური აქტივისთვის. მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებისთვის ერთეულმა უნდა განსაზღვროს შემდეგი:
- (a) თანხა, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა. აღნიშნული მოიცავს იმ ფასის შეფასებას, რომელსაც აქტიურ ბაზარზე გადაიხდიდა ან დანახარჯს, რომელსაც ერთეული გასწევდა აქტივისთვის უმცირესი დანახარჯის პრინციპით.
 - (b) აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალი. ეს გულისხმობს აქტივის ამჟამინდელ მდგომარეობას.
 - (c) აქტივი (მისი სააღრიცხვო ერთეულის პირობებში). ეს გულისხმობს აქტივის ამჟამინდელ გამოყენებასა და მდებარეობას.
 - (d) შეფასების მეთოდ(ებ)ი, რომელიც შესაფერისია (ა) – (გ)-ს შესაფასებლად, იმ მონაცემების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, რომლებიც ერთეულისთვის სპეციფიკურ დაშვებებს სამართლიანად ასახავენ.
- B2. მიმდინარე საოპერაციო ღირებულება უზრუნველყოფს იმ აქტივის ერთეულისთვის სპეციფიკურ შეფასებას, რომელიც ფლობილია არსებული გამოყენების, ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის პირობებში მისი საოპერაციო შესაძლებლობისთვის.
- (a) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე საოპერაციო ღირებულება ასახავს თანხას, რომელსაც ერთეული შეფასების თარიღით გადაიხდიდა მისი არსებული აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალისთვის.
 - (b) ფინანსური საქმიანობის ანგარიშგებაში მიმდინარე საოპერაციო ღირებულება ასახავს აქტივის მოხმარებას მომსახურების გაწევისას, შეფასების თარიღით არსებული მდგომარეობის საფუძველზე. აღნიშნული განსხვავდება პირვანდელი ღირებულების საფუძვლისგან, რომელიც ასახავს აქტივის მოხმარებას აქტივის შეძენისას, შექმნისას ან განვითარებისას არსებული ფასებისა და თავდაპირველი აღიარების საფუძველზე.

თანხა, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა

- B3. მიმდინარე საოპერაციო ღირებულება არის თანხა, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალისთვის, უმცირესი დანახარჯების პრინციპით, შეფასების თარიღით არსებული მდგომარეობის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, ეს ფასი უშუალოდ ემპირიულია თუ არა.
- B4. თანხა, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა არის:
- (a) იდენტური ან მსგავსი აქტივის ფასი მის აქტიურ ბაზარზე შესაძენად; ან

(b) დანახარჯები, რომლებიც გაიწეოდა იდენტური ან მსგავსი აქტივის შექმნის ან წარმოებისთვის.

- B5. როდესაც იდენტური ან მსგავსი აქტივის აქტიური ბაზარი არსებობს მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებისას ეს ფასი გამოიყენება, როგორც თანხა, რომელსაც ერთეული ამ აქტივში გადაიხდიდა.
- B6. როდესაც აქტიური ბაზარი არ არსებობს, როგორც წესი, არ არსებობს იდენტური ან მსგავსი აქტივის საიმედო შეძენის ფასი. საჭიროა მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასება აქტივის შექმნის ან წარმოების დანახარჯების საფუძველზე, ფასების შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის გამოყენებით. მაგალითად, როგორც წესი, სამხედრო აქტივების, როგორიცაა თვითმფრინავები, აქტიური ბაზრები არ არსებობს. ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია მსგავსი აქტივების პირდაპირ იმ მზა პროდუქტის სახით შეძენა, რომელიც შესაფასებელი თვითმფრინავის იდენტური ან მსგავსია. როგორც წესი, თვითმფრინავის მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შესაფასებლად საჭირო იქნება ამ აქტივის თითოეულ ნაწილზე გაწეული დანახარჯების შეფასება, როგორიცაა მაგალითად ფუხელაჟი, ძრავა, ელექტრობა და სხვა, ისევე როგორც აწყობის დანახარჯების შეფასება, რათა მიღებულ იქნეს იდენტური ან მსგავსი თვითმფრინავი, შემდეგ კი ასაკის, ფუნქციონალობისა და მდგომარეობის გათვალისწინებით კორექტირება.

შემოსვლის ფასი

- B7. აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულება საწყის ფასს წარმოადგენს. ნებისმიერი გარიგების დანახარჯები, რომლებიც ამ აქტივის მისაღებად გაიწევა, მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებაში აისახება.

ერთეულისთვის სპეციფიკური ღირებულება

- B8. ერთეულმა აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულება უნდა შეაფასოს ერთეულის პოზიციის მიხედვით გაკეთებული დაშვებების გამოყენებით, არსებული აქტივის გამოყენების საფუძველზე. აღნიშნული დაშვებები უნდა ასახავდეს აქტივის გამოყენების შესაძლო ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა შეზღუდვების გათვალისწინებით. მაგალითად, როდესაც ერთეული აქტივს კონკრეტული მიზნისთვის იყენებს, ერთეული გაითვალისწინებს თანხას, რომელსაც ის ამ სახის აქტივისთვის გადაიხდიდა მისი ამჟამინდელი გამოყენების საფუძველზე და არ გაითვალისწინებს ამ აქტივის ალტერნატიული გამოყენების ღირებულებას.

უმცირესი დანახარჯები

- B9. მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასება გულისხმობს, რომ თანხა, რომელსაც ერთეული შეფასების თარიღით გადაიხდიდა აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალისთვის, არის ამ აქტივისთვის ყველაზე ნაკლები დანახარჯი.
- B10. ერთეულს არ მოეთხოვება შეძენის ყველა მეთოდის ამომწურავი ძიება უმცირესი დანახარჯის დასადგენად, მაგრამ მან უნდა გაითვალისწინოს სრული ინფორმაცია, რომელიც გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მოპოვებული და გათვალისწინებული იქნებოდა.
- B11. მიმდინარე საოპერაციო ღირებულება არ ასახავს დანახარჯებს, რომლებიც შესაძლოა გაწეულიყო თუ რაიმე გაუთვალისწინებელი მოვლენის შედეგად აუცილებელი გახდებოდა აქტივის

დარჩენილი მომსახურების პოტენციალის სასწრაფოდ ჩანაცვლება.

ემპირიული ამოსავალი მონაცემები

- B12. ზოგიერთი აქტივისთვის შეიძლება მოიპოვებოდეს ემპირიული საბაზრო ოპერაციები, ან საბაზრო ინფორმაცია. სხვა აქტივებისთვის შეიძლება არ არსებობდეს ემპირიული საბაზრო ოპერაციები, ან საბაზრო ინფორმაცია. თუმცა, ორივე შემთხვევაში, მიმდინარე საოპერაციო ღირებულების მიზანი ერთი და იგივეა - იმ თანხის შეფასება, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალში შეფასების თარიღით არსებული მდგომარეობის საფუძველზე (ანუ, *შემოსვლის ფასი* შეფასების თარიღით იმ ერთეულის პოზიციიდან, რომელიც აქტივს ფლობს).
- B13. როდესაც იდენტური ან მსგავსი აქტივის ფასის არაემპირიულია, ერთეული მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებას ახორციელებს შეფასების სხვა მეთოდით, რომელიც ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს იყენებს, როდესაც ეს შესაძლებელია, მაგალითად, როდესაც გარე რესურსები ხელმისაწვდომია და შესაძლებელია მათი გამოყენება.
- B14. რადგან მიმდინარე საოპერაციო ღირებულება ერთეულისთვის სპეციფიკურია, მისი შეფასება ერთეულის პოზიციიდან გაკეთებული დაშვებების გამოყენებით ხორციელდება. მოცემული ერთეულისთვის სპეციფიკური დაშვებები შესაძლოა წარმოიქმნას ისეთი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის. მაგალითად, აქტივის მშენებლობის (შექმნის) ღირებულება შესაძლოა მოიცავდეს ერთეულის თანამშრომლების შრომის ანაზღაურებას, კონტრაქტით დასაქმებული მუშების შრომის ანაზღაურების ნაცვლად. შედეგად, მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებისას მართებულია ერთეულის განზრახვის გათვალისწინება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გაიწევა აქტივის მშენებლობის დანახარჯები.
- B15. პრაქტიკაში შესაძლოა მცირე განსხვავება არსებობდეს იმ დაშვებებს შორის, რომელთაც გამოიყენებენ ბაზრის მონაწილეები და თვით ერთეული. მაგალითად, როდესაც თანხა, რომელიც გადაიხდებოდა არასპეციალიზებული აქტივისთვის, ერთი და იგივეა მიუხედავად მისი ამჟამინდელი გამოყენებისა, ბაზრის მონაწილის მიერ გაკეთებული დაშვება ერთეულის სპეციფიკური შეფასების თანმიმდევრული იქნება.

დარჩენილი მომსახურების პოტენციალი

- B16. მიმდინარე საოპერაციო ღირებულება არის თანხა, რომელსაც ერთეული აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალისთვის გადაიხდიდა. აქტივის დარჩენილ მომსახურების პოტენციალის განსაზღვრისას ითვალისწინებენ ერთეულის მიერ ფლობილი აქტივის ამჟამინდელ ასაკს, ფუნქციონალობასა და მდგომარეობას.
- B17. არსებული ასაკის, ფუნქციონალობისა და მდგომარეობის ასახვისთვის საჭიროა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:
- (a) ფიზიკური მოძველება დაკავშირებულია ასაკისა და გამოყენების შედეგად აქტივის ან მისი კომპონენტების ფიზიკური მდგომარეობის გაუარესების გამო მომსახურების პოტენციალის დაკარგვასთან.

(b) ფუნქციონალური მოძველება დაკავშირებულია მომსახურების პოტენციალის

დაკარგვასთან, რაც გამოწვეულია მის თანამედროვე ექვივალენტ აქტივთან შედარებით შესაფასებელი აქტივის არაეფექტიანობით.

- (c) ეკონომიკური მოძველება დაკავშირებულია სარგებლიანობის დაკარგვასთან, რაც გამოწვეულია იმ ეკონომიკური ან სხვა ფაქტორებით, რომლებსაც ერთეული ვერ აკონტროლებს.

აქტივი

B18. მიმდინარე საოპერაციო ღირებულება არის თანხა, რომელსაც ერთეული კონკრეტული აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალისთვის გადაიხდიდა. აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებაზე ზეგავლენას ახდენენ შემდეგი ძირითადი ასპექტები:

- (a) არსებული აქტივი;
- (b) აქტივის ამჟამინდელი გამოყენება; და
- (c) აქტივის ამჟამინდელი ადგილმდებარეობა.

არსებული აქტივი

B19. მიმდინარე საოპერაციო ღირებულება გულისხმობს, რომ ერთეული გააგრძელებს საქონლისა და მომსახურების მიწოდებას იდენტური ან მსგავსი აქტივის გამოყენებით.

B20. იდენტური ან მსგავსი აქტივის მეშვეობით საქონლისა და/ან მომსახურების მიწოდება იგივენაირად ხორციელდება, როგორც შესაფასებელი აქტივის მეშვეობით. მაგალითად, ელექტროენერგიის მიმწოდებელი კომპანია, რომელიც ელექტროენერგიას აწვდის მომხმარებელს, თანხას - რომელსაც ის თავისი გენერაციის ობიექტების დარჩენილი მომსახურების პოტენციალისთვის გადაიხდიდა - არსებული ობიექტების მახასიათებლების გათვალისწინებით შეაფასებს. როდესაც გენერაციის ობიექტები მზის ელექტროსადგურებია, თანხის, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა თავისი აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალისთვის, განსაზღვრის საფუძველია მზის ელექტროსადგურები და არა ალტერნატიული აქტივები, როგორიცაა, მაგალითად, ქარის ელექტროსადგური, რომელსაც ასევე შეუძლია იგივე მომსახურების გაწევა.

აქტივის არსებული გამოყენება

B21. მიმდინარე საოპერაციო ღირებულება არის თანხა, რომელსაც ერთეული თავისი აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალისთვის გადაიხდიდა, მისი ამჟამინდელი გამოყენების საფუძველზე. „ამჟამინდელი გამოყენება“ გულისხმობს, რომ აქტივი ან აქტივების ჯგუფის გამოყენების გზას და ასახავს იმ ერთეულის პოლიტიკის მიზნებს, რომელიც ახორციელებს ამ აქტივის ოპერირებას. მაგალითად, ჯანდაცვის სამინისტრო პასუხისმგებელია მოქალაქეების კეთილდღეობაზე. ისეთი აქტივები, როგორიცაა მაგალითად შენობები, გამოიყენება საავადმყოფოების სახით, ჯანდაცვის მომსახურებების გასაწევად, და არა კომერციული მიზნებისთვის.

B22. აქტივის ამჟამინდელი გამოყენების შეფასებისას არ ითვალისწინებენ პოტენციურ ალტერნატიულ გამოყენებას და აქტივის ნებისმიერ სხვა მახასიათებელს, რომელმაც შესაძლოა მაქსიმალურად გაზარდოს მისი საბაზრო ღირებულება. მაგალითად, სკოლის შენობის ამჟამინდელი

გამოყენებაა საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა. ალტერნატიული გამოყენება, როგორცაა მაგალითად ამ შენობის საბაზრო განაკვეთებით საიჯარო ოფისებისთვის გამოყენება, არ განიხილება. ამჟამინდელი გამოყენება შესაძლოა იყოს, მაგრამ აუცილებელი არ არის, მისი მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება.

- B23. აქტივის ამჟამინდელი გამოყენებისას მისი ნებისმიერი გამოყენებული ნაწილის შეფასება ხორციელდება, რათა განისაზღვროს ამ გამოყენებულ ნაწილს აქტივთან დაკავშირებული კონკრეტული საოპერაციო დანიშნულებით ფლობენ თუ არა. შესაძლოა ეს განპირობებული იყოს აქტივის უსაფრთხოების მოთხოვნებით, სამართლებრივი ან სხვა შეზღუდვებით და/ან ფუნქციონალური შეზღუდვებით. აქტივის გამოყენებული ნაწილი, რომელიც აქტივის ამჟამინდელი გამოყენების საფუძველზე, აქტივთან დაკავშირებული კონკრეტული კონკრეტული საოპერაციო მიზნით ფლობენ, და რომელიც ჩანაცვლდება, აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებაში აისახება.
- B24. როდესაც აქტივის გამოყენებულ ნაწილს არა აქვს აქტივთან დაკავშირებული კონკრეტული საოპერაციო დანიშნულება, ერთეული განსაზღვრავს გააჩნია თუ არა მას ალტერნატიული გამოყენება. თუ ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის მისი ალტერნატიული გამოყენება, აქტივის აღნიშნული ნაწილის შეფასება ცალკე აქტივის სახით, შეფასების სათანადო საფუძვლის გამოყენებით ხორციელდება. როდესაც აქტივის გამოყენებულ ნაწილს არა აქვს ალტერნატიული გამოყენება, ის აისახება აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებაში, თუმცა ღირებულების გარეშე.

აქტივის ამჟამინდელი ადგილმდებარეობა

- B25. აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულება გულისხმობს, რომ ერთეული გააგრძელებს საქონლისა და/ან მომსახურების მიწოდებას იმავე ადგილიდან, სადაც ამჟამად მდებარეობს ან გამოიყენება აქტივი.
- B26. აქტივის, რომლის ფიზიკურად გადაადგილება შეუძლებელია, მიმდინარე საოპერაციო ღირებულება ასახავს ფიზიკურად უძრავი აქტივის ღირებულებას მის ამჟამინდელ ადგილმდებარეობაზე. მაგალითად, საავადმყოფო, რომელიც ქალაქის ცენტრში ფუნქციონირებს და რომელიც შეიძლება რომ გარეუბანში მდებარეობდეს მოსახლეობის მიგრაციის გამო, შეფასდება იმ თანხის საფუძველზე, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა ამ საავადმყოფოსთვის მის ამჟამინდელ ადგილმდებარეობაზე (მაგალითად, შენობისთვის საჭირო თანხა მოიცავს მშენებლობის დანახარჯებს, ნებართვების, რეგულირების და სხვა ღირებულებას რომლებიც გადახდილ იქნებოდა მისი ამჟამინდელი ადგილმდებარეობის შესაბამისად).
- B27. ფიზიკურად მოძრავი აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულება ასახავს ადგილს, სადაც ერთეული იყენებს აქტივს და/ან ბაზარს, რომელთანაც წვდომა აქვს ერთეულს. მაგალითად, საავადმყოფოს, რომელიც ქალაქის ცენტრში ფუნქციონირებს, ავეჯი და მოწყობილობები შეფასდება თანხით, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა საავადმყოფოს ავეჯისა და მოწყობილობისთვის მის ამჟამინდელ ადგილმდებარეობაში, ქალაქის ცენტრში.

შეფასების მეთოდები

- B28. შეფასების მეთოდების გამოყენების მიზანია იმ თანხის შეფასება, რომელსაც ერთეული

გადაიხდიდა აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალისთვის შეფასების თარიღით არსებული მდგომარეობის საფუძველზე. ფართოდ გავრცელებული შეფასების მეთოდებია საბაზრო მიდგომა და დანახარჯების მიდგომა. ამ მიდგომების ძირითადი ასპექტების რეზიუმე მოცემულია B32–B36 პუნქტებში. მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებისთვის ერთეულმა უნდა გამოიყენოს შეფასების მეთოდები, რომლებიც ამ მიდგომებიდან ერთ-ერთის თანმიმდევრულია.

- B29. ერთეული იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც გარემოებისთვის შესაბამისია და საკმარისი მონაცემებია ხელმისაწვდომი მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შესაფასებლად, ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით, როდესაც შესაძლებელია.
- B30. ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელია მიმდინარე საოპერაციო ღირებულების განსაზღვრა პირდაპირ აქტიური ბაზრის ემპირიული ფასების მეშვეობით და საჭიროა მათი სხვა გზით განსაზღვრა. მაგალითად, როდესაც ფასები მხოლოდ ახალი აქტივებისთვის არის ხელმისაწვდომი, მეორადი აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულება შესაძლოა შეფასდეს ახალი აქტივის არსებული ფასის კორექტირებით, რათა აისახოს ერთეულის მიერ ფლობილი აქტივის ასაკი, ფუნქციონალობა და მდგომარეობა.
- B31. როდესაც მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებისთვის შეფასების რამდენიმე მეთოდი გამოიყენება, საჭიროა მიღებული შედეგების შეფასება მათი მნიშვნელობების დიაპაზონის გონივრულობის გასათვალისწინებლად. მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასება არის წერტილი აღნიშნულ დიაპაზონში, რომელიც არსებულ გარემოებებში აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალის ყველაზე წარმომადგენლობითი მნიშვნელობაა.

საბაზრო მიდგომა

- B32. აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შესაფასებლად საბაზრო მიდგომის გამოყენებისთვის საჭიროა აქტიური ბაზრის არსებობა, იდენტური ან მსგავსი აქტივების გარიგებებით.
- B33. საბაზრო მიდგომა იყენებს შეფასების თარიღით ერთეულის ძირითად ბაზარზე (ანუ ბაზარი, სადაც მინიმალურია თანხა, რომელსაც მოცემულ აქტივში გადაიხდიდნენ) ნებაყოფლობითი გარიგების აქტივის ფასს.
- B34. იდენტური ან მსგავსი აქტივები გულისხმობს იგივე მახასიათებლების მქონე აქტივებს, რომლებიც შესაფასებელ აქტივს აქვს. საბაზრო მიდგომის გამოყენებით მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებისას საჭიროა იდენტური ან მსგავსი დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის, მომსახურების პოტენციალის, და ა.შ., მქონე აქტივის გამოვლენა.

დანახარჯების მიდგომა

- B35. აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულება დანახარჯების მიდგომის გამოყენებით უნდა განისაზღვროს, როდესაც მსგავსი ან იდენტური აქტივების აქტიური ბაზარი არ არსებობს. რაც უფრო სპეციალიზებულია აქტივი, მით უფრო ნაკლებად სავარაუდოა, რომ აქტიური ბაზარი არსებობდეს და დანახარჯების მიდგომის გამოყენება უფრო მეტად არის მოსალოდნელი.
- B36. როდესაც არ არსებობს საბაზრო გარიგებები იდენტური ან მსგავსი აქტივებით, მიმდინარე საოპერაციო ღირებულება არის იდენტური ან მსგავსი აქტივის შექმნის ან წარმოების

ღირებულება.

თნამედროვე ექვივალენტური აქტივი

- B37. როდესაც ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია მსგავსი ან იდენტური აქტივის ღირებულების შესახებ, ან როდესაც არსებული აქტივი იდენტური აქტივით არ ჩანაცვლდება, ერთეულმა შესაძლოა მიმდინარე საოპერაციო ღირებულება შეაფასოს თნამედროვე ექვივალენტური აქტივის ღირებულების გამოთვლით და შემდეგ განახორციელოს გამოქვითვები მოძველებისა და ოპტიმიზაციის გასათვალისწინებლად. მაშასადამე, შესაძლოა საჭირო იქნეს აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასება თნამედროვე ექვივალენტური აქტივის, რომელიც არსებული აქტივის ამჟამინდელი გამოყენების ექვივალენტურ მომსახურებას უზრუნველყოფს, არსებულ ფასზე დაყრდნობით და მისი კორექტირებით ერთეულის მიერ ფლობილი აქტივის ამჟამინდელი ასაკის, მდგომარეობისა და ფუნქციონალობის ასახვისთვის.
- B38. დანახარჯების მიდგომის გამოყენება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მიმდინარე საოპერაციო ღირებულების განსაზღვრა აქტიურ ბაზარზე ემპირიული ფასების გამოყენებით. თუმცა, დანახარჯების მიდგომის გამოყენებისას მაინც საჭიროა აქტივის შემადგენელი ნაწილების შესაბამისი ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენება, როდესაც ერთეული ამ ნაწილებს ბაზარზე შეიძენდა.

შესრულების ღირებულება

ეს დანართი სსბას 46-ის შემადგენელი ნაწილია.

შეფასება

- C1. შესრულების ღირებულების შეფასების მიზანია ვალდებულების ღირებულების შეფასება, იმის გათვალისწინებით, რომ ერთეული ვალდებულებას უმცირესი დანახარჯებით შესრულებს. შესრულების ღირებულების შეფასებისთვის ერთეულმა უნდა განსაზღვროს შემდეგი:
- (a) კონკრეტული ვალდებულება, რომელიც უნდა შეფასდეს (მის საადრიცხოვო ერთეულთან შესაბამისობა).
 - (b) ვალდებულების დაფარვის გზა.

უმცირესი დანახარჯები

- C2. შესრულების ღირებულება გულისხმობს, რომ ვალდებულება უმცირესი დანახარჯებით დაიფარება.
- C3. შესრულების ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომლის გადახდის მოვალეობა აქვს ერთეულს ვალდებულების დასაფარად. ეს ვალდებულება მინიმალურ თანხაა, რომელიც ერთეულმა აღნიშნული ვალდებულების სრულად დასაფარად უნდა გადაიხადოს. მაგალითად, ერთეულს შეიძლება ჰქონდეს მიწის ნაკვეთის მის თავდაპირველ მდგომარეობამდე აღდგენის ვალდებულება მას შემდეგ, როდესაც დროებით გზის გამოყენება საჭირო აღარ იქნება. თუნდაც ერთეულს განზრახული ჰქონდეს მიწის ნაკვეთის გაუმჯობესება, გაუმჯობესების დანახარჯები აღემატება მიწის ნაკვეთის მის თავდაპირველ მდგომარეობამდე აღდგენის მინიმალურ ვალდებულებას და მაშასადამე, არ არის ამ ვალდებულების სრულად შესრულების ღირებულების წარმომადგენლობითი დანახარჯები. როდესაც ერთეულს განზრახული აქვს ვალდებულების შესრულება თავისი მოვალეობის მიღმა, საჭიროა სსბას 19-ში, *ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები*, მოცემული მითითებების გამოყენება ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო დანახარჯებზე ნამეტი თანხის აღსარიცხად.
- C4. ერთეულის წვდომა უნდა ჰქონდეს შესრულების მეთოდზე, რომლის გამოყენების შედეგად ვალდებულება, მისი დაფარვის მოსალოდნელი თარიღით, უმცირესი დანახარჯებით დაიფარება. რადგან სხვადასხვა ერთეულებისთვის (და ამ ერთეულების ფარგლებში ცალკეული მიმართულებებისთვის), რომლებიც სხვადასხვა საქმიანობას ახორციელებენ, შესრულების სხვადასხვა მეთოდებია ხელმისაწვდომი, ერთი და იმავე ვალდებულების დაფარვის უმცირესი დანახარჯები შესაძლოა განსხვავებული იყოს სხვადასხვა ერთეულებისთვის (და ამ ერთეულების ფარგლებში ცალკეული მიმართულებებისთვის). ამგვარად, უმცირესი დანახარჯი განხილულ უნდა იქნეს ერთეულის პოზიციიდან, რაც სხვადასხვა საქმიანობის განმახორციელებელი და სხვადასხვა გარემოებების მქონე ერთეულებს შორის განსხვავებების ასახვის საშუალებას იძლევა.
- C5. ერთეულს არ მოეთხოვება ვალდებულების შესრულების ყველა მეთოდის ამომწურავი ძიება

უმცირესი დანახარჯის დასადგენად, მაგრამ მან უნდა გაითვალისწინოს სრული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გონივრულ ფარგლებში. თუ საწინააღმდეგო მტკიცებულება არ არსებობს, მიიჩნევა, რომ ამჟამად ერთეულს უმცირესი დანახარჯების მეთოდი აქვს შერჩეული ვალდებულებისგან გასათავისუფლებლად. მაგალითად, თუ ერთეული აირჩევს ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულების საკუთარი თანამშრომლების მეშვეობით შესრულებას, მიიჩნევა, რომ ეს არის უმცირესი დანახარჯებით შესრულების მეთოდი, მიუხედავად ერთეულის შესაძლებლობისა, რომ ხელშეკრულება მესამე მხარესთან გააფორმოს.

C6. როდესაც შესრულებისთვის სამუშაოს ჩატარებაა საჭირო - მაგალითად, როდესაც არსებობს გარემოსდაცვითი ზიანის გამოსწორების ვალდებულება - შესაბამისი დანახარჯებია ის დანახარჯები, რომელთაც ერთეული გასწევს. ეს შესაძლოა იყოს თვითონ ერთეულის მიერ გამოსწორებითი სამუშაოს შესრულების დანახარჯები ან დანახარჯები ამ სამუშაოს შესასრულებლად გარე მხარის დაქირავებისთვის. თუმცა, გარე მხარესთან ხელშეკრულების მეშვეობით სამუშაოს შესრულების დანახარჯები რელევანტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც დაქირავებული კონტრაქტორი უმცირესი დანახარჯებით ასრულებს ვალდებულებას და ერთეულს წვდომა აქვს შესრულების ამ მეთოდზე (იხ. პუნქტი C4).

C7. ერთეულის მიერ ვალდებულების საკუთარი ძალებით შესრულების შემთხვევაში შესრულების ღირებულება არ მოიცავს მარჟას დანახარჯების მიღმა, რადგან მსგავსი მარჟა არ წარმოადგენს ერთეულის რესურსების მოხმარებას. როდესაც შესრულების ღირებულების ოდენობა კონტრაქტორის გამოყენების დანახარჯებს ემყარება, მაშინ თანხა ცალსახად შეიცავს კონტრაქტორის მიერ მოთხოვნილ მოგებას, რადგან კონტრაქტორის მიერ დარიცხული მთლიანი თანხა ერთეულის რესურსებზე მოთხოვნას წარმოადგენს.

ერთეულისთვის სპეციფიკური ღირებულება

C8. შესრულების ღირებულება ერთეულისთვის სპეციფიკური ღირებულებაა. ერთეულმა ვალდებულების შესრულების ღირებულება უნდა შეაფასოს ერთეულის პოზიციიდან გაკეთებული დაშვებების გამოყენებით, იმის გათვალისწინებით, რომ ერთეული მოქმედებს თავისი მიზნების შესაბამისად.

C9. ერთეულისთვის სპეციფიკური ამ დაშვებების შემუშავებისას ერთეულმა უნდა გამოავლინოს ერთეულისა და მოცემული ვალდებულებისთვის სპეციფიკური მახასიათებლები, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა:

(a) ვალდებულება;

(b) ერთეულის მოლოდინები მომავალში რესურსების გასვლის ოდენობასა და ვადებთან დაკავშირებით; და

(c) ფულის დროითი ღირებულება.

გამოთვლებში რისკის პრემიის ასახვა დამოკიდებული იქნება შესაბამის სსბასს-ში მოცემულ სახელმძღვანელო მითითებებზე.²

C10. დაშვებების, როგორიცაა მაგალითად, ფულის დროითი ღირებულება, შეფასებისას, შესაძლოა მცირე განსხვავება არსებობდეს დაშვებებს, რომელთაც ბაზრის მონაწილე გამოიყენებდა და იმ დაშვებებს შორის, რომელსაც ერთეული გამოიყენებდა.

ერთეულის მიერ გასაწევი დანახარჯები

- C11. შესრულების ღირებულების მეშვეობით შეფასდება დანახარჯი იმის გათვალისწინებით, რომ ერთეული ახორციელებს ვალდებულების დაფარვას.
- C12. შესრულების ღირებულების შეფასება, როგორც თავდაპირველი, ისე შემდგომი შეფასება, უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ იმ რესურსების გასვლას მომავალში, რომელსაც ერთეული მოელის, რომ საჭირო იქნება ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული რესურსების მომავალი გასვლა მოიცავს თანხებს:
- (a) რომელიც ვალდებულების კონტრაქტს გადაეცემა; და
 - (b) რომელიც, ერთეული მოელის, რომ ვალდებული იქნება სხვა მხარეებს გადასცეს მოცემული ვალდებულების დასაფარად.
- C13. ფასი, რომელიც ვალდებულების შესრულების ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება, არ უნდა გაკორექტირდეს გარიგების დადებისთვის გაწეული გარიგების დანახარჯებით. შემოსვლის გარიგების დანახარჯებს გავლენა არა აქვს მომავალში რესურსების გასვლაზე, რასაც ერთეული მოელის. საპირისპიროდ, გარიგების დანახარჯები, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გაწეულ იქნება ვალდებულების დასაფარად, ანუ გასვლის დანახარჯები, არის რესურსების მომავალში გასვლა, რომლის ვალდებულების შესრულების დანახარჯებში გათვალისწინება რელევანტურია და შესრულების ღირებულების შეფასებაში აისახება.
- C14. როდესაც შესრულების ღირებულება დამოკიდებულია განუსაზღვრელ მომავალ მოვლენებზე, შესრულების ღირებულების შეფასებაში გაითვალისწინება ყველა შესაძლო საბოლოო შედეგი, რომლის მიზანი ყველა აღნიშნული შესაძლო საბოლოო შედეგის მიუკერძოებლად ასახვაა.
- C15. როდესაც ვალდებულების შესრულება ხანგრძლივი დროის პერიოდში არ მოხდება, საჭიროა ფულადი ნაკადების დისკონტირება შეფასების თარიღით ვალდებულების ღირებულების ასახვისთვის, შემოსავლების მიდგომის გამოყენებით. პრაქტიკული თვალსაზრისით საჭირო არ არის ერთეულის მიერ რესურსების მომავალი გასვლის დისკონტირება, როდესაც მოსალოდნელია, რომ ვალდებულება ერთი წლის განმავლობაში დაიფარება.

² შესრულების ღირებულების შეფასებისას რისკის პრემიის გათვალისწინების შემთხვევაში ერთეულმა შეფასება უნდა განახორციელოს ვალდებულების მფლობელი ერთეულის პოზიციიდან და არა ბაზრის მონაწილის პოზიციიდან, როგორც ეს მითითებულია პუნქტში D8.

ვალდებულების დაფარვა

- C16. შესრულების ღირებულება არის დანახარჯი, რომელსაც ერთეული მოელის რომ ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ვალდებულების დასაფარად გასწევს.
- C17. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ვალდებულების დაფარვის დანახარჯის შეფასებისას ერთეული აკეთებს დაშვებას, რომ ვალდებულება შეთანხმების არსებული პირობების ფარგლებში დაიფარება და ვალდებულება მესამე პირს არ გადაეცემა.
- C18. შესრულების ღირებულების შეფასებისას ერთეული ითვალისწინებს შეფასების თარიღით ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას არსებულ საბაზრო პირობებში, რათა შეაფასოს ვალდებულების დაფარვის მოვალეობა მოსალოდნელი დაფარვის თარიღით.
- C19. შესრულების ღირებულება არ უნდა შეიცავდეს ერთეულის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკს. შესრულების ღირებულების შეფასება არის ვალდებულების ღირებულება იმის გათვალისწინებით, რომ ერთეული შეასრულებს თავის მოვალეობებს. რადგან ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკში ვალდებულების ღირებულებაზე ერთეულის მიერ თავისი მოვალეობების სავარაუდო შეუსრულებლობა აისახება, თანმიმდევრული არ არის ვალდებულების შეფასებაში შესაძლებლობის, რომ ერთეულმა შესაძლოა ვერ შეასრულოს თავისი მოვალეობები - გათვალისწინება, რადგან შესრულების ღირებულების შეფასება გულისხმობს, რომ ვალდებულება ჩვეულებრივი საქმიანობისას დაიფარება.

შეფასების მეთოდი

- C20. შეუძლებელია აქტიურ ბაზარზე შესრულების უშუალო ემპირიული დანახარჯის შესახებ ინფორმაციის მიღება. ის განისაზღვრება შემოსავლების მიდგომის შეფასების მეთოდის გამოყენებით.
- C21. ერთეულმა შემოსავლების მიდგომა უნდა გამოიყენოს. შესრულების ღირებულება ასახავს ერთეულისთვის სპეციფიკურ დაშვებებს და არა იმ დაშვებებს, რომლებიც გამოიყენება ბაზრის მონაწილეების მიერ. პრაქტიკაში შესაძლოა მცირე განსხვავება არსებობდეს იმ დაშვებებს შორის, რომლებსაც გამოიყენებენ ბაზრის მონაწილეები და თვითონ ერთეული.
- C22. შემოსავლების მიდგომის გამოყენების მიზანია, რომ შეფასდეს დანახარჯი, რომელსაც ერთეული გასწევს შეფასების თარიღით, არსებულ საბაზრო პირობებში, ვალდებულების შედეგად წარმოქმნილი მოვალეობების შესასრულებლად. ამ მიდგომის ძირითადი ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია შესრულების ღირებულებასთან, შეჯამებულია C23–C48 პუნქტებში.

შემოსავლების მიდგომა

- C23. შესრულების ღირებულების შესაფასებლად შემოსავლების მიდგომის გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესრულების ღირებულების შეფასების საფუძვლის მახასიათებლები. აღნიშნული მოიცავს:
- (a) მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას.

- (b) შესაფასებელი ვალდებულებისთვის საჭირო მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებული ოდენობისა და ვადების შესაძლო ცვლილებებს, რაც გამოწვეულია ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობით.
 - (c) ფულის დროით ღირებულებას.
 - (d) სხვა ფაქტორებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ვალდებულების ღირებულებაზე.
- C24. C25–C48 პუნქტებში აღწერილია დღევანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენება შესრულების ღირებულების შესაფასებლად. აღნიშნულ პუნქტებში მითითებული არ არის დღევანდელი ღირებულების რომელიმე კონკრეტული მეთოდი და არც შეზღუდვაა მოცემული, რომ შესრულების ღირებულების შესაფასებლად მხოლოდ განხილული დღევანდელი ღირებულების მეთოდები იქნეს გამოყენებული. შესრულების ღირებულების შესაფასებლად დღევანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენება დამოკიდებულია იმ ფაქტებზე და გარემოებებზე, რომლებიც სპეციფიკურია მოცემული შესაფასებელი ვალდებულებისთვის და საკმარისი მონაცემების ხელმისაწვდომობაზე.

რესურსების მომავალი გასვლა

- C25. შესრულების ღირებულების შეფასებისთვის რესურსების მომავალი გასვლის შეფასება უნდა მოიცავდეს ვალდებულების შესრულებასთან უშუალოდ დაკავშირებული რესურსების ყველა შემოსვლას და გასვლას. აღნიშნული შეფასებები უნდა:
- (a) იყოს ცალსახა (ანუ ერთეულმა რესურსების აღნიშნული გასვლა დისკონტირების განაკვეთების შეფასებისგან, რომელიც გამოიყენება ამ რესურსების გასვლის ფულის დროითი ღირებულებისთვის კორექტირებისთვის, და რისკის კორექტირებისგან, რომელიც გამოიყენება აღნიშნული რესურსების მომავალი გასვლის ოდენობასა და ვადებზე განუსაზღვრელობის გავლენის კორექტირებისთვის, განცალკევებით უნდა შეაფასოს);
 - (b) ასახავდეს ერთეულის პოზიციას, იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი შესაბამისი საბაზრო ცვლადების შეფასებები არ ეწინააღმდეგება ამ ცვლადების ემპირიულ საბაზრო ფასებს (იხ. პუნქტები C30–C34);
 - (c) მიუკერძოებლად მოიცავდეს, სრულ ხელმისაწვდომ ინფორმაციას იმ რესურსების შემოსვლისა და გასვლის ოდენობის, ვადებისა და განუსაზღვრელობის შესახებ, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ერთეულის მიერ ვალდებულების შესრულებისას (იხ. პუნქტი C35) წარმოიქმნება; და
 - (d) იყოს მიმდინარე (ანუ შეფასებები უნდა ასახავდეს შეფასების თარიღით სრულ ხელმისაწვდომ ინფორმაციას) (იხ. პუნქტები C36–C40).

განუსაზღვრელობა და მოსალოდნელი ღირებულების მიდგომა

- C26. მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მეთოდით საწყის წერტილად გამოიყენება რესურსების გასვლის ერთობლიობას, რომელიც წარმოადგენს რესურსების ყველა შესაძლო მომავალი გასვლის ალბათობით შეწონილ საშუალოს (ანუ რესურსების მოსალოდნელი გასვლა). შედეგად მიღებული შეფასება მოსალოდნელი ღირებულების იდენტურია, რომელიც, სტატისტიკური თვალსაზრისით წარმოადგენს დისკრეტული შემთხვევითი ცვლადის შესაძლო

მნიშვნელობების საშუალოს, ალბათობებით შეწონილს. რადგან რესურსების ყველა შესაძლო გასვლა ალბათობით არის შეწონილი, შედეგად მიღებული რესურსების გასვლა დამოკიდებული არ არის რომელიმე სპეციფიკური მოვლენის მოხდენაზე (დისკონტირების განაკვეთით კორექტირების მეთოდში გამოყენებული რესურსების გასვლისგან განსხვავებით).

C27. რესურსების მოსალოდნელი გასვლის განსაზღვრისას ერთეულმა უნდა:

- (a) გამოავლინოს თითოეული შესაძლო საბოლოო შედეგი;
- (b) შეაფასოს, მიუკერძოებლად, თითოეული საბოლოო შედეგისთვის მომავალი რესურსების გასვლის ოდენობა და ვადები; და
- (c) მიუკერძოებლად შეაფასოს თითოეული საბოლოო შედეგის ალბათობა.

C28. C27 პუნქტით მოითხოვება, რომ მოსალოდნელი ღირებულებების შეფასება ასახავდეს მიუკერძოებელ და ალბათობით თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო საბოლოო შედეგების სპექტრის შეფასებით. პრაქტიკაში ეს არ უნდა იყოს რთული ანალიზი. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა საკმარისი იყოს მარტივი მოდელირება, დიდი რაოდენობით სცენარების დეტალური სიმულაციის გარეშე. მაგალითად, სავარაუდოდ საჭირო იქნება სცენარების გამოვლენა, სადაც მითითებული იქნება რესურსების გასვლის ოდენობა და ვადები კონკრეტული საბოლოო შედეგებისთვის და შეფასებული იქნება ამ საბოლოო შედეგების ალბათობები. ასეთ სიტუაციებში რესურსების მოსალოდნელი გასვლა სულ მცირე ორ საბოლოო შედეგს უნდა ასახავდეს.

C29. რესურსების მომავალი გასვლის ერთობლიობის, რომელიც წარმოადგენს ალბათობით შეწონილ რესურსების ყველა შესაძლო მომავალ გასვლას, გამოსავლენად C2 პუნქტში გაკეთებულია დაშვება, რომ ერთეული ვალდებულებას უმცირესი დანახარჯებით დაფარავს. თითოეული გასვლა წარმოადგენს ერთ შესაძლო სცენარს, სადაც ვალდებულების დაფარვა უმცირესი დანახარჯით ხორციელდება.

საბაზრო ცვლადები და არასაბაზრო ცვლადები (პუნქტი C25(b))

C30. წინამდებარე დანართში გამოვლენილია ორი სახის ცვლადები:

- (a) საბაზრო ცვლადები—ემპირიული ცვლადები ან ცვლადები, რომელთა მიღება შესაძლებელია უშუალოდ ბაზრებიდან (მაგალითად, საპროცენტო განაკვეთები); და
- (b) არასაბაზრო ცვლადები—ყველა დანარჩენი ცვლადი (მაგალითად, სტიქიური უბედურებების, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებებზე, სიხშირე და სიმძიმე).

საბაზრო ცვლადები

C31. საბაზრო ცვლადების შეფასებები შეფასების თარიღით ემპირიული საბაზრო ფასების თანმიდევრული უნდა იყოს. ერთეულმა საკუთარი შეფასებებით არ უნდა ჩაანაცვლოს ემპირიული საბაზრო ფასები, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც აღწერილია D59 პუნქტში. „დ“ დანართის შესაბამისად, როდესაც საჭიროა საბაზრო ცვლადების შეფასება (მაგალითად, იმის გამო, რომ ემპირიული საბაზრო ცვლადები არ არსებობს), ისინი მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდნენ ემპირიულ საბაზრო ცვლადებს.

არასაბაზრო ცვლადები

- C32. არასაბაზრო ცვლადების შეფასებები უნდა ასახავდნენ ყველა ხელმისაწვდომ მტკიცებულებას, როგორც გარე, ისე შიდა მტკიცებულებას.
- C33. არასაბაზრო გარე მონაცემები (მაგალითად, ატომური ელექტროსადგურის ექსპლუატაციიდან ამოღების ეროვნული სტატისტიკა) შესაძლოა უფრო მეტად ან ნაკლებად შესაბამისი იყოს, ვიდრე შიდა მონაცემები (მაგალითად, ატომური ელექტროსადგურის ექსპლუატაციიდან ამოღების შიდა სტატისტიკა), რაც დამოკიდებულია გარემოებებზე.
- C34. არასაბაზრო ცვლადების შეფასებული ალბათობები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ემპირიულ საბაზრო ცვლადებს. მაგალითად, მომავალი ინფლაციის განაკვეთის სცენარების შეფასებული ალბათობები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ნაგულისხმევ ალბათობებს მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს.

მომავალი გადახდების ალბათობების შეფასება (პუნქტი C25(c))

C35. ერთეული მომავალ გადახდებთან დაკავშირებულ ალბათობებს შეაფასებს შემდეგი ფაქტორების საფუძველზე:

- (a) ინფორმაცია ვალდებულების ცნობილ ან შეფასებულ მახასიათებლებზე; და
- (b) ისტორიული მონაცემები ერთეულის საკუთარ გამოცდილებაზე, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში დაემატება ისტორიული მონაცემები სხვა წყაროებიდან. ისტორიული მონაცემები კორექტირდება, როდესაც, მაგალითად:
 - (i) ვალდებულების მახასიათებლები განსხვავებულია (ან განსხვავებული იქნება, მაგალითად, უარყოფითი შერჩევის გამო) იმ ერთობლიობის მახასიათებლებისგან, რომელიც გამოყენებულ იქნა, როგორც ისტორიული მონაცემების საფუძველი;
 - (ii) არსებობს მტკიცებულება, რომ ისტორიული ტენდენციები არ გაგრძელდება და ახალი ტენდენციები გამოიკვეთება ან შესაძლოა ეკონომიკურმა ან სხვა ცვლილებებმა გავლენა იქონიონ არსებული ვალდებულებიდან წარმოქმნილი რესურსების გასვლაზე; ან
 - (iii) შეიცვალა ერთეულის პრაქტიკა ან პროცედურები, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ისტორიული მონაცემების ვალდებულებასთან შესაბამისობაზე.

არსებული შეფასებები (პუნქტი C25(d))

C36. რესურსების გასვლის თითოეული სცენარის ალბათობის შეფასებისას ერთეულმა შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი ყველა მიმდინარე ინფორმაცია უნდა გამოიყენოს. ერთეულმა გასული შეფასების თარიღით გაკეთებული ალბათობების შეფასებები უნდა განიხილოს და განახლოს ნებისმიერი ცვლილების ასახვისთვის. იმავდროულად ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს:

- (a) განახლებული შეფასებები სამართლიანად ასახავს თუ არა შეფასების თარიღით არსებულ მდგომარეობას; და
- (b) შეფასებების ცვლილებები სამართლიანად ასახავს თუ არა მოცემულ პერიოდში მომხდარ

ცვლილებებს. მაგალითად, დავუშვათ, რომ შეფასებები პერიოდის დასაწყისში გონივრული სპექტრის ერთ მხარეს მიეკუთვნებოდა. თუ პირობები არ შეცვლილა, პერიოდის დასასრულს შეფასებების ამ სპექტრის მეორე მხარისთვის მიკუთვნება სამართლიანად არ ასახავს იმას, რაც მოხდა მთლიანი პერიოდის განმავლობაში. როდესაც ერთეულის უახლესი შეფასებები განსხვავდება მისი ადრინდელი შეფასებებისგან, მაგრამ პირობები არ შეცვლილა, მან უნდა შეაფასოს თითოეულ სცენარზე მიკუთვნებული ახალი ალბათობა დასაბუთებულია თუ არა. აღნიშნული ალბათობების შეფასებების განახლებისას ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს მტკიცებულება, რომელიც ამყარებდა მის ადრინდელ შეფასებებს და ასევე, ყველა ახალი, ხელმისაწვდომი მტკიცებულება და უფრო მეტი წონა უნდა მიანიჭოს უფრო დამაჯერებელ მტკიცებულებას.

- C37. თითოეული სცენარისთვის მინიჭებული ალბათობა უნდა ასახავდეს შეფასების თარიღის დასასრულს არსებულ მდგომარეობას. შედეგად, სსბას 14-ის, *ანგარიშების თარიღის შემდგომი მოვლენები*, შესაბამისად, მოვლენა, რომელიც ხდება ანგარიშების პერიოდის ბოლოს და დასრულებს მდგომარეობას, რომელიც ანგარიშების თარიღით არსებობდა, არ უზრუნველყოფს იმ მდგომარეობის მტკიცებულებას, რომელიც ანგარიშების პერიოდის ბოლოს არსებობდა. მაგალითად, შესაძლოა ანგარიშების პერიოდის დასასრულს არსებობდა ექსპლუატაციიდან ამოღებამდე ძლიერი ქარიშხლის - რომელიც გაზრდიდა ექსპლუატაციიდან ამოღების დანახარჯს - 20 პროცენტიანი ალბათობა. ანგარიშების პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაცემად დამტკიცებამდე იწყება ძლიერი ქარიშხალი. ხელშეკრულების ფარგლებში რესურსების გასვლა არ უნდა ასახავდეს ამ ქარიშხალს, რომელიც, უკვე ცნობილია რომ მოხდა. სანაცვლოდ, რესურსების გასვლა, რომელიც ასახული იყო შეფასებაში, მრავლდება 20 პროცენტთან ალბათობაზე, რომელიც აშკარა იყო ანგარიშების პერიოდის დასასრულს (ახსნა-განმარტებებში სათანადოდ ასახვით, სსბას 14-ის შესაბამისად, რომ არამკორექტირებელი მოვლენა მოხდა ანგარიშების პერიოდის დასრულების შემდეგ).

მომავალი მოვლენები (პუნქტი C25(d))

- C38. არასაბაზრო ცვლადების შეფასებებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს არა მხოლოდ მიმდინარე ინფორმაცია ვალდებულებების შესახებ, არამედ ინფორმაცია ტენდენციების შესახებ. მაგალითად, ტექნოლოგია მუდმივად უმჯობესდებოდა ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში, შესაბამისად, მცირდებოდა ექსპლუატაციიდან ამოღების დანახარჯები. რესურსების გასვლა ასახავს ალბათობებს, რომლებიც თითოეული შესაძლო ტენდენციის სცენარს მიეკუთვნება ყველა ხელმისაწვდომი მტკიცებულების გათვალისწინებით.
- C39. ანალოგიურად, როდესაც ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული რესურსების გასვლა ინფლაციის მიმართ სენსიტიურია, რესურსების გასვლის სცენარში უნდა აისახოს შესაძლო მომავალი ინფლაციის განაკვეთები. რადგან სავარაუდოა, რომ ინფლაციის განაკვეთები კორელაციაში იქნება საპროცენტო განაკვეთებთან, რესურსების გასვლის შეფასება ინფლაციის თითოეული სცენარის ალბათობებს ასახავს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ნაგულისხმევი ალბათობების შესაბამისად.

- C40. ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული რესურსების გასვლის შეფასებისას ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს მომავალი მოვლენები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ რესურსების გასვლაზე. ერთეულმა უნდა შეიმუშაოს სცენარები, რომლებიც ასახავენ აღნიშნულ მომავალ

მოვლენებს, ისევე როგორც თითოეული სცენარის ალბათობების შეწონილი მნიშვნელობების მიუკერძოებელი შეფასებები. თუმცა, ერთეულმა არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი მოვლენები, როგორიცაა მაგალითად ცვლილება კანონმდებლობაში, რომელიც შეცვლის ან აუქმებს არსებულ მოვალეობას ან ახალ მოვალეობებს წარმოქმნის არსებული ვალდებულების პირობებში.

C40.

ფულის დროითი ღირებულება

- C41. ერთეულებისთვის მნიშვნელოვანია რესურსების გასვლის დრო. შესაბამისად, რესურსების გასვლის ვადები არის ვალდებულების მახასიათებელი და საჭიროა მისი ჩართვა ვალდებულების მიმდინარე ღირებულების შეფასებაში. ფულის დროითი ღირებულების არ ასახავს ნიშნავს, რომ შედეგად მიღებული შეფასება არ იქნება იმ ეკონომიკური ტვირთის წარმომადგენლობითი შეფასება, რომელსაც მოცემული ვალდებულება წარმოქმნის.
- C42. ერთეულს შეუძლია რესურსების გასვლის შეფასება განსაზღვროს რესურსების მომავალი გასვლის შეფასებების ფულის დროითი ღირებულების კორექტირებით, დისკონტირების ისეთი განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ამ ვალდებულების მახასიათებლებს ასახავს. მსგავსი განაკვეთები:
- (a) უნდა შეესაბამებოდეს ემპირიულ მიმდინარე საბაზრო ფასებს ინსტრუმენტებისთვის, რომელთა რესურსების გასვლის მახასიათებლები მოცემული ვალდებულებისთვის რესურსების გასვლის თანმიმდევრულია, მაგალითად, ვადების, ვალუტისა და ლიკვიდობის თვალსაზრისით.
 - (b) არ უნდა შეიცავდეს ნებისმიერი ფაქტორის ზეგავლენას, რომლებიც გავლენას ახდენენ ემპირიულ საბაზრო ფასებზე, მაგრამ არ შეესაბამება მოცემული ვალდებულების რესურსების გასვლას.
- C43. ურისკო განაკვეთის გამოყენებისას ლოგიკური საცნობარო განაკვეთების წყაროებია მაღალი ხარისხის ობლიგაციები, მაგალითად, ფინანსურად ძლიერი მთავრობის მიერ გამოცემული ობლიგაციები. აღნიშნულ ინსტრუმენტებს გააჩნიათ დეფოლტის რისკი ან დეფოლტის უმნიშვნელო რისკი აქვთ. როგორც წესი, მათ ექნებათ დაფარვის ვადები ან ხანგრძლივობა, რომელიც მოცემული ვალდებულების ხანგრძლივობას შეესაბამება. თუ ხელმისაწვდომი არ არის გრძელვადიანი ობლიგაციები ხანგრძლივი პერიოდის ვალდებულებებისთვის, როგორიცაა მაგალითად ექსპლუატაციიდან ამოღების გარკვეული ვალდებულებები, აუცილებელი იქნება ექსტრაპოლაციის მეთოდების გამოყენება ამ განაკვეთების შესაფასებლად.
- C44. მართალია, მაღალი ხარისხის სახელმწიფო ობლიგაციების დეფოლტის რისკისთვის კორექტირება საჭირო არ იქნება ურისკო დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრისთვის, მაგრამ შესაძლოა საჭირო იყოს მათი კორექტირება ლიკვიდობის რისკისთვის. ზოგიერთი სახელმწიფო ობლიგაციით ვაჭრობენ ინტენსიურ და ლიკვიდურ ბაზრებზე, რაც ობლიგაციის მფლობელებს საშუალებას აძლევთ, რომ ობლიგაციები მინიმალური დანახარჯებით ადვილად გაყიდონ. მსგავსი ობლიგაციების განაკვეთი შედარებით დაბალია, ვიდრე ექვივალენტური არალიკვიდური ობლიგაციების განაკვეთი. შესაბამისად, შესაძლოა საჭირო იყოს „არალიკვიდობის პრემიის“ ასახვა იმ სახელმწიფო ობლიგაციების ემპირიულ განაკვეთში, რომლებითაც არ ვაჭრობენ ინტენსიურ და ლიკვიდურ ბაზრებზე.

შემოსავლების მიდგომის ამოსავალი მონაცემები

ზოგადი პრინციპები

- C45. შესრულების ღირებულების შეფასებისთვის გამოყენებულ შემოსავლების მიდგომა ასახავს ერთეულისთვის სპეციფიკურ დაშვებებს და არა ბაზრის მონაწილეების მიერ გამოყენებულ დაშვებებს.
- C46. შესრულების ღირებულების შეფასება არის ერთეულისთვის სპეციფიკური შეფასება. შემოსავლების მიდგომის გამოყენებისას ერთეულმა უნდა შეარჩიოს ამოსავალი მონაცემები, რომლებიც მოცემული ვალდებულების მახასიათებლებთანაა შესაბამისობაში (იხ. პუნქტი C10). ამ მეთოდით ხორციელდება იმ ემპირიული ამოსავალი მონაცემების მაქსიმიზაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ბაზრის მონაწილისთვის, რომელიც იგივე შეფასებას აკეთებს, რომელსაც ერთეული, ერთეულის პოზიციიდან. მაგალითად, ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულების შესასრულებლად დანახარჯის შეფასებისას, როდესაც გადახდები 50 წელიწადში უნდა განხორციელდეს, რესურსების გასვლის დისკონტირებისას ემპირიული საბაზრო ამოსავალი მონაცემია ერთეულისთვის შესაბამისი სახელმწიფო ობლიგაციის განაკვეთი.
- C47. ზოგიერთ შემთხვევაში ვალდებულების მახასიათებლებმა შესაძლოა განაპირობონ კორექტირების გამოყენება (მაგალითად, არ არსებობს შესაბამისი ობლიგაციის განაკვეთი რესურსების 3.5 წელიწადში გასვლის დისკონტირებისთვის). თუმცა, შესრულების ღირებულების შეფასებაში არ უნდა აისახოს კორექტირება, რომელიც არ შეესაბამება სსბასს-ით გათვალისწინებულ სააღრიცხვო ერთეულთან, რომლითაც მოითხოვება ან ნებადართულია შესრულების ღირებულების შეფასება.
- C48. ვალდებულების მომავალი თარიღით ანგარიშსწორებისას ამოსავალი მონაცემების შემუშავებისა და იდენტიფიცირებისთვის გამოყენებული დაშვებები ემყარება მიმდინარე საბაზრო პირობებს. მაგალითად, შეიძლება ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელი იყოს 50 წელიწადში. ორივე, ვალდებულების შესრულებისას გადახდა და დაკავშირებული დისკონტირებული განაკვეთი შეფასების თარიღით ხელმისაწვდომ ინფორმაციას ეფუძნება.

სამართლიანი ღირებულება

ეს დანართი სსბას 46-ის შემადგენელი ნაწილია.

შეფასება

- D1. სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია, განისაზღვროს ფასი, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან, ან, რომელიც გადასახდელი იქნებოდა ვალდებულების გადაცემისას ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს, მიმდინარე საბაზრო პირობებში. სამართლიანი ღირებულების შეფასება ერთეულისგან მოითხოვს ყველა შემდეგი საკითხის განსაზღვრას:
- (a) კონკრეტული აქტივი ან ვალდებულება, რომელიც უნდა შეფასდეს (მისი სააღრიცხვო ერთეულის შესაბამისად);
 - (b) არაფინანსური აქტივისთვის _ შეფასების წინაპირობა, რომელიც მართებულია მოცემული შეფასებისთვის (აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენების შესაბამისად);
 - (c) აქტივის ან ვალდებულების ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზარი;
 - (d) მეთოდ(ებ)ის ამოსავალი მონაცემების დასამუშავებლად საჭირო მონაცემების არსებობის გათვალისწინებით, ანუ დაშვებების, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დასადგენად და ასევე სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც მოცემული ამოსავალი მონაცემები მიეკუთვნება.

ოპერაციები

- D2. სამართლიანი ღირებულების შეფასება გულისხმობს, რომ აქტივის ან ვალდებულების გაცვლა ხდება შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში, ბაზრის მონაწილეებს შორის აქტივის გაყიდვის, ან ვალდებულების გადაცემის შესახებ ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის მეშვეობით.
- D3. სამართლიანი ღირებულების შეფასება გულისხმობს, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ოპერაცია ხორციელდება:
- (a) მოცემული აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
 - (b) მოცემული აქტივისთვის, ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე, თუ არ არსებობს ძირითადი ბაზარი.
- D4. აუცილებელი არ არის, ერთეულმა სრულყოფილად გამოიკვლიოს ყველა შესაძლო ბაზარი ძირითადი ბაზრის დასადგენად, ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზრის დასადგენად, როდესაც არ არსებობს ძირითადი ბაზარი, მაგრამ მან უნდა გაითვალისწინოს ყველანაირი ინფორმაცია, რაც პრაქტიკულად არის ხელმისაწვდომი. თუ საწინააღმდეგო მტკიცებულებები არ არსებობს, ძირითად ბაზრად, ან ყველაზე ხელსაყრელ ბაზრად, თუ არ არსებობს ძირითადი ბაზარი,

მიიჩნევა ის ბაზარი, სადაც ერთეული, ჩვეულებისამებრ, განახორციელებდა აქტივის გაყიდვის, ან ვალდებულების გადაცემის ოპერაციას.

- D5. თუ არსებობს აქტივის ან ვალდებულების ძირითადი ბაზარი, სამართლიანი ღირებულების შეფასება ამ საბაზრო ფასს უნდა ასახავდეს (იმის მიუხედავად, ეს ფასი უშუალოდ ემპირიულია, თუ გამოთვლილია შეფასების სხვა მეთოდით), თუნდაც რომელიმე სხვა საბაზრო ფასი პოტენციურად უფრო ხელსაყრელი იყოს შეფასების თარიღისათვის.
- D6. შეფასების თარიღისთვის ერთეულს უნდა გააჩნდეს წვდომა ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე. ვინაიდან სხვადასხვა ერთეულს (და ამ ერთეულის ფარგლებში ცალკეულ მიმართულებებს), რომელიც განსხვავებულ საქმიანობას ეწევა, შეიძლება განსხვავებულ ბაზრებზე ჰქონდეს წვდომა, ერთი და იმავე აქტივის, ან ვალდებულების ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზარი სხვადასხვა ერთეულისთვის (და ამ ერთეულების ფარგლებში ცალკეული მიმართულებებისთვის) შეიძლება განსხვავებული იყოს. ამგვარად, ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზრის (და, მაშასადამე, ბაზრის მონაწილეთა) განხილვა უნდა ჩატარდეს მოცემული ერთეულის პოზიციიდან და გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმ ერთეულთა შორის და ერთეულთა ფარგლებში არსებული განსხვავებები, რომლებიც განსხვავებული საქმიანობით არიან დაკავებულნი.
- D7. მართალია, ერთეულს უნდა ჰქონდეს წვდომა ზემოაღნიშნულ ბაზარზე, მაგრამ აუცილებელი არ არის, შეფასების თარიღისთვის მან გაყიდოს კონკრეტული აქტივი, ან გადასცეს კონკრეტული ვალდებულება იმისათვის, რომ შეძლოს სამართლიანი ღირებულების შეფასება ამ საბაზრო ფასის საფუძველზე.
- D8. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არსებობს ემპირიული ბაზარი შეფასების თარიღისათვის აქტივის გასაყიდი ფასის, ან ვალდებულების გადაცემის ფასის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად, სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა გულისხმობდეს, რომ ოპერაცია განხორციელდა მოცემული თარიღისთვის და განხილული იყოს ბაზრის იმ მონაწილის პოზიციიდან, რომელიც არის აქტივის მფლობელი, ან, რომელსაც აქვს ვალდებულება. ასეთი პირობითი ოპერაცია ქმნის საფუძველს, რომლის მეშვეობითაც შეფასდება აქტივის გასაყიდი ფასი, ან ვალდებულების გადაცემის ფასი.

ბაზრის მონაწილეები

- D9. ერთეულმა აქტივი ან ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ დაშვებების გამოყენებით, რომელთაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ მოცემული აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას, თუკი ბაზრის მონაწილეები საკუთარი ეკონომიკური ინტერესის შესაბამისად იმოქმედებდნენ.
- D10. ამგვარი დაშვებების განსაზღვრისას, აუცილებელი არ არის, რომ ერთეულმა დაადგინოს ბაზრის კონკრეტული მონაწილეები. ამის ნაცვლად, ერთეულმა უნდა დაადგინოს ის ზოგადი მახასიათებლები, რომლითაც ბაზრის მონაწილეები განსხვავდებიან, და რისთვისაც უნდა განიხილოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორები:
- (a) აქტივი ან ვალდებულება;
 - (b) აქტივის ან ვალდებულების ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზარი; და

- (c) ბაზრის მონაწილეები, ვისთან ერთადაც ერთეული განხორციელებდა ოპერაციას ამ ბაზარზე.

ფასი

- D11. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში (ე.ი. გასვლის ფასი), იმის მიუხედავად, ეს ფასი უშუალოდ დაკვირვებადია (ემპირიულია), თუ გამოითვლება შეფასების სხვა მეთოდის გამოყენებით.
- D12. ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) საბაზრო ფასი, რომელსაც ერთეული გამოიყენებს აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, არ უნდა გაკორექტირდეს გარიგების (საოპერაციო) დანახარჯებით. გარიგების დანახარჯები უნდა აისახოს სხვა შესაფერისი სხვას-ის შესაბამისად. გარიგების დანახარჯები აქტივის ან ვალდებულების მახასიათებელი არ არის, არამედ კონკრეტული ოპერაციის მახასიათებელია და სხვადასხვა ოპერაციისთვის სხვადასხვანაირი იქნება, იმისდა მიხედვით, როგორ ახორციელებს ერთეული ოპერაციას კონკრეტული აქტივით ან ვალდებულებით.
- D13. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს ტრანსპორტირების დანახარჯებს. თუ ადგილმდებარეობა აქტივის მახასიათებელია (რაც შეიძლება მოხდეს, მაგალითად საქონლის შემთხვევაში), ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) საბაზრო ფასი უნდა გაკორექტირდეს დანახარჯებით, რომლის გაწევაც საჭირო იქნებოდა აქტივის ტრანსპორტირებისთვის ამჟამინდელი ადგილმდებარეობიდან ამ ბაზრამდე.

გამოყენება არაფინანსურ აქტივებთან მიმართებით

მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება არაფინანსური აქტივებისთვის

- D14. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაითვალისწინება ბაზრის მონაწილის უნარი, მიიღოს ეკონომიკური სარგებელი აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილეზე, რომელიც ამ აქტივს გამოიყენებდა მაქსიმალურად და ყველაზე ეფექტიანად, აქტივის გაყიდვის შედეგად.
- D15. არაფინანსური აქტივის მაქსიმალურ და ყველაზე ეფექტიან გამოყენება გულისხმობს აქტივის იმგვარად გამოყენებას, რომელიც ფიზიკურად არის შესაძლებელი, იურიდიულად ნებადართულია და ფინანსურად განხორციელებადია, როგორც ქვემოთ არის განსაზღვრული:
- (a) გამოყენებაში, რომელიც ფიზიკურად არის შესაძლებელი, გათვალისწინებულია აქტივის ის ფიზიკური მახასიათებლები, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები მიიღებდნენ მხედველობაში აქტივის ფასის დადგენისას (მაგალითად, ქონების ადგილმდებარეობა ან ზომა).
- (b) გამოყენებაში, რომელიც იურიდიულად არის ნებადართული, გათვალისწინებულია აქტივის გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი შეზღუდვა, რომელსაც ბაზრის მონაწილეები მიიღებდნენ მხედველობაში აქტივის ფასის დადგენისას

(მაგალითად, ქონებისთვის დადგენილი ზონირების მარეგულირებელი ნორმები).

- (c) გამოყენებაში, რომელიც ფინანსურად განხორციელებადია, გათვალისწინებულია შემდეგი: აქტივის ფიზიკურად შესაძლებელი და იურიდიულად ნებადართული გამოყენება წარმოქმნის თუ არა იმდენ შემოსავალს, ან ფულად ნაკადებს (იმ დანახარჯების გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელია ამგვარი გამოყენებისთვის აქტივის გარდასაქმნელად), რაც საკმარისია ისეთი დონის საინვესტიციო უკუგების მისაღებად, რომელსაც ბაზრის მონაწილეები მოითხოვდნენ ამგვარი გამოყენების აქტივში ინვესტიციის განხორციელებიდან.

- D16. აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება განისაზღვრება ბაზრის მონაწილეთა პოზიციიდან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთეულს მისი სხვაგვარად გამოყენება აქვს განზრახული. ამასთან, საზოგადოდ, იგულისხმება, რომ ერთეულის მიერ არაფინანსური აქტივის მიმდინარე გამოყენება წარმოადგენს მის მაქსიმალურ და ყველაზე ეფექტიან გამოყენებას, თუ ბაზარი ან სხვა ფაქტორები არ მიანიშნებს იმაზე, რომ ბაზრის მონაწილეების მიერ ამ აქტივის სხვაგვარად გამოყენება მაქსიმალურად გაზრდიდა მის ღირებულებას.
- D17. საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის ან სხვა მიზეზების გამო ერთეულს შესაძლოა განზრახული ჰქონდეს შეძენილი არაფინანსური აქტივის აქტიურად არგამოყენება, ან შესაძლოა ის არ აპირებდეს ამ აქტივის მისი მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენებას. მაგალითად, ასე შეიძლება მოხდეს შეძენილი არამატერიალური აქტივის შემთხვევაში, როგორიცაა მაგალითად წამლის პატენტი, რომლის გამოყენებაც ერთეული გეგმავს მოქალაქეებისთვის ვაქცინის წარმოებისთვის. თუმცა, ერთეულმა უნდა შეაფასოს არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება ბაზრის მონაწილეების მიერ მისი მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენების დაშვებით.

არაფინანსური აქტივების შეფასების წინაპირობა

- D18. არაფინანსური აქტივების მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება ადგენს შეფასების წინაპირობას, რაც აქტივის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება, კერძოდ:
 - (a) არაფინანსური აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება შეიძლება ბაზრის მონაწილეებისთვის მაქსიმალური ღირებულების მიღებას უზრუნველყოფდეს მისი გამოყენებით სხვა აქტივებთან ერთად, როგორც აქტივების ჯგუფის (მისი დამონტაჟებისას, ან დანიშნულებისამებრ გამოსაყენებელ მდგომარეობაში რაიმე სხვა გზით მოყვანის შემთხვევაში), ან სხვა აქტივებთან ან ვალდებულებებთან ერთად (მაგალითად, როგორც ერთეული).
 - (i) თუ აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება გულისხმობს აქტივის გამოყენებას სხვა აქტივებთან ერთად, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად, აქტივის სამართლიანი ღირებულება იქნება ფასი, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად მიმდინარე მომენტში განხორციელებული ოპერაციიდან. ამასთან, მხედველობაში მიიღება დაშვება იმის შესახებ, რომ მოცემული აქტივი გამოყენებული იქნება სხვა აქტივებთან, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად და, ამასთან, ეს აქტივები და ვალდებულებები ხელმისაწვდომი იქნება ბაზრის მონაწილეებისთვის

(ე.ი. დამატებითი აქტივები და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები).

- (ii) აქტივთან და დამატებით აქტივებთან დაკავშირებული ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს, რომლითაც ფინანსდება საბრუნავი კაპიტალი, მაგრამ არ მოიცავს სხვა აქტივების დასაფინანსებლად გამოყენებულ ვალდებულებებს, რომლებიც არ შედის აქტივების მოცემულ ჯგუფში.
 - (iii) არაფინანსური აქტივის მაქსიმალური და საუკეთესო გამოყენების შესახებ ერთეულის მიერ გამოყენებული დაშვებები შესაბამისობაში უნდა იყოს მოცემული ჯგუფის ყველა აქტივთან (რომლისთვისაც შესაბამისია მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება), ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფთან, რომლის ფარგლებშიც მოცემული აქტივი უნდა იქნეს გამოყენებული.
 - (b) არაფინანსური აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება შეიძლება ბაზრის მონაწილეებისთვის მაქსიმალური ღირებულების მიღებას უზრუნველყოფდეს მისი ცალკე გამოყენებით. თუ აქტივის მაქსიმალური და საუკეთესო გამოყენება მის ცალკე გამოყენებაში მდგომარეობს, მაშინ აქტივის სამართლიანი ღირებულება იქნება ფასი, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის ბაზრის იმ მონაწილეებზე გაყიდვის მიმდინარე ოპერაციის მეშვეობით, რომლებიც ამ აქტივს ცალკე გამოიყენებდნენ.
- D19. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასებისას მხედველობაში მიიღება დაშვება იმის შესახებ, რომ აქტივი იყიდება სხვა სტანდარტებით განსაზღვრული სააღრიცხვო ერთეულის შესაბამისად (რომელიც შეიძლება იყოს ინდივიდუალური აქტივი). ასე ხდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა დაშვებას, რომ აქტივის მაქსიმალური და საუკეთესო გამოყენება მდგომარეობს მის გამოყენებაში სხვა აქტივებთან, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად, ვინაიდან სამართლიანი ღირებულების შეფასება გულისხმობს, რომ ბაზრის მონაწილე უკვე ფლობს დამატებით აქტივებსა და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.
- D20. არაფინანსური აქტივის შეფასებისას, რომელიც გამოიყენება სხვა აქტივებთან ერთად, როგორც აქტივების ჯგუფი (მისი დამონტაჟებისას, ან დანიშნულებისამებრ გამოსაყენებელ მდგომარეობაში რაიმე სხვა გზით მოყვანის შემთხვევაში), ან სხვა აქტივებთან ან ვალდებულებებთან ერთად (მაგალითად, როგორც საწარმო), შეფასების წინაპირობის ზეგავლენა დამოკიდებულია გარემოებებზე. მაგალითად:
- (a) აქტივის სამართლიანი ღირებულება შეიძლება ერთნაირი იყოს იმის მიუხედავად, ცალკე გამოიყენება თუ სხვა აქტივებთან, ან აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად. ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ აქტივი წარმოადგენს ბიზნესს (საწარმოს), რომლის მართვასაც გააგრძელებდნენ ბაზრის მონაწილეები. ასეთ შემთხვევაში, ოპერაცია მოიცავს მთელი ბიზნესის შეფასებას. აქტივების, როგორც ჯგუფის, მიმდინარე ოპერაციის ფარგლებში გამოყენება წარმოქმნის სინერგიას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბაზრის მონაწილეებისთვის (ე.ი. ბაზრის მონაწილეთა სინერგია, რომელმაც, შესაბამისად, გავლენა უნდა იქონიოს აქტივის სამართლიან ღირებულებაზე, როგორც ცალკე აღებული, ისე სხვა აქტივებთან, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთობლივად).

- (b) აქტივის გამოყენება სხვა აქტივებთან, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად სამართლიანი ღირებულების შეფასებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აქტივის ცალკე გამოყენების ღირებულების კორექტირების მეშვეობით. ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ აქტივი არის მანქანა-დანადგარი და მისი სამართლიანი ღირებულების შეფასება განისაზღვრება ანალოგიური მანქანა-დანადგარის ემპირიული ფასის მიხედვით (რომელიც დამონტაჟებული არ არის და არც რაიმე სხვა გზით არის მოყვანილი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებელ მდგომარეობაში), რომელიც კორექტირებულია ტრანსპორტირებისა და დამონტაჟების დანახარჯებით, რათა სამართლიანი ღირებულების შეფასება ასახავდეს მანქანა-დანადგარის (რომელიც დამონტაჟებულია და მოყვანილია დანიშნულებისამებრ გამოსაყენებელ მდგომარეობაში) მიმდინარე მდგომარეობას და ადგილმდებარეობას.
- (c) აქტივის გამოყენება სხვა აქტივებთან, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად სამართლიანი ღირებულების შეფასებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ბაზრის მონაწილეთა დაშვებების მეშვეობით, რომლებიც გამოყენებული იყო აქტივის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. მაგალითად, თუ აქტივი წარმოადგენს უნიკალურ დაუმთავრებელი წარმოების მარაგს და ბაზრის მონაწილეებს მოუწევდათ მისი გარდაქმნა მზა პროდუქციად, მაშინ ამგვარი მარაგის სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გათვალისწინებული იქნება დაშვება იმის შესახებ, რომ ბაზრის მონაწილეებმა შეიძინეს, ან შეიძენენ რაღაც სპეციალიზებულ მანქანა-დანადგარს, რომელიც აუცილებელია ამ მარაგის მზა პროდუქციად გარდასაქმნელად.
- (d) აქტივის გამოყენება სხვა აქტივებთან, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად სამართლიანი ღირებულების შეფასებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შეფასების მეთოდის მეშვეობით, რომელიც გამოყენებული იყო მოცემული აქტივის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. ასე შეიძლება მაშინ მოხდეს, როდესაც არამატერიალური აქტივის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო მრავალპერიოდიანი ნამეტი შემოსავლების მეთოდი, ვინაიდან შეფასების ეს მეთოდი კონკრეტულად ითვალისწინებს იმ წვლილს, რომელიც დამატებით აქტივებსა და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს შეაქვს ჯგუფში, სადაც გამოყენებული იქნება მსგავსი არამატერიალური აქტივი.
- (e) იშვიათ სიტუაციებში, როდესაც ერთეული აქტივის იყენებს აქტივების ჯგუფის ფარგლებში, მან შეიძლება აქტივი შეაფასოს ისეთი თანხით, რომელიც მიახლოებით უტოლდება მის სამართლიან ღირებულებას, როდესაც აქტივების ჯგუფის სამართლიან ღირებულებას ანაწილებს ჯგუფის შემადგენლობაში მყოფ ინდივიდუალურ აქტივებზე. მაგალითად, როდესაც შეფასება ეხება უძრავ ქონებას და გაუმჯობესებული ქონების (ე.ი. აქტივების ჯგუფის) სამართლიანი ღირებულება ნაწილდება მის შემადგენელ აქტივებზე (როგორიცაა მიწა და კეთილმოწყობის ელემენტები).

სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას

D21. როდესაც აქტივის შეძენა, ან ვალდებულების აღება ხდება ამ აქტივის, ან ვალდებულების გაცვლის ოპერაციის შედეგად, გარიგების ფასი იქნება ფასი, რომელიც გადაიხადეს აქტივის შესაძენად, ან მიღებულ იქნა ვალდებულების აღებისთვის (შემოსვლის ფასი). აღნიშნულისაგან განსხვავებით, აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის

მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვისას, ან, რომელიც გადასახდელი იქნებოდა ვალდებულების გადაცემისას (გასვლის ფასი). ერთეული აქტივებს ყოველთვის არ ყიდის იმ ფასად, რა ფასიც გადაიხადა მათ შესაძენად. ანალოგიურად, ერთეული ვალდებულებებს ყოველთვის არ გადასცემს იმ ფასად, რა ფასიც მიიღო ამ ვალდებულებების აღებისთვის.

- D22. მრავალ შემთხვევაში გარიგების ფასი სამართლიანი ღირებულების ტოლი იქნება (მაგალითად, ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ოპერაციის განხორციელების თარიღისთვის აქტივის ყიდვის ოპერაცია შესრულდება ბაზარზე, სადაც აქტივი გაიყიდებოდა).
- D23. იმის დასადგენად, სამართლიანი ღირებულება ტოლია თუ არა გარიგების ფასის თავდაპირველი აღიარებისას, ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს ამ ოპერაციისა და ასევე ამ აქტივის ან ვალდებულებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორები. D25 პუნქტში აღწერილია სიტუაციები, როდესაც გარიგების ფასი შეიძლება არ წარმოადგენდეს აქტივის, ან ვალდებულების სამართლიან ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას.
- D24. თუ რომელიმე სხვა სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია, რომ ერთეულმა აქტივი ან ვალდებულება თავდაპირველად შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით და გარიგების ფასი განსხვავდება სამართლიანი ღირებულებისგან, ერთეულმა ამის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა აღიაროს მოგებაში, ან ზარალში, თუ ამ სსბასს-ში სხვაგვარად არ არის მითითებული.
- D25. იმის დასადგენად, სამართლიანი ღირებულება არის თუ არა გარიგების ფასის ტოლი თავდაპირველი აღიარებისას, ერთეულმა მხედველობაში უნდა მიიღოს ამ ოპერაციისა და ასევე ამ აქტივის ან ვალდებულებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორები. მაგალითად, გარიგების ფასი შეიძლება არ ასახავდეს აქტივის ან ვალდებულების სამართლიან ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან რომელიმე არსებობს:
- (a) ოპერაცია შესრულებულია დაკავშირებულ მხარეებს შორის, თუმცა დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციის ფასის გამოყენება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებაში ამოსავალ მონაცემად, თუ ერთეულს გააჩნია მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ოპერაცია შესრულდა საბაზრო პირობებით.
 - (b) ოპერაცია სრულდება ძალდატანებით, ან გამყიდველი იძულებულია დაეთანხმოს გარიგების ფასს. მაგალითად, ასე შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, თუ გამყიდველს ფინანსური პრობლემები აქვს.
 - (c) გარიგების ფასით გათვალისწინებული სააღრიცხვო ერთეული განსხვავდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივის ან ვალდებულების სააღრიცხვო ერთეულისგან. მაგალითად, ასე შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, როდესაც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივი ან ვალდებულება ოპერაციის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია (მაგალითად, საჯარო სექტორის ერთეულების გაერთიანებაში), ოპერაცია (გარიგება) მოიცავს ისეთ უფლებებსა და პრივილეგიებს, რაც ცალკე შეფასდება რომელიმე სხვა სსბასს-ის შესაბამისად, ან გარიგების ფასი მოიცავს გარიგების დანახარჯებს.
 - (d) ბაზარი, სადაც ხორციელდება ოპერაცია, განსხვავდება ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზრისგან. მაგალითად, ეს ბაზრები შეიძლება სხვადასხვა იყოს, თუ ერთეული არის დილერი, რომელიც მომხმარებლებთან ოპერაციებში მონაწილეობს

საცალო ბაზარზე, მაგრამ ძირითადი (ან ყველაზე ხელსაყრელი) ბაზარი გასვლის ოპერაციისთვის არის სხვა დილერებთან განხორციელებული ოპერაცია დილერულ ბაზარზე.

- (e) ოპერაცია ხორციელდება კონკრეტული სოციალური პოლიტიკის მიზნის მისაღწევად (მაგალითად, შეღავათიანი სესხების, ან ფინანსური გარანტიების გაცემა, რომელთა საკომისიო ნულის ტოლია ან ნომინალურია).

შეფასების მეთოდები

- D26. ზოგიერთ შემთხვევებში სამართლიანი ღირებულება შეიძლება უშუალოდ აქტიურ ბაზარზე ემპირიული ფასებით განისაზღვროს. სხვა შემთხვევებში ის არაპირდაპირ განისაზღვრება, შეფასების მეთოდების გამოყენებით.
- D27. ერთეულმა უნდა გამოიყენოს შეფასების მეთოდები, რომლებიც შესაბამისია მოცემულ გარემოებებში და რომლისთვისაც საკმარისი მონაცემებია ხელმისაწვდომი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, შესაბამისი ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენების მაქსიმუმიზაციისთვის და არაემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენების მინიმიზაციისთვის.
- D28. შეფასების მეთოდის გამოყენების მიზანია იმ ფასის შეფასება, რომლითაც აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ნებაყოფლობითი ოპერაცია განხორციელდებოდა ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით, არსებულ საბაზრო პირობებში. სამი ფართოდ გამოყენებული შეფასების მეთოდია საბაზრო მიდგომა, დანახარჯების მიდგომა და შემოსავლების მიდგომა. ამ მიდგომების ძირითადი ასპექტები შეჯამებულია D31–D36 პუნქტებში. ერთეულმა სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად ამ მიდგომებიდან ერთი ან მეტი მიდგომის შესაბამისი შეფასების მეთოდები უნდა გამოიყენოს.
- D29. როდესაც შეფასების რამდენიმე მეთოდი გამოიყენება სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, მაშინ საჭიროა შედეგების (ანუ სამართლიანი ღირებულების შესაბამისი მინიშნებები) შეფასება ამ შედეგებით მიღებული ღირებულებების სპექტრის გონივრულობის გათვალისწინებით. სამართლიანი ღირებულების შეფასება არის წერტილი აღნიშნულ სპექტრში, რომელიც მოცემულ გარემოებებში საუკეთესოდ წარმოადგენს სამართლიან ღირებულებას.
- D30. როდესაც გარიგების ფასი არის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას, ხოლო შეფასების მეთოდით არაემპირიული ამოსავალი მონაცემები გამოიყენება შემდგომ პერიოდებში სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, მაშინ საჭიროა შეფასების მეთოდის დაკალიბრება, რათა თავდაპირველი აღიარებისას შეფასების მეთოდით მიღებული შედეგი გარიგების ფასის ტოლი იყოს. დაკალიბრება უზრუნველყოფს შეფასების მეთოდით არსებული საბაზრო მდგომარეობის ასახვას და ის ერთეულს ეხმარება იმის განსაზღვრაში, საჭიროა თუ არა შეფასების მეთოდის კორექტირება (მაგალითად, შესაძლოა არსებობდეს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებელი, რომელიც გათვალისწინებული არ არის მოცემული შეფასების მეთოდით). თავდაპირველი აღიარების შემდეგ, შეფასების მეთოდის ან ისეთი მეთოდების გამოყენებით სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, რომლებიც არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს იყენებენ, ერთეულმა უნდა უზრუნველყოს შეფასების ამ მეთოდებით ემპირიული საბაზრო მონაცემების (მაგალითად, მსგავსი აქტივის ან ვალდებულების ფასი) ასახვა შეფასების

თარიღით.

საბაზრო მიდგომა

- D31. მაგალითად, შეფასების მეთოდებში, რომლებიც საბაზრო მიდგომას მიესადაგება, ხშირად გამოიყენება საბაზრო მულტიპლიკატორი, რომელიც მიიღება შესადარისი მაჩვენებლების გარკვეული ერთობლიობისგან. ცალკეული შესადარისი მაჩვენებლისთვის მულტიპლიკატორები შეიძლება მულტიპლიკატორების სხვადასხვა დიაპაზონში იყოს. ამ დიაპაზონიდან შესაფერისი მულტიპლიკატორის შერჩევისთვის საჭიროა განსჯა, კონკრეტული შეფასებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით.
- D32. საბაზრო მიდგომის შესაბამისი შეფასების ერთ-ერთი მეთოდია მატრიცული ფასდადგენის მეთოდი. მატრიცული ფასდადგენის მეთოდი არის მათემატიკური მეთოდი, რომელიც, ძირითადად, გამოიყენება ზოგიერთი ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების შესაფასებლად, როგორცაა, მაგალითად სავალო ფასიანი ქაღალდები, რომელიც მარტო გარკვეული ფასიანი ქაღალდების კოტირებულ ფასებს კი არ იყენებს, არამედ ეყრდნობა ფასიანი ქაღალდების თანაფარდობას სხვა საორიენტაციო (საბაზისო) კოტირებულ ფასიან ქაღალდებთან.

დანახარჯების მიდგომა

- D33. დანახარჯების მიდგომა ასახავს თანხას, რომელიც საჭირო იქნებოდა მიმდინარე მომენტში აქტივის მომსახურების პოტენციალის ჩასანაცვლებლად (ხშირად უწოდებენ ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულებას).

ბაზრის მონაწილე

- D34. ბაზრის მონაწილე გამყიდველის პოზიციიდან, ფასი, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად, ეყრდნობა იმ თანხას (ღირებულებას), რომელსაც ბაზრის მონაწილე მყიდველი გადაიხდის შესადარისი სარგებლიანობის მქონე შემცველი აქტივის შესაძენად, ან ასაშენებლად, მორალური ცვეთის (მოდველების) გათვალისწინებით. ამის მიზეზი ისაა, რომ ბაზრის მონაწილე მყიდველი არ გადაიხდის აქტივის შესაძენად იმაზე მეტს, რა თანხაც დაუჯდებათა მოცემული აქტივის მომსახურების პოტენციალის ჩანაცვლება. მორალური ცვეთა (მოდველება) მოიცავს აქტივის ფიზიკურ დაზიანებას, ფუნქციურ (ტექნოლოგიურ) მოძველებას და ეკონომიკურ (გარეგნულ) დაძველებას და უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ცვეთა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის მიზნებისთვის (პირვანდელი ღირებულების განაწილება), ან საგადასახადო მიზნებისთვის (სასარგებლო მომსახურების დადგენილი ვადების გამოყენება). მრავალ შემთხვევაში, ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულების მეთოდი გამოიყენება ისეთი მატერიალური აქტივების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რომლებიც გამოიყენება სხვა აქტივებთან, ან სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად.

შემოსავლების მიდგომა

- D35. სამართლიანი ღირებულების შეფასებისას შესაძლებელია შემოსავლების მიდგომის გამოყენება რამდენიმე მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მოიცავს, მაგალითად, შემდეგ მეთოდებს:

- (a) დღევანდელი ღირებულების მეთოდები (იხ. პუნქტი D36);
- (b) ოფციონის ფასდადგენის მოდელები, როგორიცაა ბლეკ-შოლს-მერტონის ფორმულა, ან ბინომიალური მოდელი (ე.ი. სტრუქტურული მოდელი), რომლებიც მოიცავს დღევანდელი ღირებულების მეთოდებს და ასახავს როგორც ოფციონის დროით ღირებულებას, ასევე ოფციონის საკუთარ ღირებულებას; და
- (c) მრავალპერიოდიანი ნამეტი შემოსავლების მეთოდი (დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის ერთ-ერთი ნაირსახეობა), რომელიც ზოგიერთი არამატერიალური აქტივის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება.

დღევანდელი ღირებულების მეთოდები

D36. D37–D54 პუნქტებში აღწერილია დღევანდელი ღირებულების მეთოდების გამოყენება სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. ამ პუნქტებში ყურადღება გამახვილებულია დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდებსა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადის (მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების) მეთოდზე. ამ პუნქტებში მითითებული არ არის, რომ განხილული მეთოდებიდან სავალდებულოა დღევანდელი ღირებულების რომელიმე ერთი მეთოდის გამოყენება, ან შეზღუდულია სხვა მეთოდების გამოყენება. სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოსაყენებელი დღევანდელი ღირებულების მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია შესაფასებელი აქტივის ან ვალდებულებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ფაქტებსა და გარემოებებზე (მაგალითად, შესაძლებელია თუ არა შესადარის აქტივებსა და ვალდებულებებზე დაკვირვება ბაზარზე) და საკმარისი მონაცემების არსებობაზე.

დღევანდელი ღირებულებით შეფასების კომპონენტები

- D37. დღევანდელი ღირებულება (ე.ი. შემოსავლების მიდგომის გამოყენება) წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება მომავალი პერიოდების თანხების (მაგალითად, ფულადი ნაკადები, ან ღირებულებები) დასაკავშირებლად არსებულ თანხასთან, დისკონტირების განაკვეთის მეშვეობით. დღევანდელი ღირებულების მეთოდებით აქტივის ან ვალდებულების შეფასება მოიცავს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ ელემენტს, ბაზრის მონაწილეთა პოზიციიდან შეფასების თარიღისთვის:
- (a) შესაფასებელი აქტივის ან ვალდებულებიდან მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება.
 - (b) მოლოდინებს თანხის შესაძლო ცვალებადობისა და ფულადი ნაკადების მიღების დროის შესახებ, რაც ასახავს ამ ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელ განუსაზღვრელობას.
 - (c) ფულის დროითი ღირებულება, რაც წარმოდგენილია ურისკო ფულადი აქტივების განაკვეთით, რომელთა დაფარვის, ან მოქმედების ვადა ემთხვევა ფულადი ნაკადებით მოცულ პერიოდს და რომლებიც მისი მფლობელისთვის არ წარმოქმნის არანაირ განუსაზღვრელობას ფულადი სახსრების მიღების ვადების თვალსაზრისით და მას არც გადახდისუუნარობის რისკზე არ ხდის დაქვემდებარებულს (ე.ი. ურისკო საპროცენტო განაკვეთი).
 - (d) ფასი, რომელსაც უხდით ბაზრის მონაწილეს ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის საკუთარ თავზე აღებისთვის (ე.ი. რისკის პრემია).
 - (e) სხვა ფაქტორები, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ მოცემულ

გარემოებებში.

- (f) ვალდებულებისთვის - მოცემულ ვალდებულებასთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულებლობის რისკი, მათ შორის ერთეული (ე.ი. ერთეული, რომელიც იღებს ვალდებულებას) საკუთარი საკრედიტო რისკი.

ზოგადი პრინციპები

D38. დღევანდელი ღირებულების მეთოდები ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, თუ როგორ ასახავენ ისინი D37 პუნქტში ჩამოთვლილ ელემენტებს. თუმცა, სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად დღევანდელი ღირებულების ნებისმიერი მეთოდის გამოყენებას ახასიათებს შემდეგი ზოგადი პრინციპები:

- (a) ფულადი ნაკადები და დისკონტირების განაკვეთები უნდა ასახავდეს იმ დაშვებებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას.
- (b) ფულად ნაკადებში და დისკონტირების განაკვეთებში მხოლოდ ისეთი ფაქტორები უნდა აისახოს, რომლებიც შესაფასებელ აქტივს ან ვალდებულებას მიეკუთვნებიან.
- (c) იმისთვის, რომ არ მოხდეს რისკის ფაქტორების ორმაგად გათვალისწინება, ან ერთეულს არ გამორჩეს რისკების გავლენის გათვალისწინება, დისკონტირების განაკვეთები უნდა ასახავდეს ისეთ დაშვებებს, რომლებიც ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელ დაშვებებთან არის თავსებადი. მაგალითად, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების გამოყენებისას, მისაღები იქნება ისეთი დისკონტირების განაკვეთი, რომელიც ასახავს ვალდებულების არშესრულების მოლოდინთან დაკავშირებულ მომავალ განუსაზღვრელობას (ე.ი. დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდი). იმავე დისკონტირების განაკვეთის გამოყენება არ შეიძლება მოსალოდნელი (ე.ი. ალბათობებით შეწონილი) ფულადი ნაკადების (ე.ი. მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მეთოდი) გამოყენების შემთხვევაში, ვინაიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები უკვე ასახავს დაშვებებს, ვალდებულების არშესრულების მოლოდინთან დაკავშირებული მომავალი განუსაზღვრელობის შესახებ; ამის ნაცვლად, ერთეულმა უნდა გამოიყენოს ისეთი დისკონტირების განაკვეთი, რომელიც მომავალი ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელ რისკს შეესაბამება.
- (d) ფულადი ნაკადებისა და დისკონტირების განაკვეთების შესახებ დაშვებები ერთმანეთთან თავსებადი უნდა იყოს. მაგალითად, ნომინალური ფულადი ნაკადები, რომელიც ინფლაციის გავლენას ითვალისწინებს, ისეთი დისკონტირების განაკვეთით უნდა იყოს დისკონტირებული, რომელიც ინფლაციის გავლენას ითვალისწინებს. ნომინალური ურისკო საპროცენტო განაკვეთი ითვალისწინებს ინფლაციის გავლენას. ფაქტობრივი ფულადი ნაკადები, რომელიც ინფლაციის გავლენას ითვალისწინებს, ისეთი განაკვეთით უნდა იყოს დისკონტირებული, რომელიც ინფლაციის გავლენას ითვალისწინებს. ანალოგიურად, დაბეგვრის შემდგომი ფულადი ნაკადები დისკონტირებული უნდა იქნეს დაბეგვრის შემდგომი დისკონტირების განაკვეთით. დაბეგვრამდ ფულადი ნაკადები დისკონტირებული უნდა იქნეს ისეთი განაკვეთით, რომელიც ამ ფულად ნაკადებს შეესაბამება.

- (ე) დისკონტირების განაკვეთები უნდა შეესაბამებოდეს იმ ვალუტასთან დაკავშირებულ ძირითად ეკონომიკურ ფაქტორებს, რომელშიც მოცემულია ფულადი ნაკადები.

რისკი და განუსაზღვრელობა

- D39. დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდებით სამართლიანი ღირებულების შეფასება ხდება განუსაზღვრელობის პირობებში, რადგან გამოყენებული ფულადი ნაკადები შეფასებული სიდიდეებია და არა ცნობილი თანხები. მრავალ შემთხვევაში, გაურკვეველია, როგორც ფულადი ნაკადების ოდენობა, ასევე მათი მიღების ვადები. მაშინაც კი, როდესაც ფულადი ნაკადები ხელშეკრულებით არის განსაზღვრული, მაგალითად სესხთან დაკავშირებით გადასახდელი თანხები, მათი ოდენობა მაინც განუსაზღვრელია, თუ არსებობს გადახდისუნარიობის რისკი.
- D40. საზოგადოდ, ბაზრის მონაწილეები ითხოვენ კომპენსაციას (ე.ი. რისკის პრემიას) აქტივთან, ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის საკუთარ თავზე აღებისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გათვალისწინებული უნდა იყოს რისკის პრემია, რომელიც ასახავს თანხას, რომელსაც ბაზრის მონაწილეები მოითხოვდნენ ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის კომპენსაციისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეფასება ვერ იქნება სამართლიანი ღირებულების ადეკვატური. ზოგ შემთხვევაში, რისკის პრემიის სათანადო ოდენობის განსაზღვრა შეუძლებელი იქნება იყოს. თუმცა, თავისთავად, მარტო სირთულის ხარისხი არ არის საკმარისი მიზეზი იმისა, რომ სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გათვალისწინებული არ იყოს რისკის პრემია.
- D41. დღევანდელი ღირებულების მეთოდები ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რამდენად არის შეფასება კორექტირებული რისკის გათვალისწინებით და რა ტიპის ფულადი ნაკადები გამოიყენება მოცემულ მეთოდში. მაგალითად:
- (ა) დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდში (იხ. D42–D46 პუნქტები) გამოიყენება რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირების განაკვეთი და სახელშეკრულებო, დათქმული, ან ყველაზე დიდი ალბათობით მოსალოდნელი ფულადი ნაკადები.
 - (ბ) მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების 1-ელ მეთოდში (იხ. D49 პუნქტი) გამოიყენება რისკის გათვალისწინებით კორექტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და ურისკო განაკვეთი.
 - (ც) მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მე-2 მეთოდში (იხ. D50 პუნქტი) გამოიყენება ფულადი ნაკადები, რომლებიც კორექტირებული არ არის რისკის გათვალისწინებით და დისკონტირების განაკვეთი, რომელიც კორექტირებულია იმ რისკის პრემიის გათვალისწინებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები მოითხოვენ. ასეთი განაკვეთი განსხვავდება დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდში გამოყენებული განაკვეთისგან.

დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდი

- D42. დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდში გამოიყენება ფულადი ნაკადების ერთი ნაკრები, შესაძლო შეფასებული სიდიდეების დიაპაზონიდან (მწკრივიდან), როგორიცაა

სახელშეკრულებო, დათქმული (როგორც ობლიგაციის შემთხვევაში), ან ყველაზე დიდი ალბათობით მოსალოდნელი ფულადი ნაკადები. ყველა შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადები პირობითია და დამოკიდებულია გარკვეული მოვლენების მოხდენაზე (მაგალითად, ობლიგაციასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო, ან დათქმული ფულადი ნაკადები პირობითია და დამოკიდებულია მოვლენაზე, როგორიცაა დებიტორის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი). ამ მეთოდში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი განისაზღვრება იმ შესადარისი აქტივების, ან ვალდებულებების ემპირიული უკუგების განაკვეთების მიხედვით, რომლებიც ბაზარზე მიმოიქცევა. შესაბამისად, სახელშეკრულებო, დათქმული, ან ყველაზე დიდი ალბათობით მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირდება ამგვარი პირობითი ფულადი ნაკადების ემპირიული, ან შეფასებული (გამოთვლილი) საბაზრო განაკვეთებით (ე.ი. საბაზრო უკუგების განაკვეთით).

D43. დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდის გამოსაყენებლად საჭიროა შესადარისი აქტივების, ან ვალდებულებების შესახებ არსებული საბაზრო მონაცემების ანალიზის ჩატარება. შესადარისობა დგინდება ფულადი ნაკადების ხასიათის განხილვით (მაგალითად, ფულადი ნაკადები გათვალისწინებულია თუ არა ხელშეკრულებაში და ალბათობა იმისა, ანალოგიურად მოახდენს თუ არა ისინი რეაგირებას ეკონომიკური პირობების ცვლილებებზე), ასევე სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (მაგალითად, საკრედიტო რეპუტაცია, უზრუნველყოფის სახით გამოყენებული ქონება, ვადები, შემზღუდავი პირობები და ლიკვიდობა). მეორე მხრივ, თუ ერთი შესადარისი აქტივი ან ვალდებულება სარწმუნოდ არ ასახავს შესაფასებელ აქტივთან, ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელ რისკს, დისკონტირების განაკვეთის დადგენა შესაძლებელია რამდენიმე შესადარისი აქტივის ან ვალდებულების შესახებ არსებული მონაცემებისა და ურისკო შემოსავლიანობის მრუდის მეშვეობით (ე.ი. ე.წ. კუმულაციური მეთოდით).

D44. დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრის კუმულაციური მეთოდის საილუსტრაციოდ, დავუშვათ, რომ „ა“ აქტივი არის ერთ წელიწადში 800 ფულადი ერთეულის (ფ.ე.) მიღების სახელშეკრულებო უფლება (ე.ი. არ არსებობს ვადებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა). არსებობს შესადარისი აქტივების ფორმირებული ბაზარი და ამ აქტივების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, ფასის შესახებ. ამ შესადარისი აქტივებიდან:

- (a) „ბ“ აქტივი არის ერთ წელიწადში 1,200 ფე-ის მიღების სახელშეკრულებო უფლება და მისი საბაზრო ფასია 1,083 ფე. ამგვარად, უკუგების ნაგულისხმევი წლიური განაკვეთი (ე.ი. ერთი წლის საბაზრო უკუგების განაკვეთი) არის 10.8 პროცენტი $[(1,200 \text{ ფე} / 1,083 \text{ ფე}) - 1]$.
- (b) „გ“ აქტივი არის ერთ წელიწადში 700 ფე-ის მიღების სახელშეკრულებო უფლება და მისი საბაზრო ფასია 566 ფე. ამგვარად, უკუგების ნაგულისხმევი წლიური განაკვეთი (ე.ი. ორი წლის საბაზრო უკუგების განაკვეთი) არის 11.2 პროცენტი $[(700 \text{ ფე} / 566 \text{ ფე})^{0.5} - 1]$.
- (c) სამივე აქტივი შესადარისია რისკის თვალსაზრისით (ე.ი. შესაძლო გადახდებისა და კრედიტის დისპერსია).

D45. „ა“ აქტივის სახელშეკრულებო თანხის მიღების ვადის შედარების შედეგად „ბ“ და „გ“ აქტივების სახელშეკრულებო თანხების მიღების ვადებთან (ე.ი. „ბ“ აქტივისთვის ერთი წელი და „გ“ აქტივისთვის - ორი წელი), „ა“ აქტივისთვის უფრო შესადარისად მიიჩნევა „ბ“ აქტივი. თუ გამოვიყენებთ „ა“ აქტივიდან ხელშეკრულების თანახმად მისაღებ თანხას (800 ფე) და „ბ“ აქტივთან დაკავშირებულ ერთი წლის საბაზრო განაკვეთს (10.8 პროცენტი), „ა“ აქტივის

სამართლიანი ღირებულება იქნება 722 ფე (800 ფე /1.108). მეორე მხრივ, თუ არ იარსებებდა საბაზრო ინფორმაცია „ბ“ აქტივის შესახებ, ერთი წლის საბაზრო განაკვეთის განსაზღვრა შესაძლებელი იქნებოდა „გ“ აქტივის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, კუმულაციური მეთოდით. ასეთ შემთხვევაში, „გ“ აქტივთან დაკავშირებული ორი წლის საბაზრო განაკვეთი (11.2 პროცენტი) გაკორექტირდება ერთი წლის საბაზრო განაკვეთის დასადგენად, ურისკო შემოსავლიანობის მრუდის ვადების სტრუქტურის გამოყენებით. შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი ინფორმაციის მოპოვება და ანალიზის ჩატარება იმის დასადგენად, ერთი და იგივე არის თუ არა რისკის პრემიები ერთწლიანი და ორწლიანი აქტივებისთვის. თუ დადგინდება, რომ ერთწლიანი და ორწლიანი აქტივებისთვის რისკის პრემიები ერთნაირი არ არის, ორი წლის საბაზრო უკუგების განაკვეთი დამატებით კიდევ უნდა გაკორექტირდეს ამგვარი გავლენის გასათვალისწინებლად.

- D46. როდესაც დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდი გამოიყენება მისაღები, ან გადასახდელი ფიქსირებული თანხების მიმართ, დისკონტირების განაკვეთში გაითვალისწინება შესაფასებელ აქტივთან, ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელი რისკი. ზოგ შემთხვევაში, როდესაც დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდი გამოიყენება ისეთ ფულად ნაკადებთან მიმართებით, რომლებიც არ არის მისაღები, ან გადასახდელი ფიქსირებული თანხები, შეიძლება საჭირო გახდეს ფულადი ნაკადების კორექტირება იმ ემპირიულ აქტივთან, ან ვალდებულებასთან შესადარისობის მისაღწევად, რომლის ინფორმაციის საფუძველზეც დისკონტირების განაკვეთი განისაზღვრა.

მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მეთოდი

- D47. მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მეთოდში ამოსავალ ბაზად გამოიყენება ფულადი ნაკადების ნაკრები, რომელიც წარმოადგენს ყველა მომავალი შესაძლო ფულადი ნაკადის ალბათობებით შეწონილ საშუალო მნიშვნელობას (ე.ი. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები). მიღებული შეფასება იდენტურია მოსალოდნელი ღირებულების, რომელიც სტატისტიკური ტერმინებით წარმოადგენს დისკრეტული შემთხვევითი ცვლადის მოსალოდნელი ღირებულებების (მნიშვნელობების) საშუალო შეწონილ მნიშვნელობას, რომელიც შეწონილია შესაბამისი ალბათობებით. ვინაიდან ყველა მოსალოდნელი ფულადი ნაკადი ალბათობებით არის შეწონილი, გამოთვლილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადი არ არის პირობითი და დამოკიდებული რაიმე კონკრეტული მოვლენის მოხდენაზე (იმ ფულადი ნაკადებისგან განსხვავებით, რომლებიც გამოიყენება დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდში).
- D48. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას რისკის მოწინააღმდეგე ბაზრის მონაწილეები მხედველობაში მიიღებდნენ იმის რისკს, რომ ფაქტობრივი ფულადი ნაკადები შეიძლება განსხვავდებოდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისგან. პორტფელის შერჩევის თეორიაში განსხვავებენ ორი ტიპის რისკს:
- (a) არასისტემურ (დიფერენცირებად) რისკს, ანუ რისკს, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული აქტივის ან ვალდებულებისთვის.
 - (b) სისტემურ (არადიფერენცირებად) რისკს, ანუ საერთო რისკს, რომელიც ეხება დივერსიფიცირებული პორტფელის ყველა აქტივს, ან ვალდებულებას და ასევე მის სხვა ელემენტებს.

პორტფელის შერჩევის თეორიაში მიიჩნევა, რომ გაწონასწორებულ ბაზარზე, ბაზრის მონაწილეებს უნაზღაურდებათ მხოლოდ ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელი სისტემური რისკის საკუთარ თავზე აღება (ბაზრებზე, რომლებიც არ არის ეფექტური, ან გაწონასწორებული, შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს სხვა ფორმის კომპენსაცია ან შემოსავლები).

- D49. მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების 1-ლი მეთოდის დროს აქტივთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადები კორექტირდება სისტემური (ე.ი. საბაზრო) რისკით, კერძოდ, რისკის პრემიის გამორიცხვით (ე.ი. რისკის გათვალისწინებით კორექტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადები). რისკის გათვალისწინებით კორექტირებული ამგვარი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები წარმოადგენს მოსალოდნელ ექვივალენტურ ფულად ნაკადს, რომელიც დისკონტირდება ურისკო საპროცენტო განაკვეთით. საიმედო ექვივალენტური ფულადი ნაკადი გულისხმობს მოსალოდნელ ფულად ნაკადს (ამ სტანდარტში მოცემული განმარტების შესაბამისად), რომელიც კორექტირებულია რისკის გათვალისწინებით იმგვარად, რომ ბაზრის მონაწილე დამოკიდებული არ იყოს გარკვეული ფულადი ნაკადის მოსალოდნელ ფულად ნაკადზე გაცვლაზე. მაგალითად, თუ ბაზრის მონაწილეს მოესურვებოდა 1,200 ფე-ის ტოლი მოსალოდნელი ფულადი ნაკადის გაცვლა 1,000 ფე-ის ტოლ გარკვეულ ფულად ნაკადზე, 1,000 ფე იქნებოდა 1,200 ფე-ის საიმედო ექვივალენტი (ე.ი. 200 ფე იქნებოდა რისკის პრემია). ასეთ შემთხვევაში, ბაზრის მონაწილე დამოკიდებული არ იქნებოდა მის მიერ ფლობილ აქტივზე.
- D50. საპირისპიროდ, მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მე-2 მეთოდით დროს აქტივთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადები სისტემური რისკით (ე.ი. საბაზრო რისკით) კორექტირდება, რისკის პრემიის გამოყენებით ურისკო საპროცენტო განაკვეთის მიმართ. შესაბამისად, მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირდება ისეთი განაკვეთით, რომელიც ალბათობებით შეწონილ ფულად ნაკადებთან დაკავშირებულ მოსალოდნელ განაკვეთს (ე.ი. უკუგების მოსალოდნელი განაკვეთი) შეესაბამება. უკუგების მოსალოდნელი განაკვეთის შესაფასებლად შეიძლება ისეთი მოდელების გამოყენება, რომლებიც რისკიანი აქტივების შესაფასებლად გამოიყენება, როგორცაა, მაგალითად კაპიტალური აქტივების შეფასების მოდელი. ვინაიდან დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი არის პირობით ფულად ნაკადებთან დაკავშირებული უკუგების განაკვეთი, მოსალოდნელია, რომ ის უფრო დიდი იქნება, ვიდრე მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მე-2 მეთოდში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი, რომელიც არის უკუგების მოსალოდნელი განაკვეთი, დაკავშირებული მოსალოდნელ, ან ალბათობებით შეწონილ ფულად ნაკადებთან.
- D51. 1-ლი და მე-2 მეთოდის გამოყენების თვალსაჩინოების მიზნით, დავუშვათ, რომ აქტივთან დაკავშირებით მოსალოდნელია 780 ფე-ის ტოლი ფულადი ნაკადის მიღება ერთი წლის შემდეგ, რაც განისაზღვრა შესაძლო ფულადი ნაკადებისა და ალბათობების საფუძველზე, რომლებიც შემდეგ ცხრილშია მოცემული. ერთი წლის ვადის მქონე ფულადი ნაკადებისთვის შესაფერისი ურისკო საპროცენტო განაკვეთი არის 5 პროცენტი და სისტემური რისკის პრემია იმავე რისკის პროფილის მქონე აქტივისთვის კი 3 პროცენტი.

შესაძლო ფულადი ნაკადები	ალბათობა	ალბათობებით შეწონილი ფულადი ნაკადები
500 ფე	15%	75 ფე
800 ფე	60%	480 ფე
900 ფე	25%	225 ფე
მოსალოდნელი ფულადი ნაკადები		780 ფე

D52. ამ მარტივ მაგალითში მოსალოდნელი ფულადი ნაკადები (780 ფე) წარმოადგენს სამი შესაძლო შედეგის ალბათობებით შეწონილ საშუალოს. უფრო რეალურ სიტუაციებში შეიძლება ბევრი შესაძლო შედეგი არსებობდეს. თუმცა, მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებისას ყოველთვის აუცილებელი არ არის ყველა შესაძლო ფულადი ნაკადის განაწილების გათვალისწინება რთული მოდელებისა თუ მეთოდების გამოყენებით. ამის ნაცვლად, შესაძლებელია შეზღუდული რაოდენობის იზოლირებული სცენარებისა და ალბათობების დამუშავება, რომლებიც შესაძლო ფულადი ნაკადების გარკვეულ ერთობლიობას მოიცავს. მაგალითად, ერთეულს შეუძლია გამოიყენოს რომელიმე შესაბამისი გასული პერიოდის რეალიზებული ფულადი ნაკადები, რომლებიც კორექტირებულია გარემოებებში შემდგომში მომხდარი ცვლილებებით (მაგალითად, გარე ფაქტორების ცვლილებები, მათ შორის, ეკონომიკური, ან საბაზრო პირობების, დარგის ტენდენციებისა და კონკურენციის ცვლილებები, ასევე შიდა ფაქტორების ცვლილებები, რომლებიც ერთეულზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს), ბაზრის მონაწილეთა დაშვებების გათვალისწინებით

D53. თეორიულად აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (ანუ სამართლიანი ღირებულება) ერთი და იგივეა, იმის მიუხედავად, 1-ლი მეთოდით არის გამოთვლილი, თუ მე-2 მეთოდით, კერძოდ:

(a) 1-ლი მეთოდის გამოყენებისას, მოსალოდნელი ფულადი ნაკადები კორექტირდება სისტემური (ე.ი. საბაზრო) რისკით. როდესაც არ არსებობს საბაზრო მონაცემები, რომლებიც პირდაპირ გვიჩვენებს რისკის გასათვალისწინებელი კორექტირების თანხის ოდენობას, ამგვარი კორექტირების თანხა შეიძლება განისაზღვროს აქტივების შეფასების მოდელის მეშვეობით, საიმედო ექვივალენტური ფულადი ნაკადების ცნების გამოყენებით. მაგალითად, რისკის გასათვალისწინებელი კორექტირების თანხა (ე.ი. რისკის პრემია 22 ფე) შეიძლება განისაზღვროს 3%-ის ტოლი სისტემური რისკის პრემიის გამოყენებით (780 ფე – $[780 \text{ფე} \cdot (1.05/1.08)]$), რის შედეგადაც მივიღებთ რისკის გათვალისწინებით კორექტირებულ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს 758 ფე-ს (780 ფე – 22 ფე). 758 ფე არის 780 ფე-ის საიმედო ექვივალენტი და დისკონტირდება ურისკო საპროცენტო განაკვეთით (5%). აქტივის დღევანდელი ღირებულება (ე.ი. სამართლიანი ღირებულება) იქნება 722 ფე (758 ფე/1.05).

(b) მე-2 მეთოდის დროს მოსალოდნელი ფულადი ნაკადები არ კორექტირდება სისტემური (ე.ი. საბაზრო) რისკის გათვალისწინებით. ამის ნაცვლად, აღნიშნული რისკით კორექტირდება დისკონტირების განაკვეთი. ამგვარად, მოსალოდნელი ფულადი ნაკადები კორექტირდება უკუგების მოსალოდნელი განაკვეთით - 8 პროცენტით (ე.ი.

ურისკო საპროცენტო განაკვეთს 5 პროცენტს მიმატებული 3 პროცენტი სისტემური რისკის პრემია. აქტივის დღევანდელი ღირებულება იქნება 722 ფე (780 ფე/1.08).

- D54. სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად მოსალოდნელი დისკონტირების ღირებულების მეთოდის გამოყენებისას შესაძლებელია როგორც 1-ლი, ისე მე-2 მეთოდის გამოყენება. მეთოდის შერჩევა დამოკიდებული იქნება შესაფასებელი აქტივის, ან ვალდებულებისთვის დამახასიათებელ კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებზე, ასევე რამდენად ხელმისაწვდომია საკმარისი მონაცემები და რა დონის განსჯაა საჭირო მათ გამოსაყენებლად.

ამოსავალი ინფორმაცია შეფასების მეთოდებისთვის

ზოგადი პრინციპები

- D55. სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს სათანადო ემპირიული ამოსავალი მონაცემების მაქსიმალურად გამოყენებას და მინიმალურად უნდა ეყრდნობოდეს არაემპირიულ ამოსავალ ინფორმაციას.
- D56. ბაზრებს, სადაც შეიძლება ემპირიული იყოს ამოსავალი მონაცემები ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის (მაგალითად, ფინანსური ინსტრუმენტები), განეკუთვნება:
- (a) საფონდო ბირჟები. საფონდო ბირჟაზე ბირჟის დახურვის ფასები ადვილად მოსაპოვებელია და, საზოგადოდ, ეს ფასები სამართლიან ღირებულებას წარმოადგენს. ამგვარი ბაზრის მაგალითია ლონდონის საფონდო ბირჟა.
 - (b) დილერული ბაზრები. დილერულ ბაზრებზე დილერები ყოველთვის მზად არიან ვაჭრობისთვის (საკუთარ ხარჯზე ყიდვის, ან გაყიდვისთვის) და, ამგვარად, უზრუნველყოფენ ლიკვიდობას თავიანთი კაპიტალის გამოყენებით იმისათვის, რომ მარაგში ჰქონდეთ ის ერთეულები, რომლისთვისაც ისინი ბაზარს ქმნიან. როგორც წესი, მყიდველისა და გამყიდველის ფასები (ანუ ფასი, რომლითაც დილერს სურს ყიდვა და ფასი, რომლითაც დილერს სურს გაყიდვა, შესაბამისად) უფრო ადვილად მოსაპოვებელია, ვიდრე ბაზრის დახურვის ფასები. არასაბირჟო ფასიანი ქაღალდების ბაზრები (რომლის ფასები საჯაროდ ქვეყნდება) დილერული ბაზრებია. დილერული ბაზრები არსებობს ასევე სხვა სახის აქტივებისა და ვალდებულებებისთვისაც, მათ შორის ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტის, საქონლისა და მატერიალური აქტივებისთვის (როგორიცაა, მაგალითად ხმარებაში ნამყოფი მოწყობილობები).
 - (c) საშუამავლო ბაზრები. საშუამავლო ბაზარზე ბროკერები ცდილობენ მყიდველების დაკავშირებას გამყიდველებთან, მაგრამ თვითონ ისინი მზად არ არიან, ვაჭრობა განახორციელონ საკუთარ ხარჯზე. სხვა სიტყვებით, ბროკერები საკუთარ კაპიტალს არ იყენებენ იმისთვის, რომ მარაგში ჰქონდეთ ის ერთეულები, რომლისთვისაც ისინი ბაზარს ქმნიან. ბროკერმა იცის მოთხოვნა-მიწოდების (მყიდველისა და გამყიდველის) ფასები, მაგრამ, როგორც წესი, არც ერთმა მხარემ არ იცის მეორე მხარის ფასის მოთხოვნები. ზოგჯერ შესაძლებელია განხორციელებული ოპერაციების ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. საშუამავლო ბაზრებს გააჩნიათ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი, სადაც ერთმანეთს შეუსაბამდება ყიდვა-გაყიდვის შეკვეთები, ასევე კომერციული და საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრები.
 - (d) „მარწმუნებლიდან მარწმუნებლამდე“ ბაზრები. „მარწმუნებლიდან მარწმუნებლამდე“

ბაზარზე, როგორც საწყის, ასევე გადაყიდვის ოპერაციებს მხარეები დამოუკიდებლად, შუამავლების გარეშე ახორციელებენ. ამგვარი ოპერაციების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია შეიძლება მცირე მოცულობის იყოს.

D57. ერთეულმა ისეთი ამოსავალი მონაცემები უნდა შეარჩიოს, რომლებიც აქტივის ან ვალდებულების იმ მახასიათებლებს შეესაბამება, რომელთაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ აქტივით, ან ვალდებულებით განხორციელებული ოპერაციის დროს (იხ. 32-ე და 33-ე პუნქტები). ზოგ შემთხვევაში, ამ მახასიათებლებს კორექტირება ესაჭიროება, მაგალითად პრემიით, ან დისკონტით (როგორცაა, მაგალითად პრემია კონტროლისთვის, ან არამაკონტროლებელი წილის დისკონტი). თუმცა, სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გათვალისწინებული არ უნდა იყოს პრემია ან დისკონტი, რომელიც არ შეესაბამება იმ სსბას-ის სააღრიცხვო ერთეულს, რომელიც სამართლიანი ღირებულებით შეფასებას მოითხოვს, ან სამართლიანი ღირებულებით შეფასების უფლებას იძლევა (იხ. 34-ე და 35-ე პუნქტები). ნებადართული არ არის სამართლიანი ღირებულების შეფასებაში ისეთი პრემიების ან დისკონტების გათვალისწინება, რომლებიც ასახავს ერთეულის ფინანსური ინსტრუმენტების პაკეტის სიდიდეს, როგორც ამ პაკეტის მახასიათებელს (განსაკუთრებით, დამბლოკი კოფიციენტის, რომელიც ცვლის (აკორექტირებს) აქტივის, ან ვალდებულების კოტირებულ ფასს იმის გამო, რომ ბაზრის ჩვეულებრივი დღიური სავაჭრო ბრუნვა საკმარისი არ არის აქტივებისა და ვალდებულებების იმ რაოდენობის ასათვისებლად, რომელიც ერთეულს გააჩნია, როგორც ეს აღწერილია დნნ პუნქტში) და არა როგორც აქტივის ან ვალდებულების მახასიათებელს (მაგალითად, პრემია კონტროლისთვის, როდესაც ერთეული აფასებს მაკონტროლებელი წილის სამართლიან ღირებულებას). ყველა შემთხვევაში, თუკი არსებობს აქტივის, ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასი (ე.ი. 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები), ერთეულმა ეს ფასი უნდა გამოიყენოს სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, კორექტირების გარეშე, დნნ პუნქტში აღწერილი შემთხვევების გარდა.

სამართლიანი ღირებულების იერარქია

D58. იმისათვის, რომ გაიზარდოს შესაბამისობა და შესაძარისობა სამართლიანი ღირებულების შეფასებებსა და სათანადო ინფორმაციის გამჟღავნებას შორის, წინამდებარე დანართით დადგენილია სამართლიანი ღირებულების იერარქია, რომლის თანახმად სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდებში გამოსაყენებელი ამოსავალი მონაცემები სამ დონედ იყოფა (იხ. D62–D89 პუნქტები). სამართლიანი ღირებულების იერარქიაში ყველაზე მეტი პრიორიტეტი მინიჭებული აქვს იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებულ ფასებს (გაუკორექტირებელს) (1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები) და ყველაზე ნაკლები პრიორიტეტი - არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს (მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები).

D59. ზოგიერთ შემთხვევაში, აქტივის, ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში. ასეთ შემთხვევებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის. ამა თუ იმ კონკრეტული მონაცემის

მნიშვნელობის შეფასება, სამართლიანი ღირებულების მთლიან შეფასებასთან მიმართებით, საჭიროებს განსჯას, მოცემული აქტივის ან ვალდებულებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებას. როდესაც ადგენს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეს, რომელსაც სამართლიანი ღირებულების შეფასება მიეკუთვნება, ერთეულმა არ უნდა გაითვალისწინოს კორექტირებები, რომლებიც აუცილებელია სამართლიან ღირებულებაზე დაფუძნებული შეფასებების გამოსათვლელად, როგორცაა, მაგალითად გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები, როდესაც ერთეული გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას აფასებს.

- D60. შესაბამისი ამოსავალი ინფორმაციის არსებობამ და მათმა შეფარდებითმა სუბიექტურობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს შეფასების სათანადო მეთოდის შერჩევაზე (იხ. D27 პუნქტი). თუმცა, სამართლიანი ღირებულების იერარქია უპირატესობას ანიჭებს შეფასების მეთოდში გამოყენებულ ამოსავალ მონაცემებს და არა თვითონ შეფასების მეთოდს, რომელიც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება. მაგალითად, სამართლიანი ღირებულების შეფასება, რომელიც მიიღება დღევანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, შეიძლება მიეკუთვნოს მე-2 ან მე-3 დონეს, იმ ამოსავალი მონაცემების მიხედვით, რომლებიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის და ასევე სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმ დონის მიხედვით, რომელსაც მოცემული ამოსავალი მონაცემები მიეკუთვნება.
- D61. როდესაც ემპირიული ამოსავალი მონაცემები კორექტირებას საჭიროებს არაემპირიული მონაცემების გამოყენებით და კორექტირების შედეგად მიიღება სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვნად უფრო დიდი ან პატარა შეფასება, ასეთი შეფასება უნდა მიეკუთვნოს სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს. მაგალითად, თუ ბაზრის მონაწილე მხედველობაში მიიღებდა აქტივის გაყიდვის შესაძლებლობასთან დაკავშირებულ შეზღუდვას, ერთეულმა კოტირებული ფასი უნდა გააკორექტიროს ამ შეზღუდვის გავლენის გასათვალისწინებლად. თუ კოტირებული ფასი მე-2 დონის ამოსავალი მონაცემია და კორექტირება ხდება არაემპირიული ამოსავალი მონაცემით, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, ეს შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს უნდა მიეკუთვნოს.

1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები

- D62. 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება ერთეულს შეფასების თარიღისთვის შეუძლია.
- D63. აქტიური ბაზრის კოტირებული ფასი, თუკი არსებობს, სამართლიანი ღირებულების ყველაზე საიმედო მტკიცებულებას უზრუნველყოფს და ერთეულმა კორექტირების გარეშე უნდა გამოიყენოს სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც D65 პუნქტშია აღწერილი.
- D64. 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება მრავალი ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულებისთვის, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება მრავალ აქტიურ ბაზარზე იცვლებოდეს (მაგალითად, სხვადასხვა საფონდო ბირჟაზე). ამგვარად, 1-ლი დონის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქვემოთ მოცემულ ორივე საკითხს:

- (a) აქტივის ან ვალდებულების ძირითადი ბაზარი, ან, თუ არ არსებობს ძირითადი ბაზარი, ამ აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი; და
 - (b) შეფასების თარიღით შეუძლია თუ არა ერთეულს მონაწილეობის მიღება ამ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებულ ოპერაციაში მოცემული ბაზრის ფასით.
- D65. ერთეულმა არასდროს უნდა გააკორექტიროს 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები, ქვემოთ აღწერილი სიტუაციების გარდა:
- (a) როდესაც ერთეულს გააჩნია დიდი რაოდენობის მსგავსი (მაგრამ არა იდენტური) აქტივები და ვალდებულებები (მაგალითად, სავალო ფასიანი ქაღალდები), რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და აქტიური ბაზრის კოტირებული ფასი არსებობს, მაგრამ ადვილად ხელმისაწვდომი არ არის თითოეული ამ აქტივის ან ვალდებულებისთვის ინდივიდუალურად (ე.ი. იმის გამო, რომ ერთეულს გააჩნია დიდი რაოდენობის მსგავსი აქტივები ან ვალდებულებები, ძნელი იქნება შეფასების თარიღისთვის ფასის შესახებ ინფორმაციის მოპოვება თითოეული ინდივიდუალური აქტივის, ან ვალდებულებისთვის). ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკული საშუალების ორიენტირის სახით, ერთეულს უფლება აქვს სამართლიანი ღირებულება განსაზღვროს შეფასების სხვა მეთოდით, რომელიც მხოლოდ კოტირებულ ფასებს (მაგალითად, ფასდადგენის (შეფასების) მატრიცული მეთოდი) არ ეყრდნობა. თუმცა, შეფასების სხვა მეთოდით მიღებული სამართლიანი ღირებულების შეფასებები სამართლიანი ღირებულების იერარქიის უფრო დაბალ დონეს მიეკუთვნება.
 - (b) როდესაც აქტიური ბაზრის კოტირებული ფასი არ ასახავს სამართლიან ღირებულებას შეფასების თარიღისთვის. ასე შეიძლება მოხდეს, მაგალითად მაშინ, როდესაც ბაზრის დახურვის შემდეგ, მაგრამ შეფასების თარიღამდე მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდება (როგორცაა, ოპერაციების განხორციელება „მარწმუნებლიდან მარწმუნებლამდე“ ბაზარზე, საჯარო ვაჭრობა საშუამავლო ბაზარზე ან ფინანსური ბაზრების ოფიციალური განცხადებები). ერთეულმა უნდა განსაზღვროს და უცვლელად გამოიყენოს პოლიტიკა იმ მოვლენების დასადგენად, რომლებსაც შეუძლია გავლენის მოხდენა სამართლიანი ღირებულების შეფასებებზე. თუმცა, თუ ერთეული კოტირებულ ფასს გააკორექტირებს ახალი ინფორმაციის გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულების კორექტირებული შეფასებები სამართლიანი ღირებულების იერარქიის უფრო დაბალ დონეს მიეკუთვნება.
 - (c) როდესაც ერთეული აფასებს ვალდებულების ან საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას იდენტური ერთეულის კოტირებული ფასის მიხედვით, რომელიც აქტიურ ბაზარზე იყიდება, როგორც აქტივი და საჭიროა ამ ფასის კორექტირება მოცემული ერთეულის, ან აქტივისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებით (იხ. სსბას 41-ის პუნქტი AG143F). თუ საჭირო არ არის აქტივის კოტირებული ფასის კორექტირება, სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის 1-ელ დონეს მიეკუთვნება. თუმცა, აქტივის კოტირებული ფასის კორექტირების შედეგად მიღებული სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის უფრო დაბალ დონეს განეკუთვნება.
- D66. თუ ერთეულს აქტივის ან ვალდებულების ერთი პოზიცია გააჩნია (მათ შორის, პოზიცია, რომელიც შედგება დიდი რაოდენობის იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისგან,

როგორცაა, მაგალითად ფინანსური ინსტრუმენტების პაკეტი) და ეს აქტივი ან ვალდებულება იყიდება აქტიურ ბაზარზე, აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა განხორციელდეს 1-ლი დონის ფარგლებში, ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით ერთეულის განკარგულებაში არსებული ერთეულების რაოდენობაზე. ერთეული ასე უნდა მოიქცეს მაშინაც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ბრუნვა საკმარისი არ არის აქტივებისა თუ ვალდებულებების იმ რაოდენობის ასათვისებლად, რომელიც ერთეულს გააჩნია და ერთი ოპერაციის მეშვეობით ამ პოზიციის გაყიდვის შეკვეთების განთავსებამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები

- D67. მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები არის მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ.
- D68. თუ აქტივს ან ვალდებულებას გააჩნია გარკვეული (სახელშეკრულებო) პერიოდი, მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები ემპირიული უნდა იყოს აქტივის ან ვალდებულების არსებითად მთელი ვადის განმავლობაში. მე-2 დონის მონაცემებს განეკუთვნება:
- (a) ანალოგიური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები.
 - (b) იდენტური, ან ანალოგიური აქტივების ან ვალდებულებების ისეთი ბაზრის კოტირებული ფასები, რომელიც არ არის აქტიური.
 - (c) აქტივის ან ვალდებულების შესახებ სხვა ემპირიული მონაცემები, გარდა კოტირებული ფასებისა, მაგალითად:
 - (i) საპროცენტო განაკვეთები და შემოსავლიანობის მრუდები, რომლებიც ემპირიულია ჩვეულებრივ კოტირებულ ინტერვალებში;
 - (ii) ნაგულისხმევი ცვალებადობა; და
 - (iii) საკრედიტო სპრედები.
 - (d) საბაზრო ინფორმაციით დადასტურებული ამოსავალი მონაცემი.
- D69. მე-2 დონის მონაცემების კორექტირებები სხვადასხვანაირი იქნება კონკრეტული აქტივის ან ვალდებულებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორების მიხედვით. ამგვარ ფაქტორებს განეკუთვნება:
- (a) აქტივის მდგომარეობა, ან ადგილმდებარეობა;
 - (b) რა დონეზე არის ამოსავალი მონაცემები დაკავშირებული ერთეულებთან, რომლებიც აქტივის ან ვალდებულების შესადარისია (მათ შორის, ფაქტორები, რომლებიც აღწერილია სსბასს 41-ის AG143F პუნქტში); და
 - (c) იმ ბაზრების საქმიანობის მოცულობა, ან დონე, საიდანაც მოიპოვება ემპირიული ამოსავალი მონაცემები.
- D70. მე-2 დონის ისეთი ამოსავალი მონაცემების კორექტირებამ, რომლებიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, შეიძლება გავლენა მოახდინოს სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეზე მისაკუთვნებელი სამართლიანი

ღირებულების შეფასებაზე, თუ კორექტირებისას გამოიყენება არსებითი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

D71. D72 პუნქტში აღწერილია მე-2 დონის ამოსავალი მონაცემების გამოყენება კონკრეტულ ქტივებსა და ვალდებულებებთან მიმართებით.

D72. კონკრეტული აქტივებისა და ვალდებულებებისთვის მე-2 დონის ამოსავალი მონაცემების მაგალითებია:

- (a) სალიცენზიო შეთანხმება. საჯარო სექტორის ერთეულების გაერთიანებისას შეძენილი სალიცენზიო შეთანხმებისთვის, რომელიც ახლახან შეათანხმა მყიდველმა ერთეულმა (სალიცენზიო შეთანხმების ერთ-ერთმა მხარემ) არადაკავშირებულ მხარესთან, მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება როიალტის განაკვეთი, რომლის გადახდასაც ითვალისწინებს არადაკავშირებულ მხარესთან დადებული ხელშეკრულება სალიცენზიო შეთანხმების დადებისას.
- (b) მზა პროდუქციის მარაგი სავაჭრო ობიექტში. მზა პროდუქციის მარაგისთვის, რომელიც შეძენილია საჯარო სექტორის ერთეულების გაერთიანებისას, მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება ან მომხმარებლებზე პროდუქციის სარეალიზაციო ფასი საცალო ბაზარზე, ან პროდუქციის სარეალიზაციო ფასი საცალო ვაჭრობის ობიექტებზე - საბითუმო ბაზარზე, რომელიც კორექტირებულია მოცემული პროდუქციისა და შესადარისი (ე.ი. ანალოგიური) პროდუქციის მდგომარეობასა და ადგილმდებარეობას შორის განსხვავებების გათვალისწინებით იმგვარად, რომ სამართლიანი ღირებულება ასახავდეს ფასს, რომელსაც მიიღებდა ამ პროდუქციის მყიდველი სხვა საცალო ვაჭრობის ობიექტი (საცალო გამყიდველი) მას შემდეგ, რაც დაასრულებდა პროდუქციის გაყიდვისთვის აუცილებელ ქმედებებს. შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების შეფასება ერთნაირი იქნება იმის მიუხედავად, საცალო ვაჭრობის ფასი გაკორექტირდება (ე.ი. შემცირებით), თუ საბითუმო ფასი (ე.ი. გადიდება). საზოგადოდ, სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად უნდა გამოიყენებოდეს ის ფასი, რომელსაც უმცირესი სუბიექტური კორექტირებები ესაჭიროება.
- (c) ერთეულის განკარგულებაში მყოფი შენობა, რომელსაც თვითონ იყენებს. მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება შენობის ერთი კვადრატული მეტრის ფასი (შეფასების მულტიპლიკატორი), რომელიც ემპირიული საბაზრო მონაცემების საფუძველზე გამოითვლება, მაგალითად ისეთი ფასებიდან გამოთვლილი მულტიპლიკატორები, რომლებიც გამოიყენება ანალოგიური ადგილმდებარეობის შესადარისი (ე.ი. ანალოგიური) შენობებზე განხორციელებულ ემპირიულ ოპერაციებში.
- (d) ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული. მე-2 დონის მონაცემები იქნება შეფასების მულტიპლიკატორი (მაგალითად, მოგების ან ამონაგების, ან საქმიანობის შედეგების ამსახველი ანალოგიური მაჩვენებლის მულტიპლიკატორი), რომელიც ემპირიული საბაზრო მონაცემების საფუძველზეა გამოთვლილი, მაგალითად, ისეთი ფასებიდან გამოთვლილი მულტიპლიკატორები, რომლებიც მიღებულია შესადარისი (ანუ მსგავსი) ერთეულების მიერ განხორციელებულ ემპირიულ ოპერაციებში, საოპერაციო, საბაზრო, ფინანსური და არაფინანსური ფაქტორების გათვალისწინებით.

მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები

D73. მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები არის აქტივის, ან ვალდებულების შესახებ არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

D74. სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად არაემპირიული ამოსავალი მონაცემები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოყენებული, როდესაც არ არსებობს შესაბამისი ემპირიული ამოსავალი მონაცემები და, მაშასადამე, გაითვალისწინება ისეთი სიტუაციები, როდესაც შეფასების თარიღისთვის მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან მიმართებით უმნიშვნელო საქმიანობა არის დაკვირვებადი (ემპირიული). თუმცა, სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანი ამ შემთხვევაშიც იგივე რჩება, ე.ი. განისაზღვროს გასვლის ფასი შეფასების თარიღისთვის, ბაზრის იმ მონაწილის პოზიციიდან, რომელიც განკარგავს აქტივს, ან გააჩნია ვალდებულება. ამგვარად, არაემპირიული მონაცემები უნდა ასახავდეს იმ დაშვებებს, მათ შორის რისკის შესახებ დაშვებას, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას გამოიყენებდნენ.

D75. რისკის შესახებ დაშვებები მოიცავს სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული კონკრეტული შეფასების მეთოდისთვის დამახასიათებელ რისკს (როგორცაა, მაგალითად ფასწარმოქმნის მოდელი) და ასევე მოცემული შეფასების მეთოდის ამოსავალი მონაცემებისთვის დამახასიათებელ რისკს. შეფასება, რომელიც კორექტირებული არ არის რისკის გათვალისწინებით, არ იქნება სამართლიანი ღირებულების შეფასება, თუკი ბაზრის მონაწილეები ამ რისკს გაითვალისწინებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას. მაგალითად, რისკის გათვალისწინებით კორექტირება შეიძლება აუცილებელი იყოს, როდესაც შეფასებას უკავშირდება არსებითი განუსაზღვრელობა (მაგალითად, როდესაც ბაზარზე მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან, ან ანალოგიურ აქტივებთან ან ვალდებულებებთან მიმართებით მნიშვნელოვნად დაეცა საქმიანობის მოცულობა, ან დონე ბაზრის ტიპურ საქმიანობასთან შედარებით და ერთეულმა გადაწყვიტა, რომ ოპერაციის ფასი, ან კოტირებული ფასი არ ასახავს სამართლიან ღირებულებას, როგორც ეს აღწერილია D76–D86 პუნქტებში).

სამართლიანი ღირებულების შეფასება, როდესაც ბაზარზე აქტივთან, ან ვალდებულებასთან დაკავშირებით აქტიურობა ან დონე მნიშვნელოვნად შემცირდა

D76. აქტივის, ან ვალდებულების სამართლიან ღირებულებაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს მოცემულ აქტივთან, ან ვალდებულებასთან დაკავშირებული აქტივობის ან დონის მნიშვნელოვნად შემცირებამ, ამ აქტივთან, ან ვალდებულებასთან (ან ანალოგიურ აქტივებთან, ან ვალდებულებებთან) დაკავშირებით ბაზრის ჩვეულებრივ საქმიანობასთან შედარებით. იმისათვის, რომ მტკიცებულებების საფუძველზე განისაზღვროს, მნიშვნელოვნად შემცირდა თუ არა ბაზარზე მოცემულ აქტივთან, ან ვალდებულებასთან დაკავშირებული აქტივობა ან დონე, ერთეულმა უნდა შეაფასოს ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების მნიშვნელობა და რელევანტურობა:

- (a) უკანასკნელ პერიოდში განხორციელდა მცირერიცხოვანი ოპერაციები.
- (b) ფასების კოტირების დამუშავება არ ხდება მიმდინარე ინფორმაციის გამოყენებით.
- (c) ფასების კოტირებები მნიშვნელოვნად იცვლება ან დროთა განმავლობაში, ან ბაზრის მონაწილეების მიხედვით (მაგალითად, ზოგიერთ საშუაშავლო ბაზარზე).

- (d) მაჩვენებლები, რომლებიც ადრე მაღალ კორელაციაში იმყოფებოდა აქტივის, ან ვალდებულების სამართლიან ღირებულებასთან, ახლა აშკარად აღარ შეესაბამება ამ აქტივის ან ვალდებულების უკანასკნელი პერიოდის სამართლიანი ღირებულების მაჩვენებლებს.
- (e) ემპირიული ოპერაციების, ან კოტირებული ფასებისთვის მნიშვნელოვნად იზრდება ლიკვიდობის რისკთან დაკავშირებული ნაგულისხმევი პრემიები, შემოსავლიანობის დონე, ან საქმიანობის შედეგების ამსახველი მაჩვენებლები (როგორცაა, მაგალითად სესხის ვადაგადაცელების საჯარიმო განაკვეთები, ან ზარალის სიმძიმესთან დაკავშირებული საჯარიმო განაკვეთები), ერთეულის მიერ გამოთვლილ, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებებთან შედარებით, ყველა არსებული საბაზრო მონაცემის გათვალისწინებით, რომელიც ეხება აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებულ საკრედიტო და ვალდებულების შეუსრულებლობის სხვა რისკს.
- (f) მნიშვნელოვნად ფართოა მოთხოვნა-მიწოდების სპრედი, ან მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნა-მიწოდების სპრედი.
- (g) მოცემული აქტივის ან ვალდებულების, ან ანალოგიური აქტივების ან ვალდებულებებისთვის მნიშვნელოვნად ეცემა ბაზარზე აქტივობის დონე ან არ არსებობს ბაზარი ახალი ემისიებისთვის (ე.ი. ძირითადი ბაზარი).
- (h) მცირე ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი (მაგალითად, ისეთი ოპერაციების შესახებ, რომლებიც ხორციელდება „მარწმუნებლიდან მარწმუნებლამდე“ ბაზარზე).

D77. თუ ერთეული დაასკვნის, რომ ბაზრის ჩვეულებრივ საქმიანობასთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა ბაზარზე მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან (ან ანალოგიურ აქტივებთან ან ვალდებულებებთან) დაკავშირებული აქტივობა ან დონე, აუცილებელი იქნება ამ ოპერაციების, ან კოტირებული ფასების დამატებითი ანალიზის ჩატარება. საქმიანობის მოცულობის, ან დონის შემცირება, თავისთავად, არ მიანიშნებს იმაზე, რომ ოპერაცია, ან კოტირებული ფასი არ ასახავს სამართლიან ღირებულებას, ან ამ ბაზარზე განხორციელებული ოპერაცია არ არის ნებაყოფლობითი. თუმცა, თუ ერთეული დაადგენს, რომ ოპერაცია, ან კოტირებული ფასი არ ასახავს სამართლიან ღირებულებას (მაგალითად, შეიძლება არსებობდეს ისეთი ოპერაციები, რომლებიც არ განხორციელებულა ნებაყოფლობით საფუძველზე), აუცილებელი გახდება ამ ოპერაციების, ან კოტირებული ფასების კორექტირება, თუ ერთეული გამოიყენებს ამ ფასებს სამართლიანი ღირებულების შეფასების საფუძველად და ამგვარი კორექტირება შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს სამართლიანი ღირებულების მთლიან შეფასებასთან მიმართებით. გარდა ამისა, კორექტირება შეიძლება აუცილებელი გახდეს სხვა გარემოებებშიც (მაგალითად, როდესაც ანალოგიური აქტივის ფასი მნიშვნელოვან კორექტირებას საჭიროებს შესაფასებელ აქტივთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ან იმის გამო, რომ ფასი მოძველდა).

D78. წინამდებარე სტანდარტი არ ადგენს ოპერაციების, ან კოტირებული ფასების მნიშვნელოვანი კორექტირებებისთვის გამოსაყენებელ მეთოდიკას. სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად შეფასების მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია D26–D29 და D31–D40 პუნქტებში. იმის მიუხედავად, შეფასების რომელ მეთოდს იყენებს, ერთეულმა აუცილებლად უნდა შეიტანოს კორექტირებები რისკის

გასათვალისწინებლად, მათ შორის რისკის პრემიის გასათვალისწინებლად, რომელიც ასახავს იმ თანხას, რომელსაც ბაზრის მონაწილეები მოითხოვდნენ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის კომპენსაციის სახით (იხ. D48 პუნქტი). წინააღმდეგ შემთხვევაში, შეფასება სარწმუნოდ ვერ ასახავს სამართლიან ღირებულებას. ზოგ შემთხვევაში, შეიძლება რთული იყოს შესაბამისი კორექტირების განსაზღვრა. თუმცა, სირთულის ხარისხი თავისთავად არ არის საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ კორექტირება არ გაკეთდეს რისკის გასათვალისწინებლად. რისკის გასათვალისწინებლად განხორციელებული კორექტირება უნდა ასახავდეს ოპერაციას, რომელიც ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელდებოდა ნებაყოფლობით, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში.

- D79. თუ ბაზარზე მნიშვნელოვნად შემცირდა მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული საქმიანობის მოცულობა, ან დონე, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს შეფასების მეთოდის შეცვლა, ან რამდენიმე შეფასების მეთოდის გამოყენება (მაგალითად, საბაზრო მიდგომისა და დღევანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენება). როდესაც ერთეული ახორციელებს შეფასების სხვადასხვა მეთოდით მიღებული სამართლიანი ღირებულების მნიშვნელობების შეწონვას, მან უნდა განიხილოს სამართლიანი ღირებულების შეფასებების დიაპაზონის დასაბუთებულობა. მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ დადგინდეს ამ დიაპაზონში შეფასების ისეთი მნიშვნელობა, რომელიც ყველაზე ზუსტად ასახავს სამართლიან ღირებულებას მიმდინარე საბაზრო პირობებში. სამართლიანი ღირებულების შეფასებების ფართო დიაპაზონი შეიძლება იმის მიმანიშნებელი იყოს, რომ აუცილებელია დამატებითი ანალიზის ჩატარება.
- D80. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვნად შემცირებულია მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული საქმიანობის მოცულობა, ან დონე, სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანი არ იცვლება. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან, ან, რომელიც გადასახდელი იქნებოდა ვალდებულების გადაცემისას ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს (ანუ, არა ლიკვიდაციის ან იძულებითი გაყიდვის დროს) მიმდინარე საბაზრო პირობებში.
- D81. თუ ბაზარზე მნიშვნელოვნად შემცირებულია მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული საქმიანობის მოცულობა, ან დონე, შეფასებითი ფასი, რომლითაც ბაზრის მონაწილეები მოისურვებდნენ ოპერაციის განხორციელებას შეფასების თარიღისთვის მიმდინარე საბაზრო პირობებში, დამოკიდებული იქნება შეფასების თარიღისთვის არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე და ერთეულის მხრიდან განსჯას საჭიროებს. სამართლიანი ღირებულების შეფასებისას მნიშვნელობა არა აქვს ერთეულის განზრახვას, შეინარჩუნოს აქტივი, ან დაფაროს ან რაიმე სხვა გზით შეასრულოს ვალდებულება, ვინაიდან სამართლიანი ღირებულება არის საბაზრო მონაცემებზე დაფუძნებული შეფასება და არა თვითონ ერთეულისთვის დამახასიათებელი შეფასება.

ისეთი ოპერაციების დადგენა, რომლებიც არ არის ნებაყოფლობითი

D82. ისეთი ოპერაციების დადგენა, რომლებიც ნებაყოფლობითია (ან არ არის ნებაყოფლობითი) გაცილებით უფრო რთულია იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე მნიშვნელოვნად შემცირებულია მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული საქმიანობის მოცულობა, ან დონე, აქტივთან ან ვალდებულებასთან (ან ანალოგიურ აქტივებთან ან ვალდებულებებთან) დაკავშირებით, ბაზრის ჩვეულებრივ საქმიანობასთან შედარებით. ასეთ სიტუაციაში მიზანშეწონილი არ არის, ერთეულმა დაასკვნას, რომ ბაზარზე განხორციელებული არც ერთი ოპერაცია არ არის ნებაყოფლობითი (ე.ი. განპირობებულია ძალდატანებითი ლიკვიდაციით, ან იძულებითი გაყიდვით). შემდეგი გარემოებები შეიძლება იმის მიმანიშნებელი იყოს, რომ ოპერაცია არ არის ნებაყოფლობით შესრულებული:

- (a) ამგვარი ოპერაციები არ განხორციელებულა ბაზარზე შეფასების თარიღამდე ისეთი პერიოდის განმავლობაში, რომელიც ამგვარი აქტივებისა და ვალდებულებებით ოპერაციების განსახორციელებლად საჭირო ტიპური და საყოველთაოდ მიღებული მარკეტინგული ღონისძიებების გატარების საშუალებას იძლევა მიმდინარე საბაზრო პირობებში.
- (b) არსებობდა მარკეტინგული ღონისძიებებისთვის აუცილებელი ტიპური და საყოველთაოდ მიღებული პერიოდი, მაგრამ გამყიდველი ამ აქტივს ან ვალდებულებას რეკლამას უკეთებდა მხოლოდ ბაზრის ერთი მონაწილის წინაშე.
- (c) გამყიდველი იმყოფება გაკოტრების პროცესში, ან გაკოტრებასთან ახლოს, ან საკონკურსო მართვის მდგომარეობაში, ან მასთან ახლოს (ე.ი. გამყიდველი გარემოებების გამო არის იძულებული, რომ განახორციელოს ეს ოპერაცია).
- (d) გამყიდველი ვალდებული იყო გაეყიდა, რათა შეესრულებინა მარგულირებელი ორგანოებისა და საკანონმდებლო მოთხოვნები (ე.ი. გამყიდველი იძულებული იყო, განეხორციელებინა ეს ოპერაცია).
- (e) ოპერაციის ფასი მკვეთრად განსხვავებულია უკანასკნელ პერიოდში ისეთივე, ან ანალოგიური აქტივით, ან ვალდებულებით განხორციელებული სხვა ოპერაციების ფასებთან შედარებით.

ერთეულმა უნდა განიხილოს კონკრეტული გარემოებები, რათა ყველა ხელმისაწვდომი მტკიცებულების საფუძველზე დაადგინოს, არის თუ არა ოპერაცია ნებაყოფლობითი ხასიათის.

D83. როდესაც აფასებს სამართლიან ღირებულებას, ან საბაზრო რისკის პრემიას, ერთეულმა უნდა განიხილოს და გაითვალისწინოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მომენტი:

- (a) თუ მტკიცებულებები იმაზე მიანიშნებს, რომ ოპერაცია არ არის ნებაყოფლობითი, ერთეულმა ამგვარი ოპერაციის ფასს ნაკლები მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს (სამართლიანი ღირებულების სხვა ინდიკატორებთან შედარებით), ან საერთოდ არანაირი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭოს.
- (b) თუ მტკიცებულებები იმაზე მიანიშნებს, რომ ოპერაცია ნებაყოფლობითია, ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს ამ ოპერაციის ფასი. რა დონის მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს ერთეულმა ამ ოპერაციის ფასს სამართლიანი ღირებულების სხვა ინდიკატორებთან

შედარებით, დამოკიდებული იქნება ისეთ ფაქტებსა და გარემოებებზე, რომლებიც მითითებულია ქვემოთ:

- (i) ოპერაციის მოცულობა.
- (ii) ამ ოპერაციის შესადარისობა შესაფასებელ აქტივთან ან ვალდებულებასთან.
- (iii) ოპერაციის განხორციელების თარიღის სიახლოვე შეფასების თარიღთან.
- (c) თუ ერთეულს არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ დაასკვნას, ოპერაცია ნებაყოფლობითია თუ არა, მან მხედველობაში უნდა მიიღოს ოპერაციის ფასი. თუმცა, ოპერაციის ფასი შეიძლება არ წარმოაჩენდეს სამართლიან ღირებულებას (ე.ი. ოპერაციის ფასი ყოველთვის არ არის ერთადერთი ან უმთავრესი ბაზა სამართლიანი ღირებულების, ან საბაზრო რისკის პრემიების შეფასებისთვის). თუ ერთეულს არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ დაასკვნას, კონკრეტული ოპერაციები ნებაყოფლობითია თუ არა, მან ნაკლები მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს ამ ოპერაციებს სხვა ოპერაციებთან შედარებით, რომლებიც ცნობილია, რომ ნებაყოფლობით განხორციელდა.

ერთეულს არ ევალება ზედმეტი ძალისხმევის გამოჩენა იმის დასადგენად, ოპერაცია ნებაყოფლობითია თუ არა, მაგრამ მან არ უნდა უგულებელყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ იარსებებს. როდესაც ერთეული თვითონ არის ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე მხარე, იგულისხმება, რომ ექნება საკმარისი ინფორმაცია იმის დასადგენად, ოპერაცია ნებაყოფლობითია თუ არა.

მესამე მხარეთა კოტირებული ფასების გამოყენება

- D84. წინამდებარე დანართი არ კრძალავს მესამე მხარეთა (მაგალითად, ფასების სამსახურების, ან ბროკერების) მიერ მოწოდებული კოტირებული ფასების გამოყენებას, თუ ერთეული დაადგენს, რომ მესამე მხარეთა მიერ მოწოდებული კოტირებული ფასები დამუშავებული იყო წინამდებარე დანართის მოთხოვნების შესაბამისად.
- D85. თუ ბაზარზე მნიშვნელოვნად შემცირებულია მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული საქმიანობის მოცულობა, ან დონე, ერთეულმა უნდა განსაზღვროს, მესამე მხარეთა მიერ მოწოდებული კოტირებული ფასები დამუშავებულია თუ არა მიმდინარე საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ასახავს ნებაყოფლობით შესრულებულ ოპერაციებს, ან - შეფასების ისეთი მეთოდით, რომელიც ბაზრის მონაწილეთა დაშვებებს (მათ შორის, რისკის შესახებ დაშვებებს) ასახავს. როდესაც ერთეული სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ანალიზებს კოტირებულ ფასს, როგორც ამოსავალ მონაცემს, მან ნაკლები მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს (სამართლიანი ღირებულების შეფასების სხვა ინდიკატორებთან შედარებით, რომლებიც ასახავს ოპერაციების შედეგებს) ისეთ კოტირებულ ფასებს, რომლებიც არ ასახავს ამ ოპერაციების შედეგებს.
- D86. გარდა ამისა, არსებული მტკიცებულებების ანალიზის დროს, ერთეულმა მხედველობაში უნდა მიიღოს კოტირების ხასიათი (მაგალითად, კოტირებული ფასი ინდიკაციური ფასია, თუ იურიდიული ძალის მქონე შეთავაზება) და უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭოს მესამე მხარეთა მიერ მოწოდებულ ისეთ ფასებს, რომლებიც ასახავს იურიდიული ძალის მქონე შეთავაზებებს.

მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები

D87. ერთეულმა არაემპირიული ამოსავალი მონაცემები უნდა დაამუშაოს მოცემულ გარემოებებში ხელმისაწვდომი ყველანაირი ინფორმაციის საფუძველზე, რაც შეიძლება ერთეულის საკუთარ მონაცემებსაც მოიცავდეს. არაემპირიული ამოსავალი მონაცემების დამუშავება ერთეულს შეუძლია დაიწყოს საკუთარი მონაცემებით, მაგრამ მან უნდა გააკორექტიროს ეს მონაცემები, თუ ხელმისაწვდომი ინფორმაცია იმაზე მიანიშნებს, რომ ბაზრის სხვა მონაწილეები სხვა მონაცემებს გამოიყენებდნენ, ან ისეთი ინფორმაცია არსებობს, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ერთეულისთვის და ხელმისაწვდომი არ არის ბაზრის სხვა მონაწილეებისთვის (მაგალითად, ერთეულისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური სინერგია). ერთეულს არ ევალება მიზანშეუწონლად ზედმეტი ძალისხმევის გამოჩენა ბაზრის მონაწილეთა შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. თუმცა, ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს ბაზრის მონაწილეთა დაშვებების შესახებ გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი მთელი ინფორმაცია. ზემოაღნიშნული მეთოდით დამუშავებული არაემპირიული ამოსავალი მონაცემები მიიჩნევა ბაზრის მონაწილეთა დაშვებებად და აკმაყოფილებს სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანს.

D88. C89 პუნქტში აღწერილია მე-3 დონის ამოსავალი მონაცემების გამოყენება კონკრეტულ აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებით.

D89. კონკრეტული აქტივებისა და ვალდებულებებისთვის მე-3 დონის ამოსავალი მონაცემების მაგალითებია:

- (a) გრძელვადიანი სავალუტო სვოპი. მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება საპროცენტო განაკვეთი კონკრეტულ ვალუტაში, რომელიც ემპირიული არ არის და მისი დადასტურება ემპირიული საბაზრო მონაცემებით ჩვეულებრივ კოტირებულ ინტერვალებში, ან სხვანაირად შეუძლებელია პრაქტიკულად სავალუტო სვოპის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში. სავალუტო სვოპის საპროცენტო განაკვეთები ის განაკვეთებია, რომლებიც შესადარისი ქვეყნების შემოსავლიანობის მრუდების მიხედვით არის გამოთვლილი.
- (b) ისეთ აქციებთან დაკავშირებული სამწლიანი ოფციონი, რომლებიც მიმოიქცევა საფონდო ბირჟაზე. მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება აქციების წარსული პერიოდების ცვალებადობა, ე.ი. აქციების ცვალებადობა, რომელიც აქციების წარსული პერიოდების ფასებიდან გამოითვლება. როგორც წესი, აქციების წარსული პერიოდების ცვალებადობა არ ასახავს აქციების სამომავლო ცვალებადობის შესახებ ბაზრის მონაწილეთა მოლოდინებს მიმდინარე მომენტში, თუნდაც ეს ინფორმაციის ერთადერთი წყარო იყოს ოფციონის ფასის დასადგენად.
- (c) საპროცენტო განაკვეთის სვოპი. მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება სვოპის საშუალო საბაზრო შეთანხმებული (არასავალდებულო) ფასი, რომელიც დამუშავებულია ისეთი მონაცემების საფუძველზე, რომლებიც უშუალოდ ემპირიული არ არის და ემპირიული საბაზრო მონაცემებით არანაირი გზით არ შეიძლება მათი დადასტურება.
- (d) საჯარო სექტორის ერთეულების გაერთიანებისას აღებული ვალდებულება, ობიექტების ექსპლუატაციიდან ამოღების თაობაზე. მე-3 დონის მონაცემები იქნება მიმდინარე შეფასება, გამოთვლილი ერთეულის საკუთარი მონაცემების საფუძველზე, რომლებიც ეხება მომავალში ერთეულიდან ფულადი ნაკადების გასვლას ვალდებულების დასაფარად (მათ შორის, ბაზრის მონაწილეთა მოლოდინების გათვალისწინებით, ვალდებულების დაფარვისთვის საჭირო დანახარჯებისა და კომპენსაციის შესახებ, რომელსაც ბაზრის მონაწილე მოითხოვდა აქტივის დემონტაჟის ვალდებულების თავის

თავზე აღებისთვის), თუ არ არსებობს დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც იმაზე მიაჩნებს, რომ ბაზრის მონაწილეები სხვა დაშვებებს გამოიყენებდნენ. ამგვარი მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები დღევანდელი ღირებულების მეთოდში გამოიყენება სხვა ამოსავალ მონაცემებთან ერთად, როგორცაა, მაგალითად მიმდინარე ურისკო საპროცენტო განაკვეთი, ან ურისკო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც კორექტირებულია კრედიტუნარიანობის გათვალისწინებით, თუ ვალდებულების სამართლიან ღირებულებაზე ერთეულის საკრედიტო რეპუტაციის გავლენა ასახულია დისკონტირების განაკვეთში და არა იმ ფულადი ნაკადების შეფასებაში, რომელთა ერთეულიდან გასვლაც მოსალოდნელია მომავალში.

- (e) ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული. მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები იქნება ფინანსური საპროგნოზო მონაცემები (მაგალითად, ფულადი სახსრები), რომლებიც დამუშავებულია ერთეულის საკუთარი მონაცემების საფუძველზე, თუ არ არსებობს დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც იმაზე მიაჩნებს, რომ ბაზრის მონაწილეები სხვა დაშვებებს გამოიყენებდნენ.

ცვლილებები სხვა სსბასს-ებში

ცვლილებები სსბასს 1-ში, ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

ცვლილებები შევიდა პუნქტებში 133, 134, 141 და 143. დამატა პუნქტი 153P. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

სტრუქტურა და შინაარსი

...

შინაარსი

...

სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება

...

133. მნიშვნელოვანია, რომ ერთეულმა მომხმარებლებს ინფორმაცია მიაწოდოს, ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული შეფასების საფუძვლის ან საფუძვლების შესახებ (მაგალითად, პირვანდელი ღირებულება საფუძველი, მიმდინარე, ნეტო სარეალიზაციო, მიმდინარე საოპერაციო ღირებულება, შესრულების ღირებულება ან სამართლიანი და ანაზღაურებადი ღირებულება ან გამოყენების აღდგენითი თანხა ღირებულება), რადგან ის საფუძველი, რომლის მიხედვითაც მზადდება ფინანსური ანგარიშგება, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ ჩატარებულ ანალიზზე. თუ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენება ერთზე მეტი შეფასების მეთოდი, მაგალითად, როდესაც გადაფასებულია აქტივების კონკრეტული ჯგუფები, საკმარისია აქტივებისა და ვალდებულებების იმ კატეგორიების ჩვენება, რომელთა შეფასებისთვისაც გამოყენებული იყო კონკრეტული შეფასების საფუძველი.
134. როდესაც წყდება ამა თუ იმ სააღრიცხვო პოლიტიკის გაშუქების საჭიროების საკითხი, ერთეულის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს, დაეხმარება თუ არა ეს ინფორმაცია მომხმარებლებს იმის გაგებაში, როგორ აისახა ერთეულის მიერ განხორციელებული ოპერაციები, სხვა მოვლენები და პირობები ერთეულის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაში, რომელიც ანგარიშგებაში არის წარმოდგენილი. კონკრეტული სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომხმარებლებისათვის, როცა ამ პოლიტიკის არჩევა ხდება სსბასს-ის მიერ დაშვებული ალტერნატივებიდან. ამის მაგალითად გამოდგება იმის გამჟღავნება, ერთეული მიმდინარე ღირებულების სამართლიანი ღირებულების მოდელს იყენებს თუ პირვანდელი ღირებულების მოდელს თავის საინვესტიციო ქონებასთან მიმართებით (იხ. სსბასს 16, *საინვესტიციო ქონება*). ზოგიერთი სსბასს სპეციალურად მოითხოვს კონკრეტული

სააღრიცხვო პოლიტიკის ახსნას, ხელმძღვანელობის მიერ სხვადასხვა შესაძლო სააღრიცხვო პოლიტიკებს შორის გაკეთებული არჩევანის მითითებით. მაგალითად, სსბას 17 მოითხოვს ძირითადი საშუალებების სხვადასხვა კატეგორიისთვის გამოყენებული შეფასების საფუძვლის განმარტებას. სსბას 5 - სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოითხოვს განმარტებას სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები მაშინვე აღიარდება, თუ არა ხარჯებად თუ მოხდება მათი კაპიტალიზაცია როგორც განსაკუთრებული აქტივების ღირებულებისა.

...

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

...

141. ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულების საბალანსო ღირებულების განსაზღვრა მოითხოვს საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღისათვის ამ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული მომავალი განუსაზღვრელი მოვლენების შედეგების შეფასებას. მაგალითად, როდესაც არ არსებობს ~~აქტივებისა და ვალდებულებების ბოლო დროს გამოკვლეული საბაზრო ფასი აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასი~~ შემდეგი აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად, საჭიროა მომავალზე ორიენტირებული შეფასებები, რათა დადგინდეს (ა) ძირითადი საშუალებების ჯგუფების ანაზღაურებადი ღირებულება, (ბ) ტექნოლოგიური მოძვლებების გავლენა მარაგებზე, (გ) სასამართლო დავების შედეგად მოსალოდნელი ხარჯების ანარიცხები. ამგვარი შეფასებები ეყრდნობა ისეთ დაშვებებს, როგორიცაა ფულადი სახსრების ნაკადებთან და დისკონტირების განაკვეთებთან დაკავშირებული რისკის კორექტირება, ხელფასებისა და ფასების ცვლილება მომავალში, რაც გავლენას ახდენს სხვა დანახარჯებზე.

...

143. 140-ე პუნქტის განმარტებები არ მოითხოვება იმ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც ექვემდებარება მნიშვნელოვან რისკს იმისა, რომ მათი საბალანსო ღირებულება შესაძლოა არსებითად შეიცვალოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში, თუ ისინი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასებულია მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით იმ პერიოდისათვის გამოკვლეული საბაზრო ფასებით ~~იდეენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით~~ (მათი მასშტაბი მიმდინარე საოპერაციო ღირებულებები ან სამართლიანი ღირებულება შესაძლოა არსებითად შეიცვალოს მომავალ ფინანსურ წელს, მაგრამ ეს ცვლილება არ წარმოიშობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაკეთებული დაშვებებიდან, ან განუსაზღვრელობის შეფასების სხვა წყაროებდან).

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

- 153P. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბას 46-ით, შეფასება, ცვლილებები შევიდა პუნქტებში 133, 134, 141, და 143. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული

პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამყავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამყავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

ცვლილებები სსბასს 3-ში, სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები

ცვლილებები შევიდა 57-ე პუნქტში. დაემატა პუნქტი 59F. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

რეტროსპექტული გამოყენებისა და რეტროსპექტული გადაანგარიშების შეუძლებლობა

...

57. ამიტომ სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტული გამოყენებისას, ან წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომის რეტროსპექტული შესწორებისას საჭიროა სხვა ინფორმაციისაგან განვასხვაოთ ინფორმაცია, რომელიც:

- (a) უზრუნველყოფს მტკიცებულებებს იმ გარემოებებზე, რომლებიც არსებობდა ოპერაციის, სხვა მოვლენის ან პირობის მოხდენის დროს; და
- (b) ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო შესაბამისი წინა საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების დროს;

სხვა ინფორმაციიდან. გარკვეული ტიპის შეფასებებისათვის (მაგალითად, სამართლიანი ღირებულების შეფასება, რომელიც იყენებს მნიშვნელოვან არაემპირიულ მონაცემებს შიფტებს, რომელიც არ ეყრდნობა ემპირიულ ფასებს ან ინფორმაციას) შეუძლებელია ამ ტიპის ინფორმაციის ერთმანეთისაგან განსხვავება. როდესაც რეტროსპექტული გამოყენება ან გადაანგარიშება მოითხოვს მნიშვნელოვანი შეფასების გაკეთებას, რომლისთვისაც შეუძლებელია ორივე ტიპის ინფორმაციის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, შეუძლებელია ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტული გამოყენება, ან წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომის რეტროსპექტული გასწორება.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

59F. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით, შეფასება, ცვლილება შევიდა 57-ე პუნქტში. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოიყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამყავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

ცვლილებები სსბასს 4, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები

ცვლილებები შევიდა 27-ე და A5 პუნქტებში. დამატა პუნქტი 71H. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების ანგარიშგება სამუშაო ვალუტაში

...

ანგარიშგება შემდგომი საანგარიშგებო თარიღებისათვის

27. თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის:

- (a) ფულადი მუხლები უცხოური ვალუტაში გადაანგარიშდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სავალუტო კურსის გამოყენებით;
- (b) არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულების მიხედვით უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით; და
- (c) არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით ან მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება სამართლიანი ღირებულების ან მიმდინარე საოპერაციო ღირებულების დადგენის შეფასების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

71H. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით, შეფასება, ცვლილებები შევიდა 27-ე და A5 პუნქტებში. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის.

წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

დანართი ა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარ განხილვა

წინამდებარე დანართი სსბასს 4-ის შემადგენელი ნაწილია.

...

მოქმედების სფერო

...

A5. წინამდებარე დანართი არ ვრცელდება, როდესაც ერთეული დაკავშირებული აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის შეფასებას ახორციელებს თავდაპირველი აღიარებისას:

(a) სამართლიანი ღირებულებით ან მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით; ან

...

ცვლილებები სსბასს 9, შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან

ცვლილებები შევიდა მე-11 პუნქტში. დაემატა პუნქტი 41F. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

განმარტებები

11. წინამდებარე სტანდარტში ტერმინები გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით:

გაცვლითი ოპერაცია არის ოპერაცია, რომლის დროსაც ერთი ერთეული იღებს აქტივებს ან მომსახურებას, ან იფარება მისი ვალდებულებები და გაცვლაში მონაწილე მეორე მხარეს პირდაპირ უხდის დაახლოებით იმავე ღირებულების საფასურს (ძირითადად, ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან აქტივების გამოყენების ფორმით).

~~სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომლითაც აქტივი შეიძლება გაიყვანოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის, „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებულ ოპერაციაში.~~

არაგაცვლითი ოპერაცია აღნიშნავს ოპერაციას, რომელიც არ წარმოადგენს გაცვლით ოპერაციას. არაგაცვლითი ოპერაციის დროს, ესა თუ ის ერთეული მეორე ერთეულისაგან იღებს გარკვეულ ღირებულებას და ამის სანაცვლოდ მას დაახლოებით იმავე ღირებულების საფასურს პირდაპირ არ უხდის, ან მეორე ერთეულს აძლევს გარკვეულ ღირებულებას და მისგან სანაცვლოდ დაახლოებით იმავე ღირებულების საფასურს პირდაპირ არ იღებს.

ხვა სსბასს-ებში განსაზღვრული ტერმინები წინამდებარე სტანდარტში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც მოცემულია სხვა სტანდარტებში და ცალკე გამოქვეყნებულ ტერმინთა განმარტებების გლოსარში. სამართლიანი ღირებულება განმარტებულია სსბასს 46-ში. შეფასება.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

- 41F. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით, შეფასება, ცვლილებები შევიდა მე-11 პუნქტში. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

ცვლილებები სსბასს 10, ფინანსური ანგარიშგება ჰიპერინფლაციური ეკონომიკის პირობებში

ცვლილებები შევიდა 31-ე პუნქტში. დაემატა პუნქტი 38G. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

ფინანსური ანგარიშგების გადანაგარიშება

...

შესაბამისი მონაცემები

31. წინა საანგარიშგებო პერიოდის შესაბამისი მონაცემები, იმის მიუხედავად, პირვანდელი ღირებულების ~~მყოფდით~~ მოდელით იქნება ისინი შეფასებული თუ მიმდინარე ღირებულების ~~მყოფდით~~ მოდელით, უნდა გადანაგარიშდეს ფასების საერთო ინდექსის გამოყენებით ისე, რომ შესადარისი ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილი იყოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებული ზომის ერთეულებით. უფრო ადრინდელი პერიოდების ინფორმაცია, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში ან მის განმარტებით შენიშვნებში ასახვას ექვემდებარება, ასევე უნდა გამოისახოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებულ ზომის ერთეულში. განსხვავებულ წარსადგენ ვალუტაში შესადარისი თანხების ასახვისათვის გამოიყენება ბასს 4-ის 47 (ბ) და 48-ე პუნქტები.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

- 38G. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით, შეფასება, ცვლილებები შევიდა 31-ე პუნქტში. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

ცვლილებები სსბასს 12, მარაგები

ცვლილებები შევიდა მე-10 და 47-ე პუნქტებში. დამატა პუნქტები 50A–50F, და 51H. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

განმარტებები

...

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება

10. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ნეტო (წმინდა) თანხა, რომლის მიღებასაც მოელის ერთეული ოპერირების ჩვეულებრივ რეჟიმში მარაგების გაყიდვიდან. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომლისთვისაც იგივე მარაგები შესაძლოა გაიყვას ბაზარზე მცოდნე და ყიდვის სურვილის მქონე მყიდველებსა და გამყიდველებს შორის. სამართლიანი ღირებულება ასახავს ფასს, რომლითაც ამ მარაგის ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე იგივე მარაგის ნებაყოფლობითი გაყიდვის ოპერაცია განხორციელდებოდა ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით. პირველი არის ერთეულისათვის დამახასიათებელი სპეციფიური ღირებულება, უკანასკნელი კი არა. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება შესაძლოა არ უდრიდეს ~~რეალიზაციის~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას.

...

განმარტებითი შენიშვნები

47. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტებული უნდა იყოს:
- (a) მარაგების მიმართ გამოყენებული ერთეულის სააღრიცხვო პოლიტიკა, მათ შორის გამოყენებული თვითღირებულების ფორმულა;
 - (b) მარაგების მთლიანი საბალანსო ღირებულება და საბალანსო ღირებულებები მოცემული ერთეულის შესაბამისი კლასიფიკაციის ჯგუფების მიხედვით;
 - (c) იმ მარაგების საბალანსო ღირებულება, რომელიც ასახულია ~~რეალიზაციის~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით;

...

მიმდინარე ღირებულების შეფასება

- 50A. ერთეულმა უნდა გაამჟავნოს ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარებათ შემდეგი ელემენტების შეფასებაში:
- (a) მარაგებისთვის, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების შემდეგ სამართლიანი ღირებულებით პერიოდულად ან ერთჯერადად ფასდება, შეფასების მეთოდები და ამოსავალი მონაცემები, რომლებიც გამოიყენება ამ შეფასებების მისაღებად; და
 - (b) მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების მეშვეობით სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებისთვის (მე-3 დონე), ამ შეფასებების გავლენა პერიოდის ნამეტზე, დეფიციტზე ან წმინდა აქტივებზე/საკუთარ კაპიტალზე.

50B. პუნქტში 50A მოცემული მიზნების მისაღწევად ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- (a) ინფორმაციის დეტალიზაციის დონე, რომელიც საჭიროა გამჟავნების ამ მოთხოვნების შესასრულებლად;
- (b) რამდენად უნდა გაკეთდეს აქცენტი ამ სხვადასხვა მოთხოვნებს შორის თითოეულ მოთხოვნაზე;
- (c) რამდენად უნდა განხორციელდეს აგრეგირება ან დეზაგრეგირება; და
- (d) ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს სჭირდებათ თუ არა დამატებითი ინფორმაცია გამჟავნებული რაოდენობრივი ინფორმაციის შესაფასებლად.

როდესაც წინამდებარე სსბასს-ის ან სხვა სსბასს-ების შესაბამისად გამჟავნებული ინფორმაცია საკმარისი არ არის 50A პუნქტის მიზნების მისაღწევად, ერთეულმა დამატებითი ინფორმაცია უნდა გაამჟავნოს აღნიშნული მიზნების მიღწევისთვის.

50C. 50A პუნქტში მოცემული მიზნების მისაღწევად ერთეულმა სულ მცირე, შემდეგი ინფორმაცია უნდა გაამჟავნოს თითოეული ჯგუფის მარაგებისთვის (მარაგების სათანადო ჯგუფების განსაზღვრის შესახებ ინფორმაციისთვის იხ. პუნქტი 50D), რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსურ მდგომარეობაში აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით (მათ შორის შეფასებები, რომლებიც ეფუძნება სსბასს 46-ის, შეფასება, მოქმედების სფეროს):

- (a) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის და სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასებები და ამ შეფასების განხორციელების მიზეზები. მარაგის სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება ამ სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თითოეული საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. მარაგის სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასება ამ სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გარკვეულ გარემოებებში;
- (b) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც მთლიანობაში მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების აღნიშნული შეფასებები (1-ლი, მე-2 ან მე-3 დონე);
- (c) არაემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული შეფასების მეთოდ(ებ)ისა და ამოსავალი მონაცემების აღწერა. შეფასების მეთოდის ცვლილების შემთხვევაში (მაგალითად, საბაზრო მიდგომიდან შემოსავლების მიდგომაზე გადასვლა ან შეფასების დამატებითი მეთოდის გამოყენება) ერთეულმა უნდა გაამჟავნოს ეს ცვლილება და მისი განხორციელების მიზეზ(ებ)ი. სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება, ერთეულმა უნდა წარმოადგინოს რაოდენობრივი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების შესახებ. ერთეულს რაოდენობრივი ინფორმაცია არ მოეთხოვება გამჟავნების ამ მოთხოვნის შესასრულებლად, როდესაც რაოდენობრივი არაემპირიული

ამოსავალი მონაცემები ერთეულს არ შეუდგენია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას (მაგალითად, როდესაც ერთეული იყენებს ადრინდელი ოპერაციებიდან აღებულ ფასებს ან ფასების შესახებ მესამე მხარის ინფორმაციას კორექტირების გარეშე). თუმცა, ამ გამჟღავნების გაკეთებისას ერთეულმა არ უნდა უგულებელყოს რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის და ერთეულისთვის პრაქტიკულად ხელმისაწვდომია;

(d) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარაღის მე-3 დონეს განეკუთვნება, ან არაემპირიული ამოსავალი მონაცემების მეშვეობით სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებისთვის - საწყისი ნაშთების შეჯერება საბოლოო ნაშთან, პერიოდის განმავლობაში იმ ცვლილებების ცალკე გამჟღავნებით, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ საკითხებთან:

(i) ნამეტში ან დეფიციტში აღიარებული პერიოდის მთლიანი შემოსულობები ან ზარალი და ის მუხლები, სადაც აღიარებულია აღნიშნული შემოსულობები და ზარალი;

(ii) წმინდა აქტივებში/კაპიტალში აღიარებული პერიოდის მთლიანი შემოსულობები ან ზარალი და წმინდა აქტივების/კაპიტალის ის მუხლები, აღიარებულია აღნიშნული შემოსულობები და ზარალი; და

(iii) შესყიდვები, გაყიდვები, გამოშვებები და ანგარიშსწორება (ამ სახის თითოეული ცვლილების ცალკე გამჟღავნებით).

(e) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარაღის მე-3 დონეს განეკუთვნება, ან არაემპირიული ამოსავალი მონაცემების მეშვეობით სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებისთვის - ქვეპუნქტში (d)(i) მითითებული მთლიანი შემოსულობების ან ზარალის თანხა, რომელიც ასახულია ნამეტში ან დეფიციტში და საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ფლობილ მარაგებთან დაკავშირებული არარეალიზებული შემოსულობების ან ზარალის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი, ასევე ნამეტის ან დეფიციტის მქონე ის მუხლები, სადაც აღნიშნული შემოსულობები ან ზარალია აღიარებული;

(f) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარაღის მე-3 დონეს განეკუთვნება, ან არაემპირიული ამოსავალი მონაცემების მეშვეობით სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებისთვის - ერთეულის მიერ გამოყენებული შეფასების პროცესების აღწერა (მათ შორის, მაგალითად, როგორ იღებს ერთეული გადაწყვეტილებას თავისი შეფასების პოლიტიკის, პროცედურებისა და პერიოდებს შორის სამართლიანი ღირებულების შეფასებების ცვლილებების ანალიზის შესახებ); და

(g) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარაღის მე-3 დონეს განეკუთვნება:

(i) ყველა მსგავსი შეფასებისთვის, არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებების მიმართ სამართლიანი ღირებულების შეფასების სენსიტიურობის ტექსტური აღწერა, როდესაც ამ ამოსავალი მონაცემების ცვლილებამ შესაძლოა სამართლიანი

ღირებულების მნიშვნელოვნად მაღალი ან დაბალი შეფასება განაპირობოს. როდესაც კავშირი არსებობს ამ ამოსავალ მონაცემებსა და სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულ სხვა არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს შორის, ერთეულმა ასევე უნდა წარმოადგინოს ამ ურთიერთკავშირების აღწერა და ახსნას, როგორ შეუძლია ამ ურთიერთკავშირებს სამართლიანი ღირებულების შეფასებაზე არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილების გავლენის გაზრდა ან შერბილება. გამჟღავნების ამ მოთხოვნის შესასრულებლად არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებების სენსიტიურობის ტექსტური აღწერა სულ მცირე უნდა მოიცავდეს (c) ქვეპუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებულ არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს.

50D. ერთეულმა უნდა განსაზღვროს მარაგების სათანადო დეზაგრიგაცია შემდეგის საფუძველზე:

- (a) მარაგების ხასიათი, მახასიათებლები და რისკები; და
- (b) სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების მოცემული შეფასება.

სავარაუდოდ დეზაგრიგაციის დონე უფრო მაღალი იქნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რადგან ამ შეფასებებს უფრო მეტი განუსაზღვრელობა და სუბიექტურობა ახასიათებთ. იმ მარაგების დეზაგრიგაციის განსაზღვრისთვის, რომელთათვისაც საჭიროა სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული გამჟღავნებები, საჭიროა განსჯის გამოყენება. ხშირ შემთხვევაში, მარაგებისთვის უფრო მეტი დეზაგრიგაციაა საჭირო, ვიდრე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სხვა მუხლებისთვის. თუმცა, ერთეულმა საკმარისი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ მუხლებთან შეჯერება. როდესაც სხვა სხვას-ში მითითებულია მარაგის დეზაგრიგაცია, ერთეულმა შეიძლება ეს დეზაგრიგაცია გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტში მოცემული გამჟღავნების მოთხოვნის შესასრულებლად, თუ აღნიშნული დეზაგრიგაცია აკმაყოფილებს წინამდებარე პუნქტში მოცემულ მოთხოვნებს.

50E. მარაგების თითოეული ჯგუფისთვის, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით არ არის შეფასებული, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება გამჟღავნებულია, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს პუნქტებით 50C(b), (c) და (g) მოთხოვნილი ინფორმაცია. თუმცა, ერთეულს არ მოეთხოვება რაოდენობრივი ინფორმაციის გამჟღავნება იმ მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების შესახებ, რომლებიც გამოიყენება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს მიკუთვნებული სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რაც მოითხოვება 50C(c) პუნქტით. მსგავსი მარაგებისთვის ერთეულს არ ევალება ამ სტანდარტის გამჟღავნების სხვა მოთხოვნების შესრულება.

50F. წინამდებარე სტანდარტით მოთხოვნილი რაოდენობრივი ინფორმაცია ერთეულმა ცხრილის სახით უნდა წარადგინოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა ფორმატი უფრო შესაფერისია.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

51H. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით, შეფასება, ცვლილებები შევიდა მე-10 და 47-ე პუნქტებში და დაემატა პუნქტები 50A–50F. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის.

წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი დაერთვის სსბასს 12-ს, მაგრამ არ არის მისი შემადგენელი ნაწილი.

...

სსბასს 46-ის, შეფასება, შედეგად სსბასს 12-ის გადასინჯვა.

BC9. სსბასსს-მა სსბასს 46 შეიმუშავა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო შეფასების საფუძვლების ყველა ოპერაციაში თანმიმდევრულად გამოყენება. ამ დოკუმენტის შედეგად ცვლილებები იქნა შეტანილი ბასს 12-ში:

- (a) სამართლიანი ღირებულების განმარტების განახლებით, სსბასს-ებში მისი გამოყენების გარკვევით ჩამოყალიბებისთვის და ფასს-ებთან შესაბამისობისთვის; და
- (b) სამართლიანი ღირებულების გამჟღავნების მოთხოვნების დამატებით, რათა მომხმარებლებს დაეხმაროს შეფასების მეთოდებისა და მარაგების სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემების შეფასებაში, ისევე როგორც პერიოდის ნამეტზე ან დეფიციტზე, ან წმინდა აქტივებზე/კაპიტალზე გავლენის შეფასებაში.

ამ ცვლილებების მიზეზები მოცემულია სსბასს 46-ის დასკვნის საფუძველში.

BC10. სსბასს 46-ით ასევე შემოღებულ იქნა საჯარო სექტორისთვის სპეციფიკური შეფასების საფუძველი, რომელიც ვრცელდება თავიანთ საოპერაციო შესაძლებლობისთვის ფლობილ აქტივებზე. სსბასსს-მა თავის ლიტერატურაში შეფასების ყველა საფუძვლის მიმოხილვის ფარგლებში გაითვალისწინა, ამ სტანდარტში დაემატებინა თუ არა მიმდინარე საოპერაციო ღირებულება ან ჩანაცვლებინა არსებული შეფასების საფუძველი.

BC11. სსბასსს დათანხმდა ამ სტანდარტში შეფასების არსებული საფუძვლების შენარჩუნებაზე. სსბასსს-მა კონკრეტულად აღნიშნა, რომ ამ სტანდარტში უნდა შენარჩუნებულიყო და არ ჩანაცვლებულიყო მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულება, რომელსაც გარკვეული საზიარო მახასიათებლები აქვს მიმდინარე საოპერაციო ღირებულებასთან, რადგან, სსბასს 46-ის გამოცემისას სსბასსს-თვის ცნობილი არ იყო პრაქტიკაში მარაგებთან მიმართებით მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულების გამოყენებასთან დაკავშირებული რაიმე პრობლემის შესახებ. სსბასსს დათანხმდა, რომ წინამდებარე სტანდარტში კონკრეტული შეფასების საფუძვლის ნებისმიერი ცვლილება განხილული ყოფილიყო როგორც განცალკევებული პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ამ სსბასსს-თან. ეს დაინტერესებულ მხარეებს ამ წინადადების შედეგების კარგად გათვალისწინების საშუალებას აძლევთ.

ცვლილებები სსბასს 16, საინვესტიციო ქონება

ცვლილებები შევიდა პუნქტებში 33, 38, 39, 40, 41, 41A, 41C, 42, 49, 49A, 50, 57, 59, 62, 62A, 62B, 63, 65, 70, 79, 86, 87, 89, 90 და 97 და პუნქტების 42, 62, 65, 86, 87, 89A, 90, 97 და 100 ზემოთ მოცემულ დაკავშირებულ სათაურებში. დამატა პუნქტები 89A–89F და 101K. ამოღებულ იქნა პუნქტები 45–48, 51–56, 58, 60, და 86(d). ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

შეფასება აღიარებისას

...

33. როდესაც ერთეული 27–ე პუნქტის შესაბამისად, საკუთარ საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რელური ღირებულება წარმოადგენს ქონების თვითღირებულებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთეულმა უნდა გადაწყვიტოს ის ~~სამართლიანი მიმდინარე ღირებულების~~ მოდელს (42–64 პუნქტები) გამოიყენებს თუ ~~ფიქტივიზაციის~~ პირვანდელი ღირებულების მოდელს (65 პუნქტი).

...

38. იმ აქტივის სამართლიანი ღირებულება, რომლისთვისაც არ არსებობს შესადარისი საბაზრო გარიგებები, შესაძლებელია საიმედოდ შეფასდეს, თუ (ა) მოცემული აქტივის სამართლიანი ღირებულების გონივრული შეფასების რხევის დიაპაზონი მნიშვნელოვანი არ არის ან (ბ) ამ დიაპაზონის ფარგლებში სხვადასხვა სიდიდეების ალბათობა შეიძლება გონივრულად შეფასდეს და გამოყენებულ იქნას სამართლიანი ღირებულების ~~განსაზღვრად~~ შეფასებისას. თუ ერთეულს შეუძლია საიმედოდ ~~განსაზღვროს~~ შეფასდეს მიღებული ან გადაცემული აქტივის სამართლიანი ღირებულება, მაშინ ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება გადაცემული აქტივის სამართლიანი ღირებულება, თუ მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება უფრო მეტად თვალსაჩინო არაა.

შეფასება აღიარების შემდეგ

სააღრიცხვო პოლიტიკა

39. 41A პუნქტში აღწერილი გამოწვევის გარდა, ერთეულმა უნდა აირჩიოს თავის სააღრიცხვო პოლიტიკად 42–64 პუნქტში მოცემული ~~სამართლიანი მიმდინარე ღირებულების~~ მოდელი ან 65–ე პუნქტში აღწერილი ~~ფიქტივიზაციის~~ პირვანდელი ღირებულების მოდელი და ეს მეთოდი გამოიყენოს ყველა თავისი საინვესტიციო ქონებისთვის.
40. სსბასს 3, სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, ადგენს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის შედეგად ერთეულის ფინანსურ ანგარიშგება უფრო სამართლიანად წარადგენს უფრო შესაბამის ინფორმაციას ერთეულის ოპერაციების შედეგებზე, სხვა მოვლენებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებზე და ფულადი სახსრების ნაკადებზე. ძალზედ ნაკლებსავარაუდოა, რომ ~~სამართლიანი მიმდინარე ღირებულების~~ მოდელიდან ~~ფიქტივიზაციის~~ პირვანდელი ღირებულების მოდელზე გადასვლამ უზრუნველყოს უფრო შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა.

41. ამ სტანდარტით მოითხოვება, რომ ყველა ერთეულმა ~~განსაზღვროს~~ შეფასოს საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება მათი შეფასების (თუ სუბიექტი იყენებს ~~სამართლიანი მიმდინარე ღირებულების~~ მოდელს), ან ინფორმაციის გასამჟღავნებლად (თუ ერთეული იყენებს ~~თვითღირებულების~~ პირვანდელი ღირებულების მოდელს). რეკომენდებულია, თუმცა სავალდებულო არაა, რომ ერთეულმა მოახდინოს საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ~~დადგენა~~ შეფასება ისეთი დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელსაც გააჩნია აღიარებული და შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია და შესაფასებელი საინვესტიციო ქონების ანალოგიური კატეგორიისა და ადგილმდებარეობის უახლოეს წარსულში შეფასების გამოცდილება.

41A. ერთეულმა შესაძლოა:

- (a) აირჩიოს ~~სამართლიანი მიმდინარე ღირებულების~~ მოდელი ან პირვანდელი ღირებულების მოდელი ყველა საინვესტიციო ქონებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლებს, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული მოცემულ სამართლიან ღირებულებასთან, ან შემოსავლებს სპეციფიკური აქტივებიდან, მათ შორის საინვესტიციო ქონებიდან; და
- (b) აირჩიოს ~~სამართლიანი მიმდინარე ღირებულების~~ ღირებულების მოდელი ან პირვანდელი ღირებულების მოდელი ყველა საინვესტიციო ქონებისთვის, მიუხედავად (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად გაკეთებული არჩევანისა.

...

41C. თუ ერთეული პუნქტში 41A აღწერილი ორი კატეგორიისთვის განსხვავებულ მოდელებს შეარჩევს, მაშინ სხვადასხვა მოდელების გამოყენებით შეფასებული აქტივების ერთობლიობებს შორის საინვესტიციო ქონების გაყიდვა სამართლიანი ღირებულებით უნდა აღიარდეს და სამართლიანი ღირებულების კუმულაციური ცვლილება ნამეტში ან დეფიციტში უნდა აღიარდეს. შესაბამისად, როდესაც საინვესტიციო ქონება გაიყიდება აქტივების ერთობლიობიდან, რომელთან მიმართებით ~~სამართლიანი მიმდინარე ღირებულების~~ მოდელი გამოიყენება იმ ერთობლიობის სასარგებლოდ, რომელთან მიმართებით პირვანდელი ღირებულების მოდელი გამოაიყენება, მაშინ გაყიდვის თარიღით ამ ქონების სამართლიანი ღირებულება გახდება მისი დასაშვები საწყისი ღირებულება.

სამართლიანი მიმდინარე ღირებულების მოდელი

42. როდესაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ერთეული აირჩევს ~~სამართლიანი მიმდინარე ღირებულების~~ მოდელს, მან მთელი საინვესტიციო ქონება უნდა შეფასოს სამართლიანი ღირებულებით, გარდა 62-ე პუნქტში აღნიშნული შემთხვევებისა.

...

45. ~~საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლითაც ქონება შეიძლება გაიყვანოს კარგად გათვითცნობიერებული გარიგების მსურველ დამოუკიდებელ მხარეებს შორის (იხ. პუნქტი 7). როგორც წესი, სამართლიანი ღირებულება გამოირიცხავს შეფასებით ღირებულებას გაზრდილს ან შემცირებულს ისეთი გარემოებების ან პირობების შეგავლენით, როგორებიცაა განსაკუთრებული სახის დაფინანსება, გაყიდვის ოპერაცია უკუიჯარის პირობით, გარიგებაში მონაწილე ნებისმიერი მხარისათვის მიცემული საგანგებო კომპენსაციები ან ფასდაკლებები. [ამოღებულია].~~

46. ~~სამართლიანი ღირებულების დადგენისას, ერთეული არ ითვალისწინებს საოპერაციო ხარჯებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას აქტივის გაყიდვით ან სხვა სახით გაცვლისას. [ამოღებულია]~~
47. ~~საინვესტიციო ქონების სამართლიანმა ღირებულებამ უნდა ასახოს ბაზრის ის მდგომარეობა, რომელიც არსებობდა სააგარიშგებო თარიღისათვის. [ამოღებულია]~~
48. ~~სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება დროის კონკრეტული მომენტისათვის. ვინაიდან ბაზრის პირობები შეიძლება შეიცვალოს, შეფასებული სამართლიანი ღირებულება შეიძლება იყოს არაზუსტი ან არასათანადო დროის კონკრეტული მომენტისათვის. სამართლიანი ღირებულების განმარტება ასევე გულისხმობს გაცვლის ან გაყიდვის ხელშეკრულების ერთდროულად აღსრულებას ფასში რაიმე ცვლილების გარეშე, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს კარგად გათვითცნობიერებულ და გარიგების მსურველ დამოუკიდებელ მხარეებს შორის იმ შემთხვევაში, როდესაც გაცვლა და გარიგების აღსრულება დროის სხვადასხვა მომენტში ხდება. [ამოღებულია]~~
49. სსბასს 46-ის შესაბამისად საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ერთეულმა უნდა უზრუნველყოს, რომ აღნიშნული სამართლიანი ღირებულება სხვასთან ერთად, ასახავს საიჯარო შემოსავლებს მიმდინარე იჯარის ხელშეკრულებიდან და კარგად გათვითცნობიერებულ და გარიგების დადების მსურველი მხარეების მიერ მომავალი იჯარის ხელშეკრულებებიდან გაკეთებულ გონივრულ და დასაბუთებულ სხვა დაშვებებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ საინვესტიციო ქონების შეფასებისას მომავალი იჯარიდან საიჯარო შემოსავლებთან მიმართებით არსებული საბაზრო მდგომარეობის გათვალისწინებით. სამართლიანი ღირებულება, ანალოგიურ საფუძვლზე, ასევე ასახავს ფულადი სახსრების ნებისმიერ გადინებას (საიჯარო გადასახდელებისა და ფულადი სახსრების სხვა გადინებას), რომელიც შეიძლება მოსალოდნელი იყოს ქონებასთან დაკავშირებით.
- 49A. როდესაც მოიჯარე ~~სამართლიანი მიმდინარე ღირებულების~~ მოდელს იყენებს საინვესტიციო ქონების, რომელიც ფლობილია აქტივის გამოყენების უფლებით, შეფასებისთვის, მან სამართლიანი ღირებულებით უნდა შეაფასოს აქტივის გამოყენების უფლება და არა საიჯარო აქტივი.
50. სსბასს 43-ში მიღილებულია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლებით ფლობილი საინვესტიციო ქონების ღირებულების თავდაპირველი აღიარების საფუძველი. 42-ე პუნქტით მოითხოვება მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლებით ფლობილი საინვესტიციო ქონების ხელახლა შეფასება სამართლიანი ღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში, როდესაც ერთეული არჩევს, რომ გამოიყენოს ~~სამართლიანი მიმდინარე ღირებულების~~ მოდელი. როდესაც საიჯარო გადახდები საბაზრო განაკვეთით ხორციელდება, მოიჯარის მიერ შეძენისას აქტივის გამოყენების უფლებით ფლობილი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება, ყველა მოსალოდნელი საიჯარო გადახდის გამოკლებით (მათ შორის აღიარებულ საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებულის), ნულის ტოლი უნდა იყოს. ამგვარად, სსბასს 43-ის შესაბამისად აქტივის გამოყენების უფლების, რომელიც თვითღირებულებით იყო შეფასებული, 42-ე პუნქტის შესაბამისად სამართლიანი ღირებულებით შეფასებამ (59-ე პუნქტში მოცემული მოთხოვნების გათვალისწინებით) არ უნდა წარმოქმნას რაიმე თავდაპირველი შემოსულობა ან ზარალი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლიანი ღირებულება სხვადასხვა დროს შეფასდება. ეს შესაძლებელია მოხდეს მაშინ, როდესაც სამართლიანი ღირებულების საფუძვლის მოდელის

გამოყენების არჩევანი გაკეთდება თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

51. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში ნახსენებია „კარგად გათვითცნობიერებული, გარიგების მსურველი მხარეები“. „კარგად გათვითცნობიერებული“ ამ კონტექსტში გულისხმობს, რომ ორივე, გარიგების მსურველი მყიდველი და გამყიდველი საკმარისად არიან ინფორმირებულნი საინვესტიციო ქონების ობიექტის ძირითად თვისებებსა და მახასიათებლების შესახებ, იცნობენ მისი გამოყენების ფაქტობრივ და პოტენციურ შესაძლებლობებს და საანგარიშგებო თარიღისათვის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. გარიგების დადების მსურველი მყიდველი მოტივირებულია, მაგრამ იძულებული არაა დადოს გარიგება. ასეთი მყიდველი არ მიისწრაფვის და არც მიზნად ისახავს ნებისმიერ ფასად შეიძინოს ქონება. სავარაუდოდ მყიდველი არ გადაიხდის იმაზე უფრო მაღალ ფასს, ვიდრე კარგად გათვითცნობიერებული და გარიგების მსურველი მყიდველები და გამყიდველები მოითხოვდნენ. [ამოღებულია]
52. გარიგების დადების მსურველი გამყიდველი არ მიისწრაფვის, არც იძულებულია და არც მზადაა ნებისმიერ ფასად გაყიდოს ქონება ან დააწესოს ისეთი ფასი, რომელიც არ ჩაითვლება გონივრულად არსებულ საბაზრო პირობებში. გარიგების დადების მსურველი გამყიდველი დანტერესებულია გაყიდოს საინვესტიციო უძრავი ქონება მოცემულ საბაზრო პირობებში ყველაზე საუკეთესო ფასად. საინვესტიციო უძრავი ქონების რეალური მფლობელის ფაქტიური მდგომარეობა არ მიიღება მხედველობაში, ვინაიდან გაყიდვის დადების მსურველი გამყიდველი წარმოადგენს პიპოტენტურ მფლობელს (მაგალითად გარიგების დადების მსურველი გამყიდველი არ მიიღებს მხედველობაში საინვესტიციო უძრავი ქონების რეალური მფლობელის დაბეგვრასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ პირობებს). [ამოღებულია]
53. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში გამოიყენება ცნება „დამოუკიდებელ მხარეებს შორის დადებული გარიგება“. დამოუკიდებელ მხარეებს შორის დადებული გარიგება წარმოადგენს ოპერაციას ორ ისეთ მხარეს შორის, რომლებსაც არ გააჩნიათ რაიმე განსაკუთრებული და გამორჩეული ურთიერთობა, რომლის შედეგადაც დადგინდებოდა ბაზრისათვის არატიპური ფასი. იგულისხმება, რომ ასეთი გარიგება დაიდება ერთმანეთთან დამოუკიდებელ მხარეებს შორის, რომლებიც მოქმედებენ დამოუკიდებლად. [ამოღებულია]
54. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო დასაბუთებას წარმოადგენს ისეთივე ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის, აგრეთვე მსგავსი საიჯარო ან სხვა ხელშეკრულების საგნის ქონების ობიექტის მიმდინარე ფასები აქტიურ ბაზარზე. ერთეულმა უნდა გამოავლინოს ქონების თვისებასთან, ადგილმდებარეობასთან, მდგომარეობასთან ან ქონებასთან დაკავშირებულ საიჯარო ან სხვა ხელშეკრულებათა პირობებში არსებული ყველაანარი განსხვავებები. [ამოღებულია]
55. 54-ე პუნქტში აღწერილ აქტიურ ბაზარზე მიმდინარე ფასების არარსებობის შემთხვევაში, ერთეული ითვალისწინებს სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ისეთ ინფორმაციას როგორიცაა:
- (ა) განსხვავებული თვისების, მდგომარეობის ან მდებარეობის (ან განსხვავებული იჯარის ან ხელშეკრულების საგნის) ქონების მიმდინარე ფასები აქტიურ ბაზარებზე, არსებული განსხვავებების კორექტირების გათვალისწინებით;
 - (ბ) ანალოგიური ქონების ნაკლებად აქტიური ბაზრების ბოლო ფასებს, რომელიც გაკორექტირებულია ამ ფასებით დადებული გარიგების შემდეგ ეკონომიკური პირობების

ცვლილებების გათვალისწინებით; და

- (c) ~~ფულადი სახსრების მომავალი ნაკადების საიმედოდ შეფასებაზე დამყარებულ დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადების პროგნოზებს, რომლებიც ეფუძნება მოქმედი იჯარის ან სხვა ხელშეკრულებების პირობებს, და ასევე (როდესაც შესაძლებელია) გარე წყაროების ისეთ მონაცემებს, როგორიცაა, ანალოგიური მდებარეობისა და მდგომარეობის ქონების საიჯარო გადასახდელების საბაზრო განაკვეთები, ისეთი დისკონტირების განაკვეთების გამოყენება, რომლებიც ასახავენ ფულადი სახსრების ნაკადების სიდიდის და წარმოქმნის ვადების გაურკვევლობის ხარისხის მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. [ამოღებულია]~~
56. ზოგიერთ შემთხვევაში, წინა პუნქტში დასახელებული ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება გაკეთდეს განსხვავებული დასკვნები, საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაზე. ერთეული შეისწავლის ასეთი განსხვავებების გამომწვევ მიზეზებს, რათა განსაზღვროს სამართლიანი ღირებულების ყველაზე საიმედო შეფასება, სამართლიანი ღირებულების გონივრული შეფასებების დიაპაზონში. [ამოღებულია]
57. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ერთეული პირველად იძენს საინვესტიციო ქონებას (ან, როდესაც არსებული ქონება პირველად გადაიქცევა საინვესტიციო ქონებად მისი დანიშნულების ცვლილების შემდეგ), არსებობს იმის უტყუარი მტკიცებულება, რომ სამართლიანი ღირებულებების შეფასებების გონივრულ დიაპაზონში იმდენად დიდი ცვლილებაა, და ამა თუ იმ შემდეგის მიღების ალბათობების შეფასება იმდენად რთულია, რომ სამართლიანი ღირებულების განცალკევებით შეფასება მიუღებელია. ეს შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ შეუძლებელია საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების საიმედოდ დადგენა შეფასება უწყვეტად (იხ. პუნქტი 62).
58. ~~სამართლიანი ღირებულება განსხვავდება აქტივის გამოყენების ღირებულებისაგან, რომელიც განმარტებულია სსპასს 21-ში ფულადი სახსრების არაწარმოქმნილი აქტივების გაუფასურება და სსპასს 26-ში, ფულადი სახსრების წარმოქმნილი აქტივების გაუფასურება. სამართლიანი ღირებულებაში აისახება გათვითცნობიერება და კარგად გათვითცნობიერებული და ასეთი გარიგების დადების მსურველი მყიდველისა და გამყიდველის შეფასება. ამისგან განსხვავებით, აქტივის გამოყენების ღირებულება ასახავს ერთეულის შეფასებებს, მათ შორის, ისეთი ფაქტორების ზეგავლენას, რომლებიც დამახასიათებელია მოცემული ერთეულისათვის და ზოგადად არ ეხება სხვა ერთეულებს. მაგალითად, სამართლიანი ღირებულება არ ასახავს არც ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორს, თუ ისინი ხელმოუწვდომელია კარგად გათვითცნობიერებული გარიგების დადების მსურველი მყიდველისა და გამყიდველისათვის:~~
- (a) ~~სხვადასხვა ადგილზე განთავსებული ქონების პორტფელის ფორმირების შედეგად წარმოქმნილი დამატებითი ღირებულება;~~
- (b) ~~საინვესტიციო ქონებისა და სხვა აქტივების გაერთიანებით მიღებული სინერგია;~~
- (c) ~~მხოლოდ ამჟამინდელ მფლობელთან დაკავშირებული სპეციფიკური იურიდიული უფლებები ან შეზღუდვა; და~~
- (d) ~~მხოლოდ ამჟამინდელი მფლობელისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური საგადასახადო ტვირთი ან შეღავათები. [ამოღებულია]~~

59. სამართლიანი ღირებულებით აღრიცხვის მოდელის საფუძვლის შესაბამისად, საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულების დადგენისას, ერთეულმა თავიდან უნდა აიცილოს იმ აქტივებისა და ვალდებულებების ორმაგი აღრიცხვა, რომლებიც აღიარებულია ცალკე აქტივებისა და ვალდებულებების სახით. მაგალითად:
- (a) ისეთი მანქანა-დანადგარები, როგორებიცაა ლიფტები და ჰაერის კონდიციონერების სისტემები ხშირად წარმოადგენს შენობის შემადგენელ ნაწილს და შეტანილია საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში და არ აღიარდება როგორც ძირითადი საშუალებები.
 - (b) თუ ოფისი გაქირავებულია ავეჯთან ერთად, ოფისის სამართლიანი ღირებულება, როგორც წესი, მოიცავს ავეჯის სამართლიან ღირებულებასაც, რადგან საიჯარო გადასახდელი განკუთვნილია ავეჯით გაწყობილი ოფისისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ავეჯის ღირებულება შესულია საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში, ერთეული ამ ავეჯს არ აღიარებს, როგორც ცალკე აქტივს.
 - (c) საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება არ მოიცავს დარიცხულ ან წინასწარ გადახდილ საიჯარო შემოსავლებს, რადგან ერთეული მათ აღიარებს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.
 - (d) მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლებით ფლობილი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს (მათ შორის ცვალებადი საიჯარო გადახდები, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გადასახდელი გახდება). შესაბამისად, თუ უძრავი ქონების დადგენილი შეფასება არ მოიცავს ყველა გადასახდელ თანხას, მაშინ საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ყველა აღიარებული საიჯარო ვალდებულება, რათა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხვის მოდელის საფუძვლის გამოყენებით განისაზღვროს საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება.
60. ~~საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება არ ასახავს ქონების გაუმჯობესების ან სრულყოფის მიზნით მომავალში გასაწევ კაპიტალურ დანახარჯებს, და ასევე არც გასაწევი ხარჯების გაწევის შედეგად მოსალოდნელ მომავალ სარგებელს. [ამოღებულია]~~

...

სამართლიანი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრის შეფასების შეუძლებლობა

62. არსებობს საკამათო დაშვება, რომ ერთეული მუდმივად შეძლებს საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრას შეფასებას. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ერთეული პირველად იძენს საინვესტიციო ქონებას, შეძენის მომენტში (ან როდესაც ხსენებული ქონება გადაიქცევა საინვესტიციო ქონებად, მის დანიშნულებაში მომხდარი ცვლილების შედეგად) შეიძლება აღმოჩნდეს, რომ შეუძლებელია უწყვეტად ქონების სამართლიანი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა შეფასება. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შესადარისი ქონების ბაზარი არ არის აქტიური (მაგალითად, მცირე რაოდენობით გარიგებებია, ფასის კოტირება მიმდინარე არ არის ან ემპირიული გარიგების ფასები მიუთითებს, რომ გამყიდველმა იძულებით გაყიდა) საბაზრო პერაფიცი იშვიათად ხორციელდება და სამართლიანი ღირებულების დადგენის ალტერნატიული საიმედო შეფასებები (მაგალითად, მოსალოდნელი დისკონტირებული ფულადი ნაკადების პროგნოზების საფუძველზე) არ არსებობს. თუ ერთეული დაასკვნის, რომ მშენებარე საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა შეფასება

შეუძლებელია, მაგრამ ვარაუდობს, რომ ეს მისი საიმედოდ შეფასება შესაძლებელი იქნება მშენებლობის დამთავრების შემდეგ, მან მოცემული მშენებარე საინვესტიციო ქონება უნდა შეაფასოს პირვანდელი ღირებულებით, ვიდრე შესაძლებელი იქნება მისი სამართლიანი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა შეფასება, ან მშენებლობის დამთავრებამდე (იმისდა მიხედვით ამ ორიდან, რომელიც უფრო ადრე მოხდება). თუ ერთეული დაასკვნის, რომ საინვესტიციო ქონების (მშენებარე საინვესტიციო უძრავი ქონების გარდა) სამართლიანი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია უწყვეტად შეუძლებელია, მან ეს საინვესტიციო ქონება უნდა შეაფასოს პირვანდელი ღირებულების მოდელის გამოყენებით სსბასს 17-ის შესაბამისად საკუთრებაში არსებული ქონების შემთხვევაში ან სსბასს 43-ის შესაბამისად მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლებით ფლობილი საინვესტიციო ქონების შემთხვევაში. მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ მოცემული საინვესტიციო ქონების ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლის. ერთეულმა სსბასს 17-ის ან სსბასს 43-ის გამოყენება უნდა განაგრძოს ამ საინვესტიციო ქონების გასვლამდე.

- 62A. როგორც კი ერთეული შეძლებს მშენებარე საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრას, რომელიც ადრე თვითღირებულებით ჰქონდა შეფასებული, მან ეს საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით უნდა შეაფასოს. მიიჩნევა, რომ საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა შესაძლებელია მშენებლობის დასრულების შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქონება უნდა აისახოს პირვანდელი ღირებულების მოდელით სსბასს 17-ის შესაბამისად საკუთრებაში არსებული ქონების შემთხვევაში ან სსბასს 43-ის შესაბამისად მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლებით ფლობილი საინვესტიციო ქონების შემთხვევაში.
- 62B. დაშვება იმის თაობაზე, რომ მშენებარე საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, შესაძლოა უარყოფილი იქნას მხოლოდ თავდაპირველი აღიარებისას. ერთეულმა, რომელმაც მშენებარე საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით შეაფასა, შესაძლოა არ დაასკვნას, რომ დასრულებული საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია.
63. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც 62-ე პუნქტში მითითებული მიზეზების გამო, ერთეული იძულებულია ამა თუ იმ საინვესტიციო ქონების ღირებულება სსბასს 17-ის ან სსბასს 43-ის შესაბამისად პირვანდელი ღირებულების მოდელით შეაფასოს, ერთეული ყველა სხვა საინვესტიციო ქონებას, მათ შორის მშენებარე საინვესტიციო ქონებას აფასებს სამართლიანი ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ერთეულის ერთი საინვესტიციო ქონების ობიექტისათვის შეუძლია გამოიყენოს პირვანდელი ღირებულების მოდელი, მან უნდა გაარძელოს ყველა დანარჩენი საინვესტიციო ქონების ობიექტების აღრიცხვა სამართლიანი მიმდინარე დღევანდელი ღირებულების მოდელით.

...

პირვანდელი ღირებულების მოდელი

65. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთეულმა, რომელიც ირჩევს პირვანდელი ღირებულების მოდელს, საინვესტიციო ქონება უნდა შეაფასოს:
- (ა) სსბასს 43-ის შესაბამისად, თუ ის მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლებით არის ფლობილი;

(b) პირვანდელი ღირებულების მოდელთან დაკავშირებით სსბასს 17-ში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად, თუ ის მესაკუთრის მიერ არის ფლობილი, როგორც საკუთარი საინვესტიციო ქონება; და

(c) სსბასს 44-ის, გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები, შესაბამისად, თუ ის აკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნულის სახით კლასიფიცირების კრიტერიუმებს (ან შედის გასვლის ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული).

...

სხვა ჯგუფში გადატანა

...

70. 71-76-ე პუნქტები ეხება აღიარებისა და შეფასების საკითხებს და გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ერთეული საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის იყენებს ~~სამართლიანი მიმდინარე დღევანდელი~~ პირვანდელი ღირებულების მოდელს. თუ ერთეული იყენებს პირვანდელი ღირებულების მოდელს, მაშინ საინვესტიციო ქონების, მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონებისა და მარაგების კატეგორიებს შორის ობიექტების გადატანა არ იწვევს არც გადატანილი ქონების საბალანსო ღირებულების და არც ობიექტის ღირებულების ცვლილებას, შეფასების ან ინფორმაციის გამჟღავნების მიზნებისთვის.

...

გასვლა

...

79. თუ მე-20 პუნქტში აღიარების პრინციპის შესაბამისად, ერთეული აქტივის საბალანსო ღირებულებაში აღიარებს საინვესტიციო ქონების ნაწილის შეცვლის ღირებულებას, მაშინ შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. პირვანდელი ღირებულების მოდელით აღრიცხული საინვესტიციო ქონებისათვის, შეცვლილი ნაწილი შეიძლება იყოს ის ნაწილი, რომელიც ცალკე არ ამორტიზირდებოდა. თუ შეუძლებელია შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების განსაზღვრა, მაშინ ერთეულს შეუძლია გამოიყენოს ჩანაცვლების ღირებულება, როგორც შეცვლილი ნაწილის ღირებულების მაჩვენებელი, მისი შეძენის ან მშენებლობის მომენტისათვის. ~~სამართლიანი მიმდინარე დღევანდელი~~ პირვანდელი ღირებულების მოდელის გამოყენებისას, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება შეიძლება უკვე ასახავდეს იმ ფაქტს, რომ უძრავი ქონების ნაწილმა, რომელიც ექვემდებარება შეცვლას, უკვე დაკარგა თავისი ღირებულება. სხვა შემთხვევაში, შეიძლება ძნელი იყოს იმის დადგენა, თუ რამდენით უნდა შემცირდეს სამართლიანი ღირებულება შესაცვლელი ნაწილის ჩამოწერისას. როდესაც ამის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია, შეცვლილი ნაწილის ჩამოწერისას სამართლიანი ღირებულების შემცირების ალტერნატივას წარმოადგენს, შეცვლის ღირებულების ჩართვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში და მისი შემდგომი გადაფასება სამართლიან ღირებულებამდე ისე, როგორც ეს აუცილებელი იქნებოდა გაუმჯობესების შემთხვევაში, რომელიც არ იქნებოდა დაკავშირებული შეცვლასთან.

...

განმარტებითი შენიშვნები

სამართლიანი მიმდინარე ღირებულების მოდელი და პირვანდელი ღირებულებს მოდელი

...

86. ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია:

- (a) სამართლიანი მიმდინარე ღირებულებით აღრიცხვის მოდელს იყენებს, თუ პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის მოდელს;
- (b) [ამოღებულია]
- (c) როდესაც ქონების კლასიფიკაცია რთულია (იხ. მე-18 პუნქტი), კრიტერიუმები, რომლებსაც ის იყენებს, რათა ერთმანეთისგან გაარჩიოს საინვესტიციო ქონება, მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება და ქონება, რომელიც განკუთვნილია გასაყიდად ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში;
- (d) საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების დადგენისას გამოყენებული მეთოდები და არსებითი დაშვებები, მათ შორის განცხადება იმის შესახებ, რომ მოყვანილი სამართლიანი ღირებულება დასტურდება ბაზრის მონაცემებით, ან ის ძირითადად ეფუძნება სხვა ფაქტორებს (რომლებიც ერთეულის მხრიდან საჭიროებს ინფორმაციის გამჟღავნებას) საინვესტიციო ქონების ბუნების, ან შესაძარისი საბაზრო მონაცემების არარსებობის გამო;
- (e) ...

...

სამართლიანი მიმდინარე ღირებულების მოდელი

87. 86-ე პუნქტში აღწერილი განმარტებითი შენიშვნების გარდა, რომლის შესახებ ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს ერთეულმა, რომელიც იყენებს 42-64-ე პუნქტებში აღწერილ სამართლიანი მიმდინარე ღირებულების მოდელს, დამატებით უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულების შეჯერების შესახებ, შემდეგის მითითებით:

- (a) ...

...

89. 62-ე პუნქტში მითითებულ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ერთეული განსაზღვრავს საინვესტიციო ქონების ღირებულებას პირვანდელი ღირებულების მოდელის გამოყენებით, სსბასს 17-ის შესაბამისად ან სსბასს 43-ის შესაბამისად, 87-ე პუნქტით მოთხოვნილმა შეჯერების მიხედვით ამ საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებული თანხები სხვა საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებული თანხებისგან განცალკევებულად უნდა გამჟღავნდეს. ამასთან ერთად, ერთეულმა უნდა წარადგინოს:

...

- (b) ახსნა, თუ რატომ არის შეუძლებელი სამართლიანი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა შეფასება;

...

მიმდინარე ღირებულების შეფასება

89A. ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარებათ ქვემოთ მოცემული ორივე საკითხის შეფასებაში:

- (a) საინვესტიციო ქონებისთვის, რომელიც პერიოდული ან ერთჯერადი სამართლიანი ღირებულებით ფასდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების შემდეგ - შეფასების მეთოდები და ამ შეფასებისთვის გამოყენებული ამოსავალი მონაცემები; და
- (b) მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების (მე-3 დონე) გამოყენებით სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის - ამ შეფასების გავლენა ნამეტზე ან დეფიციტზე ან პერიოდის წმინდა აქტივებზე/საკუთარ კაპიტალზე.

89B. პუნქტში 89A მოცემული მიზნების მისაღწევად ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- (a) ინფორმაციის დეტალიზაციის დონე, რომელიც საჭიროა გამჟავნების ამ მოთხოვნების შესასრულებლად;
- (b) რამდენად უნდა გაკეთდეს აქცენტი ამ სხვადასხვა მოთხოვნებს შორის თითოეულ მოთხოვნაზე;
- (c) რამდენად უნდა განხორციელდეს აგრეგირება ან დეზაგრეგირება; და
- (d) ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს სჭირდებათ თუ არა დამატებითი ინფორმაცია გამჟღავნებული რაოდენობრივი ინფორმაციის შესაფასებლად.

როდესაც წინამდებარე სსბასს-ის ან სხვა სსბასს-ების შესაბამისად გამჟავნებული ინფორმაცია საკმარისი არ არის პუნქტის 89A მიზნების მიღწევისთვის, ერთეულმა დამატებითი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული მიზნების მიღწევისთვის.

89C. პუნქტში 89A მოცემული მიზნების მისაღწევად ერთეულმა სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს საინვესტიციო ქონების თითოეული ჯგუფისთვის (საინვესტიციო ქონების სათანადო ჯგუფის განსაზღვრის შესახებ ინფორმაციისთვის იხ. პუნქტი 89D), რომელიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული (მათ შორის შეფასებები სამართლიანი ღირებულების საფუძველზე სსბასს 46-ის, შეფასება, მოქმედების სფეროს ფარგლებში) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების შემდეგ:

- (a) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის და სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასებები და ამ შეფასების განხორციელების მიზეზები. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება ამ სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თითოეული საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასება ამ სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გარკვეულ გარემოებებში;
- (b) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასებები გაკეთებულია ემპირიული ამოსავალი მონაცემებით თუ არაემპირიული ამოსავალი მონაცემებით. სამართლიანი ღირებულების

პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც მთლიანობაში მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების აღნიშნული შეფასებები (1-ლი, მე-2 ან მე-3 დონე);

- (c) არაემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული შეფასების მეთოდ(ებ)ისა და ამოსავალი მონაცემების აღწერა. შეფასების მეთოდის ცვლილების შემთხვევაში (მაგალითად, საბაზრო მიდგომიდან შემოსავლების მიდგომაზე გადასვლა ან შეფასების დამატებითი მეთოდის გამოყენება) ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ეს ცვლილება და მისი განხორციელების მიზეზ(ებ)ი. სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება ან არაემპირიული ამოსავალი მონაცემების მეშვეობით სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, ერთეულმა უნდა წარმოადგინოს რაოდენობრივი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების შესახებ. ერთეულს რაოდენობრივი ინფორმაცია არ მოეთხოვება გამჟღავნების ამ მოთხოვნის შესასრულებლად, როდესაც რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები ერთეულს არ შეუდგენია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას (მაგალითად, როდესაც ერთეული იყენებს ადრინდელი ოპერაციებიდან აღებულ ფასებს ან ფასების შესახებ მესამე მხარის ინფორმაციას კორექტირების გარეშე). თუმცა, ამ გამჟღავნების გაკეთებისას ერთეულმა არ უნდა უგულებელყოს რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის და ერთეულისთვის პრაქტიკულად ხელმისაწვდომია;
- (d) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება - საწყისი ნაშთების შეჯერება საბოლოო ნაშთან, პერიოდის განმავლობაში იმ ცვლილებების ცალკე გამჟღავნებით, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ საკითხებთან:
- (i) ნამეტში ან დეფიციტში აღიარებული პერიოდის მთლიანი შემოსულობები ან ზარალი და ის მუხლები, სადაც აღიარებულია აღნიშნული შემოსულობები და ზარალი;
 - (ii) წმინდა აქტივებში/კაპიტალში აღიარებული პერიოდის მთლიანი შემოსულობები ან ზარალი და წმინდა აქტივების/კაპიტალის ის მუხლები, აღიარებულია აღნიშნული შემოსულობები და ზარალი; და
 - (iii) შესყიდვები, გაყიდვები, გამოშვებები და ანგარიშსწორება (ამ სახის თითოეული ცვლილების ცალკე გამჟღავნებით) შესყიდვები, გაყიდვები, გამოშვებები და ანგარიშსწორება (ამ სახის თითოეული ცვლილების ცალკე გამჟღავნებით).
- (e) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება, ქვეპუნქტში (d)(i) მითითებული პერიოდის მთლიანი შემოსულობების ან ზარალის თანხა, რომელიც ასახულია ნამეტში ან დეფიციტში და საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ფლობილ აღნიშნულ საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებული არარეალიზებული შემოსულობების ან ზარალის

ცვლილებაზეა მიკუთვნებადი, ასევე ნამეტის ან დეფიციტის მქონე ის მუხლები, სადაც აღნიშნული შემოსულობები ან ზარალია აღიარებული.

(f) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება - ერთეულის მიერ გამოყენებული შეფასების პროცესების აღწერა (მათ შორის, მაგალითად, როგორ იღებს ერთეული გადაწყვეტილებას თავისი შეფასების პოლიტიკის, პროცედურებისა და პერიოდებს შორის სამართლიანი ღირებულების შეფასებების ცვლილებების ანალიზის შესახებ); და

(g) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება:

(i) ყველა მსგავსი შეფასებისთვის, არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებების მიმართ სამართლიანი ღირებულების შეფასების სენსიტიურობის ტექსტური აღწერა, როდესაც ამ ამოსავალი მონაცემების ცვლილებამ შესაძლოა განაპირობოს სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვნად მაღალი ან დაბალი შეფასება. როდესაც კავშირი არსებობს ამ ამოსავალ მონაცემებსა და სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულ სხვა არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს შორის, ერთეულმა ასევე უნდა წარმოადგინოს ამ ურთიერთკავშირების აღწერა და ახსნას, როგორ შეუძლია ამ ურთიერთკავშირებს სამართლიანი ღირებულების შეფასებაზე არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილების გავლენის გაზრდა ან შერბილება. გამჟღავნების ამ მოთხოვნის შესასრულებლად არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებების სენსიტიურობის ტექსტური აღწერა სულ მცირე უნდა მოიცავდეს ქვეპუნქტის (c) მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებულ არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს.

89D. ერთეულმა უნდა განსაზღვროს საინვესტიციო ქონების სათანადო დეზაგრიგაცია შემდეგის საფუძველზე:

(a) საინვესტიციო ქონების ხასიათი, მახასიათებლები და რისკები; და

(b) სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების მოცემული შეფასება, ან სამართლიანი ღირებულება ემპირიულია თუ არა.

სავარაუდოდ დეზაგრიგაციის დონე უფრო მაღალი იქნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რადგან ამ შეფასებებს უფრო მეტი განუსაზღვრელობა და სუბიექტურობა ახასიათებთ. იმ საინვესტიციო ქონების დეზაგრიგაციის განსაზღვრისთვის, რომელთათვისაც საჭიროა სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული გამჟღავნებები, საჭიროა განსჯის გამოყენება. ხშირ შემთხვევაში, საინვესტიციო ქონებისთვის უფრო მეტი დეზაგრიგაციაა საჭირო, ვიდრე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სხვა მუხლებისთვის. თუმცა, ერთეულმა საკმარისი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ მუხლებთან შეჯერება. როდესაც სხვა სსბასს-ში მითითებულია საინვესტიციო ქონების დეზაგრიგაცია, ერთეულმა შეიძლება ეს დეზაგრიგაცია გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტში მოცემული გამჟღავნების მოთხოვნის შესასრულებლად.

თუ აღნიშნული დეზაგრიგაცია აკმაყოფილებს წინამდებარე პუნქტში მოცემულ მოთხოვნებს.

იმ მარაგების დეზაგრიგაციის განსაზღვრისთვის, რომელთათვისაც საჭიროა სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული გამჟღავნებები, საჭიროა განსჯის გამოყენება. ხშირ შემთხვევაში, მარაგებისთვის უფრო მეტი დეზაგრიგაციაა საჭირო, ვიდრე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სხვა მუხლებისთვის

89E. საინვესტიციო ქონების თითოეული ჯგუფისთვის, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით არ არის შეფასებული, მაგრამ რომლის სამართლიანი ღირებულება გამჟღავნებულია, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება ქვეპუნქტებით 89C(b), (c) და (g). თუმცა, ერთეულს არ მოეთხოვება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებებში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების რაოდენობრივი გამჟღავნება ან სამართლიანი ღირებულების შეფასებებში გამოყენებული არაემპირიული ამოსავალი მონაცემების რაოდენობრივი გამჟღავნება, რაც მოითხოვება 89C(c) პუნქტით. მსგავსი საინვესტიციო ქონებისთვის ერთეულს არ მოეთხოვება წინამდებარე სტანდარტში მოცემული გამჟღავნების დანარჩენი მოთხოვნების შესრულება.

89F. წინამდებარე სტანდარტით მოთხოვნილი რაოდენობრივი ინფორმაცია ერთეულმა ცხრილის სახით უნდა წარადგინოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა ფორმატი უფრო შესაფერისია.

...

სამართლიანი პირვანდელი ღირებულების მოდელი

90. 86-ე პუნქტში აღწერილი განმარტებითი შენიშვნების გარდა, რომლის შესახებ ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს ერთეულმა, რომელიც იყენებს 65-ე პუნქტებში აღწერილ სამართლიანი პირვანდელი ღირებულების მოდელს, დამატებით უნდა გაამჟღავნოს:

...

(e) საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება. 62-ე პუნქტში აღწერილი გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ერთეული საიმედოდ ვერ აღგვს აფასებს საინვესტიციო ქონების ღირებულებას, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს:

...

(ii) იმის დასაბუთება, თუ რატომაა შეუძლებელი სამართლიანი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა შეფასება; და

...

გარდამავალი დებულებები

...

სამართლიანი მიმდინარე ღირებულების მოდელი

...

97. ერთეულმა, რომელიც (ა) თავდაპირველად იყენებდა სსბასს 16-ს (2001 წლის რედაქცია) და (ბ) პირველად გადაწყვიტა საოპერაციო იჯარით გადაცემული ცალკეული ან მთლიანი ქონების

აღრიცხვა და საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირება, ამ გადაწყვეტილების ეფექტი უნდა აღიაროს როგორც დაგროვილი ნამეტის ან დეფიციტის საწყისი ბალანსის კორექტირება იმ პერიოდისათვის, როდესაც მოხდა გადაწყვეტილების პირველად მიღება. ამასთან:

- (a) თუ ერთეული ადრეულ პერიოდებში საჯაროდ (ფინანსურ ანგარიშგებებში ან სხვაგვარად) აქვეყნებდა მისი საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებას (რომელსაც განსაზღვრავდა აფასებდა ისეთ საფუძველზე, რომელიც აკმაყოფილებს სამართლიანი ღირებულების განმარტებას და სსბასს 46-ის დანართში „დ“ მოცემულ სახელმძღვანელო მითითებებს), ერთეული წახალისებულია, თუმცა მას არ მოეთხოვება:
 - (i) დაგროვილი ნამეტის ან დეფიციტის საწყისი ნაშთის კორექტირება ყველაზე ბოლოდროინდელი პერიოდისთვის, რომელი პერიოდისთვისაც მსგავსი სამართლიანი ღირებულება საჯაროდ იქნა გამჟღავნებული; და
 - (ii) ამ პერიოდების შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება; და
- (b) თუ ერთეული ქვეპუნქტში (ა) აღწერილ ინფორმაციას ადრე საჯაროდ ამჟღავნებდა, მან არ უნდა განახორციელოს შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება და უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი.

...

პირვანდელი ღირებულების მოდელი

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

101K. 2023 წელს გამოცემული სსბასს 46-ით ცვლილებები შევიდა პუნქტებში 33, 38, 39, 40, 41, 41A, 41C, 42, 49, 49A, 50, 57, 59, 62, 62A, 62B, 63, 65, 70, 79, 86, 87, 89, 90 და 97 და პუნქტების 42, 62, 65, 86, 87, 89A, 90, 97 და 100 დაკავშირებულ სათაურებში, დაემატა პუნქტები 89A–89F, ხოლო პუნქტები 45–48, 51–56, 58, 60, და 86(d) ამოღებულ იქნა. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის.

წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

დასკვნის საფუძველი

...

სსბასს 46-ის, შეფასება, შედეგად სსბასს 16-ის გადასინჯვა

BC12. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46, შეფასება, უზრუნველყოფს საერთო სახელმძღვანელო მითითებებს აქტივების თავდაპირველ და შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით, რათა სსბასს-ში უზრუნველყოფილ იქნეს თანმიმდევრული მიდგომა. სსბასსს დათანხმდა შეფასების ტერმინოლოგიისა და გამჟღავნების მოთხოვნების განახლებას სსბასს 46-ის

თანმიმდევრულობისთვის, სსბასს 16-დან ამოიღო მითითებები გამოყენებაზე შეფასების შესახებ, სადაც მსგავსი მითითებები გამოყენებაზე ახლა სსბასს 46-ში არის მოცემული და ფინანსური ანგარიშგების ავტორებს მიუთითა წინამდებარე სტანდარტზე.

ცვლილებები სსბასს 21-ში, ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება

ცვლილებები შევიდა პუნქტებში 2, 10 და 29. დაემატა პუნქტები 10A და 82M. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

მოქმედების სფერო

...

2. ერთეულმა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს და წარადგენს ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურების აღრიცხვისთვის, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- (a) მარაგები (იხ. სსბასს 12, მარაგები);
- (b) სამშენებლო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი აქტივები (იხ. სსბასს 11, სამშენებლო ხელშეკრულებები);
- (c) ფინანსური აქტივები, რომლებიც მიეკუთვნება სსბასს 41-ის, ფინანსური ინსტრუმენტები, მოქმედების სფეროს;
- (d) საინვესტიციო ქონება, რომლის შეფასება ხორციელდება ~~სამართლიანი მიმდინარე ღირებულების~~ მოდელის გამოყენებით (იხ. სსბასს 16, საინვესტიციო ქონება);
- (e) ...

...

მოქმედების სფერო

...

10. წინამდებარე სტანდარტი არ მოითხოვს გაუფასურების ტესტის ჩატარებას იმ საინვესტიციო ქონებისათვის, რომელიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება სსბასს 16-ის ~~შესაბამისად ფარგლებში~~. ეს გამოწვეულია იმით, რომ სსბასს 16-ში ~~სამართლიანი მიმდინარე ღირებულების~~ მოდელის მიხედვით საინვესტიციო ქონება ანგარიშგების თარიღისათვის აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და მისი შეფასებისას გაითვალისწინება ნებისმიერი სახის გაუფასურება.

10A. თუმცა, ეს სტანდარტი ვრცელდება გადაფასებული ღირებულებით აღრიცხულ ფულადი სახსრების არწარმომქნელ აქტივებზე (ანუ სამართლიანი ღირებულებით ან მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით გადაფასების თარიღით, შემცირებული ნებისმიერი შემდგომი დაგროვილი ცვეთით და შემდგომი დაგროვილი გაუფასურების ზარალით) სხვა სსბასს-ის შესაბამისად, როგორცაა მაგალითად სსბასს 45-ის, ძირითადი საშუალებები, მიმდინარე ღირებულების მოდელი და სსბასს 31-ის, არამატერიალური აქტივები, გადაფასების მოდელი.

(a) როდესაც გასვლის დანახარჯები უმნიშვნელოა გადაფასებული ფულადი სახსრების არწარმომქნელი აქტივის გამოყენების აღდგენითი ღირებულება აუცილებლად ახლოს არის, ან მეტია, მის გადაფასებულ ღირებულებაზე. ასეთ შემთხვევაში, გადაფასების მოთხოვნების გამოყენების შემდეგ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ გადაფასებული ფულადი სახსრების არწარმომქნელი აქტივი გაუფასურებული იყოს და საჭირო იქნეს გამოყენების აღდგენითი ღირებულების შეფასება.

(b) როდესაც გასვლის დანახარჯები უმნიშვნელო არ არის გადაფასებული ფულადი სახსრების არწარმომქნელი აქტივის სამართლიანი ღირებულება, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, აუცილებლად ნაკლებია მის სამართლიან ღირებულებაზე. ამგვარად, გადაფასებული ფულადი სახსრების არწარმომქნელი აქტივი გაუფასურდება, თუ მისი გამოყენების ღირებულება ნაკლები იქნება მის გადაფასების ღირებულებაზე. ასეთ შემთხვევაში, გადაფასების მოთხოვნების გამოყენების შემდეგ, ერთეული წინამდებარე სტანდარტს იყენებს, რათა განსაზღვროს ფულადი სახსრების არწარმომქნელი აქტივი გაუფასურდა თუ არა.

...

შესაძლო გაუფასურებული აქტივის იდენტიფიცირება

...

29. 27-ე პუნქტში მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. ერთეულმა შეიძლება მოახდინოს აქტივის შესაძლო გაუფასურების სხვა ნიშნების იდენტიფიცირებაც, რომელთა არსებობის შემთხვევაში ერთეულს მოეთხოვება, განსაზღვროს აქტივის გამოყენების აღდგენითი ღირებულება. მაგალითად, გაუფასურების მაჩვენებლად შეიძლება ასევე მიჩნეულ იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი:

(a) მოცემული საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არსებობს ემპირიული ნიშნები, რომ აქტივის ~~საბაზრო~~ ღირებულება იმაზე მეტად შემცირდა მოცემულ პერიოდში, ვიდრე ეს მოსალოდნელი იქნებოდა გარკვეული დროის გასვლის შემთხვევაში ან მისი ჩვეულებრივი გამოყენების პირობებში; ან

(b) აქტივის მიერ მიწოდებული მომსახურების მოთხოვნის ან საჭიროების მნიშვნელოვანი, გრძელვადიანი ვარდნა (თუმცა არა აუცილებლად სრული ან თითქმის სრული შეწყვეტა).

...

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

82M. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით, შეფასება ცვლილებები შევიდა პუნქტებში 2, 10 და 29 და დაემატა პუნქტი 10A. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი დაერთვის სსბასს 21-ს, მაგრამ არ არის მისი შემადგენელი ნაწილი.

...

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

...

BC19. პირველ რიგში, არსებობს განსხვავება წინამდებარე სტანდარტით განსაზღვრულ ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გამოყენების აღდგენითი ღირებულების განსაზღვრის მეთოდებსა და გამოყენების აღდგენითი ღირებულების იმ განმარტებას შორის, რომელიც ასახულია ბასს 36-ში. წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად, ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივის გამოყენების აღდგენითი ღირებულება არის ~~გაყიდვის~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენებით ღირებულებას შორის უდიდესი. წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად, ერთეული აქტივის გამოყენებით ღირებულებას ადგენს, აქტივის მომსახურების დარჩენილი პოტენციალის ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულების მეშვეობით. აქტივის მომსახურების დარჩენილი პოტენციალის ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულების განმარტებისათვის გამოიყენება ჩანაცვლების ამორტიზებული ღირებულების, გამოყენების აღდგენითი ღირებულებისა და სასარგებლო ერთეულების მეთოდები. აღნიშნული მეთოდები ~~შეიძლება ასევე გამოყენებულ~~ ~~იქნეს~~ მიღებულ იქნა სამართლიანი ღირებულების დასადგენად სსბასს 17-ისა და სსბასს 31-ის შესაბამისად. ამიტომ გამოყენებითი ღირებულება სამართლიანი ღირებულების საზომს წარმოადგენს. ბასს 36-ის თანახმად, ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ~~გაყიდვის~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენებით ღირებულებას შორის უდიდესი. ბასს 36-ის თანახმად, გამოყენებითი ღირებულება განისაზღვრება აქტივის უწყვეტი გამოყენებისა და სავარაუდო გასვლის შედეგად წარმოქმნილი ნავარაუდები ფულადი სახსრების ნაკადების დისკონტირებული ღირებულების მეშვეობით. ბასს 36-ში აღნიშნულია, რომ აქტივის გამოყენებითი ღირებულება შეიძლება განსხვავდებოდეს აქტივის სამართლიანი ღირებულებისაგან.

BC19A. მას შემდეგ სსბასსს-მა გამოსცა სსბასს 46, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი

ღირებულების ყველა სსბასს-ში თანმიმდევრულად შეფასებას. სსბასსს-მა აღნიშნა, რომ წინამდებარე სტანდარტში მოცემული მითითებები გამოყენებაზე მოიცავს სამართლიანი ღირებულების იერარქიას მითითებებით გამოყენებაზე შეფასების იმ მეთოდებისთვის, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როდესაც ემპირიული საბაზრო მონაცემები არ არსებობს. სსბასსს-მა განიხილა შესაბამისია თუ არა აღდგენითი ღირებულების მიდგომისა და სასარგებლო ერთეულების მიდგომის გამოყენება. სსბასსს-მა აღნიშნა, რომ სსბასს 17-ში და სსბასს 31-ში მოცემული ალტერნატივები შეუსაბამოა სსბასს 46-ით განსაზღვრული სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდებთან. სსბასსს დათანხმდა სსბასს 31-ში მოცემული სამართლიანი ღირებულების განმარტების განახლებაზე. სსბასს 46-თან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის და სსბასს 17 ჩანაცვლა სსბასს 45-ით, ძირითადი საშუალებები.

...

გაუფასურების აღდგენა

...

BC25. 27გ პუნქტი აქტივის ფიზიკური დაზიანების შესახებ ინფორმაციის არსებობას გაუფასურების მინიმალურ მაჩვენებლად მიიჩნევს. მე-60 პუნქტი არ მოიცავს გაუფასურების აღიარების მაჩვენებელს, რომელიც გაუფასურების ზარალის აღიარების ამ მაჩვენებლის საპირისპირო იქნებოდა. სსბასსს-მა აქტივის რემონტი არ მიიჩნია გაუფასურების აღდგენის მაჩვენებლად, რადგან სსბასს 17-ის შესაბამისად, ერთეულებს მოეთხოვებათ, გაწეული დანახარჯები დაუმატოს ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას, თუკი ივარაუდება, რომ ერთეული მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ან აქტივის მომსახურების პოტენციალს, აქტივის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში მოცემული აქტივის ბოლოს შეფასებული მაქსიმალური მწარმოებლურობის დონის ზევით. აღნიშნული მოთხოვნა ასევე ვრცელდება, სსბასს 16-ის შესაბამისად ~~თავდაპირველ~~ პირვანდელი ღირებულების მოდელის გამოყენებით შეფასებული საინვესტიციო უძრავი ქონების მიმართ. სსბასსს-ი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოთხოვნების დაწესება უარყოფს გაუფასურების ზარალის აღდგენის მაჩვენებლის, როგორც ფიზიკური დაზიანებისაგან წარმოქმნილი გაუფასურების ზარალის საპირისპირო მაჩვენებლის არსებობის საჭიროებას. სსბასსს-მა ასევე აღნიშნა, რომ დაზიანების აღდგენა ან რემონტი, წინამდებარე სტანდარტის 65-ე პუნქტის, შესაბამისად, არ წარმოადგენს გაუფასურების შემდეგ აქტივის გამოყენების აღდგენითი ღირებულების შეფასების ცვლილების საფუძველს.

...

სსბასს 21-ის გადასინჯვა სსბასს 46-ის, შეფასება, შედეგად

BC28. 2023 წლის მაისში სსბასს 46, შეფასება, უზრუნველყოფს საერთო სახელმძღვანელო მითითებებს აქტივების თავდაპირველ და შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით, რათა სსბასს-ში უზრუნველყოფილ იქნეს თანმიმდევრული მიდგომა. სსბასსს დათანხმდა, რომ სამართლიანი ღირებულების კონცეფცია უნდა შენარჩუნდეს სსბასს 21-ში, სსბასს 46-ში შემოთავაზებული სამართლიანი ღირებულების გადასინჯული განმარტების მიუხედავად. სსბასსს დათანხმდა, რომ სსბასს 21-ში სამართლიანი ღირებულების კონცეფციის ნებისმიერი ცვლილება მიჩნეულ

უნდა იქნეს სსბასს 21-ის სპეციფიკური პროექტის შემადგენელ ნაწილად. გაუფასურების უფრო ფართოდ შეფასების კონტექსტში.

...

ბასს 36-თან (2004) შედარება

სსბასს 21, ძირითადად, ეფუძნება ბასს 36-ს (2004). სსბასს 21-სა და ბასს 36-ს (2004) შორის შემდეგი ძირითადი განსხვავებებია:

- სსბასს 21 ეხება საჯარო სექტორის ერთეულების ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურებას, ხოლო ბასს 36 - მოგებაზე ორიენტირებული ერთეულების ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურებას. საჯარო სექტორის ერთეულების ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება განსაზღვრულია სსბასს 26-ით.
- ~~სსბასს 21 არ მოიცავს ფულადი სახსრების არწარმომქმნელ იმ აქტივებს, რომლებიც სსბასს 17-ის თანახმად დასაშვები ალტერნატიური მიდგომის შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდისათვის გადაფასებული ღირებულებით არის ასახული. ბასს 36-ის მოქმედების სფერო ასევე ვრცელდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ძირითად საშუალებებზე, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდისათვის გადაფასებული ღირებულებით არის ასახული.~~
- სსბასს 21-ის შესაბამისად, ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გამოყენების ღირებულების შეფასების მეთოდი განსხვავდება, ბასს 36-ის შესაბამისად, ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გამოყენების ღირებულების შეფასების მეთოდისაგან. სსბასს 21 ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გამოყენების ღირებულებას სხვადასხვა მიდგომების გამოყენებით განსაზღვრავს, როგორც აქტივის მომსახურების დარჩენილი პოტენციალის დისკონტირებულ ღირებულებას. ბასს 36 ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გამოყენების ღირებულების შეფასებისათვის იყენებს აქტივიდან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას.
- სსბასს 21 აქტივის საბაზრო ღირებულების ცვლილებას არ განიხილავს გაუფასურებაზე უცილობელ მინიშნებად. ბასს 36-ში საბაზრო ღირებულების მნიშვნელოვანი, მოულოდნელი ვარდნა გაუფასურების მინიმალური მინიშნებების განუყოფელი ნაწილია მაშინ, როდესაც სსბასს 21 მას მხოლოდ განმარტებით შენიშვნებში განიხილავს.
- სსბასს 21-ის თანახმად გადაწყვეტილება, შეჩერდეს აქტივის მშენებლობა მის დასრულებამდე გაუფასურების უცილობელ მინიშნებად, ხოლო აქტივის მშენებლობის განახლება - გაუფასურების ზარალის კომპენსაციის მინიშნებად განიხილება. ბასს 36-ში მოცემული არ არის აღნიშნულის ანალოგია.
- ბასს 36-ის მოქმედების სფერო არ ვრცელდება აქტივების გარკვეულ კლასებზე, რომლებიც შედის სსბასს 21-ის მოქმედების სფეროში. ეს გამონაკლისები შეეხება აქტივების იმ კლასებს, რომლებიც სხვაფას-ების შესაბამისად გაუფასურების განსაკუთრებულ მოთხოვნებს ექვემდებარება. აღნიშნული კლასები შედის სსბასს 21-ის მოქმედების სფეროში, ვინაიდან არ არსებობს სხვა სსბასს-ები, რომლებიც მათზე გავრცელდებოდა. აღნიშნული გამონაკლისები მოიცავს შემდეგს: (ა) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ბიოლოგიური

აქტივები, (ბ) გადავადებულისაგადასახადო აქტივები, (გ) გადავადებული შემენის დანახარჯები, (დ) არამატერიალური აქტივები, რომლებიც წარმოიქმნება ფასს 4-ის, სადაზღვევო ხელშეკრულებები, ფარგლებში.

- სსბასს 21 შეეხება ცალკეული აქტივების გაუფასურებას. სსბასს 21-ში არ არის ბასს 36-ში განსაზღვრული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანალოგია.
- სსბასს 21 კორპორაციული აქტივების მიმართ იმავე მიდგომებს იყენებს, რასაც სხვა ნებისმიერი ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების მიმართ, ხოლო ბასს 36 - მათ განიხილავს, როგორც დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ნაწილს.
- სსბასს 21-ში, ზოგიერთ შემთხვევაში, გამოყენებულია ბასს 36-საგან განსხვავებული ტერმინოლოგია. ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებაა სსბასს 21-ში გამოყენებული ტერმინები: „შემოსავალი“, „აღდგენითი ღირებულება“ და „ფინანსური შედეგების ანგარიშგება“. ბასს 36-ში გამოიყენება აღნიშნულის ეკვივალენტი შემდეგი ტერმინები: „ამონაგები“, „ანაზღაურებადი ღირებულება“ და „მოგებისა და ზარალის ანგარიშგება“.

ცვლილებები სსბასს 22-ში, სახელმწიფო მმართველობის სექტორის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში

ცვლილებები შევიდა 32-ე პუნქტში. დამატა პუნქტი 47G. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

სააღრიცხვო პოლიტიკა

...

32. ფინანსური ანგარიშგების სტატისტიკური საფუძვლების მოთხოვნების შესაბამისად, ყველა აქტივი და ვალდებულება (გარდა სესხებისა) ყოველ ანგარიშგების დღეს გადაფასებულ უნდა იქნეს, საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით. სსბასს-ებში მოცემულია შეფასების სხვადასხვა მოთხოვნები და მოითხოვება ან ნებადართულია ზოგიერთი ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების ~~ფიქტიური ღირებულებით~~ პირვანდელი ღირებულების მოდელით ან მიმდინარე ღირებულების მოდელით შეფასება. მოცემული სტანდარტები არ მოითხოვს ყველა აქტივისა და ვალდებულების გადაფასებას საბაზრო ღირებულებით; შესაბამისად, აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება სმს-ის შესახებ ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნებისას, მათ შორის სფჯ ან საფჯ სექტორში განხორციელებული ინვესტიციების შეფასება, შესაძლოა განსხვავდებოდეს იმ შეფასების მეთოდებისაგან, რომლებიც მიღებულია ანგარიშგების სტატისტიკური საფუძვლების მიერ.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

47G. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით, შეფასება ცვლილებები შევიდა 32-ე პუნქტში. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

დასკვნის საფუძველი

...

კონსოლიდაცია და დეზაგრეგაცია

BC7. ფინანსური ანგარიშგების სტატისტიკურ საფუძვლებს და სსბასს-ენს ბევრი მსგავსება გააჩნიათ კონკრეტული ოპერაციებისა და მოვლენების ინტერპრეტაციისას, თუმცა მათ შორის განსხვავებებიცაა. მაგალითად, ფინანსური ანგარიშგების სტატისტიკური საფუძვლები:

(a) მოითხოვს, რომ ყველა აქტივი და ვალდებულება (გარდა სესხებისა) გადაფასებულ იქნეს საბაზრო ღირებულებით ყოველი ანგარიშგების თარიღისათვის. სსბასს-ებით დადგენილია შეფასების სხვადასხვა მოთხოვნები და მოითხოვება ან ნებადართულია კონკრეტული ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების ~~ფიზიკური~~ პირვანდელი ღირებულების მოდელით ან მიმდინარე ღირებულების მოდელით აღრიცხვა;

(b) ...

...

ცვლილებები სსბასს 23-ში, შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები)

დამატებულია 42-ე და 124I პუნქტები. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

აქტივების აღიარება

...

აქტივების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

42. არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად შეძენილი აქტივის თავდაპირველი შეფასება უნდა მოხდეს მისი შეძენის თარიღისათვის არსებული ~~სამართლო~~ მიმდინარე ღირებულებით.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

- 124I. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით, შეფასება ცვლილებები შევიდა 42-ე პუნქტში. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

დასკვნის საფუძველი

აქტივების შეფასება

BC16. სსბასს 46-ის, შეფასება, ძალაში შესვლის თარიღამდე წინამდებარე სტანდარტით არაგაცვლითი ოპერაციებიდან შეძენილი აქტივების თავდაპირველი შეფასება მათი შეძენის თარიღისათვის არსებული სამართლიანი ღირებულებით მოითხოვება მოითხოვებოდა. სსბასს-მა მოითხოვს შეზღუდვებს დაასკვნა, რომ სამართლიანი ღირებულების გამოყენება მიზანშეწონილია ოპერაციის შინაარსისა და მიმდებისთვის მის მიერ მოტანილი შედეგების ასახვისთვის. გაცვლითი ოპერაციის დროს შეძენის საფასური წარმოადგენს შეძენილი აქტივის სამართლიანი ღირებულების საზომს. თუმცა, განსაზღვრების თანახმად, არაგაცვლითი ოპერაციის დროს აქტივის შეძენისთვის განკუთვნილი ანაზღაურება მიახლოებით არ უდრის შეძენილი აქტივის სამართლიან ღირებულებას. სამართლიანი ღირებულება ყველაზე მეტი სიზუსტით წარმოაჩენს წარმოაჩენდა საჯარო სექტორის ერთეულის მიერ ოპერაციის შედეგად დარიცხულ ფაქტობრივ ღირებულებას. არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებული აქტივების თავდაპირველი შეფასება მათი სამართლიანი ღირებულებით შეესაბამება შესაბამებოდა სსბასს 16-ში, საინვესტიციო ქონება და სსბასს 17-ში, ძირითადი საშუალებები, მოცემულ უსასყიდლოდ ან ნომინალური ღირებულებით შეძენილი აქტივების შეფასების მიდგომას. სსბასს-მ შემდგომი შესწორებები შეიტანა სსბასს 12-ში, მარაგები, სსბასს 16-სა და სსბასს 17-ში, აღნიშნული სტანდარტების წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებთან სრული თანხვედრის მიზნით.

BC16A. სსბასს 46-ის, შეფასება, შემუშავების ფარგლებში სსბასს-მა გადაწყვიტა, რომ საოპერაციო შესაძლებლობისთვის ფლობილი ძირითადი საშუალებებისთვის საჭიროა დასაშვები საწყისი ღირებულების გარკვევით ჩამოყალიბება, მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ასახვის მიზნით. სსბასსს დათანხმდა, რომ მიმდინარე საოპერაციო ღირებულების მოეთხოვა თავდაპირველი შეფასებისას, როდესაც გარიგების ფასი სამართლიანად არ ასახავს საოპერაციო შესაძლებლობისთვის ფლობილი ძირითადი საშუალებებით განხორციელებული ოპერაციის არსს. მართალია, სამართლიანი ღირებულება კვლავ სამართლიანად წარადგენს საჯარო სექტორის ერთეულისთვის ფინანსურ შესაძლებლობისთვის ფლობილი ძირითადი საშუალებების ღირებულებას, მაგრამ მიმდინარე საოპერაციო ღირებულება სამართლიანად წარადგენს საოპერაციო შესაძლებლობისთვის ფლობილი ძირითადი საშუალებების ღირებულებას.

...

ცვლილებები სსბასს 26, ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება

ცვლილებები შევიდა პუნქტებში 8, 10, 13, 25, 31–36, 41, 42, 66, 78, 85, 87, 89, 92, 94, 100, 104, 120, და 123, და 41-ე პუნქტის დაკავშირებულ სათაურში. დაემატა პუნქტები 10A, 66A და 126O. ამოღებულ იქნა პუნქტები 38–40. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

მოქმედების სფერო

...

8. წინამდებარე სტანდარტი არ ეხება მარაგებსა და სამშენებლო ხელშეკრულებების შედეგად წარმოქმნილ ფულადი სახსრების წარმომქმნელ აქტივებს, ან აქტივებს, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად ფლობილი (ან შედის გასვლის ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად ფლობილი) რადგან ამჟამად არსებული სტანდარტები, რომლებიც ეხება ჩამოთვლილ აქტივებს, შეიცავს მათი აღიარებისა და შეფასების სპეციფიკურ მოთხოვნებს. წინამდებარე სტანდარტი არ ეხება გადავადებულ საგადასახადო აქტივებს, დაქირავებულთა სარგებელთან დაკავშირებულ აქტივებს, გადავადებული შემენის დანახარჯებსა და არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც წარმოქმნილია სადაზღვევო ხელშეკრულებებში მზღვეველის სახელშეკრულებო უფლებებიდან. ასეთი აქტივების გაუფასურების აღრიცხვას განიხილავს შესაბამისი საერთაშორისო და ეროვნული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები. ამასთან, წინამდებარე სტანდარტი არ ეხება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ იმ ბიოლოგიურ აქტივებს, რომელთა შეფასებაც ხდება ~~გაყოფილ~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით. შეფასების მოთხოვნები მოცემულია სსბასს 27-ში, რომელიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ ბიოლოგიურ აქტივებს ეხება.

...

10. ინამდებარე სტანდარტით ერთეულს არ მოეთხოვება სამართლიანი ღირებულებით ~~ასახული~~ შეფასებული საინვესტიციო ქონებისთვის გაუფასურების ტესტის ჩატარება სსბასს 16-ის შესაბამისად მოქმედების სფეროს ფარგლებში. სსბასს 16-ის სამართლიანი ღირებულების მოდელის მიხედვით, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულებით ასახვა ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნებისმიერი გაუფასურება.

...

- 10A. თუმცა, წინამდებარე სტანდარტი ვრცელდება გადაფასებული ღირებულებით აღრიცხულ ფულადი სახსრების წარმომქმნელ აქტივებზე (ანუ სამართლიანი ღირებულებით ან მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით გადაფასების თარიღით, შემცირებული ნებისმიერი შემდგომი დაგროვილი ცვეთით და შემდგომი დაგროვილი გაუფასურების ზარალით) სხვა სსბასს-ის შესაბამისად, როგორცაა მაგალითად სსბასს 45-ის, ძირითადი საშუალებები, მიმდინარე ღირებულების მოდელი და სსბასს 31, არამატერიალური აქტივები. ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას, შემცირებულს გასვლის დანახარჯებით, შორის ერთადერთი განსხვავებაა პირდაპირი დამატებითი დანახარჯები, რომლებიც ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივის გასვლას

მიეკუთვნება.

(a) როდესაც გასვლის დანახარჯები უმნიშვნელოა, გადაფასებული ფულადი სახსრების წარმომქნელი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება აუცილებლად ახლოს არის ან მეტია მის გადაფასებულ ღირებულებაზე. ასეთ შემთხვევაში, გადაფასების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ ნაკლებად სავარაუდოა, რომ გადაფასებული ფულადი სახსრების წარმომქნელი აქტივი გაუფასურებულია და საჭიროა ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება.

(b) როდესაც გასვლის დანახარჯები უმნიშვნელო არ არის, გადაფასებული ფულადი სახსრების წარმომქნელი აქტივის სამართლიანი ღირებულება, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, აუცილებლად ახლოს არის მის სამართლიან ღირებულებასთან. ამგვარად, ფულადი სახსრების წარმომქნელი აქტივი გაუფასურდება, თუ მისი გამოყენების ღირებულება ნაკლებია მის გადაფასებულ ღირებულებაზე. ასეთ შემთხვევაში, გადაფასების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ ერთეული წინამდებარე სტანდარტს იყენებს, რათა განსაზღვროს ფულადი სახსრების წარმომქნელი აქტივი გაუფასურდა თუ არა.

...

განმარტებები

13. წინამდებარე სტანდარტში ტერმინები გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით:

...

ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი.

...

შესაძლო გაუფასურებული აქტივის იდენტიფიცირება

...

25. აქტივის შესაძლო გაუფასურების მაჩვენებლების არსებობის დადგენისას, ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები მაინც:

ინფორმაციის გარე წყაროები

(a) მოცემული პერიოდის განმავლობაში არსებობს ემპირიული ნიშნები, რომ აქტივის საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა მოცემული პერიოდის განმავლობაში იმასთან შედარებით, რაც მოსალოდნელი იქნებოდა დროის გასვლის ან ნორმალური გამოყენების შედეგად;

...

ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება

31. წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება აქტივის

გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით. 32-70-ე პუნქტებში განსაზღვრულია ანაზღაურებადი ღირებულების შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნულ პუნქტებში გამოყენებულია ტერმინი „აქტივი“, მაგრამ იგულისხმება როგორც ცალკეული აქტივი, ასევე ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული.

32. ყოველთვის არ არის აუცილებელი განისაზღვროს ორივე სიდიდე - აქტივის გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება და მისი გამოყენების ღირებულება. მაგალითად, თუ ერთ-ერთი მათგანი მეტია მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივი არ არის გაუფასურებული და არ არსებობს მეორე სიდიდის შეფასების აუცილებლობა.
33. შესაძლოა აქტივის გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება განისაზღვროს შეფასდეს მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს ამ იდენტური აქტივის აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასი აქტივით არ ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე. თუმცა, ზოგჯერ შეუძლებელია გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რადგან ვერ ხერხდება იმ ~~თანხის~~ ფასის საიმედოდ შეფასება, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს დაინტერესებულ და საქმის მცოდნე მხარეებს შორის აქტივის გაყიდვაზე „გაშლილი ხელის პრინციპით“ გარიგების დადებისას; რომლითაც ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელდებოდა ამ აქტივის გაყიდვის ნებაყოფლობითი ოპერაცია შეფასების თარიღით, არსებული საბაზრო პირობებით. ასეთ შემთხვევაში, ერთეულმა შესაძლოა აქტივის გამოყენების ღირებულება გამოიყენოს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებად.
34. თუ არ არსებობს იმის მტკიცების საფუძველი, რომ აქტივის გამოყენების ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება მის გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას, ეს უკანასკნელი შესაძლოა მიჩნეულ იქნეს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებად. ასეთი სიტუაცია ხშირია გასვლისთვის ფლობილ აქტივებთან დაკავშირებით, რადგან მათი გამოყენების ღირებულება, უმთავრესად, შედგება აქტივის გასვლის შედეგად მისაღები ნეტო შემოსულობებიდან, რადგან მოსალოდნელია, რომ აქტივის გასვლამდე მოცემული აქტივის უწყვეტი გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი სახსრები უმნიშვნელო ოდენობის იქნება.
35. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივის უწყვეტი გამოყენების შედეგად არ მიიღება ფულადი სახსრების ნაკადები, რომელთა მიღებაც, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში, ხდება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, რომელსაც განეკუთვნება აქტივი (იხ. 85-90-ე პუნქტები), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:
- (a) აქტივის გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება აღემატება მის საბალანსო ღირებულებას; ან
 - (b) აქტივი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ნაწილია, მაგრამ შეუძლია დამოუკიდებლად გამოიმუშავოს ფულადი სახსრების ნაკადები. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია აქტივის გამოყენების ღირებულების შეფასება და იგი დაახლოებით გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ტოლია და, ამასთან, შესაძლებელია გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი

ღირებულების განსაზღვრა შეფასება.

36. ზოგიერთ შემთხვევაში, შეფასებებმა, საშუალო მაჩვენებლებმა და შემოკლებულმა გამოთვლებმა შესაძლოა მოგვცეს წინამდებარე სტანდარტში ილუსტრირებული დეტალური გამოთვლების შედეგად მიღებული გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებისა და გამოყენების ღირებულების მიახლოებითი შეფასება.

...

გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება

38. ~~აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მაჩვენებელია „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებულ გარიგებაში სავალდებულო ძალის მქონე გაყიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასი, რომელიც კორექტირებულია იმ დამატებითი ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც უშუალოდ აქტივის გასვლასთანაა დაკავშირებული. [ამოღებულია]~~
39. ~~თუ არ არსებობს აქტივის გაყიდვის სავალდებულო ხელშეკრულება და ამ აქტივით ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას წარმოადგენს აქტივის საბაზრო ფასი, რომელიც შემცირებულია მის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების ოდენობით. საბაზრო ფასის მიახლოებით ფასს, როგორც წესი, წარმოადგენს მყიდველის მიერ შეთავაზებული მიმდინარე ფასი. თუ არ არსებობს მყიდველის ფასი, გაყიდვის ხარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის საფუძველად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბოლო გარიგებაში დაფიქსირებული ფასი, თუ გარიგების დადების თარიღიდან შეფასების თარიღამდე ეკონომიკური ვითარება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. [ამოღებულია]~~

³ საიმედო ინფორმაცია თავისუფალია არსებითი შეცდომებისგან და მიკერძოებისგან და მომხმარებლებს შეუძლიათ მასზე დაყრდნობა, რომ სამართლიანად წარადგინოს ის, რისი წარდგენაც გამიზნულია ან გონივრულად შეიძლება მოსალოდნელი იყოს. სსბას 1-ის BC16 პუნქტში განხილულია საიმედოობის ახნისადმი გარდამავალი მიდგომა.

40. ~~თუ არ არსებობს გაყიდვის სავალდებულო ხელშეკრულება ან მოცემული აქტივის აქტიური ბაზარი, გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება ინფორმაციას, რომლის საშუალებითაც ყველაზე უკეთ შეიძლება იმ თანხის განსაზღვრა, რომელიც ერთეულს შეუძლია მიიღოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის აქტივის გაყიდვაზე „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით დადებული ობიექტური გარიგების შედეგად, რომელიც შემცირებულია აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით. აღნიშნული თანხის განსაზღვრისას ერთეული ითვალისწინებს იმავე დარგში ანალოგიური გარიგებების შედეგებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება არ ასახავს იძულებით გაყიდვას. [ამოღებულია]~~
41. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯები, გარდა იმ დანახარჯებისა, რომლებიც უკვე აღიარდა ვალდებულებად, გამოიქვითება ~~გაყიდვის~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლისას შეფასებისას. ამგვარ დანახარჯებს მიეკუთვნება იურიდიული დანახარჯები, მოსაკრებლები იურიდიულ დოკუმენტებზე და გარიგების სხვა ანალოგიური გადასახადები, აქტივის დემონტაჟის დანახარჯები და პირდაპირი დამატებითი დანახარჯები, რომლებიც საჭიროა აქტივის გასაყიდად მოსამზადებლად. თუმცა, შრომითი საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებული გასამრჯელო და აქტივის გასვლის შემდეგ ~~ბიზნესის~~ ერთეულის წარმადობის შემცირებასა და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები არ წარმოადგენს უშუალოდ აქტივის გასვლასთან დაკავშირებულ დამატებით დანახარჯებს.
42. ზოგჯერ აქტივის ერთეულიდან გასვლა მოითხოვს მყიდველის მიერ ვალდებულების აღებას. როგორც აქტივის, ასევე ვალდებულებისათვის არსებობს მხოლოდ ერთი ~~გაყიდვის~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება. 89-ე პუნქტში განმარტებულია ამგვარ შემთხვევებთან დაკავშირებული საკითხები.

გამოყენების ღირებულება

...

ფულადი სახსრების მომავალი ნაკადების შეფასების კომპონენტები

...

66. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მისი გასვლის შედეგად მისაღები (ან გადასახდელი) ნეტო ფულადი სახსრები განისაზღვრება აქტივის ~~გაყიდვის~~ გასვლის დანახარჯებით, შემცირებული სამართლიანი ღირებულების ანალოგიურად, იმ განსხვავებით, რომ ნეტო ფულადი სახსრების შეფასებისას:

(a) ...

- 66A. სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გამოყენების ღირებულებისგან. სამართლიანი ღირებულება ასახავს დაშვებებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ მოცემული აქტივის ფასის განსაზღვრისას. საპირისპიროდ, გამოყენების ღირებულება ასახავს იმ ფაქტორების გავლენას, რომლებიც შესაძლოა სპეციფიკური იყოს ერთეულისთვის ზოგადად ერთეულებზე არ

ვრცელდება. მაგალითად, სამართლიანი ღირებულება არ ასახავს ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორიდან რომელიმე ფაქტორს, რადგან ისინი საზოგადოდ ხელმისაწვდომნი არ იქნება ბაზრის მონაწილეებისთვის:

(a) აქტივების დაჯგუფების შედეგად წარმოქმნილი დამატებითი ღირებულება (როგორცაა მაგალითად, სხვადასხვა ადგილმდებარეობაზე საინვესტიციო ქონების პორტფელის შექმნა);

(b) სინერგია შესაფასებელ და სხვა აქტივებს შორის;

(c) კანონიერი უფლებები ან სამართლებრივი შეზღუდვები, რომლებიც სპეციფიკურია მხოლოდ აქტივის ამჟამინდელი მესაკუთრისთვის; და

(d) საგადასახადო შეღავათები ან საგადასახადო ტვირთი, რომლებიც სპეციფიკურია მხოლოდ აქტივის ამჟამინდელი მესაკუთრისთვის.

...

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები და გუდვილი

...

იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის იდენტიფიკაცია, რომელსაც მიეკუთვნება აქტივი

...

78. ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია, თუ:

(a) შეუძლებელია აქტივის გამოყენების ღირებულების ისე შეფასება, რომ მისი მნიშვნელობა მიახლოებული იყოს ~~გაყიდვის~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიან ღირებულებასთან (მაგალითად, როდესაც აქტივის უწყვეტი გამოყენების შედეგად მომავალში მისაღები ფულადი სახსრების ნაკადი შეუძლებელია შეფასდეს როგორც უმნიშვნელო); და

(b) აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების ნაკადს, რომლის მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ იქნება სხვა აქტივებიდან წარმოქმნილ ფულადი სახსრების ნაკადზე და უნარი არ შესწევს, დამოუკიდებლად წარმოქმნას ფულადი სახსრების ნაკადები.

ასეთ შემთხვევაში, აქტივის გამოყენების ღირებულება და, შესაბამისად, ანაზღაურებადი ღირებულება, შესაძლოა განისაზღვროს მხოლოდ აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისათვის.

...

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი და საბალანსო ღირებულება

85. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ~~გაყიდვის~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, 31-70-ე პუნქტებში სიტყვა „აქტივი“ აღქმულ უნდა იქნეს როგორც „ფულადი სახსრების

წარმომქმნელი ერთეული“.

...

87. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება:

- (a) მოიცავს მხოლოდ იმ აქტივების საბალანსო ღირებულებას, რომლის პირდაპირ მიკუთვნება ან დასაბუთებულად და თანმიმდევრულად განაწილება შესაძლებელია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე და რომელიც აქტივებიც მომავალში წარმოქმნის ფულად სახსრებს, რომელიც გამოყენებული იქნება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას; და
- (b) არ მოიცავს ნებისმიერი აღიარებული ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, მოცემული ვალდებულების გათვალისწინების გარეშე.

ამის მიზეზია ის, რომ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ~~გაყიდვის~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებისა და გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება იმ აქტივებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა, რომლებიც არ წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ნაწილს და ის ვალდებულებები, რომლებიც აღიარდა ფინანსურ ანგარიშგებაში (იხ. 41-ე და 56-ე პუნქტები).

...

88. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, შესაძლოა აუცილებელი იყოს ცალკეული აუდიარებული ვალდებულების გათვალისწინება. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლა მოითხოვს მყიდველის ვალდებულების აღებას. ამ შემთხვევაში, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ~~გაყიდვის~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება (ან შეფასებული ფულადი ნაკადები მისი საბოლოოდ გასვლის შედეგად) წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალი აქტივების ~~საფარავლო~~ სარეალიზაციო ფასს და აღებულ ვალდებულებას ერთად, რომელიც შემცირებულია მის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობით. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულებისა და საბალანსო ღირებულების სათანადო შედარების მიზნით, ვალდებულების საბალანსო ღირებულება უნდა გამოაკლდეს როგორც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულებას, ასევე მის საბალანსო ღირებულებას.

...

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების ზარალი

...

92. 91-ე პუნქტის მიხედვით, გაუფასურების ზარალის მიკუთვნებისას ერთეულმა აქტივის საბალანსო ღირებულება არ უნდა შეამციროს ქვემოთ მითითებული სიდიდეებიდან უდიდესზე ნაკლებ სიდიდემდე:

- (a) მისი ~~გაყოფის~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება (თუ შესაძლებელია მისი ~~განსაზღვრა~~ შეფასება);

...

94. როდესაც ცალკე აღებული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენა შეუძლებელია (იხ. 78-ე პუნქტი):

- (a) მოცემული აქტივის გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ~~გაყოფის~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და 91-93-ე პუნქტებში აღწერილი განაწილების პროცედურების შედეგებს შორის უდიდეს სიდიდეს; და
- (b) როდესაც მოცემულ აქტივთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული არ არის გაუფასურებული, მოცემული აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება არ მოხდება. ეს წესი ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, როცა აქტივის ~~გაყოფის~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე.

...

გაუფასურების ზარალის კომპენსირება

...

100. იმის შეფასებისას, არსებობს თუ არა აქტივისთვის, გუდვილის გარდა, ადრინდელ პერიოდებში გაუფასურების აღიარებული ზარალის შესაძლო არარსებობის ან შემცირების რაიმე ნიშანი, ერთეულმა სულ მცირე, შემდეგი მაჩვენებლები უნდა გაითვალისწინოს:

ინფორმაციის გარე წყაროები

- (a) არსებობს ემპირიული ნიშნები, რომ აღნიშნული აქტივის ~~საბალანსო~~ ღირებულება მოცემულ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა;

...

104. გაუფასურების ზარალის კომპენსირება ასახავს მოცემული აქტივის გაუფასურების ზარალის ბოლოდროინდელი აღიარების შემდეგ აქტივის შეფასებული მომსახურების პოტენციალის, მისი გამოყენების ან ერთეულიდან გასვლის შედეგად მომხდარ სავარაუდო ზრდას. ერთეულს მოეთხოვება შეფასებებში მომხდარი იმ ცვლილებების წარმოჩენა, რომლებიც იწვევს მომსახურების პოტენციალის შეფასებების ზრდას. აღნიშნულ ცვლილებებს განეკუთვნება:

- (a) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასების მეთოდის შეცვლა (მაგალითად, ანაზღაურებადი ღირებულება ეფუძნება თუ არა ~~გაყოფის~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ან გამოყენების ღირებულებას);
- (b) ანაზღაურებადი ღირებულება გამოყენების ღირებულებაზე რომ ყოფილიყო დაფუძნებული - მომავალში მისაღები ფულადი სახსრების ოდენობის ან პერიოდულობის, ან დისკონტირების განაკვეთის ცვლილება; და
- (c) ანაზღაურებადი ღირებულება ~~გაყოფის~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებაზე რომ ყოფილიყო დაფუძნებული - ცვლილებები ამ

...

განმარტებითი შენიშვნები

...

120. თუ მოცემულ პერიოდში აღიარებულ ან კომპენსირებულ იქნა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ცალკეული აქტივის (მათ შორის, გუდვილი) ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების ზარალი, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს:

...

- (e) აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება არის თუ არა მისი გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება ან მისი გამოყენების ღირებულება;

- (f) თუ ანაზღაურებად ღირებულებას წარმოადგენს გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება, ამ უკანასკნელის განსაზღვრის საფუძველი (მაგალითად, სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება აქტიური ბაზრის ინფორმაციის საფუძველზე, ან სხვა მეთოდის მიხედვით); და ერთეულმა შემდეგი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს:

(i) სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე (იხ. სსბასს 46), რომელსაც მიეკუთვნება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) შეფასება მთლიანობაში (იმის გათვალისწინების გარეშე „გასვლის დანახარჯები“ ემპირიულია თუ არა);

(ii) სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონეს და მე-3 დონეს მიეკუთვნება, გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის გამოყენებული შეფასების მეთოდების აღწერა, შეფასების მეთოდის ცვლილების შემთხვევაში ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ეს ცვლილება და მისი განხორციელების მიზეზები; და

(iii) სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის 1-ელ დონეს, მე-2 დონეს და მე-3 დონეს მიეკუთვნება, თითოეული საკვანძო დაშვება, რომელსაც ემყარება ხელმძღვანელობის მიერ გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, საკვანძო დაშვებებია ის დაშვებები, რომლის მიმართ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ყველაზე სენსიტიურია, ერთეულმა ასევე უნდა გაამჟღავნოს დისკონტის განაკვეთი(ებ)ი, რომელიც გამოყენებულ იქნა მიმდინარე და ადრინდელ შეფასებებში, თუ გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება მიმდინარე ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

...

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების შემცველი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრად გამოყენებული შეფასებები

123. ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს „ა“ - „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია, თითოეული ისეთი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) შესახებ, რომლისთვისაც მიკუთვნებული განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვანია გუდვილის მთლიან საბალანსო ღირებულებასთან და განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში:

...

- (c) ერთეულის (ერთეულების ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრის საფუძველი (მაგალითად, გამოყენების ღირებულება ან გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება);
- (d) თუ ერთეულის (ერთეულების ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება ეყრდნობა მის გამოყენების ღირებულებას:

- (i) თითოეული საკვანძო დაშვება დაშვების—აღწერა, რომელსაც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ უახლეს ბიუჯეტებზე/პროექტებზე დაყრდნობით ფულადი სახსრების ნაკადების პროგნოზი. საკვანძოდ მიიჩნევა ისეთი დაშვებები, რომელთა მიმართ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ერთეულების ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება ყველაზე მეტად მგრძნობიარეა;

...

- (e) თუ ერთეულის (ერთეულების ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება ეყრდნობა გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას - ამ უკანასკნელის დასადასტურებლად შესაფასებლად გამოყენებული მეთოდოლოგია შეფასების მეთოდ(ებ)ი. თუ გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება განსაზღვრული შეფასებული არაა იდენტიური ერთეულის (ერთეულების ჯგუფის) ემპირიული საბაზრო კოტირებული ფასით, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია განმარტებით შენიშვნებში დამატებით უნდა აისახოს შემდეგი:

- (i) თითოეული საკვანძო დაშვება დაშვების—აღწერა, რომელსაც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა. საკვანძო დაშვებებია ის დაშვებები, რომლის მიმართ ერთეულის (ერთეულების ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება ყველაზე სენსიტიურია; და

- (ii) თითოეული საკვანძო დაშვების განსაზღვრისადმი ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული მიდგომის აღწერა, ეფუძნებოდა თუ არა იგი წარსულ გამოცდილებას, ან შეესაბამება თუ არა იგი ინფორმაციის სათანადო გარე წყაროებს და თუ არა, როგორ და რატომ განსხვავდება გამოყენებული მიდგომა წარსული გამოცდილებისა და ინფორმაციის სათანადო გარე წყაროებისაგან.

(iia) სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე (იხ. სსბასს 46), რომელსაც მიეკუთვნება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეული) მთლიანობაში (იმის გათვალისწინების გარეშე, „გასვლის დანახარჯები“ ემპირიულია თუ არა).

(iib) შეფასების მეთოდის ცვლილების შემთხვევაში ეს ცვლილება და მისი განხორციელების მიზეზები.

~~გაყიდვის~~ გასვლის ~~დანახარჯებით შემცირებული~~ სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების პროგნოზით, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია განმარტებით შენიშვნებში ~~დამატებით უნდა აისახოს შემდეგი:~~

- (iii) პერიოდი, რომელზედაც გაკეთდა ფულადი სახსრების მომავალი ნაკადების პროგნოზირება, ხელმძღვანელობის მიერ;
- (iv) ზრდის ტემპი, რომელიც გამოყენებულ იქნა ფულადი სახსრების ნაკადების პროგნოზებში; და
- (v) დისკონტირების განაკვეთი რომელიც გამოყენებულ იქნა ფულადი სახსრების ნაკადების პროგნოზებში.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

1260. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით ცვლილებები შევიდა პუნქტებში 8, 10, 13, 25, 31-36, 41, 42, 66, 78, 85, 87, 89, 92, 94, 100, 104, 120 და 123 და 41-ე პუნქტის შესაბამის სათაურში, დაემატა პუნქტები 10A და 66A, და ამოღებულ იქნა პუნქტები 38–40. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი დაერთვის სსბასს 26-ს, მაგრამ არ არის მისი შემადგენელი ნაწილი.

სსბასს 26-ის შემუშავება ბასსს-ის მიერ 2004 წელს გამოცემული, გადასინჯული ბასს 36-ის საფუძველზე

...

~~გაყიდვის~~ გასვლის ~~ხარჯებით შემცირებული~~ სამართლიანი ღირებულება და იძულებითი გაყიდვები

...

სსბასს 46-ის, შეფასება, შედეგად სსბასს 26-ის გადასინჯვა

BC22. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46, შეფასება, უზრუნველყოფს საერთო სახელმძღვანელო მითითებებს სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებით, რათა სსბასს-ში უზრუნველყოფილ იქნეს თანმიმდევრული მიდგომა. სსბასსს დათანხმდა სსბასს 26-დან

შეფასებასთან დაკავშირებული მითითებების ამოღებას, რადგან მსგავსი მითითებები ახლა სსბასს 46-ში არის მოცემული, და ფინანსური ანგარიშგების ავტორებს მიუთითა წინამდებარე სტანდარტზე.

...

გამოყენების მითითებები გამოყენებაზე

წინამდებარე მითითებები გამოყენებაზე დაერთვის სსბასს 26-ს, მაგრამ არ არის მისი შემადგენელი ნაწილი.

...

გამოყენების ღირებულების გაანგარიშება და გაუფასურების ზარალის აღიარება

მოცემულობა და გამოყენების ღირებულების გაანგარიშება

...

IG13. შეუძლებელია ელექტროსადგურის ~~გაყიდვის~~ გასვლის ღირებულებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა. ამგვარად, ანაზღაურებადობა შეიძლება განისაზღვროს, მხოლოდ აქტივის გამოყენების ღირებულების გამოთვლის საფუძველზე. ელექტროსადგურის გამოყენების ღირებულების გასაანგარიშებლად (იხილეთ ცხრილი 1) R მთავრობა:

- (a) ხდენს ფულადი სახსრების ნაკადების პროგნოზირებას ერთეულის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული უახლოესი, ხუთწლიანი (20X5-20X9 წლები) ფინანსური ბიუჯეტების/პროგნოზების მიხედვით;
- (b) აფასებს შემდგომ პერიოდში (20Y0-20Y9 წლები) ფულადი სახსრების ნაკადებს კლებადი ზრდის ტემპების გამოყენებით, რომლის დიაპაზონიც წლიური 6%-დან წლიურ 3 %-მდე მერყეობს; და
- (c) ირჩევს 6%-იან დისკონტის განაკვეთს, რომელიც წარმოადგენს დაბეგვრამდე განაკვეთს და ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და R მთავრობის ელექტროსადგურთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რისკებს.

...

აღიარებული ვალდებულებების ჩართვა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებებში

...

შემოწმება გაუფასურებაზე

...

IG24. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება შეადგენს 800 ფე-ს. ეს ღირებულება შეიცავს უკვე გაწეულ მიწის

ზედა ფენის აღდგენის/პირვანდელი მდგომარეობის დაბრუნების დანახარჯებს. ამის შედეგად, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულება დგინდება ადგილის აღდგენის დანახარჯების გათვალისწინების შემდეგ და შეფასებულია როგორც 700 ფე (1,200 ფე-ს - 500 ფე). ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება შეადგენს 500 ფე-ს, რომელიც წარმოადგენს ადგილის საბალანსო ღირებულებას (1,000 ფე) გამოკლებული აღდგენის დანახარჯების გაწევის საბალანსო ღირებულება (500 ფე); ამგვარად, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება აღემატება მის საბალანსო ღირებულებას.

...

ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში ცალკეული აქტივის ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, რომელიც დამოკიდებულია მისი ანაზღაურებადი ღირებულების დადგენის შესაძლებლობაზე

მოცემულობა

IG25. წყლის გამწმენდ ქარხანაში რეზერვუარი დაზიანდა, მაგრამ ჯერ კიდევ მუშაობს, თუმცა ისე კარგად არა, როგორც დაზიანებამდე. რეზერვუარის გაყოფის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. რეზერვუარი არ გამოიმუშავებს ფულადი სახსრების დამოუკიდებელ ნაკადებს. აქტივების უმცირესი იდენტიფიცირებადი ჯგუფი, რომელიც შეიცავს წყლის რეზერვუარს და გამოიმუშავებს ფულადი სახსრების ნაკადებს და, უმეტესწილად, დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან შემოსული ფულადი სახსრების ნაკადებისგან, არის ქარხანა, რომელსაც განეკუთვნება რეზერვუარი. ქარხნის ანაზღაურებადი ღირებულება ცხადყოფს, რომ ქარხანა მთლიანად გაუფასურებული არ არის.

რეზერვუარის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენა შეუძლებელია

...

IG27. ცალკე რეზერვუარის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, რადგან მისი გამოყენების ღირებულება:

- (a) შესაძლოა განსხვავდებოდეს მისი გაყოფის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებისგან; და
- (b) შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ფულადი სახსრების გამომუშავებელი ისეთი ერთეულისთვის, რომელსაც განეკუთვნება წყლის რეზერვუარი (წყლის გამწმენდი ქარხანა).

ქარხანა გაუფასურებული არ არის. ამგვარად, არ მოხდება წყლის რეზერვუარის გაუფასურების ზარალის აღიარება. ამის მიუხედავად, ერთეულს შესაძლოა დასჭირდეს, გადააფასოს რეზერვუარის ცვეთის პერიოდი ან ცვეთის აღრიცხვის მეთოდი. ალბათ, საჭირო იქნება უფრო მოკლე ცვეთის პერიოდის ან უფრო სწრაფი ცვეთის მეთოდის მიღება რეზერვუარის სავარაუდო დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის ან ისეთი მოდელის ასახვისთვის, რომლის მიხედვით მოსალოდნელია ერთეულის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღება.

...

...

- IG29. რეზერვუარის გამოყენების ღირებულება შეიძლება შეფასდეს როგორც მიახლოებული მისი გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებისა. შესაბამისად, რეზერვუარის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენა შესაძლებელია და მხედველობაში არ მიიღება ის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, რომელსაც განეკუთვნება რეზერვუარი (ე.ი. საწარმოო ხაზი). ვინაიდან რეზერვუარის გაყიდვის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, რეზერვუარის გაუფასურების ზარალი აღიარდება.

ბასს 36-თან შედარება

სსბასს 26 - ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება - განიხილავს ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურებას საჯარო სექტორში და მოიცავს ბასს-36-ში (2004) - აქტივების გაუფასურება - შესულ ცვლილებებს, როგორც ფასს-ების გაუმჯობესების პროექტის ნაწილს, რომელიც გამოიცა 2008 წლის მაისში. მთავარი განსხვავება სსბასს 26-სა და ბასს 36-ს შორის მდგომარეობს შემდეგში:

- ~~• სსბასს 26 არ ეხება ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების, რომლებიც სსბასს 17-ის ძირითადი საშუალებები გადაფასების მოდელის მიხედვით აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ბასს 36 მისი მოქმედების სფეროდან არ გამოირჩევა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ძირითად საშუალებებს, რომლებიც აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.~~
- ~~• სსბასს 26 არ ეხება ისეთ არამატერიალურ აქტივებს, რომელთა სამართლიან ღირებულებამდე გადაფასება სისტემატურად ხდება. ბასს 36 მისი მოქმედების სფეროდან არ გამოირჩევა ისეთ არამატერიალურ აქტივებს, რომელთა სამართლიან ღირებულებამდე გადაფასება სისტემატურად ხდება.~~
- სსბასს 26 იძლევა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის განმარტებას და მოიცავს დამატებით კომენტარებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივებისგან განსხვავება.
- სსბასს 26-ში ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის განმარტება განსხვავდება ბასს 36-ში მოცემული მისი განმარტებისგან.
- სსბასს 26 არ შეიცავს კორპორაციული აქტივების განმარტებას ან ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ხოლო ბასს 36 შეიცავს კორპორაციული აქტივების განმარტებას ან ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და მითითებებს მათი აღრიცხვის მეთოდების შესახებ.

- სსბასს 26-ის მიხედვით ის ფაქტი, რომ ერთეულის წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულება აღემატება ერთეულის საბაზრო ღირებულებას, არ შეიძლება ჩაითვალოს გაუფასურების მაჩვენებლად. ბასს 36-ის მიხედვით ის ფაქტი, რომ ერთეულის წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულება აღემატება ერთეულის საბაზრო ღირებულებას, ითვლება გაუფასურების მინიმალური მაჩვენებლების კომპლექტის ნაწილად.
- სსბასს 26-ში, იძულებითი გაყიდვა არ ასახავს ~~გაყიდვის~~ გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას. ბასს 36-ის მიხედვით, იძულებითი გაყიდვა ასახავს გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას, თუ ხელმძღვანელობა იძულებულია დაუყოვნებლივ გაყიდოს აქტივი.
- სსბასს 26 მოიცავს მოთხოვნებს და სახელმძღვანელო მითითებებს, ფულადი სახსრების არწარმომქმნელი ისეთი აქტივების მიმართ, რომლებსაც წვლილი შეაქვთ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებში, ისევე, როგორც ისეთ საქმიანოებში, რომელთა შედეგად არ წარმოიქმნება ფულადი სახსრები. ბასს 36 არ განიხილავს ფულადი სახსრების არწარმომქმნელ ისეთ აქტივებს, რომლებსაც წვლილი შეაქვთ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებში, ისევე, როგორც ისეთ საქმიანოებში, რომელთა შედეგად არ წარმოიქმნება ფულადი სახსრები.
- სსბასს 26 შეიცავს მოთხოვნებს და სახელმძღვანელო მითითებებს, აქტივების დანიშნულების შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ, ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივისთვის ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივის კვალიფიკაციის მინიჭება და პირიქით. სსბასს 26-ით ერთეულებს მოეთხოვებათ, გაამყდონ მათ მიერ შემუშავებული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივის ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივისგან განსხვავება. ბასს 36-ში განსაზღვრული არ არის ანალოგიური მოთხოვნები.
- სსბასს 26-ში, კონკრეტულ კონტექსტებში, გამოყენებულია ბასს 36-ისგან განსხვავებული ტერმინოლოგია. ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითია შემდეგი ტერმინების ხმარება: „შემოსავალი“ და „ფინანსური შედეგების ანგარიშგება“. ბასს 36-ში ეკვივალენტური ტერმინებია „ამონაგები“ და „მოგებისა და ზარალის ანგარიშგება“.

ცვლილებები სსბასს 27, *სოფლის მეურნეობა*

ცვლილებები შევიდა პუნქტებში 19, 20, 26, 29 და 34. დაემატა პუნქტები 46A–46F და 56J. ამოღებულ იქნა პუნქტები 14, 21–25, 27, 45 და 46. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

ალიარება და შეფასება

...

14. ~~აქტივის სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მის რეალურ ადგილმდებარეობასა და მდგომარეობას. მაგალითად, ფერმაში მყოფი მსხვილი რქოსანი პირუტყვის სამართლიანი ღირებულება არის შესაბამის ბაზარზე ამ პირუტყვის ფასს გამოკლებული ტრანსპორტირების და სხვა დანახარჯები, რაც დაკავშირებულია პირუტყვის იმ ბაზარზე ან სხვა ადგილას მიტანასთან, სადაც მოხდება მისი მიწოდება უფასოდ ან ნომინალური ღირებულებით. [ამოღებულია]~~

...

19. ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა შეფასება შესაძლოა გაადვილდეს ბიოლოგიური აქტივების ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვანი მახასიათებლების მიხედვით დაჯგუფებით, მაგალითად, ასაკის ან ხარისხის მიხედვით. ერთეული არჩევს იმ მახასიათებლებს, რომლებიც შეესაბამება ბაზარზე ფასის განსაზღვრისათვის გამოყენებულ მახასიათებლებს.

20. ხშირად ერთეულები ხელშეკრულებებს დებენ თავიანთი ბიოლოგიური აქტივების ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვის შესახებ მომავალი თარიღისათვის. ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასები ყოველთვის არ არის გამოსადეგი სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისათვის შეფასებისთვის, რადგან სამართლიანი ღირებულება ასახავს მიმდინარე ბაზარს საბაზრო პირობებს, სადაც დაინტერესებული მყიდველი და გამყიდველი ბაზრის მონაწილე მყიდველები და გამყიდველები დებენ გარიგებას. შედეგად, ხელშეკრულების არსებობის გამო, ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამართლიანი ღირებულება არ კორექტირდება. რიგ შემთხვევებში, ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვის ხელშეკრულება შესაძლოა წამგებიანი იყოს, როგორც ეს განმარტებულია სსბასს 19-ში, ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები. სსბასს 19 ეხება წამგებიან კონტრაქტებს.

21. ~~თუ მოცემულ მდგომარეობაში და მოცემულ ადგილზე არსებობს ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის აქტიური ბაზარი, ამ ბაზრის კოტირებული საბაზრო ფასი აქტივის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სათანადო საფუძველს წარმოადგენს. თუ ერთეულს ხელი მიუწვდება სხვადასხვა აქტიურ ბაზარზე, ერთეული მიმართავს ყველაზე შესაფერის ბაზარს. მაგალითად, თუ ერთეულს ხელი მიუწვდება ორ აქტიურ ბაზარზე, იგი გამოიყენებს იმ ბაზარზე არსებულ ფასს, რომელი ბაზრის გამოყენებასაც აპირებს. [ამოღებულია]~~

22. ~~აქტიური ბაზრის არარსებობის შემთხვევაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით ერთეული, ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, იყენებს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთს ან რამდენიმეს:~~

(a) ~~ოპერაციის უახლესი საბაზრო ფასი, თუ ამ ოპერაციის თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე მნიშვნელოვნად არ შეიცვალა ეკონომიკური მდგომარეობა;~~

(b) ~~ანალოგიური აქტივების საბაზრო ფასები სხვაობების ამსახველი კორექტირებით განსხვავებების ასახვისთვის; და~~

(c) ~~სექტორის საორიენტაციო მაჩვენებლები, როგორიცაა ხეხილის ბაღის ღირებულება თითოეული საექსპორტო შესაძლებლობის, ბუშელის ან პექტრის მიხედვით, ასევე პირუტყვის ღირებულება გამოსახული კილოგრამი ხორცის მიხედვით. [ამოღებულია]~~

23. ~~ზოგჯერ, 22 ე პუნქტში ჩამოთვლილი საინფორმაციო წყაროები შესაძლოა გვთავაზობდეს სხვადასხვა დასკვნას ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესახებ. ერთეული იხილავს ამ სხვაობების მიზეზებს, რათა მიიღოს სამართლიანი ღირებულების წინასწარი შეფასების ყველაზე საიმედო თანხა, წინასწარი შეფასებების შედარებით მცირე დიაპაზონის პირობებში. [ამოღებულია]~~
24. ~~ზოგჯერ შესაძლოა არ არსებობდეს საბაზრო ფასები ბიოლოგიური აქტივის მოცემული მდგომარეობისათვის. ასეთ შემთხვევაში, სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას ერთეული იყენებს აქტივიდან მოსალოდნელი ნეტო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე პერიოდში ბაზრის მიხედვით განსაზღვრული განაკვეთით. [ამოღებულია]~~
25. ~~მოსალოდნელი ნეტო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ბიოლოგიური აქტივის სამართლიანი ღირებულება მისი მოცემული ადგილსამყოფელისა და მდგომარეობის გათვალისწინებით. აღნიშნულს ერთეული ითვალისწინებს შესაბამისი დისკონტის განაკვეთის გამოყენებისა და ფულადი სახსრების მოსალოდნელი ნეტო ნაკადების შეფასების დროს. ფულადი სახსრების მოსალოდნელი ნეტო ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გამოთვლისას ერთეული ითვალისწინებს იმ ნეტო ფულად ნაკადებს, რომლის მიღებასაც ივარაუდებდნენ ბაზრის მონაწილეები მოცემული აქტივიდან, ამ აქტივისათვის ყველაზე შესაფერის ბაზარზე. [ამოღებულია]~~
26. ერთეული მოსავლის აღების შემდეგ არ ითვალისწინებს ფულად ნაკადებს აქტივების დასაფინანსებლად, გადასახადების გადასახდელად ან ბიოლოგიური აქტივების აღსადგენად (მაგალითად, ხეების დარგვის დანახარჯები ტყის პლანტაციაში ხე-ტყის ჭრის შემდეგ).
27. ~~კარგად ინფორმირებული, მსურველი მყიდველი და გამყიდველი გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შესრულებული ოპერაციის ფასის შეთანხმებისას განიხილავენ შესაძლო ცვლილებებს ფულად ნაკადებში. მიჩნეულია, რომ სამართლიანი ღირებულება ასახავს ამგვარი ცვლილებების შესაძლებლობას. შესაბამისად, ფულად ნაკადებში მოსალოდნელ ცვლილებებს ერთეული ითვალისწინებს ფულადი სახსრების მოსალოდნელ ნაკადებში ან დისკონტის განაკვეთში, ან ორივეში გარკვეული კომბინაციით. დისკონტის განაკვეთის განსაზღვრისას ერთეული იყენებს იმ დაშვებებს, რომლებიც შეესაბამება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებისას გამოყენებულ დაშვებებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზოგიერთი დაშვების ორჯერ გათვალისწინება ან გამოტოვება. [ამოღებულია]~~
- ...
28. ხშირად ბიოლოგიური აქტივები ფიზიკურადაა მიმაგრებული მიწაზე (მაგალითად, ხეები ტყის პლანტაციაში). მიწაზე მიმაგრებული ბიოლოგიური აქტივებისათვის შესაძლოა არ არსებობდეს ცალკე ბაზარი, მაგრამ შესაძლოა არსებობდეს აქტიური ბაზარი კომბინირებული აქტივებისათვის, როგორც ბიოლოგიური აქტივების, დაუმუშავებელი მიწის და გაუმჯობესებული მიწის ერთი პაკეტისათვის. ერთეულმა, შესაძლოა, ინფორმაცია გამოიყენოს კომბინირებულ აქტივების შესახებ, რათა ~~განსაზღვროს შეაფასოს~~ ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულება. მაგალითად, ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების

მისაღებად დაუმუშავებელი მიწის ან გაუმჯობესებული მიწის სამართლიანი ღირებულება შესაძლოა გამოაკლდეს კომბინირებული აქტივების სამართლიან ღირებულებას

29. ხშირად ბიოლოგიური აქტივები ფიზიკურად მიმაგრებულია მიწაზე (მაგალითად, ხეები ტყის მასივებში). მიწაზე მიმაგრებული ბიოლოგიური აქტივებისათვის შესაძლოა არ არსებობდეს ცალკე ბაზარი, მაგრამ შესაძლოა არსებობდეს აქტიური ბაზარი კომბინირებული (ურთიერთდაკავშირებული) აქტივებისათვის, ე.ი. ბიოლოგიური აქტივების, დაუმუშავებელი მიწისა და გაუმჯობესებული მიწის, როგორც ერთი პაკეტისათვის. ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების დასადგენად შეფასებისთვის ერთეულს შეუძლია გამოიყენოს ინფორმაცია კომბინირებული აქტივების შესახებ. მაგალითად, ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების მისაღებად, დაუმუშავებელი მიწის ან გაუმჯობესებული მიწის სამართლიანი ღირებულება შეიძლება გამოაკლდეს კომბინირებული აქტივების სამართლიან ღირებულებას.

...

სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასების შეუძლებლობა

34. არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლებელია ბიოლოგიური აქტივის სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება. თუმცა, ეს ვარაუდი შესაძლოა გაბათილდეს მხოლოდ იმ ბიოლოგიური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას, რომლისთვისაც არ არსებობს ბაზრის ~~განსაზღვრული კოტირებული~~ ფასები ან ~~ღირებულებები~~ და რომელთათვისაც სამართლიანი ღირებულების ალტერნატიული შეფასებების არასაიმედოა ეჭვგარეშეა. ასეთ შემთხვევაში ამგვარი ბიოლოგიური აქტივი უნდა შეფასდეს თვითღირებულებით, ნებისმიერი დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. როდესაც ამგვარი ბიოლოგიური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება საიმედო გახდება, ერთეულმა იგი უნდა შეაფასოს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით. როდესაც გრძელვადიანი ბიოლოგიური აქტივი დააკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმს (ან ჩართული იქნება გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული) სსპას 44-ის, *გასაყიდად ფლობილი გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები*, შესაბამისად, იგულისხმება, რომ სამართლიანი ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

...

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი

...

45. ~~ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს მეთოდები და მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებიც გამოიყენა ნაყოფის მიღების მომენტისათვის სოფლის მეურნეობის თითოეული პროდუქტისა და ბიოლოგიური აქტივების თითოეული ჯგუფის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად.~~
[ამოღებულია]
46. ~~ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს მოცემული პერიოდის განმავლობაში ნაყოფის მიღების~~

მომენტისათვის განსაზღვრული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამართლიანი ღირებულება გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით. [ამოღებულია]

მიმდინარე ღირებულების შეფასებები

46A. ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარებათ ქვემოთ მოცემული ორივე საკითხის შეფასებაში:

- (a) სასოფლო-სამეურნეო აქტივებისთვის, რომლებიც პერიოდული ან ერთჯერადი სამართლიანი ღირებულებით ფასდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების შემდეგ - შეფასების მეთოდები და ამ შეფასებისთვის გამოყენებული ამოსავალი მონაცემები; და
- (b) მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების (მე-3 დონე) გამოყენებით სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის - ამ შეფასებების გავლენა ნამეტზე ან დეფიციტზე ან პერიოდის წმინდა აქტივებზე/საკუთარ კაპიტალზე.

46B. პუნქტში 46A მოცემული მიზნების მისაღწევად ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- (a) ინფორმაციის დეტალიზაციის დონე, რომელიც საჭიროა გამჟავნების ამ მოთხოვნების შესასრულებლად;
- (b) რამდენად უნდა გაკეთდეს აქცენტი ამ სხვადასხვა მოთხოვნებს შორის თითოეულ მოთხოვნაზე;
- (c) რამდენად უნდა განხორციელდეს აგრეგირება ან დეზაგრეგირება; და
- (d) ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს სჭირდებათ თუ არა დამატებითი ინფორმაცია გამჟღავნებული რაოდენობრივი ინფორმაციის შესაფასებლად.

როდესაც წინამდებარე სსბასს-ის ან სხვა სსბასს-ების შესაბამისად გამჟავნებული ინფორმაცია საკმარისი არ არის პუნქტის 46A მიზნების მიღწევისთვის, ერთეულმა დამატებითი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული მიზნების მიღწევისთვის.

46C. პუნქტში 46A მოცემული მიზნების მისაღწევად ერთეულმა სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს სასოფლო-სამეურნეო აქტივების თითოეული ჯგუფისთვის (სასოფლო-სამეურნეო აქტივების სათანადო ჯგუფების განსაზღვრის შესახებ ინფორმაციისთვის იხ. პუნქტი 46D), რომელიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული (მათ შორის შეფასებები სამართლიანი ღირებულების საფუძველზე სსბასს 46-ის, შეფასება, მოქმედების სფეროს ფარგლებში) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების შემდეგ:

- (a) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის და სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასებები და ამ შეფასების განხორციელების მიზეზები. სასოფლო-სამეურნეო აქტივების სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება ამ სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თითოეული საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს.

სასოფლო-სამეურნეო აქტივების სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასება ამ სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გარკვეულ გარემოებებში:

- (b) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც მთლიანობაში მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების აღნიშნული შეფასებები (1-ლი, მე-2 ან მე-3 დონე);
- (c) არაემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული შეფასების მეთოდ(ებ)ისა და ამოსავალი მონაცემების აღწერა. შეფასების მეთოდის ცვლილების შემთხვევაში (მაგალითად, საბაზრო მიდგომიდან შემოსავლების მიდგომაზე გადასვლა ან შეფასების დამატებითი მეთოდის გამოყენება) ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ეს ცვლილება და მისი განხორციელების მიზეზ(ებ)ი. სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება ან არაემპირიული ამოსავალი მონაცემების მეშვეობით სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, ერთეულმა უნდა წარმოადგინოს რაოდენობრივი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების შესახებ. ერთეულს რაოდენობრივი ინფორმაცია არ მოეთხოვება გამჟღავნების ამ მოთხოვნის შესასრულებლად, როდესაც რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები ერთეულს არ შეუდგენია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას (მაგალითად, როდესაც ერთეული იყენებს ადრინდელი ოპერაციებიდან აღებულ ფასებს ან ფასების შესახებ მესამე მხარის ინფორმაციას კორექტირების გარეშე). თუმცა, ამ გამჟღავნების გაკეთებისას ერთეულმა არ უნდა უგულებელყოს რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის და ერთეულისთვის პრაქტიკულად ხელმისაწვდომია;
- (d) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება - საწყისი ნაშთების შეჯერება საბოლოო ნაშთთან, პერიოდის განმავლობაში იმ ცვლილებების ცალკე გამჟღავნებით, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ საკითხებთან:
 - (i) ნამეტში ან დეფიციტში აღიარებული პერიოდის მთლიანი შემოსულობები ან ზარალი და ის მუხლები, სადაც აღიარებულია აღნიშნული შემოსულობები და ზარალი;
 - (ii) წმინდა აქტივებში/კაპიტალში აღიარებული პერიოდის მთლიანი შემოსულობები ან ზარალი და წმინდა აქტივების/კაპიტალის ის მუხლები, აღიარებულია აღნიშნული შემოსულობები და ზარალი; და
 - (iii) შესყიდვები, გაყიდვები, გამოშვებები და ანგარიშსწორება (ამ სახის თითოეული ცვლილების ცალკე გამჟღავნებით).

- (e) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარაღის მე-3 დონეს განეკუთვნება, ქვეპუნქტში (d)(i) მითითებული პერიოდის მთლიანი შემოსულობების ან ზარალის თანხა, რომელიც ასახულია ნამეტში ან დეფიციტში და საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ფლობილ აღნიშნულ სასოფლო-სამეურნეო აქტივებთან დაკავშირებული არარეალიზებული შემოსულობების ან ზარალის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი, ასევე ნამეტის ან დეფიციტის მქონე ის მუხლები, სადაც აღნიშნული შემოსულობები ან ზარალია აღიარებული;
- (f) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება - ერთეულის მიერ გამოყენებული შეფასების პროცესების აღწერა (მათ შორის, მაგალითად, როგორ იღებს ერთეული გადაწყვეტილებას თავისი შეფასების პოლიტიკის, პროცედურებისა და პერიოდებს შორის სამართლიანი ღირებულების შეფასებების ცვლილებების ანალიზის შესახებ); და
- (g) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარაღის მე-3 დონეს განეკუთვნება:

(i) ყველა მსგავსი შეფასებისთვის, არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებების მიმართ სამართლიანი ღირებულების შეფასების სენსიტიურობის ტექსტური აღწერა, როდესაც ამ ამოსავალი მონაცემების ცვლილებამ შესაძლოა განაპირობოს სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვნად მაღალი ან დაბალი შეფასება. როდესაც კავშირი არსებობს ამ ამოსავალ მონაცემებსა და სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულ სხვა არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს შორის, ერთეულმა ასევე უნდა წარმოადგინოს ამ ურთიერთკავშირების აღწერა და ახსნას, როგორ შეუძლია ამ ურთიერთკავშირებს სამართლიანი ღირებულების შეფასებაზე არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილების გავლენის გაზრდა ან შერბილება.

გამჟღავნების ამ მოთხოვნის შესასრულებლად არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებების სენსიტიურობის ტექსტური აღწერა სულ მცირე უნდა მოიცავდეს ქვეპუნქტის (c) მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებულ არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს.

46D. ერთეულმა უნდა განსაზღვროს სასოფლო-სამეურნეო აქტივების სათანადო დეზაგრეგაცია შემდეგის საფუძველზე:

- (a) სასოფლო-სამეურნეო აქტივების ხასიათი, მახასიათებლები და რისკები; და
- (b) სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების მოცემული შეფასება.

სავარაუდოდ დეზაგრეგაციის დონე უფრო მაღალი იქნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რადგან ამ შეფასებებს უფრო მეტი განუსაზღვრელობა და სუბიექტურობა ახასიათებთ. იმ სასოფლო-სამეურნეო აქტივების დეზაგრეგაციის განსაზღვრისთვის, რომელთათვისაც საჭიროა სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული გამჟღავნებები, საჭიროა განსჯის გამოყენება. ხშირ

შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო აქტივებისთვის უფრო მეტი დეზაგრიგაციაა საჭირო, ვიდრე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სხვა მუხლებისთვის. თუმცა, ერთეულმა საკმარისი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ მუხლებთან შეჯერება. როდესაც სხვა სსბასს-ში მითითებულია სასოფლო-სამეურნეო აქტივების დეზაგრიგაცია, ერთეულმა შეიძლება ეს დეზაგრიგაცია გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტში მოცემული გამჟღავნების მოთხოვნის შესასრულებლად, თუ აღნიშნული დეზაგრიგაცია აკმაყოფილებს წინამდებარე პუნქტში მოცემულ მოთხოვნებს.

46E. სასოფლო-სამეურნეო აქტივების თითოეული ჯგუფისთვის, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით არ არის შეფასებული, მაგრამ რომლის სამართლიანი ღირებულება გამჟღავნებულია, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება ქვეპუნქტებით 46C(b), (c) და (g). თუმცა, ერთეულს არ მოეთხოვება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებებში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების რაოდენობრივი გამჟღავნება ან სამართლიანი ღირებულების შეფასებებში გამოყენებული არაემპირიული ამოსავალი მონაცემების რაოდენობრივი გამჟღავნება, რაც მოითხოვება 46C(c) პუნქტით. მსგავსი სასოფლო-სამეურნეო აქტივებისთვის ერთეულს არ მოეთხოვება წინამდებარე სტანდარტში მოცემული გამჟღავნების დანარჩენი მოთხოვნების შესრულება.

46F. წინამდებარე სტანდარტით მოთხოვნილი რაოდენობრივი ინფორმაცია ერთეულმა ცხრილის სახით უნდა წარადგინოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა ფორმატი უფრო შესაფერისია.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

56I. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით, შეფასება, ცვლილებები შევიდა პუნქტებში 19, 20, 26, 29 და 34. დაემატა პუნქტები 46A–46F და ამოღებულ იქნა პუნქტები 14, 21–25, 27, 45 და 46. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი დაერთვის სსბასს 27-ს, მაგრამ არ არის მისი შემადგენელი ნაწილი.

...

სსბასს 46-ის, შეფასება, შედეგად სსბასს 27-ის გადასინჯვა

BC18. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46, შეფასება, უზრუნველყოფს საერთო სახელმძღვანელო მითითებებს სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებით, რათა ყველა სსბასს-ში უზრუნველყოფილ იქნეს თანმიმდევრული მიდგომა. სსბასსს დათანხმდა სსბასს 27-დან

შეფასებასთან დაკავშირებული მითითებების ამოღებას, რადგან მსგავსი მითითებები ახლა სსბასს 46-ში არის მოცემული, და ფინანსური ანგარიშგების ავტორებს მიუთითა წინამდებარე სტანდარტზე.

ცვლილებები სსბასს 28-ში, ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა

ცვლილებები შევიდა პუნქტში AG56. დაემატა პუნქტი 60I. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

60I. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით, შეფასება, ცვლილებები შევიდა პუნქტში AG56. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

მითითებები გამოყენებაზე

წინამდებარე დანართი სსბასს 28-ის შემადგენელი ნაწილია.

...

წარდგენა

...

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა

...

რთული ფინანსური ინსტრუმენტები (პუნქტები 33–37)

...

AG56. საჯარო სექტორის ერთეულების კაპიტალის სტრუქტურიდან გამომდინარე, რთული ფინანსური ინსტრუმენტები საჯარო სექტორში გავრცელებული არ არის. თუმცა, ქვემოთ ილუსტრირებულია მაგალითები, თუ როგორ უნდა გაანალიზდეს რთული ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი ნაწილები. რთული ფინანსური ინსტრუმენტის გავრცელებული სახეა სავალო ფასიანი ქაღალდი, რომელშიც ჩართულია კონვერტაციის ოფციონი, მაგალითად, ობლიგაცია, რომელიც კონვერტირებადია ემიტენტის ჩვეულებრივ აქციებში და არ შეიცავს ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის სხვა თვისებებს. 33-ე პუნქტით მოითხოვება, რომ ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტის ემიტენტმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებებისა და წმინდა აქტივების/კაპიტალის (წილობრივი) კომპონენტები ცალცალკე წარადგინოს

შემდეგნაირად

...

- (b) წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ჩართულ ოფციონს, რომელიც გულისხმობს ვალდებულების კონვერტაციას ემიტენტის წმინდა აქტივებად/კაპიტალად. ~~ოფციონის სამართლიანი ღირებულება მოიცავს მის დროით და საკუთარ ღირებულებებს, თუ ასეთი არსებობს.~~ ასეთ ოფციონს აქვს ღირებულება თავდაპირველი აღიარების დროს, თუნდაც მისი გამოყენება ხელსაყრელი არ იყოს.

...

ცვლილებები სსბასს 30-ში, ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები

ცვლილებები შევიდა მე-8 და 34-ე პუნქტებში. დამატა პუნქტები 30A–30I და 52M. ამოღებულ იქნა პუნქტები 31–33. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

განმარტებები

8. წინამდებარე სტანდარტში ტერმინები გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით:

...

სხვა ფასების რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები საბაზრო ფასების ცვლილებების გამო (გარდა საპროცენტო განაკვეთის რისკით ან სავალუტო რისკით გამოწვეული ცვლილებების (ა) შეიცვლება, იმის მიუხედავად, თუ რა იწვევს ამ ცვლილებებს - ინდივიდუალური ფინანსური ინსტრუმენტისათვის ან მისი ემიტენტისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორები, თუ სხვა ფაქტორები, რომლებიც ბაზარზე მიმოქცევად ყველა მსგავს ფინანსურ ინსტრუმენტზე ახდენს გავლენას.

...

ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელობა ერთეულის ფინანსური მდგომარეობისა და შედეგებისათვის

...

სხვა განმარტებითი შენიშვნები

...

სამართლიანი ღირებულება

...

- 30A. ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარებათ ქვემოთ მოცემული ორივე საკითხის შეფასებაში:

- (a) სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც პერიოდული ან ერთჯერადი სამართლიანი ღირებულებით ფასდება ფინანსური

მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების შემდეგ - შეფასების მეთოდები და ამ შეფასებისთვის გამოყენებული ამოსავალი მონაცემები; და

- (b) მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების (მე-3 დონე) გამოყენებით სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის - ამ შეფასებების გავლენა ნამეტზე ან დეფიციტზე ან პერიოდის წმინდა აქტივებზე/საკუთარ კაპიტალზე.

30B. პუნქტში 30A მოცემული მიზნების მისაღწევად ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- (a) ინფორმაციის დეტალიზაციის დონე, რომელიც საჭიროა გამჟავების ამ მოთხოვნების შესასრულებლად;
- (b) რამდენად უნდა გაკეთდეს აქცენტი ამ სხვადასხვა მოთხოვნებს შორის თითოეულ მოთხოვნაზე;
- (c) რამდენად უნდა განხორციელდეს აგრეგირება ან დეზაგრეგირება; და
- (d) ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს სჭირდებათ თუ არა დამატებითი ინფორმაცია გამჟავებული რაოდენობრივი ინფორმაციის შესაფასებლად.

როდესაც წინამდებარე სსბასს-ის ან სხვა სსბასს-ების შესაბამისად გამჟავებული ინფორმაცია საკმარისი არ არის პუნქტის 30A მიზნების მიღწევისთვის, ერთეულმა დამატებითი ინფორმაცია უნდა გაამჟავნოს აღნიშნული მიზნების მიღწევისთვის.

30C. პუნქტში 30A მოცემული მიზნების მისაღწევად ერთეულმა სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია უნდა გაამჟავნოს ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული ჯგუფისთვის (ფინანსური აქტივების სათანადო ჯგუფების განსაზღვრის შესახებ ინფორმაციისთვის იხ. პუნქტი 30D), რომელიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული (მათ შორის შეფასებები სამართლიანი ღირებულების საფუძველზე სსბასს 46-ის, შეფასება, მოქმედების სფეროს ფარგლებში) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების შემდეგ:

- (a) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის და სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასებები და ამ შეფასების განხორციელების მიზეზები. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება ამ სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თითოეული საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასება ამ სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გარკვეულ გარემოებებში;
- (b) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც მთლიანობაში მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების აღნიშნული შეფასებები (1-ლი, მე-2 ან მე-3 დონე);
- (c) საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც პერიოდულად სამართლიანი ღირებულებით ფასდება - სამართლიანი ღირებულების იერარქიაში 1-ელ დონესა და მე-2 დონეს შორის ნებისმიერი გადატანის თანხები, ამ გადატანის მიზეზები და ერთეულის პოლიტიკა იმის განსაზღვრისთვის, თუ

როდის მიიჩნევა, რომ გადატანა განხორციელდა (იხ. პუნქტი 30E). თითოეულ დონეში გადატანა თითოეული დონიდან გადატანებისგან განცალკევებით უნდა გამჟღავნდეს და განიხილებოდეს;

- (d) არაემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული შეფასების მეთოდ(ებ)ისა და ამოსავალი მონაცემების აღწერა. შეფასების მეთოდის ცვლილების შემთხვევაში (მაგალითად, საბაზრო მიდგომიდან შემოსავლების მიდგომაზე გადასვლა ან შეფასების დამატებითი მეთოდის გამოყენება) ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ეს ცვლილება და მისი განხორციელების მიზეზ(ებ)ი. სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება ან არაემპირიული ამოსავალი მონაცემების მეშვეობით სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, ერთეულმა უნდა წარმოადგინოს რაოდენობრივი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების შესახებ. ერთეულს რაოდენობრივი ინფორმაცია არ მოეთხოვება გამჟღავნების ამ მოთხოვნის შესასრულებლად, როდესაც რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები ერთეულს არ შეუდგენია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას (მაგალითად, როდესაც ერთეული იყენებს ადრინდელი ოპერაციებიდან აღებულ ფასებს ან ფასების შესახებ მესამე მხარის ინფორმაციას კორექტირების გარეშე). თუმცა, ამ გამჟღავნების გაკეთებისას ერთეულმა არ უნდა უგულებელყოს რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის და ერთეულისთვის პრაქტიკულად ხელმისაწვდომია;
- (e) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარაღიის მე-3 დონეს განეკუთვნება - საწყისი ნაშთების შეჯერება საბოლოო ნაშთან, პერიოდის განმავლობაში იმ ცვლილებების ცალკე გამჟღავნებით, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ საკთხებთან:
- (i) ნამეტში ან დეფიციტში აღიარებული პერიოდის მთლიანი შემოსულობები ან ზარალი და ის მუხლები, სადაც აღიარებულია აღნიშნული შემოსულობები და ზარალი;
- (ii) წმინდა აქტივებში/კაპიტალში აღიარებული პერიოდის მთლიანი შემოსულობები ან ზარალი და წმინდა აქტივების/კაპიტალის ის მუხლები, აღიარებულია აღნიშნული შემოსულობები და ზარალი;
- (iii) შესყიდვები, გაყიდვები, გამოშვებები და ანგარიშსწორება (ამ სახის თითოეული ცვლილების ცალკე გამჟღავნებით); და
- (iv) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარაღიის მე-3 დონეს განეკუთვნება, სამართლიანი ღირებულების იარაღიის მე-3 დონიდან ან მე-3 დონეში გადატანის თანხები, ამ გადატანის მიზეზები და ერთეულის პოლიტიკა იმის განსაზღვრისთვის, თუ როდის მიიჩნევა, რომ გადატანა განხორციელდა (იხ. პუნქტი 30E). მე-3 დონეში გადატანა მე-3 დონიდან გადატანებისგან განცალკევებით უნდა გამჟღავნდეს და განიხილებოდეს.
- (f) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი

ღირებულების იარაღების მე-3 დონეს განეკუთვნება. ქვეპუნქტში (d)(i) მითითებული პერიოდის მთლიანი შემოსულობების ან ზარალის თანხა, რომელიც ასახულია ნამეტში ან დეფიციტში და საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ფლობილ აღნიშნულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული არარეალიზებული შემოსულობების ან ზარალის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი, ასევე ნამეტის ან დეფიციტის მქონე ის მუხლები, სადაც აღნიშნული შემოსულობები ან ზარალია აღიარებული;

(გ) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება - ერთეულის მიერ გამოყენებული შეფასების პროცესების აღწერა (მათ შორის, მაგალითად, როგორ იღებს ერთეული გადაწყვეტილებას თავისი შეფასების პოლიტიკის, პროცედურებისა და პერიოდებს შორის სამართლიანი ღირებულების შეფასებების ცვლილებების ანალიზის შესახებ); და

(h) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარაღების მე-3 დონეს განეკუთვნება:

(i) ყველა მსგავსი შეფასებისთვის, არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებების მიმართ სამართლიანი ღირებულების შეფასების სენსიტიურობის ტექსტური აღწერა, როდესაც ამ ამოსავალი მონაცემების ცვლილებამ შესაძლოა განაპირობოს სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვნად მაღალი ან დაბალი შეფასება. როდესაც კავშირი არსებობს ამ ამოსავალ მონაცემებსა და სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულ სხვა არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს შორის, ერთეულმა ასევე უნდა წარმოადგინოს ამ ურთიერთკავშირების აღწერა და ახსნას, როგორ შეუძლია ამ ურთიერთკავშირებს სამართლიანი ღირებულების შეფასებაზე არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილების გავლენის გაზრდა ან შერბილება. გამჟღავნების ამ მოთხოვნის შესასრულებლად არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებების სენსიტიურობის ტექსტური აღწერა სულ მცირე უნდა მოიცავდეს ქვეპუნქტის (d) მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებულ არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს; და

(ii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, თუ გონივრული ალტერნატიული დაშვებების ასახვისთვის ერთი ან მეტი არაემპირიული ამოსავალი მონაცემის ცვლილება სამართლიან ღირებულებას მნიშვნელოვნად შეცვლის, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და ამ ცვლილებების გავლენა. ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს, თუ როგორ იქნა გამოთვლილი გონივრული ალტერნატიული დაშვებების ასახვისთვის ცვლილების გავლენა. ამ მიზნით, ცვლილების მნიშვნელობა განიხილება ნამეტთან ან დეფიციტთან, მთლიან აქტივებთან ან მთლიან ვალდებულებებთან, ან, როდესაც სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წმინდა აქტივებში/კაპიტალში აღიარდება, მთლიან კაპიტალთან მიმართებით.

30D. ერთეულმა უნდა განსაზღვროს ფინანსური ინსტრუმენტების სათანადო დეზაგრიგაცია შემდეგის საფუძველზე:

(a) ფინანსური ინსტრუმენტების ხასიათი, მახასიათებლები და რისკები; და

(b) სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც განეკუთვნება სამართლიანი

ღირებულების მოცემული შეფასება, ან სამართლიანი ღირებულება ემპირიულია თუ არა.

სავარაუდოდ დეზაგრიგაციის დონე უფრო მაღალი იქნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რადგან ამ შეფასებებს უფრო მეტი განუსაზღვრელობა და სუბიექტურობა ახასიათებთ. იმ ფინანსური ინსტრუმენტების დეზაგრიგაციის განსაზღვრისთვის, რომელთათვისაც საჭიროა სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული გამჟღავნებები, საჭიროა განსჯის გამოყენება. ხშირ შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტებისთვის უფრო მეტი დეზაგრიგაციაა საჭირო, ვიდრე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სხვა მუხლებისთვის. თუმცა, ერთეულმა საკმარისი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ მუხლებთან შეჯერება. როდესაც სხვა სსბასს-ში მითითებულია ფინანსური ინსტრუმენტების დეზაგრიგაცია, ერთეულმა შეიძლება ეს დეზაგრიგაცია გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტში მოცემული გამჟღავნების მოთხოვნის შესასრულებლად, თუ აღნიშნული დეზაგრიგაცია აკმაყოფილებს წინამდებარე პუნქტში მოცემულ მოთხოვნებს.

30E. ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს და უცვლელად გამოიყენოს პოლიტიკა, რომელსაც იყენებს იმის დასადგენად, განხორციელდა თუ არა სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადატანა 30C(c) და (e)(iv) ქვეპუნქტების შესაბამისად. პოლიტიკა, რომელიც ეხება ამგვარი გადატანიების აღიარებისთვის დროს შერჩევას, იგივე უნდა იყოს, რაც გამოიყენება რომელიმე დონეში, ან რომელიმე დონიდან სხვა დონეში გადატანის მიმართ. ქვემოთ განხილულია პოლიტიკის მაგალითები, რომლებიც გამოიყენება გადატანის დროის დასადგენად:

- (a) მოვლენის, ან იმ გარემოებების ცვლილების თარიღი, რამაც გამოიწვია გადატანა;
- (b) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი; და
- (c) საანგარიშგებო პერიოდის დასასრული.

30F. როდესაც ერთეული იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გადაწყვეტილებას, რომ გამოიყენოს სსბასს 41-ის ქვეპუნქტში AG143O მითითებული გამონაკლისი, მან უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი.

30G. ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული ჯგუფისთვის, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით არ არის შეფასებული, მაგრამ რომლის სამართლიანი ღირებულება გამჟღავნებულია, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება ქვეპუნქტებით 30C(b), (d) და (h). თუმცა, ერთეულს არ მოეთხოვება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებებში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების რაოდენობრივი გამჟღავნება ან სამართლიანი ღირებულების შეფასებებში გამოყენებული არაემპირიული ამოსავალი მონაცემების რაოდენობრივი გამჟღავნება, რაც მოითხოვება 30C(d) პუნქტით. მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ერთეულს არ მოეთხოვება წინამდებარე სტანდარტში მოცემული გამჟღავნების დანარჩენი მოთხოვნების შესრულება.

30H. ისეთ ვალდებულებებთან მიმართებით, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და გამოშვებულია განუყოფელი მოთხოვნის თანხლებით იმის შესახებ, რომ ემიტენტმა უნდა უზრუნველყოს მესამე მხარისთვის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესებაში დახმარება, ემიტენტმა უნდა გაამჟღავნოს მისი არსებობის ფაქტი და გაითვალისწინა თუ არა ეს მოთხოვნა ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებაში.

- 30I. წინამდებარე სტანდარტით მოთხოვნილი რაოდენობრივი ინფორმაცია ერთეულმა ცხრილის სახით უნდა წარადგინოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა ფორმატი უფრო შესაფერისია.
31. ~~ერთეულმა უნდა განმარტოს თითოეული კატეგორიის ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულების დასადგენად გამოყენებული მეთოდები, ხოლო როდესაც შეფასების მეთოდს იყენებს, გამოყენებული დაშვებებიც. მაგალითად, ერთეული განმარტავს ინფორმაციას წინასწარი გადახდის განაკვეთებთან დაკავშირებული დაშვებების შესახებ, ასევე შეფასებული სავარაუდო საკრედიტო დანაკარგების განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების ან დისკონტირების განაკვეთების შესახებ. შეფასების მეთოდის ცვლილების შემთხვევაში ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ეს ცვლილება და მისი განხორციელების მიზეზები. [ამოღებულია]~~
32. ~~33-ე პუნქტის მიხედვით მოთხოვნილი განმარტებითი შენიშვნებისთვის, ერთეულმა სამართლიანი ღირებულების შეფასების კლასიფიცირება უნდა მოახდინოს შეფასების დროს გამოყენებული ამოსავალი მონაცემების მნიშვნელობის ამსახველი სამართლიანი ღირებულების იერარქიის საშუალებით. სამართლიანი ღირებულების იერარქია უნდა მოიცავდეს შემდეგ დონეებს:~~
- (a) ~~— აქტიურ ბაზრებზე არსებული იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების (1-ლი დონე) კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი);~~
- (b) ~~— 1-ელ დონეში გამოყენებული, კოტირებული ფასებისგან განსხვავებული ამოსავალი მონაცემები, რომლებიც ემპირიულია აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირ (ანუ, როგორც ფასი) ან არაპირდაპირ (ანუ, მიღებულია ფასებიდან) (მე-2 დონე); და~~
- (c) ~~— ამოსავალი მონაცემები აქტივის ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ემყარება ემპირიულ საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები) (მე-3 დონე).~~
- ~~სამართლიანი ღირებულების იერარქიაში ისეთი დონე, რომლისთვისაც ხდება სამართლიანი ღირებულების შეფასების სრულად მიკუთვნება, სამართლიანი ღირებულების შეფასებისათვის მნიშვნელოვანი ყველაზე დაბალი დონის საფუძველზე უნდა იქნეს დადგენილი. ამ მიზნით, მონაცემების მნიშვნელობა სრული მოცულობით შეფასდება სამართლიანი ღირებულებით. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასება იყენებს ემპირიულ დაკვირვებად მონაცემებს, რომელიც საჭიროებს მნიშვნელოვან კორექტირებას არაემპირიულ არადაკვირვებად მონაცემებზე დაყრდნობით, ასეთი შეფასება წარმოადგენს მე-3 დონის შეფასებას. სამართლიანი ღირებულების შეფასებისათვის კონტრეტული მონაცემის მნიშვნელობის შეფასება, განსჯას მოითხოვს, აქტივისა და ვალდებულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიური ფაქტორების გათვალისწინებით. [ამოღებულია]~~
33. ~~ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში ასახული სამართლიანი ღირებულების შეფასებებისათვის, ერთეულმა თითოეული კლასის ფინანსური ინსტრუმენტისათვის უნდა გაამჟღავნოს:~~
- (a) ~~— სამართლიანი ღირებულების იერარქიაში არსებული ისეთი დონე, რომელსაც სრულად მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების შეფასებები, ამასთან, საჭიროა სამართლიანი ღირებულებების შეფასებების განაწილება 32-ე პუნქტში განმარტებული დონეების შესაბამისად.~~
- (b) ~~— ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადატანა სამართლიანი ღირებულების იერარქიის 1-ელ და მე-2 დონეებს შორის და ამ გადატანების მიზეზები. თითოეულ დონეში გადატანა თითოეული~~

~~დონიდან გადატანებისგან განცალკევებით უნდა გამჟღავნდეს და განიხილებოდეს. ამ მიზნით, ცვლილების მნიშვნელობა განიხილება ნამეტთან ან დეფიციტთან და მთლიან აქტივებთან ან მთლიან ვალდებულებებთან მიმართებით.~~

~~(c) მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებისათვის, ქვემოთ მოცემულთან დაკავშირებით, საწყისი და საბოლოო ნაშთების შეჯერება პერიოდში განხორციელებული, შემდეგ საკითხებზე მიკუთვნებული ცვლილებების ცალ-ცალკე განმარტებით:~~

~~(i) პერიოდის განმავლობაში ნამეტში ან დეფიციტში აღიარებული მთლიანი შემოსულობები და ზარალი, და იმის აღწერა, თუ ფინანსური შედეგების ანგარიშგების რომელ ნაწილშია ისინი ასახული;~~

~~(ii) წმინდა აქტივებში/კაპიტალში აღიარებული მთლიანი შემოსულობები ან ზარალი;~~

~~(iii) შესყიდვები, გაყიდვები, ემისიები და ანგარიშსწორება (თითოეული ტიპის ოპერაციის ცალ-ცალკე გამჟღავნებით); და~~

~~(iv) მე-3 დონიდან ან მე-3 დონეში გადატან (მაგალითად, საბაზრო მონაცემების დაკვირვებადობზე მიკუთვნებადი გადატანები) და ამ გადატანის მიზეზები. მნიშვნელოვანი გადატანებისთვის, მე-3 დონეში გადატანა მე-3 დონიდან გადატანებისგან განცალკევებით უნდა გამჟღავნდეს და განიხილებოდეს.~~

~~(d) ზემოთ მოცემულ (გ)(i) ქვეპუნქტში მითითებული პერიოდის განმავლობაში ნამეტში ან დეფიციტში ასახული მთლიანი შემოსულობებისა და ზარალის ოდენობა, რომელიც მიეკუთვნება ანგარიშგების თარიღისათვის ფლობილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებულ შემოსულობებსა და ზარალს და იმის აღწერა, ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში სად არის ასახული ეს შემოსულობები და ზარალი.~~

~~(e) სამართლიანი ღირებულების მე-3 დონის შეფასებისათვის, თუ გონივრული ალტერნატიული დაშვებების ასახვისთვის ერთი ან მეტი არაემპირიული ამოსავალი მონაცემის ცვლილება სამართლიან ღირებულებას მნიშვნელოვნად შეცვლის, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და ამ ცვლილებების გავლენა. ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს, თუ როგორ იქნა გამოთვლილი გონივრული ალტერნატიული დაშვებების ასახვისთვის ცვლილების გავლენა. ამ მიზნით, ცვლილების მნიშვნელობა განიხილება ნამეტთან ან დეფიციტთან, მთლიან აქტივებთან ან მთლიან ვალდებულებებთან, ან, როდესაც სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წმინდა აქტივებში/კაპიტალში აღიარდება, მთლიან კაპიტალთან მიმართებით.~~

~~წინამდებარე სტანდარტით მოთხოვნილი რაოდენობრივი ინფორმაცია ერთეულმა ცხრილის სახით უნდა წარადგინოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა ფორმატი უფრო შესაფერისია. [ამოღებული]~~

34. ~~როდესაც არ არსებობს ფინანსური ინსტრუმენტის აქტიური ბაზარი, ერთეული მის სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდის გამოყენებით (იხ.სსბასს 41-ის პუნქტები AG149-AG154). თუმცა, თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი (ანუ გაცემული ან მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაკმაყოფილებულია სსბასს 41-ის პუნქტში AG151 მოცემული პირობები. მაშასადამე, შესაძლოა განსხვავება არსებობდეს თავდაპირველი~~

~~აღიარებისას სამართლიან ღირებულებასა და თანხას, შორის, რომელიც ამ თარიღით განისაზღვრება შეფასების მეთოდის გამოყენებით. მსგავსი განსხვავების არსებობის შემთხვევაში ერთეულმა ჯგუფების მიხედვით უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ინსტრუმენტი: ზოგიერთ შემთხვევაში ერთეული ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას შემოსულობას ან ზარალს არ აღიარებს, რადგან მტკიცებულება არ არსებობს არც აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის სახით (ანუ 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემი) და არც შეფასების იმ მეთოდის საფუძველზე, რომელიც იყენებს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს (იხ. სსბას 41-ის პუნქტი AG117 41). მსგავს შემთხვევებში ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება ჯგუფის მიხედვით:~~

- ~~(ა) თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის ჰმ განსხვავების (სხვაობის) ნამეტში ან დეფიციტში აღიარებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რათა აისახოს იმ ფაქტორების ცვლილებები, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ფასის დადგენისას განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას (იხ. სსბას 41-ის ქვეპუნქტი AG117(b)); და~~
- ~~(ბ) მთლიანი განსხვავების თანხა, რომელიც უნდა აღიარდეს ნამეტში ან დეფიციტში პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს და ამ სხვაობის წაშთში მომხდარი ცვლილებების შეჯერება; და~~
- ~~(ც) როდესაც ერთეული ვერ აკეთებს დასკვნას, რომ გარიგების ფასი გახლდათ სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება, იმ მტკიცებულების აღწერის ასახვა, რომელიც ამყარებს მოცემულ სამართლიან ღირებულებას.~~

...

ძალაში შესვლის თარიღი და გარდამავალი დებულებები

...

52M. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბას 46-ით, შეფასება, ცვლილებები შევიდა მე-8 და 34-ე პუნქტებში, დამატა პუნქტები 30A-30I და ამოღებულ იქნა პუნქტები 31-33. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გამჟღავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბას 46.

...

მითითებები დანერგვაზე

წინამდებარე მითითებები გამოყენებაზე დაერთვის სსბას 30-ს, მაგრამ არ არის მისი შემადგენელი ნაწილი.

...

ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელობა ერთეულის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის

შედეგებისათვის (პუნქტები 10–36, AG4 და AG5)

...

სამართლიანი ღირებულება (პუნქტები 31–34)

...

IG15. სსბასს 30 მოითხოვს საწყისი და საბოლოო ნაშთების შედარებას იმ აქტივებისა და ვალდებულებებისათვის, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით შეფასების მეთოდის გამოყენებით, რომლისთვისაც ნებისმიერი მნიშვნელოვანი მონაცემი არ არის დამოკიდებული ემპირიულ საბაზრო მონაცემებზე (დონე 3). ასეთი ინფორმაცია მოითხოვება ცხრილის ფორმატით თუ სხვა უფრო შესაფერისი ფორმატი არ არსებობს. ერთეულმა 33(ბ) პუნქტის დასაკმაყოფილებლად უნდა გაამჟღავნოს აქტივების შესახებ შემდეგი (ასევე მოითხოვება შესადარისი ინფორმაციის გამჟავნება, მაგრამ არ არის წარმოდგენილი მოცემულ მაგალითში).

...

IG16. თავდაპირველი აღიარებისას ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ იყიდება აქტიურ ბაზრებზე, განისაზღვრება სსბასს 41-ის მგ AG151 პუნქტის შესაბამისად. თუმცა, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, თუ ერთეული იყენებს შეფასების მეთოდს რომელიც ისეთ მონაცემებსაც აერთიანებს, რომლებიც მოპოვებული არ არის დაკვირვებადი ბაზრებიდან, შეიძლება არსებობდეს განსხვავება თავდაპირველი აღიარების დროს არსებულ გარიგების ფასსა და თავდაპირველი აღიარების დროს შეფასების მეთოდის გამოყენებით განსაზღვრულ სიდიდეს შორის. ასეთ შემთხვევაში, ეს განსხვავება სსბასს 41-ისა და ერთეულის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად აღიარდება მომდევნო პერიოდების ნამეტში ან დეფიციტში. ამგვარი აღიარება ასახავს იმ ფაქტორების (მათ შორის დროის ფაქტორის) ცვლილებას, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ფასის განსაზღვრისას (იხ. სსბასს 41-ის პუნქტი AG151). ასეთ შემთხვევაში, 33-ე პუნქტი მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტებებს. ერთეულმა 34-ე პუნქტის მოთხოვნის შესრულების მიზნით შეიძლება გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

მონაცემები

20X1 წლის 1 იანვარს ერთეულმა 15 მლნ ფე-ად შეისყიდა ფინანსური აქტივები, რომლებიც არ იყიდება აქტიურ ბაზარზე. ერთეულს აქვს მსგავსი ფინანსური აქტივების მხოლოდ ერთი ჯგუფი.

გარიგების ფასი, 15 მლნ ფე, წარმოადგენს თავდაპირველი აღიარების დროს არსებულ სამართლიან ღირებულებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ერთეული იყენებს შეფასების მეთოდს ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების დასადგენად. აღნიშნული შეფასების მეთოდი მოიცავს ისეთ ცვლადებს, რომლებიც მოპოვებული არ არის დაკვირვებადი ბაზრებიდან.

თავდაპირველი აღიარებისას იგივე შეფასების მეთოდით მიიღებოდა 14 მლნ ფე, რაც სამართლიანი ღირებულებისგან 1 მლნ ფულადი ერთეულით განსხვავდება.

ერთეულს 20X1 წლის 1 იანვრისათვის აქვს არსებული განსხვავება 5 მლნ ფე.

გამოყენების მოთხოვნები

20X2 წელს ერთეულის მიერ გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ინსტრუმენტების, რომლებითაც აქტიურ ბაზარზე არ ვაჭრობენ, სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის შეფასებისთვის ერთეული შემდეგ შეფასების მეთოდს იყენებს: [მეთდის აღწერა, რომელიც ამ მაგალითში მოცემული არ არის]. შესაძლოა განსხვავება წარმოიქმნას თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებასა (რომელიც, სსბასს 41-ის შესაბამისად, საზოგადოდ, გარიგების ფასია) თავდაპირველი აღიარებისას შეფასების მეთოდით განსაზღვრულ თანხას შორის. ნებისმიერი მსგავსი განსხვავება [ერთეულის სააღრიცხვო პოლიტიკის აღწერა]

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში

როგორც შენიშვნაში X არის განხილული, შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, რომლებიც აქტიურ ბაზარზე არ ვაჭრობენ, ერთეული იყენებს [შეფასების მეთოდის დასახელებას]. თუმცა, სსბასს 41-ის მიხედვით გამოშვებისას ნებისმიერი ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება საზოგადოდ არის გარიგების ფასი. თუ გარიგების ფასი განსხვავებულია გამოშვებისას შეფასების მეთოდის გამოყენებით განსაზღვრული თანხისგან, მაშინ ეს განსხვავება [ერთეულის სააღრიცხვო პოლიტიკის აღწერა].

...

ცვლილებები სსბასს 31-ში, არამატერიალური აქტივები

ცვლილებები შევიდა პუნქტებში 45, 48, 71, 74, 75, 76, 81, 83, 99, 121, 123 და 124, და პუნქტების 73, 74, და 123 შესაბამის სათაურებში. დაემატა პუნქტები 123A–123F და 132N. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

აღიარება და შეფასება

...

აქტივების გაცვლა

...

45. 26-ე პუნქტში მითითებულია, რომ არამატერიალური აქტივის აღიარების პირობა არის ის, რომ შესაძლებელი უნდა იყოს არამატერიალური აქტივის თვითღირებულების საიმედოდ შეფასება. ~~ესევე არამატერიალური აქტივის სამართლიანი ღირებულება, რომლისთვისაც არ არსებობს შესაძარისი საბაზრო ოპერაციები, შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, თუ:~~

- (ა) სამართლიანი ღირებულების შეფასებების გონივრულ დიაპაზონში ცვალებადობა მნიშვნელოვანი არ არის ამ აქტივისთვის: ან

- (b) შესაძლებელია ამ დიაპაზონში სხვადასხვა შეფასებების პრაქტიკულად შეფასება და გამოყენება სამართლიანი ღირებულების ~~შეფასებაში~~ შეფასებისას.

თუ ერთეულს შეუძლია საიმედოდ განსაზღვროს შეფასდეს მიღებული ან გაცემული აქტივის სამართლიანი ღირებულება, მაშინ თვითღირებულების განსაზღვრისთვის გაცემული აქტივის სამართლიანი ღირებულება გამოიყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება უფრო ნათლად ჩანს.

...

ერთეულში შექმნილი გუდვილი

...

47. განსხვავება ერთეულის ~~საბალანსო~~ სამართლიან ღირებულებასა და მისი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის, ნებისმიერ დროს, შესაძლოა გამოწვეული იყოს მთელი რიგი ფაქტორების ზემოქმედებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ერთეულის სამართლიან ღირებულებაზე. თუმცა, ასეთი განსხვავებები არ წარმოადგენს ერთეულის მიერ კონტროლირებული არამატერიალური აქტივების თვითღირებულებას.

...

შემდგომი შეფასება

71. ერთეულმა თავისი სააღრიცხვო პოლიტიკის სახით უნდა აირჩიოს პირვანდელი ღირებულების მოდელი, 73-ე პუნქტის მიხედვით, ან ~~გადაფასების~~ მიმდინარე ღირებულების მოდელი, 74-ე პუნქტის მიხედვით. თუ რომელიმე არამატერიალური აქტივი აღრიცხულია ~~გადაფასების~~ მიმდინარე ღირებულების მოდელის გამოყენებით, მაშინ მის ჯგუფში არსებული ყველა აქტივი იმავე მეთოდის გამოყენებით უნდა აღირიცხოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ აქტივებისათვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

...

პირვანდელი ღირებულების მოდელი

...

მიმდინარე ღირებულების გადაფასების-მოდელი

74. საწყისი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი უნდა აისახოს გადაფასებული ღირებულებით, რომელიც არის გადაფასების თარიღით მისი სამართლიანი ღირებულება, შემცირებული ნებისმიერი შემდგომი დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის ოდენობით. წინამდებარე სტანდარტის ფარგლებში გადაფასების მიზნით, სამართლიანი ღირებულება უნდა განსაზღვროს შეფასდეს აქტიური ბაზრიდან მიღებული ინფორმაციის მეშვეობით. გადაფასებები უნდა ჩატარდეს რეგულარულად, ისე, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მისი საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისაგან.

75. ~~გადაფასების~~ მიმდინარე ღირებულების მოდელით დაშვებული არ არის:

(a) იმ არამატერიალური აქტივების გადაფასება, რომლებიც მანამდე არ იყო აღიარებული აქტივების სახით; ან

(b) არამატერიალური აქტივების საწყისი აღიარება თვითღირებულების გარდა სხვა თანხით.

76. ~~გადაფასების მიმდინარე ღირებულების~~ მოდელი გამოიყენება მას შემდეგ, როდესაც აქტივი თავდაპირველად თვითღირებულებით აღიარდება. თუმცა, თუ არამატერიალური აქტივის თვითღირებულების მხოლოდ ნაწილია აღიარებული აქტივის სახით იმის გამო, რომ აქტივმა არ დააკმაყოფილა აღიარების კრიტერიუმები პროცესის ნაწილის გავლამდე (იხ. პუნქტი 63), ~~გადაფასების მიმდინარე ღირებულების~~ მოდელი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მთლიანად ამ აქტივისათვის. აგრეთვე, ~~გადაფასების~~ მიმდინარე ღირებულების მოდელი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმ არამატერიალური აქტივისათვის, რომელიც მიღებული იქნა არაგაცვლითი ოპერაციის მეშვეობით (იხ. პუნქტები 42-43).

...

81. თუ გადაფასებული არამატერიალური აქტივის სამართლიანი ღირებულებისაქტიური ბაზრის ინფორმაციის საფუძველზე ~~განსაზღვრა შეუძლებელია~~, აქტივის საბალანსო ღირებულება იქნება მისი აქტიური ბაზრის ინფორმაციის საფუძველზე, ნებისმიერი შემდგომი დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის ოდენობით შემცირებული აქტივის გადაფასების ღირებულება გადაფასების თარიღისთვის.

...

83. თუ შემდგომი შეფასების თარიღისათვის აქტიური ბაზრის ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია აქტივის სამართლიანი ღირებულების ~~განსაზღვრა შეუძლებელია~~, მაშინ ამ თარიღიდან გამოიყენება ~~გადაფასების მიმდინარე ღირებულების~~ მოდელი.

...

არამატერიალური აქტივები განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადით

...

ნარჩენი ღირებულება

99. განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულება მიჩნეულ უნდა იქნეს ნულის ტოლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(a) მესამე მხარეს აღებული აქვს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მისი შესყიდვის ვალდებულება; ან

(b) ამ აქტივისათვის არსებობს აქტიური ბაზარი (როგორც ეს განმარტებულია სსბასს 46-ში) და:

(i) ნარჩენი ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია ამ ბაზრიდან აღებული ინფორმაციის საფუძველზე; და

(ii) მოსალოდნელია, რომ ეს ბაზარი იარსებებს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს..

...

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი

...

121. ერთეულმა აგრეთვე უნდა გაამჟღავნოს:

...

- (a) არაგაცვლითი ოპერაციით შეძენილი და თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არამატერიალური აქტივებისათვის (იხ.პუნქტები 42-43):
 - (i) ამ აქტივებისათვის თავდაპირველად აღიარებული სამართლიანი ღირებულება;
 - (ii) მათი საბალანსო ღირებულება; და
 - (iii) როგორ აღირიცხება აქტივები აღიარების შემდგომ: პირვანდელი ღირებულების მოდელით თუ გადაფასების მიმდინარე ღირებულების მოდელით.
- (b) ...

...

აღიარების შემდეგ გადაფასების მიმდინარე ღირებულების მოდელით შეფასებული არამატერიალური აქტივები

123. თუ არამატერიალური აქტივები აღირიცხულია გადაფასებული ღირებულებით, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- (a) არამატერიალური აქტივების ჯგუფების მიხედვით:
 - (i) გადაფასების ძალაში შესვლის თარიღი;
 - (ii) გადაფასებული არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება; და
 - (iii) საბალანსო ღირებულება, რომელიც აღიარდებოდა არამატერიალური აქტივები 73-ე პუნქტში განხილული პირვანდელი ღირებულების მოდელით რომ ყოფილიყო შეფასებული აღიარების შემდეგ;
- (b) ...
- (c) ~~აქტივების სამართლიანი ღირებულებების შეფასებისას გამოყენებული მეთოდები და მნიშვნელოვანი დაშვებები. [ამოღებულია]~~

123A. ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარებათ ქვემოთ მოცემული ორივე საკითხის შეფასებაში:

- (a) სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არამატერიალური აქტივებისთვის, რომლებიც პერიოდული ან ერთჯერადი სამართლიანი ღირებულებით ფასდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების შემდეგ - შეფასების მეთოდები და ამ შეფასებისთვის გამოყენებული ამოსავალი მონაცემები; და
- (b) მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების (მე-3 დონე) გამოყენებით სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის - ამ შეფასების გავლენა

ნამეტზე ან დეფიციტზე ან პერიოდის წმინდა აქტივებზე/საკუთარ კაპიტალზე.

123B. პუნქტში 123A მოცემული მიზნების მისაღწევად ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- (a) ინფორმაციის დეტალიზაციის დონე, რომელიც საჭიროა გამჟავნების ამ მოთხოვნების შესასრულებლად;
- (b) რამდენად უნდა გაკეთდეს აქცენტი ამ სხვადასხვა მოთხოვნებს შორის თითოეულ მოთხოვნაზე;
- (c) რამდენად უნდა განხორციელდეს აგრეგირება ან დეზაგრეგირება; და
- (d) ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს სჭირდებათ თუ არა დამატებითი ინფორმაცია გამჟავნებული რაოდენობრივი ინფორმაციის შესაფასებლად.

როდესაც წინამდებარე სსბასს-ის ან სხვა სსბასს-ების შესაბამისად გამჟავნებული ინფორმაცია საკმარისი არ არის პუნქტის 123A მიზნების მიღწევისთვის, ერთეულმა დამატებითი ინფორმაცია უნდა გაამჟავნოს აღნიშნული მიზნების მიღწევისთვის.

123C. პუნქტში 123A 89A მოცემული მიზნების მისაღწევად ერთეულმა სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია უნდა გაამჟავნოს არამატერიალური აქტივების თითოეული ჯგუფისთვის (არამატერიალური აქტივების სათანადო ჯგუფების განსაზღვრის შესახებ ინფორმაციისთვის იხ. პუნქტი 123D), რომელიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული (მათ შორის შეფასებები სამართლიანი ღირებულების საფუძველზე სსბასს 46-ის, *შეფასება, მოქმედების სფეროს ფარგლებში*) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების შემდეგ:

- (a) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის და სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასებები და ამ შეფასების განხორციელების მიზეზები. არამატერიალური აქტივების სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება ამ სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თითოეული საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. არამატერიალური აქტივების სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასება ამ სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გარკვეულ გარემოებებში;
- (b) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც მთლიანობაში მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების აღნიშნული შეფასებები (1-ლი, მე-2 ან მე-3 დონე);
- (c) არაემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული შეფასების მეთოდ(ებ)ისა და ამოსავალი მონაცემების აღწერა. შეფასების მეთოდის ცვლილების შემთხვევაში (მაგალითად, საბაზრო მდგომიდან შემოსავლების მდგომიზე გადასვლა ან შეფასების დამატებითი მეთოდის გამოყენება) ერთეულმა უნდა გაამჟავნოს ეს ცვლილება და მისი განხორციელების მიზეზ(ებ)ი. სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება ან არაემპირიული ამოსავალი მონაცემების მეშვეობით სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, ერთეულმა უნდა წარმოადგინოს რაოდენობრივი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი

არაემპირიული ამოსავალი მონაცემების შესახებ. ერთეულს რაოდენობრივი ინფორმაცია არ მოეთხოვება გამჟღავნების ამ მოთხოვნის შესასრულებლად, როდესაც რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები ერთეულს არ შეუდგენია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას (მაგალითად, როდესაც ერთეული იყენებს ადრინდელი ოპერაციებიდან აღებულ ფასებს ან ფასების შესახებ მესამე მხარის ინფორმაციას კორექტირების გარეშე). თუმცა, ამ გამჟღავნების გაკეთებისას ერთეულმა არ უნდა უგულებელყოს რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის და ერთეულისთვის პრაქტიკულად ხელმისაწვდომია;

- (d) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარაღის მე-3 დონეს განეკუთვნება - საწყისი ნაშთების შეჯერება საბოლოო ნაშთან, პერიოდის განმავლობაში იმ ცვლილებების ცალკე გამჟღავნებით, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ საკთხებთან:
- (i) ნამეტში ან დეფიციტში აღიარებული პერიოდის მთლიანი შემოსულობები ან ზარალი და ის მუხლები, სადაც აღიარებულია აღნიშნული შემოსულობები და ზარალი;
 - (ii) წმინდა აქტივებში/კაპიტალში აღიარებული პერიოდის მთლიანი შემოსულობები ან ზარალი და წმინდა აქტივების/კაპიტალის ის მუხლები, აღიარებულია აღნიშნული შემოსულობები და ზარალი; და
 - (iii) შესყიდვები, გაყიდვები, გამოშვებები და ანგარიშსწორება (ამ სახის თითოეული ცვლილების ცალკე გამჟღავნებით).
- (e) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარაღის მე-3 დონეს განეკუთვნება, ან არაემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის - ქვეპუნქტში (d)(i) მითითებული პერიოდის მთლიანი შემოსულობების ან ზარალის თანხა, რომელიც ასახულია ნამეტში ან დეფიციტში და საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ფლობილ აღნიშნულ არამატერიალურ აქტივებთან დაკავშირებული არარეალიზებული შემოსულობების ან ზარალის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი, ასევე ნამეტის ან დეფიციტის მქონე ის მუხლები, სადაც აღნიშნული შემოსულობები ან ზარალია აღიარებული;
- (f) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარაღის მე-3 დონეს განეკუთვნება - ერთეულის მიერ გამოყენებული შეფასების პროცესების აღწერა (მათ შორის, მაგალითად, როგორ იღებს ერთეული გადაწყვეტილებას თავისი შეფასების პოლიტიკის, პროცედურებისა და პერიოდებს შორის სამართლიანი ღირებულების შეფასებების ცვლილებების ანალიზის შესახებ); და
- (g) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარაღის მე-3 დონეს განეკუთვნება:
- (i) ყველა მსგავსი შეფასებისთვის, არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებების მიმართ სამართლიანი ღირებულების შეფასების სენსიტიურობის ტექსტური აღწერა, როდესაც ამ ამოსავალი მონაცემების ცვლილებამ შესაძლოა განაპირობოს

სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვნად მაღალი ან დაბალი შეფასება, როდესაც კავშირი არსებობს ამ ამოსავალ მონაცემებსა და სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულ სხვა არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს შორის, ერთეულმა ასევე უნდა წარმოადგინოს ამ ურთიერთკავშირების აღწერა და ახსნას, როგორ შეუძლია ამ ურთიერთკავშირებს სამართლიანი ღირებულების შეფასებაზე არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილების გავლენის გაზრდა ან შერბილება. გამჟღავნების ამ მოთხოვნის შესასრულებლად არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებების სენსიტიურობის ტექსტური აღწერა სულ მცირე უნდა მოიცავდეს ქვეპუნქტის (c) მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებულ არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს.

123D. მიმდინარე ღირებულების შეფასების გამჟღავნების მიზნით ერთეულმა შესაძლოა გადაწყვიტოს, რომ საჭიროა არამატერიალური აქტივების უფრო მეტი დეზაგრიგაცია (როგორც ეს განსაზღვრულია 71-ე პუნქტით) შემდეგის საფუძველზე:

- (a) ინვესტიციების ხასიათი, მახასიათებლები და რისკები; და
- (b) სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების მოცემული შეფასება, ან სამართლიანი ღირებულება ემპირიულია თუ არა.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის სავარაუდოდ საჭირო იქნება ჯგუფების უფრო დიდი რაოდენობა, რადგან ამ შეფასებებს უფრო მეტი განუსაზღვრელობა და სუბიექტურობა ახასიათებთ. იმ არამატერიალური აქტივების დეზაგრიგაციის განსაზღვრისთვის, რომელთათვისაც საჭიროა სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული გამჟღავნებები, საჭიროა განსჯის გამოყენება. ხშირ შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების ჯგუფისთვის უფრო მეტი დეზაგრიგაციაა საჭირო, ვიდრე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სხვა მუხლებისთვის. თუმცა, ერთეულმა საკმარისი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ მუხლებთან შეჯერება. როდესაც სხვა სსბასს-ში მითითებულია არამატერიალური აქტივის დეზაგრიგაცია, ერთეულმა შეიძლება ეს ჯგუფი გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტში მოცემული გამჟღავნების მოთხოვნის შესასრულებლად, თუ აღნიშნული ჯგუფი აკმაყოფილებს წინამდებარე პუნქტში მოცემულ მოთხოვნებს.

123E. არამატერიალური აქტივების თითოეული ჯგუფისთვის, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით არ არის შეფასებული, მაგრამ რომლის სამართლიანი ღირებულება გამჟღავნებულია, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება ქვეპუნქტებით 123C(b), (c) და (g). თუმცა, ერთეულს არ მოეთხოვება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებებში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების რაოდენობრივი გამჟღავნება ან სამართლიანი ღირებულების შეფასებებში გამოყენებული არაემპირიული ამოსავალი მონაცემების რაოდენობრივი გამჟღავნება, რაც მოითხოვება 120C(c) პუნქტით. მსგავსი არამატერიალური აქტივებისთვის ერთეულს არ მოეთხოვება წინამდებარე სტანდარტში მოცემული გამჟღავნების დანარჩენი მოთხოვნების შესრულება.

123F. წინამდებარე სტანდარტით მოთხოვნილი რაოდენობრივი ინფორმაცია ერთეულმა ცხრილის სახით უნდა წარადგინოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა ფორმატი უფრო შესაფერისია.

124. გამჟღავნების მიზნებისთვის შესაძლოა საჭირო იქნეს გადაფასებული აქტივების ჯგუფების აგრეგირება უფრო დიდ ჯგუფებად. თუმცა, ჯგუფების აგრეგირება არ ხორციელდება, თუ ეს გამოიწვევს იმ არამატერიალური აქტივების ჯგუფების გაერთიანებას, რომელიც მოიცავს თანხებს, შეფასებულ როგორც პირვანდელი ღირებულების ისე მიმდინარე ღირებულების გადაფასების მოდელით.

ძალაში შესვლის თარიღი

...

132N. 2023 წელს გამოცემული სსბასს 46-ით, შეფასება, ცვლილებები შევიდა პუნქტებში 45, 48, 71, 74, 75, 76, 81, 83, 99, 121, 123, და 124, და პუნქტების 73, 74, და 123 დაკავშირებულ სათაურებში. დავმატა პუნქტები 123A–123F. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამყავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი დაერთვის სსბასს 31-ს, მაგრამ არ არის მისი შემადგენელი ნაწილი.

...

მიმდინარე ღირებულების გადაფასების მოდელი

BC9. სსბასს 31-ით შემოთავაზებული გადაფასების მიმდინარე ღირებულების მოდელი ბასს 38-ში წარმოდგენილის მოცემული გადაფასების მოდელის მსგავსია. ბასს 38-ით მოითხოვება, რომ გადაფასებები აღირიცხოს ცალკეული აქტივების მიხედვით. სსბასს 17-ით, ძირითადი საშუალებები, მოითხოვება, რომ გადაფასებები აღირიცხოს აქტივთა ჯგუფის მიხედვით და არა ცალკეული აქტივის მიხედვით. სსბასს-მა ეს მეთოდი განიხილა არამატერიალურ აქტივებთან მიმართებით და დაასკვნა, რომ საჭირო არ არის, რადგან არამატერიალური აქტივები ძირითადი საშუალებებისგან განსხვავდება, ნაკლებად სავარაუდოა, ისინი ერთგვაროვანი იყვნენ. საჯარო სექტორის ერთეულების არამატერიალური აქტივების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიპია შიდა წარმოშობის პროგრამული უზრუნველყოფა, რომლისთვისაც დეტალური ინფორმაციაა ხელმისაწვდომი თითოეული აქტივის მიხედვით. შედეგად, სსბასს-მ დაასკვნა, რომ მართებული იქნებოდა გადაფასებული არამატერიალური აქტივების ცალკეული აქტივების მიხედვით აღრიცხვა მოეთხოვა.

...

სსბასს-ების გაუმჯობესებების შედეგად სსბასს 31-ის გადასინჯვა, 2018

BC13. 109-ე პუნქტით მოითხოვება, რომ ერთეულმა განახორციელოს არამატერიალური აქტივის შემოწმება გაუფასურებაზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ხელახლა შეფასებისას. როდესაც ეს სტანდარტი გამოიცა, მსგავსი ტესტი მოითხოვებოდა მხოლოდ პირვანდელი ღირებულების მოდელის ფარგლებში შეფასებული არამატერიალური აქტივებისთვის. 2016 წლის

ივლისში გადაფასებული აქტივების გაუფასურების გამოცემის შემდეგ (ცვლილებები სსბასს 21-ში, ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება, და სსბასს 26-ში, ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება) აღნიშნული შემოწმება მოითხოვება ყველა არამატერიალური აქტივისთვის და 109-ე პუნქტიც შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი.

სსბასს 46-ის, შეფასება, შედეგად სსბასს 31-ის გადასინჯვა

- BC14. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46, შეფასება, უზრუნველყოფს საერთო სახელმძღვანელო მითითებებს აქტივების თავდაპირველ და შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით, რათა სსბასს-ში უზრუნველყოფილ იქნეს თანმიმდევრული მიდგომა. სსბასსს დათანხმდა სსბასს 31-დან შეფასებასთან დაკავშირებული მითითებების ამოღებას, რადგან მსგავსი მითითებები ახლა სსბასს 46-ში არის მოცემული და ფინანსური ანგარიშგების ავტორებს მიუთითა წინამდებარე სტანდარტზე.
- BC15. სსბასს 46-ით შემოღებულ იქნა მიმდინარე საოპერაციო ღირებულება, საჯარო სექტორში მიმდინარე ღირებულების შეფასების საფუძველი. შეფასების ეს საფუძველი ძირითადად გამოიყენება საოპერაციო შესაძლებლობებისთვის ფლობილი აქტივებისთვის. სსბასს 46-ის გამოცემის შემდეგ სსბასსს-მა დაასკვნა, რომ არამატერიალური აქტივები ფლობილია მათი მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენებისთვის და შესაბამისად, შეფასება არის სამართლიანი ღირებულების შეფასების თანმიმდევრული. ამგვარად, მიმდინარე საოპერაციო ღირებულება არ აისახა სსბასს 31-ში შეფასების საფუძვლის სახით.

ცვლილებები სსბასს 33-ში, დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ები) პირველად შემოღება

ცვლილებები შევიდა პუნქტებში 9, 64–72, 96B და 148. დამატა პუნქტები 41B, 64A, 152A–152F და 154M. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

განმარტებები

9. წინამდებარე სტანდარტში ტერმინები გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით:

სსბასს-ების მიღების თარიღი არის თარიღი, როდესაც ერთეული პირველად გამოიყენებს დარიცხვის მეთოდის სსბასს-ებს და წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისს, როდესაც პირველად გამოიყენებელი იწყებს დარიცხვის მეთოდის სსბასს-ების გამოყენებას და როდესაც ერთეული წარადგენს თავის პირველ გარდამავალ სსბასს ფინანსურ ანგარიშგებას ან თავის პირველ სსბასს ფინანსურ ანგარიშგებას.

~~დასაშვები საწყისი ღირებულება არის თვითღირებულების შემცველად გამოყენებული გარიგების ფასი შეფასების თარიღისათვის. [ამოღებულია]~~

...

გამონაკლისები, რომლებიც გავლენას ახდენენ სამართლიან წარდგენასა და დარიცხვის მეთოდის სსბასს-ებთან შესაბამისობაზე გარდამავალ პერიოდში

...

სამწლიანი გარდამავალი საშეღავათო პერიოდი აქტივების და/ან ვალდებულებების აღიარებისთვის და/ან შეფასებისთვის

აქტივების და/ან ვალდებულებების აღიარება და/ან შეფასება

...

41A. პირველად გამომყენებელმა სსბასს 46-ში მოცემული სახელმძღვანელო მითითებები უნდა გამოიყენოს აქტივების და/ან ვალდებულებების შეფასებისას.

...

გამონაკლისები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ სამართლიან წარდგენასა და დარიცხვის მეთოდის სსბასს-ებთან შესაბამისობაზე მიღების პერიოდში

...

დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენება აქტივების და/ან ვალდებულებების შესაფასებლად

64. პირველად გამომყენებელმა შესაძლოა აირჩიოს შემდეგი აქტივებისა და/ან ვალდებულებების მათი სამართლიანი ღირებულებით შეფასება, როდესაც ხელმისაწვდომი არ არის საიმედო ინფორმაცია დანახარჯების შესახებ და აღნიშნული სამართლიანი ღირებულება გამოიყენოს, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება შემდეგი მუხლებისთვის:

- (a) მარაგი (იხ. სსბასს 12);
- (b) საინვესტიციო ქონება, როდესაც პირველად გამომყენებელი ირჩევს სსბასს 16-ში მოცემულ პირვანდელი ღირებულების თვითღირებულების მოდელს;
- (ba) აქტივის გამოყენების უფლება (იხ. სსბასს 43);
- (c) ~~ძირითადი საშუალებები~~ (იხ. სსბასს 17); [ამოღებულია]
- (d) არამატერიალური აქტივები, შიდა წარმოშობის არამატერიალური აქტივების გარდა (იხ. სსბასს 31) რომლებიც აკმაყოფილებენ:
 - (i) სსბასს 31-ში მოცემულ აღიარების კრიტერიუმებს (საიმედოდ შეფასების კრიტერიუმის გარდა); და
 - (ii) სსბასს 31-ში მოცემული გადაფასების კრიტერიუმებს (მათ შორის, აქტიური ბაზრის არსებობს);
- (e) ფინანსური ინსტრუმენტები (იხ. სსბასს 41); or
- (f) მომსახურების კონცესიური აქტივები (იხ. სსბასს 32).

64A. როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ხარჯების შესახებ საიმედო ღირებულება ხელმისაწვდომი არ არის, პირველად გამომყენებელმა შეიძლება აირჩიოს ძირითადი საშუალებების დასაშვები საწყისი ღირებულებით შეფასება, რომელიც სსბასს 46-ის შესაბამისად არის მიმდინარე საოპერაციო ღირებულება ან სამართლიანი ღირებულება. სსბასს 45-ის

მიხედვით ძირითადი მიზანი, რისთვისაც ერთეული ფლობს ძირითად საშუალებებს, განსაზღვრავს მიმდინარე ღირებულების შეფასების საფუძველს. საოპერაციო შესაძლებლობებისთვის ფლობილი ძირითადი საშუალებები მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით შეფასდება. ფინანსური შესაძლებლობებისთვის ფლობილი ძირითადი საშუალებები სამართლიანი ღირებულებით შეფასდება.

65. დასაშვები საწყისი ღირებულება შეიძლება განისაზღვროს, როდესაც აქტივის და/ან ვალდებულების შემენის დანახარჯები ხელმისაწვდომი არ არის. დასაშვები საწყისი ღირებულება გულისხმობს, რომ ერთეულმა თავდაპირველად აღიარა აქტივი და/ან ვალდებულება მოცემული თარიღით. შემდგომი ცვთა ან ამორტიზაცია ეფუძნება აღნიშნულ დასაშვებ საწყის ღირებულებას იმის გათვალისწინებით, რომ შემენის დანახარჯები დასაშვები საწყისი ღირებულების ტოლია. მაგალითად, პირველად გამომყენებელმა შეიძლება არჩიოს ძირითადი საშუალებების დასაშვები საწყისი ღირებულებით შეფასება სსბასს-ების მიღების თარიღით, რადგან მოცემული ძირითადი აქტივის დანახარჯების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ იყო ამ თარიღით და მიმდინარე საოპერაციო ღირებულება. ან სამართლიანი ღირებულება გამოიყენოს, როგორც მისი დასაშვები საწყისი ღირებულება ამ თარიღით. ნებისმიერი შემდგომი ცვთა დაეფუძნება სამართლიან ღირებულებას, რომელიც განისაზღვრა შეფასდა ამ თარიღით და დარიცხვა იწყება იმ თარიღით, როდესაც განისაზღვრა დასაშვები საწყისი ღირებულება.
66. დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენება არ ითვლება გადაფასებად ან სამართლიანი მიმდინარე ღირებულების მოდელის გამოყენებად შემდგომი შეფასებისთვის სხვა სსბასს-ების შესაბამისად.
67. პირველად გამომყენებელმა შეიძლება დასაშვებ ღირებულებად თავისი ადრინდელი აღრიცხვის საფუძვლის ფარგლებში ძირითადი საშუალების გადაფასების ღირებულების გამოყენება არჩიოს, თუ აღნიშნული გადაფასება, გადაფასების თარიღით, საზოგადოდ შესაძარსია:
- (a) სამართლიანი ღირებულების, როდესაც ძირითადი საშუალება ფლობილია მისი ფინანსური შესაძლებლობებისთვის; ან
 - (ab) მიმდინარე საოპერაციო ღირებულების, როდესაც ძირითადი საშუალება ფლობილია მისი საოპერაციო შესაძლებლობებისთვის.
 - (b) ~~თვითღირებულების ან ამორტიზებული ღირებულების, საჭიროების შემთხვევაში, სსბასს-ების შესაბამისად, კორექტირებული, რათა აისახოს, მაგალითად საერთო ან სპეციფიკური ფასის ინდექსის ცვლილებები.~~ [ამოღებულია]
68. პირველად გამომყენებელმა შესაძლოა დასაშვები საწყისი ღირებულება დაადგინა ძირითადი საშუალებების აღრიცხვის მისი ადრინდელი საფუძვლის მეშვეობით, მისი სამართლიანი ღირებულების, ან მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებით ერთი კონკრეტული თარიღით კონკრეტული მოვლენის გამო:
- (a) როდესაც შეფასების თარიღი ემთხვევა სსბასს-ების შემოღების თარიღს ან მანამდეა, პირველად გამომყენებელმა შესაძლოა მსგავსი, მოვლენით განპირობებული სამართლიანი ღირებულების ან მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებები გამოიყენოს დასაშვები საწყისი ღირებულების სახით სსბასს-ებისთვის ამ შეფასების თარიღით.
 - (b) როდესაც შეფასების თარიღი სსბასს-ების შემოღების თარიღის შემდეგ, მაგრამ გარდამავალ

პერიოდშია, როდესაც პირველად გამომყენებული სარგებლობს გამონაკლისით, რომელიც სამწლიან გარდამავალ საშეღავათო პერიოდს უზრუნველყოფს იმისათვის, რომ არ აღიაროს და/ან შეაფასოს გარკვეული აქტივები, შესაძლებელია მოვლენით განპირობებული სამართლიანი ღირებულების ან მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებების გამოყენება დასაშვებია საწყისი ღირებულების სახით აღნიშნული მოვლენის მოხდენისას. პირველად გამომყენებელმა შედეგად გაკეთებული კორექტირებები პირდაპირ დაგროვილ ნამეტში ან დეფიციტში უნდა აღიაროს როდესაც აქტივი აღიარდება და/ან შეფასდება.

69. 67-ე პუნქტის შესაბამისად ~~სამართლიანი მიმდინარე ღირებულების განსაზღვრისას შეფასებისას,~~ პირველად გამომყენებელმა უნდა გამოიყენოს სამართლიანი ღირებულების ან მიმდინარე საოპერაციო ღირებულების განმარტება და სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც მოცემულია ~~სხვა შესაბამის სსბასს-ებში სსბასს 46-ში რათა განსაზღვროს მოცემული აქტივის სამართლიანი ღირებულება. სამართლიანი ღირებულება უნდა ასახავდეს გარემოებებს, რომლებიც არსებობდა მისი განსაზღვრის თარიღით.~~
70. როდესაც მარაგისთვის, ან სპეციალიზებული ხასიათის საინვესტიციო ქონებისთვის ან ძირითადი საშუალებებისთვის ხელმისაწვდომი არ არის საიმედო საბაზრო მტკიცებულება სამართლიანი ღირებულებისთვის ემპირიული ამოსავალი მონაცემები მიმდინარე ღირებულებისთვის, პირველად გამომყენებელმა შესაძლოა სსბასს 46-ის შესაბამისად დასაშვები საწყისი ღირებულების განსაზღვრისთვის გაითვალისწინოს შეფასების შემდეგ სხვა ალტერნატივები მეთოდები:

(ა) ~~მარაგისთვის, მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულება;~~ და

(ბ) ~~სპეციალიზებული ხასიათის საინვესტიციო ქონებისთვის, ამორტიზებული ჩანაცვლების ღირებულება.~~

დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენება არაგაცვლითი ოპერაციით შეძენილი აქტივების შეფასებისთვის

71. პირველად გამომყენებელმა შეიძლება არჩიოს არაგაცვლითი ოპერაციით შეძენილი აქტივების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ან ძირითადი საშუალებების მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით შეფასება, როდესაც ხელმისაწვდომი არ არის საიმედო ინფორმაცია აქტივის დანახარჯების შესახებ და ეს ~~სამართლიანი ღირებულება~~ გამოიყენოს მის დასაშვებ საწყის ღირებულებად. სსბასს 45-ის მიხედვით ძირითადი მიზანი, რისთვისაც ერთეული ფლობს ძირითად საშუალებებს, განსაზღვრავს მიმდინარე ღირებულების შეფასების საფუძველს. საოპერაციო შესაძლობლებისთვის ფლობილი ძირითადი საშუალებები მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით შეფასდება. ფინანსური შესაძლებლობებისთვის ფლობილი ძირითადი საშუალებები სამართლიანი ღირებულებით შეფასდება.

დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენება კონტროლს დაქვემდებარებულ ერთეულებში, ერთობლივ საქმიანობაში და მეკავშირე ერთეულებში (სსბასს 34)

72. როდესაც პირველად გამომყენებული კონტროლს დაქვემდებარებულ ერთეულში, ერთობლივ საქმიანობაში ან მეკავშირე ერთეულებში საინვესტიციო ქონებას აფასებს თავის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, მას შეუძლია, სსბასს-ების მიღების თარიღით აირჩიოს ამ ინვესტიციის ქვემოთ მოცემული ერთ ერთი თანხით შეფასება თავის ინდივიდუალურ საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

- (a) თვითღირებულება; ან
- (b) დასაშვები საწყისი ღირებულება. მსგავსი ინვესტიციის დასაშვები საწყისი ღირებულება უნდა იყოს მისი სამართლიანი ღირებულება (~~განისაზღვრება სსბასს 41-ის შესაბამისად~~) პირველად გამომყენებული სსბასს-ების მიღების თარიღით მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

...

სსბასს 43, იჯარა

...

96B მიუხედავად 96A პუნქტში მოცემული მოთხოვნებისა, პირველად გამომყენებელმა, რომელიც მოიჯარეა აქტივის გამოყენების უფლება სამართლიანი ღირებულებით უნდა შეაფასოს სსბასს-ების მიღების თარიღით იმ იჯარებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ სსბასს 16-ში მოცემულ საინვესტიციო ქონების განმარტებას და რომელთა შეფასება ხორციელდება სსბასს 16-ის ~~სამართლიანი~~ მიმდინარე ღირებულების მოდელის გამოყენებით სსბასს-ების მიღების თარიღიდან.

...

განმარტებითი შენიშვნები

გამჟღავნება, როდესაც დასაშვები საწყისი ღირებულება გამოიყენება მარაგისთვის, ინვესტიციისთვის, ძირითადი საშუალებებისთვის, არამატერიალური აქტივებისთვის, ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ან მომსახურების კონცესიური აქტივებისთვის

148. პირველად გამომყენებელმა, რომელიც ~~სამართლიანი~~ მიმდინარე ღირებულების შეფასების ~~საფუძველს, პუნქტებში 64, 67 ან 70 მოცემულ ალტერნატივას~~, დასაშვები საწყისი ღირებულების სახით იყენებს მარაგისთვის, ინვესტიციისთვის, ძირითადი საშუალებებისთვის, არამატერიალური აქტივებისთვის, ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ან მომსახურების კონცესიური აქტივებისთვის თავის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნოს:

- (a) ~~სამართლიანი~~ მიმდინარე ღირებულების, ან შეფასების სხვა ალტერნატივების რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დასაშვები საწყისი ღირებულების განსაზღვრისას, აგრეგირებული ღირებულება;
- (b) აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლის ფარგლებში აღიარებული საბალანსო ღირებულებების აგრეგირებული კორექტირებები; და
- (c) დასაშვები საწყისი ღირებულება განისაზღვრა თუ არა სსბასს-ების მიღების თარიღით გარდამავალ პერიოდში.

...

მიმდინარე ღირებულების შეფასება

152A. ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარებათ შემდეგი შეფასებების გაკეთებაში:

- (a) თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით პერიოდულად შეფასებული აქტივების ან ვალდებულებებისთვის, შეფასების მეთოდები და ამ შეფასებებისთვის გამოყენებული ამოსავალი მონაცემები.

152B. 152A პუნქტში მოცემული მიზნების მისაღწევად ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხი:

- (a) ინფორმაციის დეტალიზაციის დონე, რომელიც საჭიროა გამჟავნების ამ მოთხოვნების შესასრულებლად;
- (b) რამდენად უნდა გაკეთდეს აქცენტი ამ სხვადასხვა მოთხოვნებს შორის თითოეულ მოთხოვნაზე;
- (c) რამდენად უნდა განხორციელდეს აგრეგირება ან დეზაგრეგირება; და
- (d) ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს სჭირდებათ თუ არა დამატებითი ინფორმაცია გამჟავნებული რაოდენობრივი ინფორმაციის შესაფასებლად.

როდესაც წინამდებარე სსბასს-ის ან სხვა სსბასს-ების შესაბამისად გამჟავნებული ინფორმაცია საკმარისი არ არის პუნქტის 152A მიზნების მიღწევისთვის, ერთეულმა დამატებითი ინფორმაცია უნდა გაამჟავნოს აღნიშნული მიზნების მიღწევისთვის.

152C. 152A პუნქტში მოცემული მიზნების მისაღწევად ერთეულმა სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია უნდა გაამჟავნოს მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივების ან ვალდებულებების თითოეული ჯგუფისთვის (მათ შორის შეფასებები მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების საფუძველზე სსბასს 46-ის, შეფასება, მოქმედების სფეროს ფარგლებში) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების შემდეგ:

- (a) მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასებებისთვის, მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების შეფასება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს და ამ შეფასების განხორციელების მიზეზები, აქტივების ან ვალდებულებების მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასება ამ სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გარკვეულ გარემოებებში.
- (b) მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასებებისთვის, მიმდინარე საოპერაციო ღირებულება ან სამართლიანი ღირებულება ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით შეფასდა თუ არა ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით, და სამართლიანი ღირებულების იერარქია, რომელსაც მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების შეფასებები მთლიანობაში (1-ლი, მე-2 ან მე-3 დონე), ან არა ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით განხორციელებული მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებები.
- (c) არაემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული შეფასების მეთოდ(ებ)ისა და ამოსავალი მონაცემების აღწერა.

შეფასების მეთოდის ცვლილების შემთხვევაში (მაგალითად, საბაზრო მიდგომიდან შემოსავლების მიდგომაზე გადასვლა ან შეფასების დამატებითი მეთოდის გამოყენება) ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ეს ცვლილება და მისი განხორციელების მიზეზ(ებ)ი. სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება ან არაემპირიული ამოსავალი მონაცემების მეშვეობით მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, ერთეულმა უნდა წარმოადგინოს რაოდენობრივი ინფორმაცია მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების შესახებ. ერთეულს რაოდენობრივი ინფორმაცია არ მოეთხოვება გამჟღავნების ამ მოთხოვნის შესასრულებლად, როდესაც რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები ერთეულს არ შეუდგენია მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების შეფასებისას (მაგალითად, როდესაც ერთეული იყენებს ადრინდელი ოპერაციებიდან აღებულ ფასებს ან ფასების შესახებ მესამე მხარის ინფორმაციას კორექტირების გარეშე). თუმცა, ამ გამჟღავნების გაკეთებისას ერთეულმა არ უნდა უგულებელყოს რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის და ერთეულისთვის პრაქტიკულად ხელმისაწვდომია.

- (d) სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება ან არაემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ერთჯერადი შეფასებისთვის - ერთეულის მიერ გამოყენებული შეფასების პროცესის აღწერა (მათ შორის, (მათ შორის, მაგალითად, როგორ იღებს ერთეული გადაწყვეტილებას თავისი შეფასების პოლიტიკის, პროცედურებისა და პერიოდებს შორის მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების შეფასებების ცვლილებების ანალიზის შესახებ).

152D. ერთეულმა უნდა განსაზღვროს აქტივების ან ვალდებულებების სათანადო დეზაგრეგაცია შემდეგის საფუძველზე:

- (a) აქტივების ან ვალდებულებების ხასიათი, მახასიათებლები და რისკები; და
- (b) სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების მოცემული შეფასება, ან მიმდინარე საოპერაციო ღირებულება ან სამართლიანი ღირებულება ემპირიულია თუ არა.

შესაძლოა სამართლიანი ღირებულების მე-3 დონეს მიკუთვნებული სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის ან არაემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით შეფასებული მიმდინარე საოპერაციო ღირებულებისთვის უფრო მეტი დეზაგრეგაცია საჭირო, რადგან ამ შეფასებებს უფრო მეტი განუსაზღვრელობა და სუბიექტურობა ახასიათებთ. იმ აქტივების ან ვალდებულებების დეზაგრეგაციის განსაზღვრისთვის, რომელთათვისაც საჭიროა მიმდინარე საოპერაციო ღირებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული გამჟღავნებები, საჭიროა განსჯის გამოყენება. ხშირ შემთხვევაში, აქტივების ან ვალდებულებებისთვის უფრო მეტი დეზაგრეგაცია საჭირო, ვიდრე ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგებაში ასახული სხვა მუხლებისთვის. თუმცა, ერთეულმა საკმარისი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ მუხლებთან შეჯერება. როდესაც სხვა სსბასს-ში მითითებულია აქტივის ან ვალდებულების დეზაგრიგაცია, ერთეულმა შეიძლება ეს დეზაგრიგაცია გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტში მოცემული გამჟღავნების მოთხოვნის შესასრულებლად, თუ აღნიშნული დეზაგრიგაცია აკმაყოფილებს წინამდებარე პუნქტში მოცემულ მოთხოვნებს.

152E. აქტივების ან ვალდებულებების თითოეული ჯგუფისთვის, რომლებიც მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეფასებული არ არის, მაგრამ რომლისთვისაც მიმდინარე საოპერაციო ღირებულება ან სამართლიანი ღირებულება გამჟღავნებულია, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ქვეპუნქტებით 152C(b), (c) და (d) მოთხოვნილი ინფორმაცია. თუმცა, ერთეულს არ მოეთხოვება რაოდენობრივი ინფორმაციის გამჟღავნება იმ მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების შესახებ, რომლებიც გამოიყენება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს მიკუთვნებული სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის ან არაემპირიული ამოსავალი მონაცემების მეშვეობით მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, რაც მოითხოვება 152C(c) პუნქტით. მსგავსი აქტივების ან ვალდებულებებისთვის ერთეულს არ მოეთხოვება წინამდებარე სტანდარტში მოცემული გამჟღავნების დანარჩენი მოთხოვნების შესრულება.

152F. წინამდებარე სტანდარტით მოთხოვნილი რაოდენობრივი ინფორმაცია ერთეულმა ცხრილის სახით უნდა წარადგინოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა ფორმატი უფრო შესაფერისია.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

154M. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით ცვლილებები შევიდა პუნქტებში 9, 64–72, 96B და 148 და დაემატა პუნქტები 41B, 64A და 152A–152F. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოიყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი დაერთვის სსბასს 33-ს, მაგრამ არ არის მისი შემადგენელი ნაწილი.

...

გამონაკლისები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ სამართლიან წარდგენაზე და დარიცხვის მეთოდის სსბასს-ზე

დასაშვები საწყისი ღირებულება

დასაშვები საწყისი ღირებულება აქტივებისთვის და/ან ვალდებულებებისთვის

...

BC84A. სსბასს 46-ის, შეფასება, შემუშავების ფარგლებში დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები ჩამოყალიბდა დასაშვები საწყისი ღირებულებისთვის. აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებები შეიქმნა პრაქტიკაში დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენების გარკვევით წარმოსაჩენად. სსბასს 46-ში შეფასებასთან დაკავშირებით მოცემული სახელმძღვანელო მითითებები ზოგადია და კონკრეტულ სსბასს-ებში მოცემული კონკრეტული სახელმძღვანელო მითითებების შესავსებად შემუშავდა. სსბასს 46-ში დასაშვები საწყისი ღირებულების სახელმძღვანელო მითითებები ისე შემუშავდა, რომ უზრუნველყოფილიყო ამ სტანდარტში არსებულ სახელმძღვანელო მითითებებთან შესაბამისობა. თუმცა, იმ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული სახელმძღვანელო მითითებებია მოცემული ამ სტანდარტში, მას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება სსბასს 46-ში მოცემულ ზოგად სახელმძღვანელო მითითებებთან შედარებით.

...

დასაშვები საწყისი ღირებულების გამსაზღვრის სამართლიანი ღირებულების შეფასების ალტერნატიული საფუძველი

...

BC93. “სამართლიანი ღირებულების” განსაზღვრისას, როდესაც სსბასს 33 შემუშავდა, გათვალისწინებულ იქნა თითოეულ შესაბამის სსბასს-ში მოცემული სახელმძღვანელო მითითებები, როდესაც მსგავსი სახელმძღვანელო მითითება არსებობდა. სსბასს 17-ში ~~არც~~ აღნიშნული იყო, რომ საზოგადოდ, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება განისაზღვრებოდა საბაზრო მტკიცებულების გამოყენებით, ხშირ შემთხვევაში შეფასების მეშვეობით. სსბასს 17-ში ასევე აღნიშნულია აღნიშნული იყო, რომ თუ ~~საბაზრო~~ დაფუძნებული საბაზრო მტკიცებულება არ არის ხელმისაწვდომი ძირითადი საშუალების შესაფასებლად, ერთეულს ~~შეუძლია~~ შეეძლოს სამართლიანი ღირებულების შეფასება ჩანაცვლების ღირებულების, აქტივის ანალოგის შექმნის ღირებულების ან მომსახურების ერთეულის მიდგომის გამოყენებით.

BC94. სსბასს-მა აღნიშნა, რომ სსბასს 16-ში მოცემული სამართლიანი ღირებულების სახელმძღვანელო მითითებები ~~მოვალისწინებს~~ ითვალისწინებდა მხოლოდ საბაზრო ღირებულებას და სსბასს 12-ში შეზღუდული სახელმძღვანელო მითითებები ~~არც~~ იყო მოცემული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით. სსბასს-მა დაასკვნა, რომ რადგან პირველად გამომყენებისთვის შესაძლოა რთული იყოს ყველა საინვესტიციო ქონებისა და ყველა მარაგის საბაზრო სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, შესაძლებელია შეფასების სხვა ალტერნატივების განხილვა მარაგის ან საინვესტიციო ქონების დასაშვები საწყისი ღირებულების განსაზღვრისთვის.

BC94A. მას შემდეგ სსბასს-მა გამოსცა სსბასს 46, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი ღირებულების ყველა სსბასს-ში თანმიმდევრულად შეფასებას. სსბასს-მა აღნიშნა, რომ ამ სტანდარტში მოცემული სახელმძღვანელო მითითებები მოიცავს სამართლიანი ღირებულების იერარქიას მითითებებით შეფასების იმ მეთოდებისთვის, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როდესაც ემპირიული საბაზრო მონაცემები არ არსებობს. სსბასს-მა მიიჩნია, რომ შესაბამისია შეფასების ალტერნატივების გამოყენების გაგრძელება და აღნიშნა, რომ სსბასს 33-

ში მოცემული ალტერნატივები შესაბამისია სსბასს 46-ით განსაზღვრული სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდებთან. სსბასს დათანხმდა სსბასს 33-ში ტექსტის შესაბამისად შეცვლაზე.

BC95. სსბასს დათანხმდა, რომ პირველად გამომყენებელს შეუძლია შეფასების შემდეგი ~~ალტერნატივების მეთოდების~~ განხილვა დასაშვები საწყისი ღირებულების განსაზღვრისას თუ სამართლიანი ღირებულებისთვის საჭირო ~~საიმედო საბაზრო მტკიცებულება~~ ემპირიული ამოსავალი მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის სსბასს-ების მიღების თარიღით, ან იმ თარიღით, როდესაც აქტივი პირველად აღიარდა და/ან შეფასდა და პირველად გამომყენებელი სარგებლობს გამონაკლისით, რაც უზრუნველყოფს სამწლიან გარდამავალ საშუალო პერიოდს გარკვეული აქტივების არ აღიარებისთვის და/ან შეფასებისთვის:

(a) მარაგისთვის ჩანაცვლების ღირებულება; და

(b) სპეციალიზებული ხასიათის საინვესტიციო ქონებისთვის, ამორტიზებული ჩანაცვლების ღირებულება.

...

სსბასს 46-ის, შეფასება, შედეგად სსბასს 33-ის გადასინჯვა

BC127. 2023 წლის მაისში გამოცემულ სსბასს 46-ში მოცემულია აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი და შემდგომი შეფასების შესახებ ზოგად მითითებები ყველა სსბასს-ში თანმიმდევრულად შეფასების უზრუნველყოფისთვის. ამ სტანდარტის 70-ე პუნქტით ნებადართულია პირველად გამომყენებელის მიერ სამართლიანი ღირებულებით შეფასების ალტერნატივის სახით ჩანაცვლების ღირებულების განხილვა, როდესაც მარაგისა და საინვესტიციო ქონებისთვის ემპირიული ამოსავალი მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. რადგან სსბასს 46-ში ჩანაცვლების ღირებულება მიჩნეული არ არის შეფასების საფუძვლად, სსბასს განიხილავს, საჭიროა თუ არა მისი ჩანაცვლება.

BC128. რადგან ჩანაცვლების ღირებულება შენარჩუნებულია სსბასს 12-ში, მარაგები, და სსბასს 16-ში, საინვესტიციო ქონება, სსბასსს დათანხმდა, რომ ჩანაცვლების ღირებულება შეენარჩუნებინა ამ სტანდარტის კონტექსტში, ცალკეულ სპეციფიკურ სსბასს-ში მოცემულ პრინციპებსა და პირველად შემოღების პრინციპებს შორის თანმიმდევრულობის შესანარჩუნებლად.

BC129. უფრო მეტიც, სსბასსს დათანხმდა, მიმდინარე საოპერაციო ღირებულება დაემატებინა, როგორც სამართლიანი ღირებულების შეფასების ალტერნატიულ საფუძვლად ძირითადი საშუალებებისთვის. მიმდინარე საოპერაციო ღირებულება დამატებულ იქნა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ამ სტანდარტში მოცემული პრინციპების სსბასს 45-თან, ძირითადი საშუალებები, შესაბამისობა და შედეგად სსბასს 45-ის გამო ნებადართულია ძირითადი საშუალებების მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით შეფასება შემდგომი შეფასებებისას.

BC130. სსბასს 46-ში მოცემულია ასევე დამატებითი ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს სახელმძღვანელო პრინციპები ამ სტანდარტში მოცემული დასაშვები საწყისი ღირებულების სახელმძღვანელო პრინციპების თანმიმდევრულია (იხ. პუნქტი BC84A).

...

მიითითებები დანერგვაზე

წინამდებარე მიითითებები გამოყენებაზე დაერთვის სსბასს 33-ს, მაგრამ არ არის მისი შემადგენელი ნაწილი.

...

დასაშვები საწყისი ღირებულება

...

დასაშვები საწყისი ღირებულების განსაზღვრა გარდამავალ პერიოდში

...

IG42. მაგალითად, პირველად გამომყენებული სსბასს-ს 20X1 წლის 1 იანვარს იღებს და იყენებს გამონაკლისს, რომელიც სამწლიან გარდამავალ საშელავათო პერიოდს უზრუნველყოფს საინვესტიციო ქონების აღიარებისთვის. რადგან პირველად გამომყენებელს არა აქვს საიმედო ინფორმაცია საინვესტიციო ქონების პირვანდელი ღირებულების დანახარჯების შესახებ სსბასს-ების მიღების თარიღით, ის გადაწყვეტს ამ საინვესტიციო ქონებისთვის დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენებას. საინვესტიციო ქონების დასაშვები საწყისი ღირებულება განისაზღვრება მეორე პერიოდში (ანუ 20X2 წელს), როდესაც პირველად გამომყენებული გამონაკლისს გამოიყენებს. სსბასს 33-ით ნებადართულია პირველად გამომყენებელის მიერ 20X2 წელს განსაზღვრული დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენება ამ საინვესტიციო ქონების აღიარებისთვის, 20X2 წლის 1 იანვარს დაგროვილი ნამეტისა და დეფიციტის საწყისი ნაშთის კორექტირებით. 20X2 წლის 1 იანვარს განსაზღვრული დასაშვები საწყისი ღირებულება იქნება გამოყენებული შემდგომი ცვეთის განსაზღვრისთვის და გაუფასურების შეფასებისთვის, როდესაც პირველად გამომყენებული სსბასს 16-ის გამოყენებისას თავის შემდგომი შეფასების საფუძველად აირჩევს პირვანდელი ღირებულების მოდელს.

...

ცვლილებები სსბასს 34-ში, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები

დაემატა პუნქტები 23A–23H და 32E. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

განმარტებითი შენიშვნები

...

მიმდინარე ღირებულების შეფასება

23A. ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარებათ ქვემოთ მოცემული ორივე საკითხის შეფასებაში:

- (a) სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ინვესტიციებისთვის, რომელიც პერიოდული ან ერთჯერადი სამართლიანი ღირებულებით ფასდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების შემდეგ - შეფასების მეთოდები და ამ შეფასებისთვის გამოყენებული ამოსავალი მონაცემები; და

- (b) მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების (მე-3 დონე) გამოყენებით სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის - ამ შეფასებების გავლენა ნამეტზე ან დეფიციტზე ან პერიოდის წმინდა აქტივებზე/საკუთარ კაპიტალზე.

23B. პუნქტში 23A მოცემული მიზნების მისაღწევად ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- (a) ინფორმაციის დეტალიზაციის დონე, რომელიც საჭიროა გამჟავნების ამ მოთხოვნების შესასრულებლად;
- (b) რამდენად უნდა გაკეთდეს აქცენტი ამ სხვადასხვა მოთხოვნებს შორის თითოეულ მოთხოვნაზე;
- (c) რამდენად უნდა განხორციელდეს აგრეგირება ან დეზაგრეგირება; და
- (d) ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს სჭირდებათ თუ არა დამატებითი ინფორმაცია გამჟავნებული რაოდენობრივი ინფორმაციის შესაფასებლად.

როდესაც წინამდებარე სსბასს-ის ან სხვა სსბასს-ების შესაბამისად გამჟავნებული ინფორმაცია საკმარისი არ არის პუნქტის 23A მიზნების მიღწევისთვის, ერთეულმა დამატებითი ინფორმაცია უნდა გაამჟავნოს აღნიშნული მიზნების მიღწევისთვის.

23C. პუნქტში 23A მოცემული მიზნების მისაღწევად ერთეულმა სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია უნდა გაამჟავნოს ინვესტიციების თითოეული ჯგუფისთვის (ინვესტიციების სათანადო ჯგუფების განსაზღვრის შესახებ ინფორმაციისთვის იხ. პუნქტი 23D), რომელიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული (მათ შორის შეფასებები სამართლიანი ღირებულების საფუძველზე სსბასს 46-ის, შეფასება, მოქმედების სფეროს ფარგლებში) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების შემდეგ:

- (a) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის და სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასებები და ამ შეფასების განხორციელების მიზეზები. ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება პერიოდული შეფასება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თითოეული საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ამ სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია.

ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება ერთჯერადი შეფასება ამ სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გარკვეულ გარემოებებში:

- (b) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც მთლიანობაში მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების აღნიშნული შეფასებები (1-ლი, მე-2 ან მე-3 დონე);
- (c) საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ფლობილი ინვესტიციებისთვის, რომლებიც პერიოდულად სამართლიანი ღირებულებით ფასდება - სამართლიანი ღირებულების იერარქიაში 1-ელ დონესა და მე-2 დონეს შორის ნებისმიერი გადატანის თანხები, ამ გადატანის მიზეზები და ერთეულის პოლიტიკა იმის განსაზღვრისთვის, თუ როდის მიიჩნევა, რომ გადატანა განხორციელდა (იხ. პუნქტი 23E). თითოეულ დონეში გადატანა თითოეული დონიდან გადატანებისგან განცალკევებით უნდა გამჟავნდეს და განიხილებოდეს;

- (d) არაემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული შეფასების მეთოდ(ებ)ისა და ამოსავალი მონაცემების აღწერა. შეფასების მეთოდის ცვლილების შემთხვევაში (მაგალითად, საბაზრო მიდგომიდან შემოსავლების მიდგომაზე გადასვლა ან შეფასების დამატებითი მეთოდის გამოყენება) ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ეს ცვლილება და მისი განხორციელების მიზეზ(ებ)ი. სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის ერთეულმა უნდა წარმოადგინოს რაოდენობრივი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების შესახებ. ერთეულს რაოდენობრივი ინფორმაცია არ მოეთხოვება გამჟღავნების ამ მოთხოვნის შესასრულებლად, როდესაც რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები ერთეულს არ შეუდგენია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას (მაგალითად, როდესაც ერთეული იყენებს ადრინდელი ოპერაციებიდან აღებულ ფასებს ან ფასების შესახებ მესამე მხარის ინფორმაციას კორექტირების გარეშე). თუმცა, ამ გამჟღავნების გაკეთებისას ერთეულმა არ უნდა უგულებელყოს რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის და ერთეულისთვის პრაქტიკულად ხელმისაწვდომია;
- (e) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება - საწყისი ნაშთების შეჯერება საბოლოო ნაშთთან, პერიოდის განმავლობაში იმ ცვლილებების ცალკე გამჟღავნებით, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ საკითხებთან:
- (i) ნამეტში ან დეფიციტში აღიარებული პერიოდის მთლიანი შემოსულობები ან ზარალი და ის მუხლები, სადაც აღიარებულია აღნიშნული შემოსულობები და ზარალი;
 - (ii) წმინდა აქტივებში/კაპიტალში აღიარებული პერიოდის მთლიანი შემოსულობები ან ზარალი და წმინდა აქტივების/კაპიტალის ის მუხლები, აღიარებულია აღნიშნული შემოსულობები და ზარალი;
 - (iii) შესყიდვები, გაყიდვები, გამოშვებები და ანგარიშსწორება (ამ სახის თითოეული ცვლილების ცალკე გამჟღავნებით); და
 - (iv) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება, სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონიდან ან მე-3 დონეში გადატანის თანხები, ამ გადატანის მიზეზები და ერთეულის პოლიტიკა იმის განსაზღვრისთვის, თუ როდის მიიჩნევა, რომ გადატანა განხორციელდა (იხ. პუნქტი 23E). მე-3 დონეში გადატანა მე-3 დონიდან გადატანებისგან განცალკევებით უნდა გამჟღავნდეს და განიხილებოდეს.
- (f) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება, ქვეპუნქტში (e)(i) მითითებული მთლიანი შემოსულობების ან ზარალის თანხა, რომელიც ასახულია ნამეტში ან დეფიციტში და საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ფლობილ აღნიშნულ ინვესტიციებთან დაკავშირებული არარეალიზებული შემოსულობების ან ზარალის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი, ასევე ნამეტის ან დეფიციტის მქონე ის მუხლები, სადაც აღნიშნული

შემოსულობები ან ზარალია აღიარებული.

- (g) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება - ერთეულის მიერ გამოყენებული შეფასების პროცესების აღწერა (მათ შორის, მაგალითად, როგორ იღებს ერთეული გადაწყვეტილებას თავისი შეფასების პოლიტიკის, პროცედურებისა და პერიოდებს შორის სამართლიანი ღირებულების შეფასებების ცვლილებების ანალიზის შესახებ); და
- (h) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება:

(i) ყველა მსგავსი შეფასებისთვის, არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებების მიმართ სამართლიანი ღირებულების შეფასების სენსიტიურობის ტექსტური აღწერა, როდესაც ამ ამოსავალი მონაცემების ცვლილებამ შესაძლოა განაპირობოს სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვნად მაღალი ან დაბალი შეფასება. როდესაც კავშირი არსებობს ამ ამოსავალ მონაცემებსა და სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულ სხვა არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს შორის, ერთეულმა ასევე უნდა წარმოადგინოს ამ ურთიერთკავშირების აღწერა და ახსნას, როგორ შეუძლია ამ ურთიერთკავშირებს სამართლიანი ღირებულების შეფასებაზე არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილების გავლენის გაზრდა ან შერბილება. გამჟღავნების ამ მოთხოვნის შესასრულებლად არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებების სენსიტიურობის ტექსტური აღწერა სულ მცირე უნდა მოიცავდეს ქვეპუნქტის (d) მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებულ არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს; და

(ii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, თუ გონივრული ალტერნატიული დაშვებების ასახვისთვის ერთი ან მეტი არაემპირიული ამოსავალი მონაცემის ცვლილება სამართლიან ღირებულებას მნიშვნელოვნად შეცვლის, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და ამ ცვლილებების გავლენა. ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს, თუ როგორ იქნა გამოთვლილი გონივრული ალტერნატიული დაშვებების ასახვისთვის ცვლილების გავლენა. ამ მიზნით, ცვლილების მნიშვნელობა განიხილება ნამეტან ან დეფიციტთან, მთლიან აქტივებთან ან მთლიან ვალდებულებებთან, ან, როდესაც სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წმინდა აქტივებში/კაპიტალში აღიარდება, მთლიან კაპიტალთან მიმართებით.

23D. ერთეულმა უნდა განსაზღვროს ინვესტიციების სათანადო დეზაგრიგაცია შემდეგის საფუძველზე:

- (a) ინვესტიციების ხასიათი, მახასიათებლები და რისკები; და
- (b) სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების მოცემული შეფასება, ან სამართლიანი ღირებულება ემპირიულია თუ არა.

შესაძლოა უფრო მეტი დეზაგრიგაცია იყოს საჭირო სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება ან არაემპირიული ამოსავალი მონაცემების მეშვეობით სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, რადგან ამ შეფასებებს უფრო მეტი განუსაზღვრელობა და სუბიექტურობა

ახასიათებთ. იმ ინვესტიციების დეზაგრიგაციის განსაზღვრისთვის, რომელთათვისაც საჭიროა სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული გამჟღავნებები, საჭიროა განსჯის გამოყენება. ხშირ შემთხვევაში, ინვესტიციებისთვის უფრო მეტი დეზაგრიგაციაა საჭირო, ვიდრე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სხვა მუხლებისთვის. თუმცა, ერთეულმა საკმარისი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ მუხლებთან შეჯერება. როდესაც სხვა სსბასს-ში მითითებულია ინვესტიციების დეზაგრიგაცია, ერთეულმა შეიძლება ეს დეზაგრიგაცია გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტში მოცემული გამჟღავნების მოთხოვნის შესასრულებლად, თუ აღნიშნული დეზაგრიგაცია აკმაყოფილებს წინამდებარე პუნქტში მოცემულ მოთხოვნებს.

23E. ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს და უცვლელად გამოიყენოს პოლიტიკა, რომელსაც იყენებს იმის დასადგენად, განხორციელდა თუ არა სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადატანა 23C(c) და (e)(iv) ქვეპუნქტების შესაბამისად. პოლიტიკა, რომელიც ეხება ამგვარი გადატანების აღიარებისთვის დროს შერჩევას, იგივე უნდა იყოს, რაც გამოიყენება რომელიმე დონეში, ან რომელიმე დონიდან სხვა დონეში გადატანის მიმართ. ქვემოთ განხილულია პოლიტიკის მაგალითები, რომლებიც გამოიყენება გადატანის დროის დასადგენად:

- (a) მოვლენის, ან იმ გარემოებების ცვლილების თარიღი, რამაც გამოიწვია გადატანა;
- (b) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი; და
- (c) საანგარიშგებო პერიოდის დასასრული.

23F. როდესაც ერთეული იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გადაწყვეტილებას, რომ გამოიყენოს სსბასს 41-ის ქვეპუნქტში AG143 მითითებული გამონაკლისი, მან უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი.

23G. ინვესტიციების თითოეული ჯგუფისთვის, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით არ არის შეფასებული, მაგრამ რომლის სამართლიანი ღირებულება გამჟღავნებულია, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება ქვეპუნქტებით 23C(b), (d) და (h). თუმცა, ერთეულს არ მოეთხოვება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებებში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების რაოდენობრივი გამჟღავნება ან სამართლიანი ღირებულების შეფასებებში გამოყენებული არაემპირიული ამოსავალი მონაცემების რაოდენობრივი გამჟღავნება, რაც მოითხოვება 23C(d) პუნქტით. მსგავსი ინვესტიციებისთვის ერთეულს არ მოეთხოვება წინამდებარე სტანდარტში მოცემული გამჟღავნების დანარჩენი მოთხოვნების შესრულება.

23H. წინამდებარე სტანდარტით მოთხოვნილი რაოდენობრივი ინფორმაცია ერთეულმა ცხრილის სახით უნდა წარადგინოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა ფორმატი უფრო შესაფერისია.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

32E. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით, შეფასება დაემატა პუნქტები 23A–23H. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული

ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

ცვლილებები სსბასს 38-ში, სხვა ერთეულებში მონაწილეობის გამჟღავნება

დაემატა პუნქტები 57A–57F და 61E. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

მიმდინარე ღირებულების შეფასება

57A. ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარებათ ქვემოთ მოცემული ორივე საკითხის შეფასებაში:

- (a) სამართლიანი ღირებულები ღირებულებით შეფასებული სხვა ერთეულებში მონაწილეობისთვის, რომელიც პერიოდული ან ერთჯერადი სამართლიანი ღირებულებით ფასდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების შემდეგ – შეფასების მეთოდები და ამ შეფასებისთვის გამოყენებული ამოსავალი მონაცემები; და
- (b) მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების (მე-3 დონე) გამოყენებით სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის – ამ შეფასების გავლენა ნამეტზე ან დეფიციტზე ან პერიოდის წმინდა აქტივებზე/საკუთარ კაპიტალზე.

57B. პუნქტში 57A მოცემული მიზნების მისაღწევად ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- (a) ინფორმაციის დეტალიზაციის დონე, რომელიც საჭიროა გამჟავნების ამ მოთხოვნების შესასრულებლად;
- (b) რამდენად უნდა გაკეთდეს აქცენტი ამ სხვადასხვა მოთხოვნებს შორის თითოეულ მოთხოვნაზე;
- (c) რამდენად უნდა განხორციელდეს აგრეგირება ან დეზაგრეგირება; და
- (d) ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს სჭირდებათ თუ არა დამატებითი ინფორმაცია გამჟღავნებული რაოდენობრივი ინფორმაციის შესაფასებლად.

როდესაც წინამდებარე სსბასს-ის ან სხვა სსბასს-ების შესაბამისად გამჟავნებული ინფორმაცია საკმარისი არ არის პუნქტის 57A მიზნების მიღწევისთვის, ერთეულმა დამატებითი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული მიზნების მიღწევისთვის.

57C. პუნქტში 57A მოცემული მიზნების მისაღწევად ერთეულმა სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს სხვა ერთეულებში მონაწილეობის თითოეული ჯგუფისთვის (სხვა ერთეულებში მონაწილეობის სათანადო ჯგუფების განსაზღვრის შესახებ ინფორმაციისთვის იხ. პუნქტი 57D), რომელიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული (მათ შორის შეფასებები სამართლიანი ღირებულების საფუძველზე სსბასს 46-ის, შეფასება, მოქმედების სფეროს ფარგლებში) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების შემდეგ:

- (a) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის – სამართლიანი ღირებულების შეფასება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის და სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასებებისთვის – სამართლიანი ღირებულების

შეფასებები და ამ შეფასების განხორციელების მიზეზები. სხვა ერთეულებში მონაწილეობის სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის ამ სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თითოეული საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. სხვა ერთეულებში მონაწილეობის სამართლიანი ღირებულების ერთჯერადი შეფასებებისთვის ამ სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გარკვეულ გარემოებებში:

- (b) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც მთლიანობაში მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების აღნიშნული შეფასებები (1-ლი, მე-2 ან მე-3 დონე);
- (c) არაემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის - სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული შეფასების მეთოდ(ებ)ისა და ამოსავალი მონაცემების აღწერა. შეფასების მეთოდის ცვლილების შემთხვევაში (მაგალითად, საბაზრო მიდგომიდან შემოსავლების მიდგომაზე გადასვლა ან შეფასების დამატებითი მეთოდის გამოყენება) ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ეს ცვლილება და მისი განხორციელების მიზეზ(ებ)ი. სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება ან არაემპირიული ამოსავალი მონაცემების მეშვეობით სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, ერთეულმა უნდა წარმოადგინოს რაოდენობრივი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების შესახებ. ერთეულს რაოდენობრივი ინფორმაცია არ მოეთხოვება გამჟღავნების ამ მოთხოვნის შესასრულებლად, როდესაც რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები ერთეულს არ შეუდგენია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას (მაგალითად, როდესაც ერთეული იყენებს ადრინდელი ოპერაციებიდან აღებულ ფასებს ან ფასების შესახებ მესამე მხარის ინფორმაციას კორექტირების გარეშე). თუმცა, ამ გამჟღავნების გაკეთებისას ერთეულმა არ უნდა უგულებელყოს რაოდენობრივი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის და ერთეულისთვის პრაქტიკულად ხელმისაწვდომია;
- (d) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება - საწყისი ნაშთების შეჯერება საბოლოო ნაშთან, პერიოდის განმავლობაში იმ ცვლილებების ცალკე გამჟღავნებით, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ საკთხებთან:
 - (i) ნამეტში ან დეფიციტში აღიარებული პერიოდის მთლიანი შემოსულობები ან ზარალი და ის მუხლები, სადაც აღიარებულია აღნიშნული შემოსულობები და ზარალი;
 - (ii) წმინდა აქტივებში/კაპიტალში აღიარებული პერიოდის მთლიანი შემოსულობები ან ზარალი და წმინდა აქტივების/კაპიტალის ის მუხლები, აღიარებულია აღნიშნული შემოსულობები და ზარალი; და
 - (iii) შესყიდვები, გაყიდვები, გამოშვებები და ანგარიშსწორება (ამ სახის თითოეული ცვლილების ცალკე გამჟღავნებით).

- (e) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარაღის მე-3 დონეს განეკუთვნება, ქვეპუნქტში (e)(i) მითითებული მთლიანი შემოსულობების ან ზარალის თანხა, რომელიც ასახულია ნამეტში ან დეფიციტში და საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ფლობილ აღნიშნულ სხვა ერთეულებში მონაწილეობასთან დაკავშირებული არარეალიზებული შემოსულობების ან ზარალის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი, ასევე ნამეტის ან დეფიციტის მქონე ის მუხლები, სადაც აღნიშნული შემოსულობები ან ზარალია აღიარებული;
- (f) სამართლიანი ღირებულების პერიოდული და ერთჯერადი შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება - ერთეულის მიერ გამოყენებული შეფასების პროცესების აღწერა (მათ შორის, მაგალითად, როგორ იღებს ერთეული გადაწყვეტილებას თავისი შეფასების პოლიტიკის, პროცედურებისა და პერიოდებს შორის სამართლიანი ღირებულების შეფასებების ცვლილებების ანალიზის შესახებ); და
- (g) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იარაღის მე-3 დონეს განეკუთვნება:
- (i) ყველა მსგავსი შეფასებისთვის, არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებების მიმართ სამართლიანი ღირებულების შეფასების სენსიტიურობის ტექსტური აღწერა, როდესაც ამ ამოსავალი მონაცემების ცვლილებამ შესაძლოა განაპირობოს სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვნად მაღალი ან დაბალი შეფასება. როდესაც კავშირი არსებობს ამ ამოსავალ მონაცემებსა და სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულ სხვა არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს შორის, ერთეულმა ასევე უნდა წარმოადგინოს ამ ურთიერთკავშირების აღწერა და ახსნას, როგორ შეუძლია ამ ურთიერთკავშირებს სამართლიანი ღირებულების შეფასებაზე არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილების გავლენის გაზრდა ან შერბილება. გამჟღავნების ამ მოთხოვნის შესასრულებლად არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებების სენსიტიურობის ტექსტური აღწერა სულ მცირე უნდა მოიცავდეს ქვეპუნქტის (c) მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებულ არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს.

57D. ერთეულმა სხვა ერთეულებში მონაწილეობის სათანადო დეზაგრიგაცია უნდა განსაზღვროს შემდეგის საფუძველზე:

- (a) სხვა ერთეულებში მონაწილეობის ხასიათი, მახასიათებლები და რისკები; და
- (b) სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების მოცემული შეფასება

შესაძლოა უფრო მეტი დეზაგრიგაცია იყოს საჭირო სამართლიანი ღირებულების შეფასებებისთვის, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება ან არაემპირიული ამოსავალი მონაცემების მეშვეობით სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, რადგან ამ შეფასებებს უფრო მეტი განუსაზღვრელობა და სუბიექტურობა ახასიათებთ. იმ სხვა ერთეულებში მონაწილეობის დეზაგრიგაციის განსაზღვრისთვის, რომელთათვისაც საჭიროა სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული გამჟღავნებები, საჭიროა განსჯის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში, სხვა ერთეულებში

მონაწილეობისთვის უფრო მეტი დეზაგრიგაციაა საჭირო, ვიდრე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სხვა მუხლებისთვის. თუმცა, ერთეულმა საკმარისი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ მუხლებთან შეჯერება. როდესაც სხვა სსბასს-ში მითითებულია სხვა ერთეულებში მონაწილეობის დეზაგრიგაცია, ერთეულმა შეიძლება ეს დეზაგრიგაცია გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტში მოცემული გამჟღავნების მოთხოვნის შესასრულებლად, თუ აღნიშნული დეზაგრიგაცია აკმაყოფილებს წინამდებარე პუნქტში მოცემულ მოთხოვნებს.

57E. სხვა ერთეულებში მონაწილეობის თითოეული ჯგუფისთვის, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით არ არის შეფასებული, მაგრამ რომლის სამართლიანი ღირებულება გამჟღავნებულია, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება ქვეპუნქტებით 57C(b), (c) და (g). თუმცა, ერთეულს არ მოეთხოვება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებებში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების რაოდენობრივი გამჟღავნება ან სამართლიანი ღირებულების შეფასებებში გამოყენებული არაემპირიული ამოსავალი მონაცემების რაოდენობრივი გამჟღავნება, რაც მოითხოვება 57C(c) პუნქტით. მსგავსი სხვა ერთეულებში მონაწილეობისთვის ერთეულს არ მოეთხოვება წინამდებარე სტანდარტში მოცემული გამჟღავნების დანარჩენი მოთხოვნების შესრულება.

57F. წინამდებარე სტანდარტით მოთხოვნილი რაოდენობრივი ინფორმაცია ერთეულმა ცხრილის სახით უნდა წარადგინოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა ფორმატი უფრო შესაფერისია.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

61E. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით, შეფასება, დაემატა პუნქტები 57A–57F. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

ცვლილებები სსბასს 39-ში, დასაქმებულთა გასამრჯელოები

ცვლილებები შევიდა მე-8 და 144-ე პუნქტებში და დაემატა 176D პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

განმარტებები

8. წინამდებარე სტანდარტში ტერმინები გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით:

....

წმინდა ფიქსირებულსარგებლიანი პროგრამის ვალდებულებასთან (აქტივი) დაკავშირებული განმარტებები

...

დეფიციტი ან ნამეტარის:

- (a) ფიქსირებულსარგებლიანი პროგრამის ვალდებულების დისკონტირებულ ღირებულება, შემცირებული
- (b) პროგრამის აქტივების (თუ ასეთი არსებობს) სამართლიანი ღირებულებით (როგორც ეს განმარტებული სსბასს 46-ში, შეფასება).

...

სხვა სსბასს-ებში განმარტებული ტერმინები წინამდებარე სტანდარტში იგივე მნიშვნელობით გამოიყენება და მოცემულია *ტერმინთა განმარტებების გლოსარში*, რომელიც ცალკე გამოიცემა.

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

...

შრომითი საქმიანობის შემდგომი სარგებელი—ფიქსირებულსარგებლიანი პროგრამა

...

განმარტებითი შენიშვნები

...

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების ახსნა

...

144. ერთეულმა უნდა განახორციელოს პროგრამის აქტივების სამართლიანი ღირებულების ჯგუფებად დეზაგრეგაცია ამ აქტივების ხასიათისა და რისკების მიხედვით, და პროგრამის აქტივების თითოეულ ჯგუფში უნდა გამოყოს აქტივები, რომელთაც კოტირებული საბაზრო ფასი აქვთ აქტიურ ბაზარზე (როგორც ეს განმარტებულია სსბასს 46-ში) და აქტივები, რომლებსაც აღნიშნული არ გააჩნიათ. მაგალითად, 138-ე პუნქტში გამჟღავნების დეტალიზაციის დონის განხილვისას, ერთეულმა ერთმანეთისგან უნდა გაარჩიოს:

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

176D. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით, შეფასება, ცვლილებები შევიდა მე-8 და 144-ე პუნქტებში. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

ცვლილებები სსზასს 40-ში, საჯარო სექტორის გაერთიანებები

ცვლილებები შევიდა 72-ე პუნქტში და დაემატა 126G პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

აღრიცხვის შეძენის მეთოდი

...

იდენტიფიცირებადი შეძენილი აქტივების, აღებული ვალდებულებებისა და შეძენილ ოპერაციაში ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის აღიარება და შეფასება

...

შეფასების პრინციპი

72. მყიდველმა ერთეულმა შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და აღებული ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით (როგორც ეს განმარტებულია სსზასს 46-ში, *შეფასება*) უნდა შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით. სსზასს 46-ის დანართში „დ“ მოცემულია სახელმძღვანელო პრინციპები აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით შეფასებისთვის.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

- 126G. 2023 წლის მაისში გამოცემული სსზასს 46-ით, *შეფასება* დაემატა 72-ე პუნქტი. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსზასს 46.

...

საილუსტრაციო მაგალითები

წინამდებარე მაგალითები დაერთვის, მაგრამ არ არის სსზასს 40-ის შემადგენელი ნაწილი

...

გაერთიანებული ოპერაციების იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება შერწყმის შედეგად მიღებული ერთეულის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობისთვის

სსზასს 40-ის პუნქტების 26–27 და 36 გამოყენების შედეგების ილუსტრირება

...

IE167. 20X5 წლის 1 ოქტომბერს ორი სახელმწიფო დეპარტამენტის, COA და COB, შერწყმის შედეგად შეიქმნა RE. COA-ს ადრე ჰქონდა მიღებული ძირითადი საშუალებების ~~სსბასს 17-ში~~ სსბასს 45-ში, ძირითადი საშუალებები, მოცემული პირვანდელი ღირებულება მოდელის გამოყენებით შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა. COB-ს ადრე ჰქონდა მიღებული ძირითადი საშუალებების ~~სსბასს 17-ში~~ სსბასს 45-ში მოცემული გადაფასების მიმდინარე ღირებულების მოდელით შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა.

IE168. RE იღებს ძირითადი საშუალებების გადაფასების მიმდინარე ღირებულების მოდელით შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკას. RE აპირებს ადრე COA-ს კონტროლს დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებების დამოუკიდებელი შეფასების მიღებას.

...

შერწყმის შედეგად წარმოქმნილი წმინდა აქტივების/კაპიტალის აღიარება და შეფასება

სსბასს 40-ის პუნქტების 37–39 გამოყენების შედეგების ილუსტრირება

...

IE180. COA-ს ადრე ჰქონდა მიღებული ძირითადი საშუალებების მოცემული პირვანდელი ღირებულება მოდელის გამოყენებით შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა. COB-ს ადრე ჰქონდა მიღებული ძირითადი საშუალებების გადაფასების მიმდინარე ღირებულების მოდელით შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა. RE-მ მიიღო ძირითადი საშუალებების გადაფასების მიმდინარე ღირებულების მოდელით შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა. RE-მ განახორციელდა ადრე COA-ს კონტროლს დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებების დამოუკიდებელი შეფასება. შედეგად, ამ ძირითადი საშუალებებისთვის მისი საბალანსო ღირებულება გაიზარდა 5,750 ფულადი ერთეულით და ახორციელებს წმინდა აქტივების/კაპიტალის ელემენტების შესაბამის კორექტირებას.

...

შეფასების პერიოდი შერწყმისას

სსბასს 40-ის პუნქტების 40–44 გამოყენების შედეგების ილუსტრირება

...

IE185. დავუშვათ, რომ RE იქმნება COA-ს და COB-ის (ორი მუნიციპალიტეტი, რომლებიც შერწყმამდე საერთო კონტროლს არ ექვემდებარებოდა) შერწყმით 20X3 წლის 30 ნოემბერს. შერწყმამდე COA-ს ადრე ჰქონდა მიღებული შენობა-ნაგებობების გადაფასების დღევანდელი ღირებულების მოდელით შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა, ხოლო COB-ის სააღრიცხვო პოლიტიკა გახლდათ შენობა-ნაგებობების პირვანდელი ღირებულების მოდელის გამოყენებით შეფასება. RE იღებს შენობა-ნაგებობების გადაფასების მიმდინარე ღირებულების მოდელით შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკას, და აპირებს ადრე COB-ის კონტროლს დაქვემდებარებული მიწისა და შენობა-ნაგებობების დამოუკიდებელი შეფასების მიღებას. ეს შეფასება დასრულებული არ იყო 20X3 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების RE-ს მიერ გამოსაცემად

დამტკიცებამდე. თავის 20X3 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მიწისა და შენობა-ნაგებობებისთვის აღიარა პირობითი ღირებულება 150,000 ფე და 275,000 ფე, შესაბამისად. შერწყმის თარიღით შენობა ნაგებობების დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადა იყო თხუთმეტი წელი. მიწას უსასრულო მომსახურების ვადა ჰქონდა. შერწყმის თარიღიდან ოთხ თვეში RE-მ მიიღო დამოუკიდებელი შეფასება, სადაც მიწის შერწყმამდელი ღირებულება შეფასებული იყო 160,000 ფე-ით, ხოლო შენობების კი 365,000 ფე-ით.

...

შერწყმებთან დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნები

სსბასს 40-ის პუნქტებში 53–57 მოცემული გამჟღავნების მოთხოვნების გამოყენების შედეგების ილუსტრირება.

IE192. ...

პუნქტის ნომერი		თავდაპირველი თანხა (ფე)	კორექტირება (ფე)	კორექტირებული თანხა (ფე)
54(e)(i)	COA-ს ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება COB-თან ოპერაციების ანულისებისთვის	822	(25)	797
54(e)(i)	COB-ის ფინანსური ვალდებულებების გადაანგარიშება COA -თან ოპერაციების ანულისებისთვის	(1,093)	25	(1,068)
54(e)(ii)	COA-ს ძირითადი საშუალებების გადაანგარიშება, რათა ისინი შეფასდეს <u>გადაფასების მიმდინარე ღირებულების მოდელის</u> გამოყენებით	12,116	17,954	30,070

...

შეძენასთან დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნები

სსბასს 40-ის პუნქტებში 119–125 მოცემული გამჟღავნების მოთხოვნების გამოყენების შედეგების ილუსტრირება.

IE278. ქვემოთ მოცემულ მაგალითში ნაჩვენებია შეძენასთან დაკავშირებული გამჟღავნების

მოთხოვნები; ის არ ეფუძნება ფაქტიურ ოპერაციას. ამ მაგალითში გაკეთებულია დაშვება, რომ AE არის საჯარო სექტორის ერთეული, რომელიც თავის რეგიონში ჯანდაცვაზე პასუხისმგებელი, ხოლო TE არის კოტირებული ერთეული. მაგალითში გამჟღავნებები ცხრილის ფორმატშია მოცემული, სადაც მინიშნებულია წარმოდგენილი გამჟღავნების კონკრეტული მოთხოვნები. შესაძლოა სქოლიოში მოცემული იყოს მრავალი გამჟღავნება მარტივ, ტექსტურ ფორმატში.

...

პუნქტის ნომერი

...

124(b) ... TE-ს საკუთრებაში, აღემატება 7,500 ფე-ს 20X3 წლისთვის, მაქსიმალური თანხა 2,500 ფე-მდე (არადისკონტირებული).

ყველა მომავალი გადახდის სავარაუდო არადისკონტირებული თანხა, რომლის გადახდა შესაძლოა მოეთხოვებოდეს AE-ს პირობითი ანაზღაურების შეთანხმების ფარგლებში, არის 0 ფე-დან 2,500 ფე-მდე.

პირობითი ანაზღაურების შეთანხმების სამართლიანი ღირებულება 1,000 ფე, შეფასდა შემოსავლების მიდგომის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება მნიშვნელოვან ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც არ არის ემპირიული საბაზრო მონაცემები და რომლებიც სსბასს 46-ით, შეფასება, მიჩნეულია მე-3 დონის ამოსავალ მონაცემებად. ძირითადი დაშვებები მოიცავს დისკონტირების განაკვეთს, 20–25 პროცენტის დიაპაზონში და სავარაუდო, XE-ს ალბათობით შეწონილ შემოსავალს 10,000–20,000 ფე.

20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ შეცვლილა არც ამ პირობითი ანაზღაურების შეთანხმებისთვის აღიარებული თანხა და არც შეფასებების მისაღებად გამოყენებული საბოლოო შედეგები ან დაშვებები.

...

ცვლილებები სსბასს 41-ში, ფინანსური ინსტრუმენტები

ცვლილებები შევიდა პუნქტებში 9, 66, AG31, AG38, AG115 და AG117. დამატა პუნქტები AG143A–AG143AB და 156G. ამოღებულ იქნა პუნქტები 67, 68 და AG144–AG155. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

განმარტებები

9. ...

სხვა სსბასს-ებში განმარტებული ტერმინები წინამდებარე სტანდარტში იგივე მნიშვნელობით გამოიყენება და მოცემულია *ტერმინთა განმარტებების გლოსარში*, რომელიც ცალკე გამოიცემა ქვემოთ მოცემული ტერმინები განმარტებულია სსბასს 28-ში, ან სსბასს 30-ში, *ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებები, ან სსბასს 46-ში, შეფასება*: საკრედიტო რისკი⁴, სავალუტო რისკი, სამართლიანი ღირებულება, ლიკვიდობის რისკი, საბაზრო რისკი, წილობრივი ინსტრუმენტი, ფინანსური აქტივი, ფინანსური ინსტრუმენტი, ფინანსური ვალდებულება და დაბრუნებადი ინსტრუმენტი.

...

შეფასება

...

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გასათვალისწინებელი საკითხები

66. წინამდებარე სტანდარტის, სსბასს 28-ის ან სსბასს 30-ის გამოყენების მიზნით ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას, ერთეულმა უნდა გამოიყენოს სსბასს 46 და დანართის „ა“ პუნქტები AG143A– AG143AB ~~AG144–AG155~~.

67. ~~სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები. როდესაც არ არსებობს ფინანსური ინსტრუმენტის აქტიური ბაზარი, ერთეული სამართლიან ღირებულებას ადგენს შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის გამოყენების მიზანია გარიგების ფასის დადგენა, რომელიც დაფიქსირდებოდა შეფასების თარიღით ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობით მოტივირებულ, „გაშლილი ხელის მანძილზე“ ბოლოდროინდელი საბაზრო გაცვლისას. შეფასების მეთოდი მოიცავს დაინტერესებულ და საქმის მცოდნე მხარეებს შორის „გაშლილი ხელის პრინციპით“ ბოლოდროინდელ საბაზრო ოპერაციებს, თუ ასეთი არსებობს, სხვა ინსტრუმენტის, რომელიც არსებითად იგივეა, მიმდინარე სამართლიან ღირებულებაზე მინიშნებით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზსა და ოფციონის შეფასების მოდელებს. თუ არსებობს გავრცელებული შეფასების მეთოდი, რომელსაც ბაზრის მონაწილეები იყენებენ ამ ინსტრუმენტის ფასის დასადგენად და დემონსტრირებულია, რომ ეს მეთოდი ფაქტიური საბაზრო ოპერაციებიდან მიღებული ფასების საიმედო შეფასებებს უზრუნველყოფს, მაშინ ერთეული ამ მეთოდს გამოიყენებს.~~

⁴ ეს ტერმინი (როგორც ეს განმარტებული სსბასს 30-ში) გამოიყენება ნამეტში ან დეფიციტში ასახვის მეშვეობით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებების საკრედიტო რისკის ცვლილებების გავლენის წარდგენის მოთხოვნებში (იხ. 108-ე პუნქტი).

~~შერჩეული შეფასების მეთდი მაქსიმალურად იყენებს საბაზრო ამოსავალ მონაცემებს და რაც შეიძლება ნაკლებად ეყრდნობა ერთეულის სპეციფიკური ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. ის მოიცავს ყველა ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ ფასის დასადგენად და შესაბამისობაში ფინანსური ინსტრუმენტების ფასის დადგენის აღიარებულ ეკონომიკურ მეთოდოლოგიებთან. ერთეული პერიოდულად ახორციელებს შეფასების მეთოდის დაკალიბრებას და მას სანდოობაზე ამოწმებს ნებისმიერი ემპირიული საბაზრო ოპერაციებიდან მიღებული იმავე ინსტრუმენტის ფასების გამოყენებით (ანუ მოდიფიცირების ან სახეცვლილების გარეშე) ან ნებისმიერ ხელმისაწვდომ ემპირიულ საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით. [ამოღებულია]~~

68. ~~მოთხოვნის მახასიათებლის მქონე ფინანსური ვალდებულების (მაგ., მოთხოვნამდე დეპოზიტი) სამართლიანი ღირებულება არ შეიძლება მოთხოვნისთანავე გადასახდელო იმ თანხაზე ნაკლები იყოს, რომელიც დისკონტირებულია პირველივე თარიღით, როდესაც გადასახდელო თანხის მოთხოვნა შესაძლებელია. [ამოღებულია]~~

...

ძალაში შესვლის თარიღი და გარდამავალი დებულებები

ძალაში შესვლის თარიღი

...

- 156F. 2023 წლის მაისში მიღებული სსბასს 46-ით, შეფასება, ცვლილებები შევიდა პუნქტებში 9, 66, AG31, AG38, AG115 და AG117, დამატა პუნქტები AG143A–AG143AB და ამოღებულ იქნა პუნქტები 67, 68 და AG144–AG155. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

მითითებები გამოყენებაზე

წინამდებარე დანართი სსბასს 41-ის შემადგენელი ნაწილია.

...

აღიარება და აღიარების შეწყვეტა

...

გადატანები, რომლებიც აკმაყოფილებენ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს

...

AG31.აქტივის ნაწილების, რომელთა აღიარება გრძელდება და ნაწილების, რომელთა აღიარება

შეწყვეტილია 24-ე პუნქტის გამოყენების მიზნებისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ერთეული 25-ე პუნქტის მოთხოვნების გარდა იყენებს პუნქტებში 66-68 და AG144-AG155 სსბასს 46-ში მოცემულ სამართლიანი ღირებულების შეფასების მოთხოვნებს.

...

მაგალითები

...

AG38. ...

	შეფასებული ლო სამართ ლიანი ღირებუ ლება	პროცენტი	გადანაწილ ებული საბალანსო ღირებულ ება
გადატანილი ნაწილი	9,090	90 პროცენტი	9,000
შენარჩუნებული ნაწილი	1,010	10 პროცენტი	1,000
სულ	10,100		10,000

...

თავდაპირველი შეფასება

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება (პუნქტები 57–59)

AG115. საზოგადოდ, თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება არის გარიგების ფასი (ანუ გაცემული ან მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება, იხ. ასევე პუნქტი AG117 და სსბასს 46). თუმცა, როდესაც გაცემული ან მიღებული ანაზღაურების ნაწილი ფინანსური ინსტრუმენტის გარდა სხვა რამისთვის არის განკუთვნილი, ერთეულმა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება უნდა შეაფასოს შეფასების მეთოდის გამოყენებით (იხ. ~~პუნქტები AG149-AG154~~). მაგალითად, გრძელვადიანი სესხის ან მოთხოვნის, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, სამართლიანი ღირებულების შეფასება შეიძლება მომავალი ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებით, მსგავსი საკრედიტო რეიტინგის მსგავსი ინსტრუმენტის (მსგავსი ვალუტის, ვადის, საპროცენტო განაკვეთის სახისა და სხვა ფაქტორების მქონე ინსტრუმენტის) გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთ(ებ)ით დისკონტირებით. ნებისმიერი გასესხებული დამატებითი თანხა არის ხარჯი ან შემოსავლის შემცირება, გარდა

იმ შემთხვევისა, როდესაც ის აკმაყოფილებს რაიმე სხვა სახის აქტივის აღიარების კრიტერიუმებს.

...

AG117. საზოგადოდ, თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი (ანუ გაცემული ან მიღებული ანაზღაურების, იხ. ასევე ფასს 13). თუ ერთეული გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, როგორც ეს 58-ე პუნქტშია მითითებული, ერთეულმა ეს ინსტრუმენტი ამ თარიღით შემდეგნაირად უნდა აღრიცხოს:

(a) 57-ე პუნქტით მოთხოვნილი შეფასებით, როდესაც არსებობს სამართლიანი ღირებულების მტკიცებულება აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის სახით (ანუ, 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემი) ან შეფასების მეთოდით, რომელიც მხოლოდ საბაზრო ემპირიულ მონაცემებს იყენებს. ერთეულმა თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობა შემოსულობის ან ზარალის სახით უნდა არიაროს.

(b) ...

...

შემდგომი შეფასება

...

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გასათვალისწინებელი საკითხები

გამოყენება ვალდებულებებისა და საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების მიმართ

ზოგადი პრინციპები

AG143A. სამართლიანი ღირებულების შეფასება გულისხმობს, რომ ფინანსური ან არაფინანსური ვალდებულება ან ერთეულის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტი (მაგალითად, საჯარო სექტორის გაერთიანებისას კომპენსაციის სახით გამოშვებული სააქციო წილი) ბაზრის მონაწილეს გადაეცემა შეფასების თარიღით. ვალდებულების ან საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემა გულისხმობს შემდეგს:

(a) ვალდებულება დასაფარი დარჩება და ბაზრის მონაწილე მიმღებს მოვალეობა ამ მოვალეობის შესრულება. ვალდებულების ანგარიშსწორება არ მოხდება კონტრაქტთან ან სხვაგვარად დაფარვა შეფასების თარიღით; და

(b) საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტი დასაფარი დარჩება და ბაზრის მონაწილე მიმღები იღებს მოცემულ ინსტრუმენტთან დაკავშირებულ უფლებებსა და პასუხისმგებლობებს. ეს ინსტრუმენტი არ გაუქმდება ან სხვაგვარად დაიფარება შეფასების თარიღით.

AG143B. მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს დაკვირვებადი ბაზარი ვალდებულების ან საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემის ფასის შესახებ ინფორმაციის მისაღებად

(მაგალითად, იმის გამო, რომ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვები აფერხებს მათ გადაცემას), შესაძლოა მაინც არსებობდეს მათი დაკვირვებადი ბაზარი, როდესაც ისინი სხვა მხარეების მიერ არის ფლობილი აქტივების სახით (მაგალითად, სახელმწიფო ობლიგაცია ან ქოლ-ოფციონი ერთეულის აქციებზე).

AG143C. ერთეულმა ნებისმიერ შემთხვევაში მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს შესაბამისი ემპირიული ამოსავალი მონაცემები და მინიმალურად გამოიყენოს არაემპირიული ამოსავალი მონაცემები, რათა მიღწეულ იქნეს სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანი, რომელიც გულისხმობს იმ ფასის შეფასებას, რომლითაც ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელდება ვალდებულების ან წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემის ნებაყოფლობითი ოპერაცია შეფასების თარიღით, არსებულ საბაზრო პირობებში.

სხვა მხარეების მიერ აქტივების სახით ფლობილი ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

AG143D. როდესაც იდენტური ან მსგავსი ვალდებულების ან საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემის კოტირებული ფასი ხელმისაწვდომი არ არის და აღნიშნულ იდენტურ ინსტრუმენტებს სხვა მხარე ფლობს აქტივის სახით, ერთეულმა ვალდებულების ან საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება უნდა შეაფასოს შეფასების თარიღით, ბაზრის იმ მონაწილის პოზიციიდან, რომელიც ფლობს იდენტურ ინსტრუმენტს აქტივის სახით.

AG143E. მსგავს შემთხვევებში ერთეულმა ვალდებულების ან საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება შემდეგნაირად უნდა შეაფასოს:

(a) აქტიურ ბაზარზე სხვა მხარის მიერ აქტივის სახით ფლობილი იდენტური ინსტრუმენტების კოტირებული ფასის გამოყენებით, თუ აღნიშნული ფასი ხელმისაწვდომია.

(b) თუ აღნიშნული ფასი ხელმისაწვდომი არ არის, ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით, როგორიცაა მაგალითად, სხვა მხარის მიერ აქტივის სახით ფლობილი იდენტური ინსტრუმენტების კოტირებული ფასი ბაზარზე, რომელიც აქტიური არ არის.

(c) როდესაც (a) და (b) ქვეპუნქტებში მითითებული ემპირიული ფასები ხელმისაწვდომი არ არის, შეფასების სხვა მეთოდის გამოყენებით, როგორიცაა, მაგალითად:

(i) შემოსავლების მიდგომა (ანუ მიმდინარე ღირებულების მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს მომავალ ფულად ნაკადებს, რომლის მიღებას ბაზრის მონაწილე მოელის ვალდებულების ან წილობრივი ინსტრუმენტის ფლობიდან; იხ. პუნქტები 45 და C35); და

(ii) საბაზრო მიდგომა (ანუ სხვა მხარის მიერ აქტივის სახით ფლობილი მსგავსი ვალდებულებების ან წილობრივი ინსტრუმენტები კოტირებული ფასები; იხ. პუნქტები 42, C31 და C32).

AG143F. ერთეულმა ვალდებულების ან საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის (რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს) კოტირებული ფასი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გააკორექტიროს, თუ ამ აქტივთან დაკავშირებულია სპეციფიკური ფაქტორები, რომელთა

გამოყენება მიუღებელია ვალდებულების ან წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. ერთეულმა უნდა უზრუნველყოს, რომ აქტივის ფასი არ ასახავდეს იმ შეზღუდვის გავლენას, რომელიც ხელს უშლის ამ აქტივის გაყიდვას. შემდეგი ფაქტორები, სხვასთან ერთად, შეიძლება იმის მიმანიშნებელი იყოს, რომ აქტივის კოტირებული ფასი უნდა გაკორექტირდეს:

(a) აქტივის კოტირებული ფასი დაკავშირებულია ანალოგიურ (და არა იდენტურ) ვალდებულებასთან, ან წილობრივ ინსტრუმენტთან, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს. მაგალითად, ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს შეიძლება გააჩნდეს სპეციფიკური მახასიათებელი (მაგალითად, ემიტენტის კრედიტუნარიანობა), რომელიც განსხვავდება იმ მახასიათებლისგან, რაც აისახება ანალოგიური ვალდებულების, ან წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებაში, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს; და

(b) მოცემული აქტივისთვის დადგენილი სააღრიცხვო ერთეული განსხვავდება ვალდებულების ან წილობრივი ინსტრუმენტის სააღრიცხვო ერთეულისგან. მაგალითად ვალდებულებებისთვის, ზოგ შემთხვევაში, აქტივის ფასი ასახავს გარკვეული პაკეტის ერთიან ფასს, რომელიც შედგება როგორც ემიტენტისგან მისაღები თანხებისგან, ასევე მესამე მხარისთვის საკრედიტო რეიტინგის ამაღლებაში დახმარების აღმოჩენის მოთხოვნისგან. თუ ვალდებულებისთვის მიღებული სააღრიცხვო ერთეული არ არის კომბინირებული პაკეტის სააღრიცხვო ერთეული, მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ შეფასდეს ემიტენტის ვალდებულების და არა კომბინირებული პაკეტის სამართლიანი ღირებულება. ამგვარად, ასეთ შემთხვევაში, ერთეულმა აქტივის ემპირიული ფასი უნდა გააკორექტიროს, რათა გამოირიცხოს მესამე მხარისთვის საკრედიტო რეიტინგის ამაღლებაში დახმარების აღმოჩენის მოთხოვნის გავლენა.

ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები, რომლებსაც სხვა მხარეები არ ფლობენ, როგორც აქტივებს

AG143G. როდესაც ხელმისაწვდომი არ არის იდენტური ან ანალოგიური ვალდებულების, ან ერთეულის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემის კოტირებული ფასი და იდენტურ ერთეულს არ ფლობს სხვა მხარე, როგორც აქტივს, ერთეულმა ვალდებულების ან წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება უნდა შეაფასოს შეფასების რომელიმე მეთოდით ბაზრის იმ მონაწილის პოზიციიდან, რომელსაც გააჩნია ვალდებულება, ან უფლება კაპიტალის ნარჩენ წილზე.

AG143H. მაგალითად, თუ ერთეული მიმდინარე ღირებულების მეთოდს იყენებს, მას შეუძლია გაითვალისწინოს ნებისმიერი შემდეგი ფაქტორებიდან:

(a) მომავალი ფულადი ნაკადები, რომლის გასვლასაც ივარაუდებდა ბაზრის მონაწილე ვალდებულების შესასრულებლად, მათ შორის, კომპენსაცია, რომელსაც ბაზრის მონაწილე მოითხოვდა ვალდებულების ასაღებად (იხ. პუნქტები AG143X–AG143Z); ან

(b) თანხა, რომელსაც ბაზრის მონაწილე მიიღებდა იდენტური ვალდებულების აღებისთვის, ან იდენტური წილობრივი ინსტრუმენტის გამოშვებისთვის, ისეთი დაშვებების გამოყენებით, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ

იდენტური ერთეულის ფასის დასადგენად ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე, ვალდებულების ან წილობრივი ინსტრუმენტის გამოშვებისთვის იმავე სახელშეკრულებო პირობებით.

ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი

AG143I. ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ასახავს ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის გავლენას. ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი, სხვასთან ერთად, მოიცავს ერთეულის საკუთარ საკრედიტო რისკსაც (როგორც ეს ცნება განმარტებულია ფასს 7-ში, ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები). იგულისხმება, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი ერთნაირია ვალდებულების გადაცემამდე და მის შემდეგაც.

AG143J. ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს თავისი საკრედიტო რისკის გავლენა (კრედიტუნარიანობა) და ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა იმის ალბათობაზე, ვალდებულება შესრულდება, თუ არ შესრულდება. ზემოაღნიშნული გავლენა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, ვალდებულების ტიპების მიხედვით, მაგალითად:

(ა) მოცემული ვალდებულება ფულადი სახსრების გადაცემის ვალდებულებაა (ფინანსური ვალდებულება), თუ საქონლის ან მომსახურების მიწოდების ვალდებულება (არაფინანსური ვალდებულება); და

(ბ) მოცემულ ვალდებულებასთან დაკავშირებული, საკრედიტო რეიტინგის ამაღლებაში დახმარების მოთხოვნის პირობები, როდესაც ამგვარი პირობები არსებობს.

AG143K. ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ვალდებულების შეუსრულებლობის რისკს ასახავს მისი სააღრიცხვო ერთეულის საფუძველზე. ისეთი ვალდებულების ემიტენტი, რომელიც გამოშვებულია განუყოფელი მოთხოვნით, დაეხმაროს მესამე მხარეს საკრედიტო რეიტინგის ამაღლებაში და ეს მოთხოვნა ვალდებულებისგან განცალკევებით აისახება, ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას არ უნდა ითვალისწინებდეს საკრედიტო რეიტინგის ამაღლების მოთხოვნის გავლენას (მაგალითად, მესამე მხარის დავალიანების დაფარვის გარანტიას). თუ საკრედიტო რეიტინგის ამაღლებაში დახმარების მოთხოვნა ვალდებულებისგან განცალკევებით აისახება, ემიტენტმა ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას მხედველობაში უნდა მიიღოს საკუთარი საკრედიტო რეპუტაცია და არა თავდები მესამე მხარის (გარანტიის გამცემის).

შეზღუდვა, რომელიც ხელს უშლის ვალდებულების, ან ერთეულის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემას

AG143L. ვალდებულების ან საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ერთეულმა არ უნდა გაითვალისწინოს ზოგიერთი ამოსავალი მონაცემი, ან სხვა ამოსავალი მონაცემების კორექტირება, რომლებიც ეხება შეზღუდვის არსებობას, რომელიც ხელს უშლის ამ ერთეულის გადაცემას. ისეთი შეზღუდვის გავლენა, რომელიც ხელს უშლის ვალდებულების ან საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემას, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, გაითვალისწინება სამართლიანი ღირებულების შესაფასებელ სხვა მონაცემებში.

AG143M. მაგალითად, ოპერაციის თარიღისთვის კრედიტორი და დებიტორი შეთანხმდნენ ვალდებულების გადაცემის ოპერაციის ფასზე ისე, რომ სრულყოფილად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ვალდებულება მოიცავს შეზღუდვას, რომელიც ხელს უშლის მის გადაცემას. ვინაიდან ეს შეზღუდვა გათვალისწინებული იქნებოდა ოპერაციის ფასში, აუცილებელი არ არის ცალკეული ამოსავალი მონაცემების, ან არსებული ამოსავალი მონაცემების კორექტირების გათვალისწინება ოპერაციის თარიღისთვის, რათა აისახოს შეზღუდვის გავლენა ერთეულის გადაცემაზე. ანალოგიურად, ცალკეული ამოსავალი მონაცემების, ან არსებული ამოსავალი მონაცემების კორექტირების გათვალისწინება არ მოითხოვება არც შემდგომი შეფასების თარიღებისთვის, ერთეულის გადაცემაზე შეზღუდვის გავლენის ასახვის მიზნით.

ფინანსური ვალდებულება მოთხოვნისთანავე დაფარვის შესაძლებლობით

AG143N. ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულება, რომელსაც ახლავს კრედიტორის მოთხოვნისთანავე ვალდებულების დაფარვის პირობა (მაგალითად, მოთხოვნამდე დეპოზიტები) არ არის მოთხოვნისას გადასახდელ იმ თანხაზე ნაკლები, რომელიც დისკონტირებულია პირველივე თარიღიდან, როდესაც შეიძლება მოითხოვონ თანხის გადახდა.

გამოყენება ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებთან მიმართებით, რომლებსაც გააჩნიათ საბაზრო რისკების, ან კონტრაქტის საკრედიტო რისკის ურთიერთგადასაზღვრავი პოზიციები

AG143O. ერთეული, რომელიც ფლობს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფს, ექვემდებარება საბაზრო რისკებს (ფასს 7-ში მოცემული განმარტების თანახმად) და თითოეული კონტრაქტის საკრედიტო რისკს. თუ ერთეული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფს მართავს ან საბაზრო რისკებზე, ან საკრედიტო რისკზე წმინდა დაქვემდებარების საფუძველზე, ერთეულს უფლება აქვს, სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოიყენოს წინამდებარე ფასით გათვალისწინებული გამონაკლისის მიდგომა. აღნიშნული გამონაკლისის ერთეულს უფლებას აძლევს, ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულება შეაფასოს იმ ფასის საფუძველზე, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა წმინდა გრძელი პოზიციის (ე.ი. აქტივის) გაყიდვისას კონკრეტული რისკის ალებისთვის, ან, რომელიც გადასახდელი იქნებოდა წმინდა მოკლე პოზიციის (ე.ი. ვალდებულების) გადაცემისას კონკრეტული რისკის ალებისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს, მიმდინარე საბაზრო პირობებში. შესაბამისად, ერთეულმა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულება უნდა შეაფასოს იმის გათვალისწინებით, როგორ შეაფასებდნენ ბაზრის მონაწილეები შეფასების თარიღისთვის რისკფაქტორის წმინდა გავლენას.

AG143P. ერთეულს AG143O პუნქტით დაშვებული გამონაკლისის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთეული აკმაყოფილებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პირობას:

(a) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფს მართავს კონკრეტულ საბაზრო რისკზე (ან რისკებზე), ან კონკრეტული კონტრაქტის საკრედიტო რისკზე წმინდა დაქვემდებარების საფუძველზე, ერთეულის ოფიციალური (დოკუმენტირებული) რისკის მართვის, ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად;

(b) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის შესახებ ინფორმაციას ამავე საფუძველზე წარუდგენს ერთეულის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას, სსბასს 20-ში, დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები, მოცემული განმარტების შესაბამისად; და

(c) ვალდებულია, ან თვითონ აქვს გადაწყვეტილი ამ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით შეფასება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

AG143Q. AG143O პუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისი მიდგომას არავითარი კავშირი არა აქვს ფინანსური ანგარიშგების წარდგენასთან. ზოგ შემთხვევაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენის საფუძველი განსხვავდება ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების საფუძვლისგან, მაგალითად, თუ რომელიმე ფასს არ მოითხოვს, ან უფლებას არ აძლევს ერთეულს, ფინანსური ინსტრუმენტები წარადგინოს ნეტო საფუძველით. ასეთ შემთხვევაში, ერთეულს შეიძლება დასჭირდეს პორტფელის დონის კორექტირებების განაწილება (იხ. პუნქტები AG143T– AG143W) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის შემადგენელ ინდივიდუალურ აქტივებსა თუ ვალდებულებებზე, რომელიც იმართება რისკის ფაქტორზე ერთეულის წმინდა დაქვემდებარების საფუძველზე. ერთეულმა ამგვარი განაწილება უნდა განახორციელოს რაციონალურ და ერთგვაროვან საფუძველზე, მოცემული გარემოებებისთვის მისაღები მეთოდების გამოყენებით.

AG143R. ერთეულმა AG143O პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი მიდგომის გამოყენების მიზნით, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სსბასს 3-ის, სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, შესაბამისად. ერთეულმა, რომელიც გამოიყენებს ზემოაღნიშნულ გამონაკლისს, მან ეს სააღრიცხვო პოლიტიკა, მათ შორის პოლიტიკა, რომელიც ეხება კორექტირების თანხების განაწილებას მყიდველისა და გამყიდველის ფასების გათვალისწინებით (იხ. AG143T– AG143V პუნქტები) და კორექტირების თანხების განაწილებას საკრედიტო რისკის გათვალისწინებით (იხ. AG143W პუნქტი), უცვლელად უნდა გამოიყენოს პერიოდიდან პერიოდამდე კონკრეტული პორტფელისთვის.

AG143S. AG143O პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი ეხება მხოლოდ ფინანსურ აქტივებს, ფინანსურ ვალდებულებებსა და სხვა ხელშეკრულებებს, რომლებიც განეკუთვნება სსბასს 41-ის, ფინანსური ინსტრუმენტები, მოქმედების სფეროს (ან სსბასს 29-ის, ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება, მოქმედების სფეროს, თუ ერთეულს ჯერ არ დაუნერგავს სსბასს 41). AG143O–AG143R და AG143T–AG143W პუნქტებში ნახსენებ ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებში უნდა იგულისხმოდ ყველაწარმოადგენს ხელშეკრულებას, რომელიც განეკუთვნება სსბასს 41-ის მოქმედების სფეროს (ან სსბასს 29-ის მოქმედების სფეროს, თუ ერთეულს ჯერ არ დაუნერგავს სსბასს 41) და აისახება სსბასს 41-ის (ან სსბასს 29-ის) შესაბამისად, იმის მიუხედავად, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების განმარტებებს, რომლებიც მოცემულია სსბასს 29-ში, ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა.

საბაზრო რისკებზე დაქვემდებარება

AG143T. AG143O პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის გამოყენებისას, ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რომელიც იმართება კონკრეტულ საბაზრო რისკზე (ან რისკებზე) წმინდა დაქვემდებარების საფუძველზე, ერთეულმა გამყიდველისა და მყიდველის ფასებს შორის განსხვავების დიაპაზონიდან უნდა გამოიყენოს ის ფასი, რომელიც ყველაზე მეტად არის სამართლიანი ღირებულების რეპრეზენტაციული მოცემულ გარემოებებში, კერძოდ, ამ საბაზრო რისკებზე ერთეულის წმინდა დაქვემდებარების პირობებში (იხ. AG143AA და AG143BB პუნქტები).

AG143U. AG143O პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის გამოყენებისას, ერთეულმა უნდა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ საბაზრო რისკი (ან რისკები), რომელსაც ერთეული ექვემდებარება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოცემული ჯგუფის ფარგლებში, არსებითად ერთნაირია, მაგალითად, ერთეულმა ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული რისკი არ უნდა გააერთიანოს ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონლის ფასის რისკთან, ვინაიდან ამის გაკეთება ვერ შეასუსტებს ერთეულის დამოკიდებულებას საპროცენტო განაკვეთის რისკზე, ან საქონლის ფასის რისკზე. AG143O პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის გამოყენებისას, ერთეულმა ჯგუფში შემავალი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი საბაზისო რისკი, რომელიც წარმოიქმნება საბაზრო რისკის არაიდენტიური პარამეტრებიდან.

AG143V. ანალოგიურად, არსებითად ერთნაირი უნდა იყოს ერთეულის დაქვემდებარების ხანგრძლივობა კონკრეტულ საბაზრო რისკზე (ან რისკებზე), რაც განაპირობა ფინანსურმა აქტივებმა და ფინანსურმა ვალდებულებებმა. მაგალითად, ერთეული, რომელიც 12-თვიან ფიუჩერსულ ხელშეკრულებას იყენებს ფულადი ნაკადების კომპენსაციისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ხუთწლიანი ფინანსური ინსტრუმენტიდან წარმოქმნილ 12-თვიან საპროცენტო განაკვეთის რისკთან, რომელიც განეკუთვნება მხოლოდ ამგვარი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისგან შემდგარ ჯგუფს, 12-თვიან საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარების სამართლიან ღირებულებას აფასებს ნეტო საფუძველზე, ხოლო დარჩენილ საპროცენტო განაკვეთის რისკს (ე.ი. 2-დან 5-წლამდე პერიოდის) ბრუტო საფუძველზე.

კონკრეტული კონტრაქტის საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

AG143W. როდესაც ერთეული AG143O პუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისს იყენებს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რომლებიც დაკავშირებულია ერთ კონკრეტულ კონტრაქტთან დადებულ გარიგებებთან, ერთეულმა სამართლიანი ღირებულების შეფასებისას უნდა გაითვალისწინოს ამ კონტრაქტის საკრედიტო რისკის წმინდა გავლენა ერთეულზე, ან ამ კონტრაქტის წმინდა გავლენა ერთეულის საკრედიტო რისკზე, თუ ბაზრის მონაწილეები მხედველობაში მიიღებდნენ ნებისმიერ არსებულ შეთანხმებას, რომელიც ამცირებს საკრედიტო რისკის გავლენას გადაუხდელობის შემთხვევაში (მაგალითად, ამ კონტრაქტთან დადებული ურთიერთობის გენერალური შეთანხმება, ან შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფის სახით ჩადებული ქონების გაცვლას მოითხოვს მეორე მხარის საკრედიტო რისკზე თითოეული მხარის წმინდა დაქვემდებარების საფუძველზე). სამართლიანი ღირებულების შეფასებამ უნდა ასახოს ბაზრის მონაწილეთა მოლოდინი იმის

ალბათობის შესახებ, რომ ამგვარი შეთანხმება სამართლებრივად იქნება უზრუნველყოფილი გადაუხდელობის შემთხვევაში.

მიმდინარე ღირებულების მეთოდის გამოყენება ვალდებულებებთან და ერთეულის საკუთარ წილობრივ ინსტრუმენტებთან მიმართებით, რომლებსაც სხვა მხარეები არ ფლობენ როგორც აქტივებს (AG143G and AG143H პუნქტები)

AG143X. მიმდინარე ღირებულების მეთოდის გამოყენებისას ისეთი ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რომელსაც სხვა მხარე არ ფლობს როგორც აქტივს (როგორიცაა, მაგალითად აქტივის ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულება), ერთეულმა, სხვასთან ერთად, უნდა შეაფასოს მომავალი ფულადი ნაკადები, რომლის გასვლაც, ბაზრის მონაწილეების ვარაუდით, საჭირო იქნება ვალდებულების შესასრულებლად. მომავალი ფულადი ნაკადების ამგვარი გასვლა უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილეთა მოლოდინს იმ დანახარჯების შესახებ, რომლის გაწევაც აუცილებელი იქნება ვალდებულების შესასრულებლად და ასევე კომპენსაციას, რომელსაც ბაზრის მონაწილე მოითხოვდა ვალდებულების საკუთარ თავზე ასაღებად. ამგვარი კომპენსაცია მოიცავს უკუგებას (შემოსავალს), რომელსაც ბაზრის მონაწილე მოითხოვდა შემდეგ შემთხვევებში:

- (a) საქმიანობის განხორციელებისთვის (ე.ი. ვალდებულების შესრულების ღირებულება, მაგალითად ისეთი რესურსებისთვის, რომლებიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო სხვა საქმიანობაში); და
- (b) ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკის თავის თავზე აღებისთვის (ე.ი. რისკის პრემია, რომელიც ასახავს იმის რისკს, რომ ფაქტობრივად გასული ფულადი ნაკადები შეიძლება განსხვავებული იყოს მოსალოდნელისგან; იხ. AG143Z პუნქტი).

AG143Y. მაგალითად, არაფინანსური ვალდებულება არ მოიცავს უკუგების სახელშეკრულებო განაკვეთს და ამ ვალდებულებისთვის არ არსებობს ემპირიული საბაზრო შემოსავლიანობა. ზოგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება იმ უკუგების (შემოსავლის) კომპონენტების ერთმანეთისგან გამიჯვნა, რომელსაც ბაზრის მონაწილეები მოითხოვდნენ (მაგალითად, როდესაც შეფასებისთვის გამოიყენება ფასი, რომელსაც მენარდე მესამე მხარე მოითხოვდა ფიქსირებული საზღაურის სახით). სხვა შემთხვევაში, ერთეულს დასჭირდება ამ კომპონენტების ცალ-ცალკე შეფასება (მაგალითად, როდესაც გამოიყენება ფასი, რომელსაც მენარდე მესამე მხარე მოითხოვდა „დანახარჯები პლუს“ პრინციპით, ვინაიდან მენარდე, ამ შემთხვევაში, დამოკიდებული არ იქნება დანახარჯების სამომავლო ცვლილებების რისკზე.).

AG143Z. ისეთი ვალდებულებების, ან საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რომელსაც სხვა მხარე არ ფლობს, როგორც აქტივს, რისკის პრემიის გათვალისწინება ერთეულს შეუძლია ერთ-ერთი შემდეგი მეთოდის გამოყენებით:

- (a) ფულადი ნაკადების კორექტირებით (ე.ი. გასასვლელი ფულადი ნაკადების ოდენობის გაზრდით); ან
- (b) მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გამოყენებული განაკვეთის კორექტირებით (ე.ი. დისკონტირების განაკვეთის შემცირებით).

ერთეული უნდა დარწმუნდეს, რომ მან ორჯერ არ გაითვალისწინა, ან არ გამოტოვა რისკით

კორექტირება. მაგალითად, თუ შეფასებული ფულადი ნაკადები იზრდება ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკის აღების შესაფერისი კომპენსაციის გათვალისწინებით, დისკონტირების განაკვეთი არ უნდა გაკორექტირდეს ამ რისკის ასახვის მიზნით.

შეფასების მეთოდებში გამოსაყენებელი ამოსავალი მონაცემები

AG143AA. თუ სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ აქტივს ან ვალდებულებას გააჩნია მყიდველის ფასი და გამყიდველის ფასი (მაგალითად, დილერული ბაზრის ამოსავალი მონაცემები), სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად ერთეულმა უნდა გამოიყენოს მოთხოვნა-მიწოდების სპრედიდან ის ფასი, რომელიც ყველაზე ზუსტად ასახავს სამართლიან ღირებულებას მოცემულ გარემოებებში, იმის მიუხედავად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ეს მონაცემები (ე.ი. 1-ელ, მე-2 თუ მე-3 დონეს; იხ. სსბასს 46-ის, *შეფასება*, D59–D89 პუნქტები). აქტივების პოზიციებისთვის ნებადართულია მყიდველის ფასების გამოყენება და ვალდებულებების პოზიციებისთვის – გამყიდველის ფასების, მაგრამ ამის გაკეთება სავალდებულო არ არის.

AG143AB. სსბასს 46 არ კრძალავს საშუალო საბაზრო ფასების, ან ფასების სხვა მონაცემების გამოყენებას, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები იყენებენ, როგორც პრაქტიკულ საშუალებას სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად მოთხოვნა-მიწოდების სპრედის ფარგლებში.

AG144. სამართლიანი ღირებულების განმარტების საფუძველია ის, რომ ერთეული ფუნქციონირებადი ერთეულია, ლიკვიდაციისა და მისი ოპერაციების მოცულობის მატერიალურად შემცირების გარეშე ან არახელსაყრელი პირობებით გარიგების მიღების გარეშე. სამართლიანი ღირებულება აგრეთვე არ არის თანხა, რომელსაც ერთეული მიიღებდა ან გადაიხდიდა იძულებითი გარიგების შედეგად, იძულებითი ლიკვიდაციისას ან ქონების გაყიდვისას. თუმცა, სამართლიანი ღირებულება აისახება ინსტრუმენტის საკრედიტო ხარისხზე. [ამოღებულია]

AG145. ამ სტანდარტში გამოყენებულია ტერმინები „შეთავაზებული ფასი“ და „მოთხოვნილი ფასი“ (ხანდახან განიხილება, როგორც მიმდინარე შეთავაზების ფასი) – კოტირებული საბაზრო ფასების კონტექსტში და აგრეთვე ტერმინი „შეთავაზებული მოთხოვნილი ფასის სპრედი“, რომელიც მოიცავს მხოლოდ გარიგების დანახარჯებს. სამართლიანი ღირებულების მისაღებად სხვა კორექტირებები (მაგ., კონტრაგენტის საკრედიტო რისკი), ჩართული არ არის ტერმინში – „შეთავაზებული მოთხოვნილი ფასის სპრედი“. [ამოღებულია]

აქტიური ბაზარი: კოტირებული ფასი

AG146. ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირებულად მიიჩნევა, როდესაც კოტირებული ფასები ადვილად და რეგულარულად მიიღება ბირჟიდან, დილერისაგან, ბროკერისაგან, სამეწარმეო ჯგუფისგან, ფასდადგენის მომსახურებიდან ან მარეგულირებელი სააგენტოდან და აღნიშნული ფასები ასახავს აქტუალურ და რეგულარულ საბაზრო გარიგებებს საფონდო ბირჟაზე. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ყიდვისა და გაყიდვის მსურველებს შორის ფასზე შეთანხმების შეშვეობით, საფონდო ბირჟაზე გარიგების წარმოებისას. აქტიურ ბაზარზე გაყიდული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზანია, იგი წარმოჩნდეს ფასით, რომლითაც აღნიშნული ინსტრუმენტის გარიგება აისახებოდა ერთეულის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ე.ი. ინსტრუმენტის

მოდოფიცირებისა თუ ცვლილების გარეშ(ე) უპირატეს აქტიურ ბაზარზე, რომელშიც ერთეულს სწრაფად შეუძლია შესვლა. თუმცა, ერთეული ახორციელებს უპირატესი ბაზრის ფასის კორექტირებას იმ მიზნით, რომ წარმოაჩინოს კონტრაგენტის ნებისმიერ საკრედიტო რისკში არსებული სხვაობები, აღნიშნულ ბაზარზე გაყიდულ ინსტრუმენტებსა და შეფასებულ ინსტრუმენტებს შორის. აქტიურ ბაზარზე ფასების საჯარო კოტირების არსებობა წარმოადგენს სამართლიანი ღირებულებების არსებობის საუკეთესო დამადასტურებელ ნიშნებს და, ამ შემთხვევაში, ისინი ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების შესაფასებლად გამოიყენება. [ამოღებულია]

AG147. ფლობილი აქტივისა თუ გამოსაშვები ვალდებულებისათვის ყველაზე მისაღები კოტირებული საბაზრო ფასი, უმეტესწილად, არის მიმდინარე “შეთავაზებული ფასი”, ხოლო მისაღები აქტივისა თუ არსებული ვალდებულებისათვის — “მოთხოვნილი ფასი”. როდესაც ერთეულს საბაზრო რისკების კონტრანგარიშის მქონე აქტივები და ვალდებულებები აქვს, მას შეუძლია, საშუალო საბაზრო ფასები კონტრანგარიშის მქონე რისკის პოზიციებისათვის სამართლიანი ღირებულების დადგენის საფუძვლად გამოიყენოს, ხოლო შეთავაზებული ან მოთხოვნილი ფასი — წმინდა გახსნითი პოზიციისათვის. როდესაც მიმდინარე შეთავაზებული ან მოთხოვნილი ფასების დადგენა შეუძლებელია, უახლოესი გარიგება მიმდინარე სამართლიანი ღირებულების ყველაზე თვალსაჩინო მონაცემებს იმ ხანგრძლივობით იძლევა, სანამ ეკონომიკურ გარემოში, გარიგების დაწყების დღის შემდეგ, მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოხდება. თუ პირობები გარიგების დაწყების დღის შემდეგ შეიცვლება (მაგ., რისკისაგან თავისუფალი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, რაც მოპყვება კორპორაციული ობლიგაციის ფასის უკანასკნელ კოტირება(ს), სამართლიანი ღირებულება აისახება პირობების ცვლილებაში მიმდინარე ფასების ან განაკვეთების განსაზღვრით მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, როგორც შეესაბამება. ასევე, თუ ერთეულს შეუძლია განაცხადოს, რომ უკანასკნელი გარიგების ფასი სამართლიანი ღირებულება არ არის (მაგ., აღნიშნული ასახავს თანხას, რომელსაც ერთეული იძულებითი გარიგების, არასასურველი ლიკვიდაციის ან აღწერილი ქონების გაყიდვისას მიიღებდა ან გადაიხდიდა), აღნიშნული ფასი კორექტირებულია. ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის სამართლიანი ღირებულება რამდენიმე ერთეული ინსტრუმენტის პროდუქტი და მათი კოტირებული ფასია. თუ ფასების საჯარო კოტირება ფინანსური ინსტრუმენტისათვის აქტიურ ბაზარზე არ არსებობს, მაგრამ აქტიური ბაზრები მათი შემადგენელი ნაწილებისათვის არსებობს, სამართლიანი ღირებულება უნდა დადგინდეს შემადგენელი ნაწილების შესაბამის საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. [ამოღებულია]

AG148. თუ განაკვეთი (და არა ფასი) კოტირებულია აქტიურ ბაზარზე, ერთეული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას აღნიშნულ საბაზრო კოტირებულ განაკვეთს იყენებს, როგორც შეფასების მეთოდის ამოსავალ მონაცემს. თუ საბაზრო კოტირებული განაკვეთი არ მოიცავს საკრედიტო რისკსა თუ სხვა ფაქტორებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილენი ინსტრუმენტის შეფასებისას გაითვალისწინებდნენ, ერთეული აღნიშნული ფაქტორების მიმართ კორექტირებას ახორციელებს. [ამოღებულია]

არააქტიური ბაზარი: შეფასების მეთოდი

AG149. თუ ბაზარი ფინანსური ინსტრუმენტისათვის აქტიური არ არის, ერთეული სამართლიან ღირებულებას ადგენს შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდი მოიცავს

საფონდო ბირჟაზე გაცნობიერებულ და სურვილის მქონე მხარეებს შორის უკანასკნელ პერიოდში “გაშლილი ხელის პრინციპით” დადებული გარიგებების გამოყენებას, თუ შესაძლებელია თითქმის მსგავსი სხვა ინსტრუმენტის მიმდინარე სამართლიანი ღირებულების, დისკონტირებული ფულადი სახსრების ანალიზის და ოფციონის ფასდადგენის მოდელების განსაზღვრა. თუ არსებობს ბაზრის მონაწილეთა მიერ ინსტრუმენტის ფასის დადგენის შეფასების გავრცელებული, ადრე დემონსტრირებული მეთოდი აქტიურ ბაზარზე წარმოშობილი გარიგების ფასების საიმედოდ შეფასების შესაძლებლობად, ერთეული იყენებს შეფასების აღნიშნულ მეთოდს. [ამოღებულია]

AG150. შეფასების მეთოდის გამოყენების მიზანია, შეფასების დღეს განისაზღვროს, საფონდო ბირჟაზე ნორმალური ბიზნესის წარმოების შემთხვევაში, გარიგების ფასი “გაშლილი ხელის პრინციპით” გაცვლისას. სამართლიანი ღირებულება ფასდება შეფასების მეთოდის შედეგებზე დაყრდნობით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად ეყრდნობა ერთეულის სპეციფიკურ მონაცემებს. შეფასების მეთოდმა მოსალოდნელია, წარმოაჩინოს სამართლიანი ღირებულების რეალისტური შეფასება, თუ (ა) კანონზომიერად ასახავს ბაზრის მიერ ინსტრუმენტის ფასის განსაზღვრის პროცესს და (ბ) შეფასების მეთოდის მონაცემები კანონზომიერად წარმოგვიდგენს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რისკისა და უკუგების ფაქტორების საბაზრო ვარაუდებსა და შეფასებებს. [ამოღებულია]

AG151. შესაბამისად, შეფასების მეთოდი (ა) აერთიანებს ყველა ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილენი გაითვალისწინებდნენ ფასის დადგენისას და (ბ) შესაბამისობაშია ფინანსური ინსტრუმენტების ფასდადგენის აღიარებულ ეკონომიკურ მეთოდოლოგიებთან. ერთეული პერიოდულად ამოწმებს შეფასების მეთოდს და საიმედოობის გამოსაკვლევად ატარებს მის შემოწმებას იმავე ინსტრუმენტზე (ე.ი. მოდიფიცირების გარეშე ან შეუცვლელად); რომელიმე ემპირიული საბაზრო გარიგების ფასების გამოყენებით, ან რომელიმე საიმედო საბაზრო მონაცემზე დაყრდნობით. ერთეული იღებს საბაზრო მონაცემებს იმავე ბაზარზე, სადაც ინსტრუმენტი იქნა ნაყიდი ან მიღებული. [ამოღებულია]

AG152. ფინანსური აქტივის პირველადი შესყიდვა ან შექმნა, ან ფინანსური ვალდებულების წარმოშობა არის საბაზრო გარიგება, რომელიც წარმოქმნის ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასების საფუძველს. იმ შემთხვევაში, როცა ფინანსური ინსტრუმენტი სავალო ინსტრუმენტია (მაგ., როგორც არის სესხი), მისი სამართლიანი ღირებულება შეიძლება განისაზღვროს შესყიდვის ან წარმოქმნის დღეს არსებული საბაზრო პირობების გათვალისწინებით, და ერთეულის ან სხვათა მიერ მსგავსი სავალო ინსტრუმენტებისათვის გათვალისწინებულ მიმდინარე საბაზრო პირობებსა თუ საპროცენტო განაკვეთებზე დაყრდნობით (ე.ი. მსგავსი დარჩენილი დაფარვის თანხის, ფულადი სახსრების, ვალუტის, საკრედიტო რისკის, გირაოსი და საპროცენტო განაკვეთის. მეორე მხრივ, იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს დებიტორის საკრედიტო რისკის ცვლილება და საკრედიტო სპრედი სავალო ინსტრუმენტის წარმოშობის შემდეგ, მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთი შეიძლება შეფასდეს საწყისი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეს ასახავს უკეთეს საკრედიტო ხარისხს, რომელიც მუდმივი საკრედიტო სპრედის შენარჩუნების მეშვეობითა და საწყისი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების კორექტირებით, ინსტრუმენტის წარმოშობის დღის შემდეგ ძირითად სავალო ინსტრუმენტს

~~წარმოაჩენს. თუ პირობები იცვლება უკანასკნელი საბაზრო გარიგების შემდეგ, ადრე შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილება განისაზღვრება მიმდინარე მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ფასებისა თუ განაკვეთების გათვალისწინებით, რომლებიც, შესაბამისად, კორექტირებულია შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის ნებისმიერი სხვაობების მიმართ. [ამოღებულია]~~

AG153. ~~მსგავსი ინფორმაცია შეიძლება ხელმისაწვდომი არ იყოს შეფასების ყოველი თარიღისათვის. მაგ., როდესაც ერთეული გასცემს სესხს ან იმენს სავალო ინსტრუმენტს, რომლებზეც აქტიური ვაჭრობა არ იმართება, ერთეული იყენებს გარიგების ფასს, რომელიც აგრეთვე საბაზრო ფასს წარმოადგენს (თუმცა, არა უკანასკნელი პერიოდის. გარიგების შესახებ ინფორმაცია შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს შეფასების შემდეგი დღისათვის და მიუხედავად იმისა, რომ ერთეულს შეუძლია საბაზრო განაკვეთების ძირითადი დონის განსაზღვრა, მან შეიძლება არ იცოდეს, თუ რომელ საკრედიტო დონესა და სხვა რისკს გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილენი ფინანსური ინსტრუმენტის ფასის დადგენისას აღნიშნულ დღეს. ერთეული შეიძლება ინფორმაციას არ ფლობდეს უკანასკნელი გარიგების შესახებ, რათა ძირითადი საპროცენტო განაკვეთის შესაბამისი საკრედიტო სპრედი განსაზღვროს, და ის დღევანდელი[მიმდინარე] ღირებულების დისკონტირებული განაკვეთის გამოსათვლელად გამოიყენოს. თუ არ არსებობს საწინააღმდეგო ფაქტორები, გონივრული იქნებოდა, დაგვეშვა, რომ სესხის გაცემის დღეს არსებული სპრედი არ შეცვლილა. თუმცა, შეიძლება ერთეულს ჰქონდა ამგვარი ფაქტორების ცვლილებების არსებობის განსაზღვრის მცდელობა. როდესაც ცვლილებების დამადასტურებელი ნიშნები არსებობს, ერთეული აფასებს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილების ეფექტს. [ამოღებულია]~~

AG154. ~~დისკონტირებული ფულადი სახსრების ანალიზის გამოყენებისას ერთეული იყენებს იმ ფინანსურ ინსტრუმენტებზე გავრცელებული უკუგების განაკვეთების ექვივალენტურ ერთ ან მეტ დისკონტირების განაკვეთს, რომლებსაც გააჩნია თითქმის იგივე პირობები და მახასიათებლები, მათ შორის, ინსტრუმენტის საკრედიტო ხარისხი, დარჩენილი ვადა, რომლის დროსაც საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და ასევე ძირითადი თანხა და ვალუტა, რომელშიც უნდა განხორციელდეს თანხების გადახდა. [ამოღებულია]~~

ამოსავალი მონაცემები შეფასების მეთოდებისთვის

AG155. ~~ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასების შესაბამისი მეთოდი აერთიანებს საბაზრო პირობების შესახებ ემპირიულ საბაზრო მონაცემებსა და სხვა ფაქტორებს, რომლებსაც ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებაზე დაახლოებით მსგავსი გავლენა აქვთ. ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება დამოკიდებულია ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ ან მეტ ფაქტორზე (და შეიძლება სხვა ფაქტორებზეც).~~

(ა) ~~ფულის დროითი ღირებულება (ე.ი. საწყისი საპროცენტო განაკვეთი ან რისკისგან თავისუფალი განაკვეთი). საწყისი საპროცენტო განაკვეთები, უმეტესწილად, შეიძლება წარმოშობილი იყოს საჯარო სახელმწიფო ობლიგაციების ფასებით და ხშირად კორექტირებულია ფინანსურ პუბლიკაციებში. აღნიშნული განაკვეთები ტიპურად განსხვავდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ვადებისაგან, სხვადასხვა დროით პერიოდებში არსებული საპროცენტო მრუდის გამო. პრაქტიკული მიზეზების~~

~~გამო, ერთეულს შეუძლია გამოიყენოს ადვილად მისაღები და ადვილად ხელმისაწვდომი ძირითადი განაკვეთი, მაგ., სვოპის განაკვეთი, საწყისი განაკვეთის სახით. (თუ გამოყენებული განაკვეთი არ წარმოადგენს რისკისაგან თავისუფალ საპროცენტო განაკვეთს, ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტისათვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკის კორექტირება განსაზღვრება აღნიშნულ საწყის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის საფუძველზე (ე). ზოგიერთ ქვეყანაში ცენტრალური სამთავრობო ობლიგაციები შეიძლება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის მატარებელი იყოს და არ იძლეოდეს სტაბილურ საწყის ძირითად საპროცენტო განაკვეთს, აღნიშნულ ვალუტაში განსაზღვრული ინსტრუმენტისათვის. ამ ქვეყნებში ზოგიერთ ერთეულს შეიძლება ცენტრალურ მთავრობაზე უკეთესი საკრედიტო მდგომარეობა და დაბალი სასესო განაკვეთი ჰქონდეს ასეთ შემთხვევაში, ძირითადი საპროცენტო განაკვეთები შეიძლება უფრო ზუსტად იყოს განსაზღვრული უმაღლესი განაკვეთის კორპორაციული ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც გამოშვებულია იმავე იურისდიქციაში გავრცელებული ვალუტით.~~

- ~~(ბ) საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკის სამართლიანი ღირებულების ეფექტი (ე.ი. ძირითადი საპროცენტო განაკვეთის საკრედიტო რისკის პრემია) შეიძლება წარმოიშვას განსხვავებული საკრედიტო ხარისხის მქონე გაყიდული ინსტრუმენტების ემპირიული საბაზრო ფასების ან გამსესხებლების მიერ სესხებზე ან სხვადასხვა საკრედიტო განაკვეთებზე დადგენილი ემპირიული საპროცენტო განაკვეთების შედეგად.~~
- ~~(ც) უცხოური ვალუტის გადაცვლის ფასები. აქტიური სავალუტო ბაზრები არსებობს ძირითადი ვალუტებისათვის და მათი ფასების კოტირება ფინანსურ გამოცემებში ყოველდღიურად ხდება.~~
- ~~(დ) სასაქონლო ფასები. არსებობს ემპირიული საბაზრო ფასები უმეტესი სახის საქონლისთვის.~~
- ~~(ე) წილობრივი ფასიანი ქაღალდების ფასები. გაყიდული წილობრივი ინსტრუმენტების ფასები (და ფასების ინდექსები) ადვილად ხელმისაწვდომი ზოგიერთ ბაზარზე, დღევანდელი ღირებულების შეფასების მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ წილობრივი ინსტრუმენტების მიმდინარე საბაზრო ღირებულების შესაფასებლად, რომელთათვისაც არ არსებობს ემპირიული ფასები.~~
- ~~(ფ) ცვალებადობა (ე.ი. ფინანსური ინსტრუმენტის ან სხვა მუხლის ფასების მომავალი ცვლილებების მოცულობა). როგორც წესი, შესაძლებელია საბაზრო საწყის მონაცემებზე დაყრდნობით ან მიმდინარე ნაგულისხმევი საბაზრო ფასების ცვალებადობის გამოყენებით იმ მუხლების ცვალებადობის გონივრული შეფასება, რომლებითაც აქტიურად ვაჭრობენ.~~
- ~~(გ) წინასწარ გადახდის რისკი და დათმობის რისკი. ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელი წინასწარ გადახდის ტენდენცია და ფინანსურ ვალდებულებებზე მოსალოდნელი დათმობის ტენდენცია შეიძლება შეფასებულ იქნეს ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით (ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულება, რომელიც შეიძლება დათმობილ იქნეს კონტრაგენტის მიერ, არ შეიძლება დათმობილი თანხის~~

~~დღევანდელ ღირებულებაზე ნაკლები იყოს იხ. 68 ე პუნქტი).~~

~~(h) ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მომსახურების ფასები. მომსახურების ფასები შეიძლება შეფასდეს ბაზრის სხვა მონაწილეთა მიერ დადგენილი მიმდინარე კომპენსაციის შედარების გზით. თუ ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მომსახურების ფასები მნიშვნელოვანია და ბაზრის სხვა მონაწილეებს შესაძარისი დანახარჯები აქვთ, ემიტენტი მათ გაითვალისწინებს ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას. სავარაუდოა, რომ მომავალი კომპენსაციის მიღების საკონტრაქტო უფლებების ძალაში შესვლისას სამართლიანი ღირებულება უტოლდება მათზე გადახდილ შესყიდვის ფასებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომავალი კომპენსაცია და დაკავშირებული დანახარჯები არ შეესაბამება შესაძარის საბაზრო ფასებს. [ამოღებულია]~~

...

დასკვნის საფუძველი

...

სსბასს 46-ის, შეფასება, შედეგად სსბასს 41-ის გადასინჯვა

BC53. სსბასსს-მა სსბასს 46 2023 წლის მაისში გამოსცა. ეს სტანდარტი უზრუნველყოფს სახელმძღვანელო მითითებებს აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით შეფასებისთვის, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების შესაბამისია. ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებისას სამართლიანი ღირებულების გამოყენების სახელმძღვანელო მითითებები დაემატა გამოყენებაზე მითითებების სახით (იხ. პუნქტები AG143A-AG143AB).

...

ცვლილებები სსბასს 42, სოციალური დახმარებები

ცვლილებები შევიდა 12-ე და AG17 პუნქტებში. დაემატა პუნქტი 35B. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

ზოგადი მიდგომა

...

სოციალური დახმარების სქემის ვალდებულების შეფასება

ვალდებულების თავდაპირველი შეფასება

12. ერთეულმა სოციალური დახმარების სქემის ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ დანახარჯების (ანუ სოციალური დახმარებების გადახდა) საუკეთესო შეფასებით, რომელსაც ის მომავალში გასწევს ამ ვალდებულებით წარმოქმნილი ამჟამინდელი მოვალეობების შესასრულებლად. სსბასს 46-ში,

შეფასება მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები ვალდებულების შესრულების ღირებულებით შეფასებისთვის.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

35B. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით, შეფასება, ცვლილებები შევადგა მე-12 და AG17 პუნქტებში. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამყავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

მითითებები გამოყენებაზე

წინამდებარე დანართი სსბასს 42-ის შემადგენელი ნაწილია.

...

ზოგადი მიდგომა (იხ. პუნქტები 6–21)

...

სოციალური დახმარების სქემის ვალდებულების შეფასება

...

AG17. რადგან შეუძლებელია ვალდებულების იმ დრომდე განვრცობა, როდესაც მომდევნო გადახდის კრიტერიუმები დაკმაყოფილდება, სოციალურ დახმარებებთან დაკავშირებული ვალდებულებები, საზოგადოდ, მოკლევადიანი ვალდებულებებია. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე ერთეულმა შესაძლოა მიიღოს ინფორმაცია ბენეფიციარების მიერ სოციალური დახმარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შესახებ. სსბასს 14-ში, *ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები*, და სსბასს 46-ის დანართში „გ“ სახელმძღვანელო მითითებებია მოცემული ამ ინფორმაციის გამოყენების შესახებ.

...

დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი დაერთვის სსბასს 42-ს, მაგრამ არ არის მისი შემადგენელი ნაწილი.

...

სსბასს 46-ის, შეფასება, შედეგად სსბასს 42-ის გადასინჯვა

BC168. სსბასსს-მა სსბასს 46 2023 წლის მაისში გამოსცა. ეს სტანდარტი უზრუნველყოფს სახელმძღვანელო მითითებებს ვალდებულებების შესრულების ღირებულებით

შეფასებისთვის, რომელიც სოციალური დახმარების ვალდებულების ზოგადი მიდგომის ფარგლებში შეფასების შესაბამისია. აღნიშნული მითითებები მოიცავს მოთხოვნას, რომ შესრულების ღირებულების შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს რისკის კორექტირება. საზოგადოდ, მოსალოდნელი არ არის, რომ ეს გავლენას მოახდენს ზოგადი მიდგომის ფარგლებში ვალდებულების შესრულებაზე სოციალური დახმარების ვალდებულებების მოხლეკადიანობის გამო.

BC169. მართალია, მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულებების შესრულების ღირებულებით შეფასება უმეტეს შემთხვევებში შეიცვლება ზოგადი მიდგომის ფარგლებში, მაგრამ სსბასსს დათანხმდა მე-9 და მე-10 საილუსტრაციო მაგალითებში ცვლილებების შეტანაზე. რათა თავიდან იქნეს აცილებული იმ გადახდების განხორციელების შესახებ ინფორმაციის გამოყენებაზე მინიშნებები, რომლებიც საანგარიშგებო თარიღის შემდეგ განხორციელდა, რაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სსბასს 46-ში მოცემულ სახელმძღვანელო მითითებებს. სსბასსს-მა აღნიშნა, რომ არსებობის შესახებ სსბასსს-ის დებულებები ერთეულებს აძლევს საშუალებას, რომ გამოიყენონ ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განხორციელებული გადახდების შესახებ, თუ აღნიშნულის გავლენა არსებითად არ განსხვავდება საანგარიშგებო პერიოდის თარიღით გაკეთებული შეფასებებისგან.

...

საილუსტრაციო მაგალითები

წინამდებარე მაგალითები დაერთვის, მაგრამ არ არის სსბასს 42-ის შემადგენელი ნაწილი

...

ზოგადი მიდგომა: აღიარება და შეფასება

...

მე-9 მაგალითი

...

IE37. ამ მაგალითში გაკეთებულია დაშვება, რომ არ არის განსხვავება სახელმწიფოს ზრდილი ინფორმაცია აქვს იმ თარიღით, როდესაც ის პენსიებს იხდის მიერ ვალდებულების აღიარებისთვის გამოყენებულ შეფასებებსა და ფაქტობრივად გადახდილი პენსიის თანხებს შორის. შესაბამისად, წლის იანვარში გადახდილ თანხას (3,024,997 ფ.ე.) და 20X7 წლის 31 დეკემბერს (2,990,656 ფ.ე.) აღიარებულ ვალდებულებას შორის სხვაობა წარმოადგენს მათთვის გადახდილ პენსიას (34,341 ფ.ე.), ვინც საპენსიო ასაკს 20X8 წლის იანვარში მიაღწია.

IE38. 20X9 წლის 31 იანვარს 20X8 წლის 31 დეკემბერს, მთავრობა I იხდის პენსიებს ვალდებულებას აღიარებს პენსიებთან მიმართებით, რომელიც გადასახდელია მათთვის, ვინც ამ თარიღით დააკმაყოფილა შესაბამისი კრიტერიუმები. მთავრობის I შეფასებით 20X9 წლის 31 იანვარს ის პენსიებს გადაიხდის 3,053,576 ფ.ე.-ის ოდენობით. ამ გადახდასთან შეფასებასთან მიმართებით შემდეგი სამი ელემენტი არსებობს:

პენსიების სრულად გადახდა იმ პენსიონერებისათვის, ვინც კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა 20X8 წლის 31 დეკემბერს და 20X9 წლის 31 იანვარს		2,979,600
იმ პენსიონერებისთვის გადახდილი პროპორციული პენსიები, ვინც კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა 20X8 წლის 31 დეკემბერს და 20X9 წლის იანვარში გარდაიცვალა		36,420
იმ პენსიონერებისთვის გადახდილი პროპორციული პენსიები, ვინც საპენსიო ასაკს 20X9 წლის იანვარში მიაღწია		37,556
სულ		3,053,576
IE39. 20X8 წლის 31 დეკემბერს მთავრობა I აღიარებს პენსიის გადახდის ვალდებულებას მათთვის, ვინც შესაბამის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა ამ თარიღით. რადგან 20X8 წლის ფინანსური ანგარიშგება 20X9 წლის იანვარში პენსიების გადახდის შემდეგ გამოიცემა, მთავრობა I ამ დროისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას იყენებს თავისი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. [ამოღებულია]		
IE40. შესაბამისად, მთავრობა I ვალდებულებას აღიარებს 3,016,020 ფ.ე.-ის ოდენობით. აღნიშნული მოიცავს სრულ პენსიებს <u>რომელიც</u> გადაიხდება იმ პენსიონერების სასარგებლოდ, რომლებიც შესაბამის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ 20X8 წლის 31 დეკემბერს და <u>რომლებიც შეფასებულია, რომ</u> 20X9 წლის 31 იანვრამდე დააკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს (2,979,600 ფ.ე.) ასევე მოიცავს პროპორციულ პენსიებს, <u>რომელიც</u> გადაიხდება იმ პენსიონერების სასარგებლოდ, რომლებიც შესაბამის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ 31 დეკემბერს და <u>გარდაიცვალნენ სავარაუდოდ გარდაიცვლებიან</u> 20X9 წლის იანვარში (36,420 ფ.ე.). ეს ვალდებულება არ მოიცავს პროპორციულ პენსიებს, <u>რომელიც</u> გადაიხდება მათ სასარგებლოდ, ვინც მიაღწია <u>სავარაუდოდ მიაღწევს</u> საპენსიო ასაკს 20X9 წლის იანვრის განმავლობაში, რადგან 20X8 წლის 31 დეკემბერს ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ შესაბამის კრიტერიუმებს.		
IE41. 20X8 წლის განმავლობაში ხარჯის სახით აღიარდა 36,485,544 ფ.ე.. ეს თანხა შემდეგნაირად გადანაწილდა:		
		ფ.ე.
იმ პენსიონერებისთვის გადახდილი პროპორციული პენსიები, ვინც საპენსიო ასაკს 20X8 წლის იანვარში მიაღწია (აღიარდა 20X8 წლის იანვარში)		34,341
20X8 წლის თებერვალსა და 20X8 წლის დეკემბერში გადახდილი პენსიები, რომელიც 20X8 წლის 1 იანვრიდან 20X8 31 დეკემბრამდე ფინანსურ წელს აღიარდა		33,435,183
პენსიების სრულად გადახდა იმ პენსიონერებისათვის, ვინც კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა 20X8 წლის 31 დეკემბერს და <u>სავარაუდოდ დააკმაყოფილებენ</u> 20X9 წლის 31 იანვარს (აღიარდა 20X8 წლის დეკემბერში)		2,979,600
იმ პენსიონერებისთვის გადახდილი პროპორციული პენსიები, რომლებიც კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ 20X8 წლის 31 დეკემბერს და რომლებიც <u>სავარაუდოდ გარდაიცვლებიან</u> გარდაიცვალნენ 20X9 წლის იანვარში (აღიარდა 20X8 წლის დეკემბერში)		36,420
სულ		36,485,544

მე-10 მაგალითი

...

- IE46. ამ მაგალითში გაკეთებულია დაშვება, რომ განსხვავება არ არის მთავრობის J მიერ ვალდებულების აღიარებისთვის გაკეთებულ დაშვებებსა და ფაქტობრივად გადახდილ სრული ინფორმაცია აქვს იმ თარიღით, როდესაც ის იხდის უმუშევრობის შემწეობას შორის. შესაბამისად, 20X1 წლის 15 ივლისს გადახდილ თანხას (129,745 ფ.ე.) და 20X1 წლის 30 ივნისს აღიარებულ თანხას (125,067 ფ.ე.) შორის განსხვავება წარმოადგენს პროპორციულ უმუშევრობის შემწეობას, რომელიც გადახდილ იქნა მათ სასარგებლოდ, ვინც 20X1 წლის 1 ივლისსა და 20X1 წლის 15 ივლისს შორის პერიოდში დააკმაყოფილა შესაბამისი კრიტერიუმები (4,678 ფ.ე.).
- IE47. ~~20X2 წლის 15 ივლისს~~ 20X2 წლის 30 ივნისს სახელმწიფო J ~~იხდის~~ აღიარებს ვალდებულებას უმუშევრობის შემწეობისთვის, რომელიც გადასახდელია მათ სასარგებლოდ, ვინც ამ თარიღით აკმაყოფილებდა შესაბამის კრიტერიუმებს. სახელმწიფოს J შეფასებით 20X2 წლის 15 ივლისს ის გადაიხდის უმუშევრობის შემწეობას ჯამში 132,952 ფ.ე.-ის ოდენობით. ამ გადახდასთან შეფასებასთან მიმართებით შემდეგი სამი ელემენტი არსებობს::

ფ.ე.

უმუშევრობის შემწეობა, რომელიც გადასახდელია იმ უმუშევარი პირებისთვის, რომლებიც შესაბამის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ 20X2 წლის 15 ივნისს და შეფასებულია, რომ 20X2 წლის 15 ივლისისთვისაც დააკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმებს	113,120
პროპორციული უმუშევრობის შემწეობა, რომელიც გადასახდელია იმ უმუშევარი პირებისთვის, რომლებიც შესაბამის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ 20X2 წლის 15 ივნისს და რომლებიც, შეფასების მიხედვით, ამ კრიტერიუმებს ვეღარ დააკმაყოფილებენ 20X2 წლის 15 ივლისისთვის	9,975
პროპორციული უმუშევრობის შემწეობა, რომელიც გადასახდელია იმ უმუშევარი პირებისთვის, რომლებმაც შესაბამისი კრიტერიუმები დააკმაყოფილეს 20X2 წლის 15 ივნისსა და 20X2 წლის 30 ივნისს შორის პერიოდში	5,045

ფ.ე

პროპორციული უმუშევრობის შემწეობა, რომელიც გადასახდელი იქნება იმ უმუშევარი პირებისთვის, რომლებიც შესაბამის კრიტერიუმებს შეფასების მიხედვით კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ July 1, 20X2 წლის 1 ივლისსა და 20X2 წლის 15 ივლისს შორის დროის პერიოდში

4,812

სულ

132,952

IE48. ~~As at June 30, 20X2 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მთავრობა J ვალდებულებას აღიარებს მათთვის გადასახდელი უმუშევრობის შემწეობისთვის, ვინც ამ თარიღით დააკმაყოფილა შესაბამისი კრიტერიუმები. რადგან 20X1 წლის ივლისიდან 20X2 წლის ივნისამდე პერიოდის ფინანსური ანგარიშგება გამოიცემა 20X2 წლის ივლისში, როდესაც უკვე გადახდილია უმუშევრობის შემწეობა, მთავრობა J იყენებს ამ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. [ამოღებულია]~~

IE49. შესაბამისად, მთავრობა J ვალდებულებას აღიარებს 140 ფ.ე.-ის ოდენობით. აღნიშნული მოიცავს:

- (a) უმუშევრობის შემწეობას, რომელიც გადაიხდება იმ უმუშევარი პირების სასარგებლოდ, რომლებიც კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ 20X2 წლის 15 ივნისს და რომლებიც, შეფასებულია, რომ 20X2 წლის 15 ივლისსაც დააკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმებს (113,120 ფ.ე.);
- (b) პროპორციულ უმუშევრობის შემწეობას, რომელიც გადაიხდება იმ უმუშევარი პირების სასარგებლოდ, რომლებიც კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ 20X2 წლის 15 ივნისს და რომლებიც, შეფასების მიხედვით 20X2 წლის 15 ივლისს ვერ დააკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს (9,975 ფ.ე.); და
- (c) პროპორციულ უმუშევრობის შემწეობას, რომელიც გადაიხდება იმ უმუშევარი პირების სასარგებლოდ, რომლებმაც კრიტერიუმები დააკმაყოფილეს 20X2 წლის 15 ივნისსა და 20X2 წლის 30 ივნისს შორის პერიოდში (5,045 ფ.ე.).

IE50. ეს ვალდებულება არ მოიცავს პროპორციულ უმუშევრობის შემწეობას, რომელიც გადაიხდება მათ სასარგებლოდ, ვინც შეფასების მიხედვით 20X2 წლის 1 ივლისსა და 20X2 წლის 15 ივლისს შორის პერიოდში დააკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს, რადგან მათ 20X2 წლის 30 ივნისს ვერ დააკმაყოფილეს ეს კრიტერიუმები.

IE51. 20X1 ივლისიდან 20X2 წლის 30 ივნისამდე ფინანსური წლის განმავლობაში ხარჯის სახით აღიარებული მთლიანი თანხა შეადგენდა 1,714,949 ფ.ე.-ს. ეს თანხა შემდეგნაირადაა განაწილებული:

ფ.ე

პროპორციული უმუშევრობის შემწეობა, რომელიც 20X1 წლის ივლისში იქნა გადახდილი მათთვის, ვინც კრიტერიუმები დააკმაყოფილა 20X1 წლის 1 ივლისსა და 20X1 წლის 15 ივლისს შორის პერიოდში (აღიარდა 20X1 წლის ივლისში)

4,678

უმუშევრობის შემწეობა, რომელიც გადახდილ იქნა 20X1 წლის აგვისტოდან 20X2 ივნისამდე და აღიარდა 20X1 წლის 1 ივლისიდან 20X2 წლის 30 ივნისამდე პერიოდში	1,582,131
--	-----------

უმუშევრობის შემწეობა, რომელიც <u>შეფასების მიხედვით გადასახდელი იქნება</u> 20X2 წლის ივნისში იმ უმუშევარი პირებისთვის, რომლებიც შესაბამის კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ 20X2 წლის 15 ივნისს, როგორც პირებისთვის, რომლებიც <u>შეფასების მიხედვით</u> კვლავ დააკმაყოფილებენ კრიტერიუმებს, ისევე იმ პირებისთვის, რომლებიც <u>შეფასების მიხედვით</u> კრიტერიუმებს ვეღარ დააკმაყოფილებენ 20X2 წლის 15 ივლისისთვის; ასევე იმ უმუშევარი პირებისთვის, რომლებმაც კრიტერიუმები დააკმაყოფილეს 20X2 წლის 15 ივნისიდან 20X2 წლის 30 ივნისამდე პერიოდში (აღიარდა 20X2 წლის ივნისში)	128,140
--	---------

1,714,949

...

ცვლილებები სსბასს 43, იჯარა

ცვლილებები შევიდა პუნქტებში 35 და 113. დაემატა 103C პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია, ხოლო წაშლილი ტექსტი გადახაზულია.

...

მოიჯარე

...

შეფასება

...

შეფასების სხვა მოდელები

35. როდესაც მოიჯარე სამართლიან ღირებულებას იყენებს შეფასების საფუძვლად მიმდინარე ღირებულების მოდელში სსბასს 16-ის, საინვესტიციო ქონება, შესაბამისად, მოიჯარემ სამართლიანი ღირებულების ~~მოდელი~~ შეფასების საფუძველი უნდა გამოიყენოს ასევე აქტივის გამოყენების უფლებებისთვის, რომლებიც საინვესტიციო ქონების განმარტებას აკმაყოფილებენ სსბასს 16-ის შესაბამისად.

...

გადასვლა

...

მოიჯარეები

...

იჯარა, რომელიც ადრე კლასიფიცირებული იყო როგორც საოპერაციო იჯარა

...

113. მიუხედავად 112-ე პუნქტში მოცემული მოთხოვნებისა, იჯარისთვის, რომელიც სსბასს 13-ის შესაბამისად კლასიფიცირებული იყო როგორც საოპერაციო იჯარა, მოიჯარეს:

- (a) არ მოეთხოვება რაიმე კორექტირების გაკეთება გადასვლისას იმ იჯარებისთვის, რომელთა საიჯარო აქტივის ღირებულება მცირეა (როგორც ეს აღწერილია პუნქტებში AG4–AG9), აღირიცხება მე-7 პუნქტის გამოყენებით. მოიჯარემ ეს იჯარა ამ სტანდარტის გამოყენებით უნდა აღრიცხოს მისი თავდაპირველად მიღების თარიღიდან.
- (b) არ მოეთხოვება რაიმე კორექტირების გაკეთება გადასვლისას იმ იჯარებისთვის, რომლებიც საინვესტიციო ქონების სახით აღირიცხებოდა სამართლიანი ღირებულების შეფასების საფუძველით აღირიცხებოდა მიმდინარე ღირებულების მოდელის მეშვეობით, სსბასს 16-ის შესაბამისად. მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება, რომელიც ამ იჯარებიდან წარმოიქმნება, სსბასს 16-ისა და წინამდებარე სტანდარტის

გამოყენებით უნდა აღრიცხოს თავდაპირველი აღიარების თარიღიდან.

- (c) აქტივის გამოყენების უფლება სამართლიანი ღირებულებით უნდა აღრიცხოს თავდაპირველად გამოყენებისას იმ იჯარებისთვის, რომლებიც ადრე საოპერაციო იჯარის სახით აღირიცხებოდა სსბასს 13-ის გამოყენებით და რომელიც მომავალში უნდა აღირიცხოს საინვესტიციო ქონების სახით სამართლიანი ღირებულების შეფასების საფუძვლის მიმდინარე ღირებულების მოდელის გამოყენებით, სსბასს 16-ის შესაბამისად. მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება, რომელიც ამ იჯარებიდან წარმოიქმნება, სსბასს 16-ისა და წინამდებარე სტანდარტის გამოყენებით უნდა აღრიცხოს თავდაპირველი აღიარების თარიღიდან.

...

ძალაში შესვლის თარიღი და

გარდამავალი დებულებები

ძალაში შესვლის თარიღი

103C. 2023 წლის მაისში გამოცემული სსბასს 46-ით, შეფასება, ცვლილებები შევიდა 35-ე და 113-ე პუნქტებში. ერთეულმა ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. წახალისებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული ამ ცვლილებას იყენებს 2025 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟავნოს და იმავდროულად გამოიყენოს სსბასს 46.

...

დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი დაერთვის სსბასს 43-ს, მაგრამ არ არის მისი შემადგენელი ნაწილი.

...

სსბასს 46-ის, შეფასება, შედეგად სსბასს 43-ის გადასინჯვა

...

სსბასს 43, იჯარა

...

სამართლიანი ღირებულება

BC64. 75-ე განსახილველი დოკუმენტის (ED 75) შემუშავებისას სსბასსს-მა განიხილა შეენარჩუნებინა თუ არა სამართლიანი ღირებულების განმარტება ფასს 16-ისა და სსბასს 13-ის შესაბამისად, თუ აელო სამართლიანი ღირებულების განმარტება ~~ED 77-ის~~ სსბასს 46-ის, შეფასება, შესაბამისად.

BC65. სსბასსს-მა აღნიშნა, რომ ~~ED 77-ის~~ სსბასს 46-ის შესაბამისი განმარტების გამოყენებას შესაძლოა მნიშვნელოვნად შეეცვალა იჯარის კლასიფიკაცია და გაყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციებისთვის შემოსულობებისა და ზარალის აღიარების ვადები.

...

რეაგირება 75-ე განსახილველ დოკუმენტზე, იჯარა

BC67. მართალია, რესპონდენტების უმეტესობა დაეთანხმა 75-ე განსახილველ დოკუმენტში მოცემულ შემოთავაზებებს, მაგრამ ზოგიერთი რესპონდენტი არ დაეთანხმა ფასს 16-ში, იჯარა და სსბასს 13-ში, იჯარა, მოცემული სამართლიანი ღირებულების განმარტების შენარჩუნებას შემდეგი მიზეზების გამო:

- (a) შესაძლო გაურკვევლობა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებსა და ავტორებს შორის, რაც გამოწვეული იქნებოდა სსბასს-ის ლიტერატურაში სამართლიანი ღირებულების ორი განსხვავებული განმარტების არსებობით;
- (b) ყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციები (როდესაც სამართლიანი ღირებულების მოცემული განმარტება გამოიყენება) იშვიათად ხორციელდება სახელმწიფო სექტორში;
- (c) სსბასს-ის ლიტერატურაში ტერმინოლოგიის თანმიმდევრულად გამოყენებასთან დაკავშირებული სარგებელი; და
- (d) ქვეყნების უმეტესობა ჯერ კიდევ სსბასს-ის დანერგვის პროცესშია და შესაბამისად, 77-ე ~~განსახილველი დოკუმენტში~~ სსბასს 46-ში მოცემული სამართლიანი ღირებულების განმარტებაზე გადასვლა მათი სააღრიცხვო სისტემის მნიშვნელოვან ცვლილებას არ გამოიწვევდა.

...

დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი დაერთვის სსბასს 46-ს, მაგრამ არ არის მისი შემადგენელი ნაწილი.

შესავალი

შეფასების მიზანი საჯარო სექტორის ფინანსურ ანგარიშგებაში

BC1. საჯარო სექტორის ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების მიზანია იმ ინფორმაციის უზრუნველყოფა აქტივებსა და ვალდებულებებზე და დაკავშირებულ შემოსავლებსა და დანახარჯებზე, რომელიც მომხმარებლებს სჭირდებათ ანგარიშვალდებულებისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის. შეფასება, რომელიც სამართლიანად ასახავს მომსახურების დანახარჯებს, საჯარო სექტორის ერთეულის საოპერაციო შესაძლებლობას და ფინანსურ შესაძლებლობას, მომხმარებლებს ეხმარება ისეთი საკითხების შეფასებაში, როგორიცაა:

- (a) ერთეული მოსახლეობას მოემსახურა თუ არა ეფექტიანად და ეფექტურად;
- (b) მომავალი დანახარჯებისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი რესურსები და რამდენად ვრცელდება ამ რესურსებზე შეზღუდვები ან მათი გამოყენების პირობები;
- (c) რამდენად შეიცვალა მომავალი წლის იმ გადასახადის გადამხდელების ტვირთი, რომლებიც ამჟამინდელი მომსახურებისთვის ახორციელებენ გადახდებს; და
- (d) ერთეულის უნარი, უზრუნველყოს მომსახურება, გაუმჯობესდა თუ გაუარესდა გასულ წელთან შედარებით.

მომსახურების გაწევის მიზანი და სახელმწიფო სექტორის აქტივები და ვალდებულებები

BC2. სახელმწიფო სექტორში შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც საჯარო

ერთეულების უმეტესობის ძირითადი მიზანი, ისე ამ ერთეულების მიერ ფლობილი აქტივებისა და ვალდებულების სახეობა. საჯარო სექტორის ერთეულების უმეტესობის ძირითადი მიზანია მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევა და არა მოგების მიღება და კაპიტალზე უკუგების გენერირება ინვესტირებისთვის. საჯარო სექტორის ერთეულის მიერ ფლობილი აქტივებისა და ვალდებულებების სახეობა ასახავს ამ მიზანს. მაგალითად, საჯარო სექტორში ძირითადი საშუალებებისა და სხვა აქტივების ფლობის ძირითადი მიზანია მათი მომსახურების პოტენციალი და არა მათი ფულადი ნაკადების გენერირების უნარი. გაწეული მომსახურებების სახეობების გამო საჯარო სექტორის ერთეულების მიერ გამოყენებული აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი სპეციალიზებულია - მაგალითად, გზები და სამხედრო აქტივები. სპეციალიზებული აქტივებისთვის შეიძლება არსებობდეს შეზღუდული ბაზარი და ამ შემთხვევაშიც, შესაძლოა საჭირო იქნეს მნიშვნელოვანი ადაპტირება სხვა ოპერატორების მიერ გამოყენებისთვის. ეს ფაქტორები გავლენას ახდენენ მსგავსი აქტივების შეფასებაზე.

- BC3. საჯარო სექტორის აქტივების კიდევ ერთი გავრცელებული მახასიათებელია ის, რომ ისინი ფლობილია პოლიტიკის მიზნის მისაღწევად, როგორცაა მაგალითად მომსახურების გაწევა, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მაშინ, როდესაც შეფასების მიზანია ისეთი ღირებულების მიღება, რომელიც არსებულ გამოყენებას ასახავს.
- BC4. მთავრობები და საჯარო სექტორის სხვა ერთეულები შეიძლება ფლობდნენ ისეთ საგნებს, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყნის ან რეგიონის ისტორიულ და კულტურულ ხასიათს - მაგალითად, ხელოვნების საგანძური, ისტორიული შენობები და სხვა არტიფაქტები. ისინი შეიძლება პასუხისმგებელნი იყვნენ ასევე ეროვნულ პარკებსა და სხვა ტერიტორიებზე, რომელიც მნიშვნელოვანია ადგილობრივი ფლორით და ფაუნით. მსგავსი საგნები და ტერიტორიები, როგორც წესი, გასაყიდად არ არის ფლობილი, თუნდაც არსებობდეს ბაზრები. საპირისპიროდ, მთავრობებსა და საჯარო სექტორის ერთეულებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, რომ დაიცვან და შეინარჩუნონ ისინი ახლანდელი და შემდგომი თაობებისთვის.
- BC5. სახელმწიფოები და საჯარო სექტორის სხვა ერთეულები იღებენ თავიანთი მომსახურების მიზნებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. მრავალი ვალდებულება წარმოიქმნება არაგაცვლითი ოპერაციებიდან და მოიცავს ისეთ პროგრამებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომლებიც ფუნქციონირებენ სოციალური დახმარებების გაწევის მიზნით. ვალდებულებები შესაძლოა ასევე წარმოიქმნას სახელმწიფოს, როგორც ბოლო ინსტანციის გამსესხებლის როლთან დაკავშირებით და მოვალეობებიდან, რომლებიც დაკავშირებულია მათთვის რესურსების გადაცემასთან, რომლებზეც ზეგავლინა ჰქონდა ბუნებრივ კატასტროფებს. ამასთან, მრავალ მთავრობას აქვს მოვალეობები, რომლებიც წარმოიქმნება მონეტარული საქმიანობიდან, როგორიცაა მიმოქცევაში არსებული ვალუტა.

აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება საჯარო სექტორის ერთეულების ფინანსური ანგარიშგებისთვის

- BC6. საჯარო სექტორის ერთეულების საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების (კონცეპტუალური საფუძვლები) მე-7 თავი ეხება ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებას. მე-7 თავის შემუშავებისას სსსასს-მა გაითვალისწინა საჯარო სექტორის სპეციფიკური მახასიათებლები, მომხმარებელთა საჭიროებები, საჯარო სექტორის ერთეულების მიზნები, სხვადასხვა სახის აქტივები და ვალდებულებები და მომსახურების პოტენციალის მნიშვნელობა.

- BC7. როდესაც აქტივი ძირითადად მისი მომსახურების პოტენციალისთვის არის ფლობილი და არა მისი უნარისთვის, რომ წარმოქმნას მომავალი ეკონომიკური სარგებელი, მისმა შეფასებამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაცია ერთეულისთვის ამ აქტივის მომსახურების პოტენციალის ღირებულების შესახებ. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სსბასს-თვის, რადგან მან შეიმუშავა კონცეფცია საჯარო სექტორში შეფასებისთვის და გამოავლინა საჯარო სექტორში გამოყენებისთვის შესაფერისი შეფასების საფუძვლები.
- BC8. კონცეპტუალური საფუძვლების მე-7 თავის მიხედვით შეფასებისა და შეფასების საფუძვლის მიზანია საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგების საჭიროებების დაკმაყოფილება. ეს განსხვავდება კერძო სექტორისთვის, რომელიც ფუნქციონირებს მოგების მისაღებად და აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებისთვის მათი უნარის, წარმოქმნა მომავალი ეკონომიკური სარგებელი მომავალ ფულად ნაკადებზე აქცენტის გაკეთებით, კონტექსტში, ჩამოყალიბებული მიზნებისა და შეფასების საფუძვლებისგან.
- BC9. შეფასების მიზანია შეფასების ისეთი საფუძვლების შერჩევა, რომლებიც ყველაზე სამართლიანად ასახავენ მომსახურებების დანახარჯებს, ერთეულის საოპერაციო შესაძლებლობას და ფინანსურ შესაძლებლობას, ისე რომ ის სასარგებლო იყოს ერთეულის ანგარიშვალდებულების შენარჩუნებისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნებისთვის.

სსბასს 46-ს, შეფასება, და სხვა სსბასს-ებს შორის ურთიერთკავშირი

- BC10. ამ სტანდარტის შემშავებისას სსბასსს-მა განიხილა ყველა აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებასთან დაკავშირებული მოთხოვნის ერთ სსბასს-ში ასახვის შესაძლებლობა, „ერთი სარკმლის“ უზრუნველსაყოფად. თუმცა, სსბასსს-მა გადაწყვიტა, რომ:
- (a) სხვა სსბასსს-ში უნდა განისაზღვროს შეფასების რომელი საფუძველი იქნება გამოყენებული და მოცემულ აქტივებთან ან ვალდებულებებთან, რომელსაც ეს სტანდარტი ეხება, დაკავშირებული შეფასების სპეციფიკური მოთხოვნები, ასევე, გაუფასურებასთან, ცვეთასთან და ამორტიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.
 - (b) სსბასსს 46-ში მოცემული უნდა იყოს განმარტებები და ზოგადი მითითებები გამოყენებაზე კონცეპტუალურ საფუძვლებში გამოვლენილი შეფასების საფუძვლებისთვის. მაგალითად, სსბასსს 45-ით, *ძირითადი საშუალებები*, დაშვებულია ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულებით, მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით შეფასება. შეფასების ამ საფუძვლების გამოყენებასთან დაკავშირებული მითითებები მოცემულია აღნიშნულ სტანდარტში.

წინამდებარე სტანდარტის მიზანია სხვა სსბასსს-ებში მითითებული შეფასების საფუძვლების თანმიმდევრული გამოყენების მხარდაჭერა.

- BC11. სსბასსს-მა გადაწყვიტა დანართების შემუშავება შეფასების შემდეგი საფუძვლებისთვის: პირვანდელი ღირებულების საფუძველი, მიმდინარე საოპერაციო ღირებულების საფუძველი, შესრულების ღირებულების საფუძველი და სამართლიანი ღირებულების საფუძველი, რადგან შეფასების ამ ოთხ საფუძველთან არის დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებების უფრო მეტი საჭიროება.

მიზანი (1-ლი პუნქტი)

- BC12. სტანდარტის მიზანში ახსნილია, რომ ყურადღება გამახვილებულია შეფასების სათანადო

საფუძვლებზე და დაკავშირებულ საკითხებზე. მასში მოცემული არ არის მოთხოვნები, თუ შეფასების რომელი საფუძვლები უნდა იყოს გამოყენებული სსბასს-ში. სტანდარტში მითითებულია კონკრეტულ საფუძვლებში მოცემული შეფასების მიზანი, რადგან ის განაპირობებს შეფასების საფუძვლებთან და მათ შერჩევასთან მიმართებით მის მიდგომას.

შეფასების შესახებ სტანდარტის სტრუქტურა

- BC13. შეფასების პროექტის ერთი მიზანია დეტალური სახელმძღვანელო მითითებების უზრუნველყოფა გავრცელებული შეფასების საფუძვლების გამოყენებისთვის და იმ გარემოებებისთვის, როდესაც საჭიროა შეფასების ამ საფუძვლების გამოყენება.
- BC14. ამ მიზნის მისაღწევად სსბასსს დათანხმდა, რომ ძირითად ტექსტში განმარტებულ უნდა იქნეს ძირითადი ტერმინები და მოცემული უნდა იყოს ზოგადი პრინციპები შეფასების საფუძვლებისა და მეთოდებისთვის, ხოლო დანართებში უნდა აიხსნას პრინციპები შეფასების საფუძვლებისთვის და მოცემული უნდა იყოს მონახაზი, თუ როგორ გამოიყენება შეფასების მეთოდები შეფასების კონკრეტული საფუძვლის მეშვეობით აქტივის ან ვალდებულების ღირებულების შეფასებისას.
- BC15. სსბასსს-მა დაასკვნა, რომ ეს სტრუქტურა სათანადოა, რადგან:
- (a) ძირითადი ტექსტი განცალკევებულია. ძირითად ტექსტში შეფასების საფუძვლებისა და შეფასების მეთოდებისთვის პრინციპული დონის სახელმძღვანელო მითითებების ასახვა იძლევა მის ცალკე, დანართებისგან დამოუკიდებლად წაკითხვისა და გამოყენების საშუალებას.
 - (b) მინიმალური დუბლირება. მასალის სტრუქტურისა და დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა გახლდათ ძირითად ტექსტსა და დანართებს შორის და თვითონ დანართებში შეფასების მეთოდის სახელმძღვანელო მითითებების დუბლირების შემცირება. ეს გამოწვევა გახლდათ, რადგან შეფასების ზოგიერთი მეთოდის გამოყენება შეიძლება ერთზე მეტ შეფასების საფუძველთან. ამ სტანდარტის სტრუქტურა იძლევა შეფასების ძირითადი მეთოდებისა და პრინციპების ერთხელ ძირითად ტექსტში ასახვისა და შემდეგ ამ პრინციპების შეფასების თითოეულ საფუძველთან მიმართებით გამოყენების სათანადო დანართში ასახვის საშუალებას.

მოქმედების სფერო და განმარტებები (პუნქტები 2–6)

- BC16. სტანდარტის მოქმედების სფერო მოიცავს შეფასების საფუძვლების განმარტებებს და დაკავშირებული დანართები ვრცელდება, როდესაც სხვა სტანდარტით მოითხოვება შეფასება ერთ-ერთი კონკრეტული შეფასების საფუძვლის გამოყენებით. მოქმედების სფეროსთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას სსბასსს-მა განიხილა ამ სტანდარტში უნდა ასახულიყო თუ არა გასაყიდად გამიზნული აქტივების შეფასების სახელმძღვანელო მითითებები. სსბასსს-მა აღნიშნა, რომ გასაყიდად გამიზნული აქტივების შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები გაუფასურებული აქტივების შეფასებასთან დაკავშირებული საკითხების მსგავსია, რომელიც ამ პროექტის მოქმედების სფეროში არ შედის. ამგვარად, სსბასსს-მა გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო გასაყიდად გამიზნული აქტივების გამორიცხვა და ცალკე სსბასსს გამოსცა (სსბასსს 44, *გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები*).

თავდაპირველი შეფასება (პუნქტები 7–16)

- BC17. სსბასსს-მა განიხილა შემდგომი შეფასების საფუძვლების თავდაპირველი და შემდგომი შეფასებისთვის გამოყენების შესაძლებლობა. თუ სხვა სტანდარტით სხვაგვარად არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის, სსბასსს-მა დაასკვნა, რომ შემდგომი შეფასების საფუძვლებში გამოვლენილი შეფასების საფუძვლები ვრცელდება დასაშვები საწყისი ღირებულებით თავდაპირველი შეფასებაზე, როდესაც გარიგების ფასი სამართლიანად არ წარადგენს ერთეულის შესახებ შესაბამის ინფორმაციას, ისე რომ ის სასარგებლო იყოს ერთეულის ანგარიშვალდებულებისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნებისთვის.
- BC18. ოპერაციის დღეს აქტივი ან ვალდებულება თავდაპირველად მისი გარიგების ფასით შეფასდება, მიმატებული ან გამოკლებული გარიგების დანახარჯები, ან, როგორც ეს მითითებულია BC17 პუნქტში, დასაშვები საწყისი ღირებულებით. ეს მიდგომა გამოიყენება მიუხედავად იმისა შემდგომში მიმდინარე ღირებულების მოდელი გამოიყენება თუ პირვანდელი ღირებულების მოდელი ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად.
- BC19. გარიგების ფასი გამოიყენება როდესაც შესაბამისია, რადგან ორგანიზებულ ბაზარზე ოპერაციები მხარეებს შორის ნებაყოფილობით ხორციელდება და მიჩნეულია, რომ სამართლიანად ასახავენ ოპერაციის ეკონომიკას. ამგვარად, გარიგების ფასი სასარგებლოა გადაწყვეტილების მიღების მიზნებისთვის და ასევე ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გადაწყვეტილების მიმღებთა ანგარიშვალდებულება. როდესაც გარიგების ფასის გამოყენება შესაბამისი არ არის, დასაშვები საწყისი ღირებულება გამოითვლება მიმდინარე ღირებულების შეფასების საფუძვლის გამოყენებით, ოპერაციის განხორციელების დღეს აქტივის ან ვალდებულების მიახლოებითი ღირებულების მისაღებად.
- BC20. ოპერაციის განხორციელების დღეს შეფასების შემდეგ ერთეული ირჩევს სააღრიცხვო პოლიტიკას, როდესაც ნებადართულია, პირვანდელი ღირებულების მოდელი გამოიყენოს თუ მიმდინარე ღირებულების მოდელი იმისათვის, რომ ასახოს შესაფასებელი საგნის შეფასების მიზანი.

დასაშვები საწყისი ღირებულება

- BC21. საოპერაციო შესაძლებლობებისთვის ფლობილი აქტივების მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შემუშავების შემდეგ სსბასსს-მა გადაწყვიტა, რომ დასაშვები საწყისი ღირებულება არის თანხა, რომელიც გარიგების ფასის შემცვლელად გამოიყენება. სსბასსს-ში, *დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასსს-ები) პირველად შემოღება*, მოცემული დასაშვები საწყისი ღირებულების განმარტება ჩანაცვლდა, რათა ასახულიყო სსბასსსს-ის გადაწყვეტილება და ძირითადი საშუალებების ოპერაციების, როდესაც გარიგების ფასი სამართლიანად არ ასახავს მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით შესაფასებელ შესაბამის ინფორმაციას, თავდაპირველი შეფასების განხორციელება შესაძლებელი ყოფილიყო მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით, სამართლიან ღირებულებასთან ერთად.
- BC22. სსბასსსს-მა დაასკვნა, რომ მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით უზრუნველყოფილი ინფორმაცია სასარგებლოა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის ძირითადი საშუალებები, რომლებიც მათი საოპერაციო შესაძლებლობებისთვისაა ფლობილი, შემდგომი

შეფასებისთვის და რაც ასევე ეხება თავდაპირველ შეფასებას.

BC23. სსბასსს-მა დაასკვნა, რომ:

- (a) სამართლიანი ღირებულება სამართლიანად ასახავს ღირებულებას, რომელსაც საჯარო სექტორის ერთეული იღებს ოპერაციის შედეგად, როდესაც ძირითადი საშუალება ფლობილია მისი ფინანსური შესაძლებლობებისთვის; და
- (b) მიმდინარე საოპერაციო ღირებულება სამართლიანად ასახავს ძირითადი საშუალების ღირებულებას, როდესაც ოპერაცია ხორციელდება საოპერაციო შესაძლებლობებისთვის ფლობილი აქტივებისთვის.

ცვლილებები სხვა სსბასსს-ებში

BC24. ამ სტანდარტში შემუშავებული თავდაპირველი შეფასების სახელმძღვანელო მითითებები პრინციპებზეა დაფუძნებული და ფართოდ გამოყენებადია ყველა სსბასსს-თან მიმართებით. სსბასსსს დათანხმდა, რომ სსბასსს 46-ის შედეგად სხვა სსბასსს-ში ცვლილების შეტანისას მოცემულ ინდივიდუალურ სსბასსს-ში თავდაპირველი შეფასების მოთხოვნები არ ჩანაცვლდება სსბასსს 46-ში მოცემული თავდაპირველი შეფასების მოთხოვნებით. სსბასსსს-მა დაასკვნა, რომ კვლავ შესაბამისი იქნება თავდაპირველი შეფასების უფრო სპეციფიკური სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც სპეციფიკურ სსბასსსს-ებშია მოცემული და ამგვარად, საჭიროა მათი შენარჩუნება.

შემდგომი შეფასება (პუნქტები 17–53)

პირვანდელი ღირებულების მოდელის ან მიმდინარე ღირებულების მოდელის გამოყენება

BC25. სსბასსსს-თვის მისაღებია ის, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ალტერნატივების არსებობა ამცირებს საანგარიშგებო ერთეულებს შორის შესადარისობას. სსბასსსს-მა განიხილა არსებულ სსბასსსს-ში თავდაპირველი აღიარების შემდეგ შეფასების ალტერნატივები, ამ ალტერნატივების გაუქმების ან შემცირების მიზნით.

BC26. სსბასსსს-მა აღნიშნა, რომ კონცეპტუალური საფუძვლების მე-7 თავში მოცემულია შეფასების მიზანი (იხ. BC8 პუნქტი).

BC27. კონცეპტუალურ საფუძვლებში აღნიშნულია, რომ შეაუძლებელია შეფასების ერთადერთი მოდელის გამოვლენა, რომელიც საუკეთესოდ დააკმაყოფილებს შეფასების მიზანს და აღიარებულია როგორც პირვანდელი ღირებულების, ისე მიმდინარე ღირებულების შეფასების მოდელები.

BC28. სსბასსსს-მა დაასკვნა, რომ:

- (a) როდესაც სსბასსსს-ში არსებობს სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი - შეფასება პირვანდელი ღირებულების მოდელის ან მიმდინარე ღირებულების მოდელის გამოყენებით, ეს შეუსაბამო იქნება კონცეპტუალურ საფუძვლებთან, რათა აღმოიფხვრას შემდგომი შეფასებისთვის არსებული სააღრიცხვო პოლიტიკის ალტერნატივები; და
- (b) მსგავსი ნაბიჯი წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს მიღმა იქნა, რადგან ეს სტანდარტი უზრუნველყოფს შეფასების საფუძვლების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებსა და სახელმძღვანელო მითითებებს (ანუ, რას გულისხმობს თითოეული შეფასების საფუძველი და როგორ მიიღება შეფასების საფუძვლები) და არ

განსაზღვრავს, თუ როდის უნდა იქნეს ისინი გამოყენებული. ეს უკანასკნელი საკითხი ინდივიდუალური სტანდარტებით უნდა გადაწყდეს.

- BC29. კონცეპტუალური საფუძვლების დასკვნის საფუძველში მითითებულია, რომ კონცეპტუალური საფუძვლების განსახილველი დოკუმენტისა და შეფასების განსახილველი დოკუმენტის მრავალმა რესპონდენტმა მხარი დაუჭირა პირვანდელი ღირებულების საფუძვლის ფართოდ გამოყენების გავრცელების გაგრძელებას, ძირითადად შეფასების სხვა საფუძვლებთან კომბინაციაში. პირვანდელი ღირებულების მხარდაჭერებმა მიუთითეს ფინანსური ანგარიშგების ანგარიშვალდებულების მიზანი, პირვანდელი ღირებულების დასაბუთებულობა და მისი შესატყვისობა ბიუჯეტის შესახებ ანგარიშგების მიზნებისთვის, რადგან ბიუჯეტები მზადდებად პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.
- BC30. საპირისპიროდ, მიმდინარე ღირებულების მხარდამჭერებმა ეს შეხედულება დააკავშირეს როგორც გადაწყვეტილების მიღებასთან, ისე ანგარიშვალდებულებასთან და წარმოადგინეს არგუმენტი, რომ მომსახურების გაწევის დანახარჯები უნდა ასახავდნენ მომსახურების გაწევისას გამოყენებული აქტივების ღირებულებას იმ დროს, როდესაც განხორციელდა მათი მოხმარება, მათი გარიგების ფასის ნაცვლად.

შეფასების მოდელის განსაზღვრა

- BC31. განსახილველი დოკუმენტის ზოგიერთმა რესპონდენტმა წარმოადგინა რეკომენდაცია, რომ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემული ყოფილიყო ახსნა, თუ როგორ უნდა განისაზღვროს, თუ რომელია შეფასების სათანადო მოდელი. სსბასსს დათანხმდა, რომ განმარტებები გაამყარებენ სახელმძღვანელო მითითებების თანმიმდევრულ გამოყენებას და შეიმუშავა მითითებები დანერგვაზე სააღრიცხვო პოლიტიკის ალტერნატივებისთვის.
- BC32. სსბასსს-მა აღნიშნა, რომ ერთეულის აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად პირვანდელი ღირებულების მოდელის ან მიმდინარე ღირებულების მოდელის გამოყენება შესაძლოა განისაზღვროს ფაქტორებით, რომლებიც ერთეულის კონტროლს არ ექვემდებარება. ეს მაშინ ხდება, როდესაც პოლიტიკის ალტერნატივის არჩევა ხორციელდება:
- (a) მთავრობის ზედა დონეზე სექტორში ან იურისდიქციაში ყველა ერთეულისთვის; ან
 - (b) სექტორის ან იურისდიქციის შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოთი.
- როდესაც ანგარიშვალდებულ ერთეულს შეუძლია საკუთარი სააღრიცხვო პოლიტიკის ფარგლებში შეფასების მოდელის არჩევა, ერთეული ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელიც, მისი რწმენით, საუკეთესოდ აკმაყოფილებს მოცემულ ხარისხობრივ მახასიათებლებს.
- BC33. შეფასების სათანადო მოდელის არჩევისას ანგარიშვალდებულმა ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს სურს თუ არა მას, რომ მისი აქტივები ან ვალდებულებები ოპერაციის ღირებულებას ასახავდნენ თავდაპირველი აღიარების თარიღით ან იგივე ოპერაციის მიმდინარე ღირებულებას შეფასების თარიღით.

პირვანდელი ღირებულება (დანართი ა)

შეფასების მეთოდები

- BC34. სსბასსს დათანხმდა, რომ აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი შეფასება უნდა განხორციელდეს გარიგების დანახარჯებით დაკორექტირებული მისი გარიგების ფასით, ან

დასაშვები საწყისი ღირებულებით. პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად, შესაქმნელად ან განვითარებისთვის გადახდილი თანხა, დამატებული გარიგების დანახარჯები, ან ვალდებულების ასაღებად მიღებული თანხა, შემცირებული გარიგების დანახარჯებით, აქტივის შეძენის, შექმნის ან განვითარების ან ვალდებულების აღების დროისთვის.

BC35. რადგან შეფასების აღნიშნული საფუძვლები ვრცელდება მხოლოდ შემდგომ შეფასებაზე, შეფასების არცერთი მეთოდი ვრცელდება პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ამის მიზეზია ის, რომ თავდაპირველი შეფასება, პირვანდელი ღირებულების საფუძველზე შეფასებულ აქტივის ან ვალდებულების მთლიან საბალანსო ღირებულებაზე გავლენას არ ახდენს საბაზისო მიმდინარე საბაზრო პირობების ცვლილებები (ანუ, შეფასების არცერთი მეთოდი გამოიყენება).

პირვანდელი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულება

BC36. ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ასახავს დისკონტირების იმ განაკვეთით დისკონტირებულ მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებებს, რომელიც არ განახლდება თავდაპირველი აღიარების შემდეგ. გაცემული ან მიღებული სესხებისთვის, როდესაც პროცენტის თანხა რეგულარულად არის მისაღები ან გადასახდელი, სესხის ამორტიზებული ღირებულება, როგორც წესი, უახლოვდება თანხას, რომელიც თავდაპირველად იქნა გადახდილი ან მიღებული. ამგვარად, მიჩნეულია, რომ ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის პირვანდელი ღირებულების საფუძვლის ერთ-ერთი ფორმა.

მიმდინარე საოპერაციო ღირებულება (დანართი ბ)

BC37. 2019 წლის აპრილის შეფასების საკონსულტაციო დოკუმენტზე რეაგირებების უმეტესობა ეთანხმებოდა სსბასსს-ის წინასწარ შეხედულებას, რომ სამართლიანი ღირებულება შესაბამისია და გამოყენებადია საჯარო სექტორის გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად. რესპონდენტების წუხილი დაკავშირებული იყო ფაქტთან, რომ როდესაც საოპერაციო შესაძლებლობებისთვის არის ფლობილი, რაც ხშირად ხდება საჯარო სექტორში, რთული და შეუსაბამოა სამართლიანი ღირებულების გამოყენება, რადგან, როგორც წესი, შეუსაბამოა შემდეგი კონცეფციები:

(a) მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება; და

(b) ბაზრის მონაწილის მონაცემების მაქსიმიზაცია.

BC38. მართალია, რესპონდენტები შეთანხმდნენ, რომ სამართლიანი ღირებულების შემოთავაზებული განმარტება შესაბამისია გარკვეულ გარემოებებში, მათ ასევე აღნიშნეს, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის შესაბამისი იყოს მიმდინარე ღირებულების შეფასების საფუძვლის სახით უმეტეს შემთხვევებში. რესპონდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ საჭიროა საჯარო სექტორისთვის სპეციფიკური შეფასება.

BC39. სსბასსს დაეთანხმა რესპონდენტების მოსაზრებებს და შეიმუშავა საჯარო სექტორისთვის უნიკალური მიმდინარე ღირებულებით შეფასების საფუძველი. ვინაიდან სამართლიანი ღირებულება გამოიყენება ფინანსური შესაძლებლობებისთვის ფლობის შემთხვევაში, ეს

საფუძველი შეიქმნა კონკრეტულად იმ აქტივებისთვის, რომლებიც თავიანთი საოპერაციო შესაძლებლობებისთვისაა ფლობილი.

- BC40. როდესაც საჯარო სექტორში აქტივები მათი საოპერაციო შესაძლებლობებისთვისაა ფლობილი, ისინი ფლობილია პოლიტიკის მიზნის მისაღწევად. პოლიტიკის მიზნის მისაღწევად აქტივის ფლობა ხშირ შემთხვევაში განაპირობებს აქტივის ფლობას იმ ფორმისგან განსხვავებული ფორმით, რომელიც აკმაყოფილებს მის მაქსიმალურ და საუკეთესო ფინანსურ გამოყენებას. მაგალითად, ერთეულს შესაძლოა ჰქონდეს პოლიტიკის მიზანი, რომ სამედიცინო მომსახურება უზრუნველყოს ქალაქის ცენტრში მცხოვრები მოქალაქეებისთვის. შენობის, რომელსაც ეს ერთეული ფლობს საავადმყოფოს სახით ოპერირება შესაძლოა არ წარმოადგენდეს ამ ერთეულის საუკეთესო ფინანსურ ინტერესს, მაგრამ ის აკმაყოფილებს პოლიტიკის მიზანს.
- BC41. სსბასსს დათანხმდა, რომ როდესაც აქტივი მისი საოპერაციო შესაძლებლობებისთვის არის ფლობილი, ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებისთვის ყველაზე შესაბამისი ინფორმაციაა ამ აქტივის მიმდინარე ღირებულება მისი ამჟამინდელი გამოყენების პირობებში. ეს მომხმარებლებს უზრუნველყოფს საჯარო სექტორში სასარგებლო ინფორმაციით:
- (a) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში ის ასახავს თანხას, რომელსაც ერთეული შეფასების თარიღით გადაიხდიდა თავისი არსებული აქტივების დარჩენილი მომსახურების პოტენციალისთვის.
 - (b) ფინანსური შედეგების ანგარიშებაში აქტივების მოხმარება, ცვეთის სახით, ასახავს დანახარჯს, რომელსაც ერთეული მოცემულ პერიოდში გასწევდა მომსახურების გასაწევად, აქტივის შეფასებისას გავრცელებული ფასებით. ეს განსხვავდება პირვანდელი ღირებულების საფუძვლისგან, რომელიც აქტივის მოხმარებას ასახავს ფასებით, რომლებიც გავრცელებული იყო აქტივის შეძენის, შექმნის ან განვითარების დროს.

საჯარო სექტორისთვის სპეციფიკური შეფასების საფუძვლის შემუშავება

- BC42. 2019 წლის აპრილის შეფასების საკონსულტაციო დოკუმენტთან დაკავშირებით მიღებულ კომენტარებზე რეაგირებისთვის სსბასსს-მა შეიმუშავა შეფასების ახალი საფუძველი, რომელიც პასუხობს საჯარო სექტორის აქტივების უმეტესობის შეფასებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. კონკრეტულად, შეფასების საფუძველში გათვალისწინებულია თუ როგორ აისახოს ფინანსურ ანგარიშებაში საოპერაციო შესაძლებლობისთვის ფლობილი აქტივები იმისათვის, რომ ამ ანგარიშების მომხმარებლები უზრუნველყოფილნი იყვნენ შესაბამისი და სასარგებლო ინფორმაციით.
- BC43. შეფასების განსახილველ დოკუმენტში, რომელიც 2021 წლის აპრილში გამოიცა, მიმდინარე საოპერაციო ღირებულება განმარტებულია, როგორც აქტივის ღირებულება, რომელიც გამოიყენება ერთეულის მომსახურების მიწოდების მიზნების მისაღწევად შეფასების თარიღით. აღნიშნულ განსახილველ დოკუმენტში განმარტება ახსნილია საჯარო სექტორის შეფასების საფუძვლისთვის შესაბამისი რამდენიმე ძირითადი პრინციპის შემოთავაზებით. ეს პრინციპები მოიცავდა შემდეგს:
- (a) მოკლევადიანი აქტივი;
 - (b) აქტივის ამჟამინდელი გამოყენება;
 - (c) აქტივის ამჟამინდელი მდებარეობა;

- (d) აქტივის მომსახურების მიზანი;
- (e) შესვლის ფასი;
- (f) უმცირესი დანახარჯები;
- (g) არსებული საბაზრო პირობები;
- (h) ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენება; და
- (i) ერთეულისთვის სპეციფიკური შეფასება.

BC44. ეს განსახილველი დოკუმენტი მოიცავდა სსბასსს-ის ორი წევრის მიერ შემოთავაზებულ ალტერნატიულ მოსაზრებას. ალტერნატიული მოსაზრება განსახილველ დოკუმენტში შემოთავაზებულ წინადადებას არ ეთანხმებოდა შემდეგი მიზეზების გამო:

- (a) შემოსავლების მიდგომა შეუსაბამოა, როგორც შეფასების მეთოდი მიმდინარე საოპერაციო ღირებულებისთვის;
- (b) ნამეტი შესაძლებლობების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობა;
- (c) მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შემოთავაზებული განმარტებით შესაძლოა ნებადართული იქნეს შესვლის ან გასვლის ღირებულებების გამოყენება; და
- (d) გაურკვევლობა მიმდინარე საოპერაციო ღირებულების რისკების შემოთავაზებულ განმარტებაში - ვერ მიიღწევა ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები.

BC45. განსახილველ დოკუმენტზე რეაგირებისას დაინტერესებულმა მხარეებმა ნათლად გამოხატეს თავიანთი პოზიცია, რომ საჭირო იყო საჯარო სექტორის შეფასების საფუძველი. მათ მტკიცედ დაუჭირეს მხარი სამართლიანი ღირებულების ჩართვას, ფასს 13-ის შესაბამისად, მაგრამ გამოეხმაურნენ აღნიშნულ საკონსულტაციო დოკუმენტს, რომ სამართლიანი ღირებულება ვერ უზრუნველყოფს ფინანსური მომსახურების მომხმარებლებს შესაბამისი და სასარგებლო ინფორმაციით იმ აქტივებისთვის, რომლებიც მათი მომსახურების პოტენციალისთვისაა ფლობილი. მართალია, მიმდინარე საოპერაციო ღირებულებას ჰქონდა მხარდაჭერა, მაგრამ რესპონდენტებმა მიანიშნეს, რომ აუცილებელია პრაქტიკაში მისი გამოყენების დამატებითი ახსნა.

BC46. დაინტერესებულ მხარეთა კომენტარებზე რეაგირებისთვის სსბასსს-მა მიმდინარე საოპერაციო ღირებულების განმარტება შემდეგნაირად განაახლა:

- (a) ამოიღო შემოსავლების მიდგომა, როგორც შეფასების განცალკევებული მეთოდი მიმდინარე საოპერაციო ღირებულებისთვის. სსბასსს დათანხმდა, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადები, იქნება ეს ფულადი ნაკადების შემოსვლა თუ გასვლა, შესაბამისი იყოს იმ თანხის განსაზღვრისთვის, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალისთვის.
- (b) განმარტა, გამოუყენებელი პოტენციალი როდის შევა მიმდინარე საოპერაციო ღირებულებაში, გადაწყვეტილების ხისა და მაგალითების წარმოდგენით.
- (c) მიმდინარე საოპერაციო ღირებულება გადასინჯა იმ თანხამდე, რომელსაც ერთეული შეფასების თარიღით გადაიხდიდა აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალისთვის. ამის შედეგად ნათლად წარმოჩინდა, რომ მიმდინარე საოპერაციო ღირებულება არის

შესვლის ფასი და შეფასების ამ საფუძვლის გამომყენებლობისთვის უფრო ცხადი გახდა მისი არსი.

BC47. დაბოლოს, ამ სტანდარტისთვის მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შემუშავებისთვის სსბასსს-მა ხელახლა განიხილა აღნიშნულ განსახილველ დოკუმენტში მოცემული თითოეული პრინციპი. სსბასსს-მა კვლავ დაადასტურა, რომ თითოეული პრინციპი საჭირო იყო საოპერაციო შესაძლებლობებისთვის ფლობილი აქტივების შესახებ შესაბამისი და სასარგებლო ინფორმაციის წარსადგენად. ამასთან, სსბასსს-მა განმარტა თითოეული პრინციპი, მათი უკეთესად აღქმისთვის და პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობისთვის. მიმდინარე საოპერაციო ღირებულებას შემდეგი პრინციპები შეესაბამება:

- (a) არსებული აქტივი;
- (b) არსებული გამოყენება;
- (c) არსებული მდებარეობა;
- (d) მომსახურების დარჩენილი პოტენციალი;
- (e) შესვლის ფასი;
- (f) უმცირესი დანახარჯები;
- (g) არსებული საბაზრო პირობები;
- (h) ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენება; და
- (i) ერთეულისთვის სპეციფიკური შეფასება.

მიმდინარე საოპერაციო ღირებულება – თანხა, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა

BC48. როდესაც საჯარო სექტორში აქტივები მათი საოპერაციო შესაძლებლობებისთვისაა ფლობილი, ისინი ფლობილია პოლიტიკის მიზნის მისაღწევად. აქტივის საოპერაციო შესაძლებლობის ღირებულების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია თანხა, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა ამ აქტივის მომსახურების დარჩენილი პოტენციალისთვის თავისი პოლიტიკის მიზნის მისაღწევად. სსბასსს-მა გადაწყვიტა, რომ მიმდინარე საოპერაციო ღირებულება უნდა ასახავდეს ამ კონცეფციას იმ თანხის შეფასებით, რომელიც გადაიხდებოდა აქტივის მომსახურების დარჩენილი პოტენციალისთვის (ანუ შესვლის ფასი) და არა გასვლის ფასის (ანუ თანხა, რომელიც მიიღებოდა ამ აქტივის გაყიდვიდან) გამოყენებით, რომელიც სულაც არ ასახავს თანხას, რომელიც გადაიხდებოდა აქტივის მომსახურების დარჩენილი პოტენციალისთვის.

BC49. იმისათვის, რომ შეფასდეს თანხა, რომელიც გადაიხდებოდა აქტივის მომსახურების დარჩენილი პოტენციალისთვის (ანუ შესვლის ფასი), საჭიროა, რომ ერთეულმა განსაზღვროს ფასი, რომელიც გადაიხდებოდა ამ აქტივის გაცვლის ოპერაციით შესაძენად. სსბასსს-მა გადაწყვიტა, რომ იმ ფასის შეფასება, რომელიც გადაიხდებოდა აქტივის შესაძენად გაცვლით ოპერაციაში, კვლავ შესაბამისია, იმ გარემოებებშიც კი, როდესაც შესაფასებელი აქტივი შეძენილია არაგაცვლითი ოპერაციის განხორციელებით. იმისათვის, რომ შეფასებამ უზრუნველყოს შესაბამისი და საიმედო ინფორმაცია, ის უნდა ეფუძნებოდეს დაშვებებს, რომლებიც ამ ინფორმაციის მომხმარებლის მიერ გადამოწმებას და დუბლირებას ექვემდებარება. დაშვება, რომ აქტივი შეძენილი, შექმნილი ან განვითარებულ იქნა გაცვლითი ოპერაციის მეშვეობით, ერთეულს აძლევს საშუალებას, რომ წარადგინოს სასარგებლო ინფორმაცია, რაც მომხმარებელს იმ თანხაზე დაკვირვების საშუალებას მისცემს, რომელსაც ერთეული გადაიხდის აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალისთვის.

მიმდინარე საოპერაციო ღირებულება – არსებული აქტივი

- BC50. წინამდებარე სტანდარტის შემუშავებისას სსბასსს-მა განიხილა საჯარო სექტორის აქტივების ღირებულების ასახვის ალტერნატიული მიდგომები. განსახილველ დოკუმენტზე ზოგიერთი რეაგირების საფუძველზე სსბასსს-მა განიხილა, საოპერაციო შესაძლებლობებისთვის - ანუ, საზოგადოებისთვის მომსახურების უშუალოდ გაწევა და/ან სარგებლის მოტანა ფართო თემისთვის - ფლობილი აქტივის შესახებ სასარგებლო და შესაბამის ინფორმაციას აქტივის მომსახურების ღირებულების საფუძველზე შეფასება უზრუნველყოფს თუ იმ სარგებლის საფუძველზე შეფასება, რომელსაც წარმოქმნის ეს აქტივი.
- BC51. სსბასსს-მა უარყო საჯარო სექტორის აქტივების შეფასება ამ აქტივების მიერ უზრუნველყოფილი მომსახურების ან სარგებლის ღირებულების საფუძველზე, რადგან:
- (a) ეს არ შეესაბამება ყველა დანარჩენი არაფინანსური აქტივების შეფასებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში;
 - (b) სსბასსს დათანხმდა, რომ საჯარო სექტორის შეფასების საფუძველი, რომლითაც ფასდება აქტივი საზოგადოებისთვის გაწეული მომსახურების შეფასებით, ან ფართო თემისთვის სარგებლის შეფასებით, განაპირობებდა აქტივის აღიარების კრიტერიუმების ვერ დაკმაყოფილებას, რადგან პრაქტიკაში არ არსებობს კარგად ჩამოყალიბებული მეთოდი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული ღირებულების სათანადოდ და საიმედოდ მიღება.
- BC52. სსბასსს დათანხმდა, რომ საჯარო სექტორის შეფასების სფუძველი ემყარება აქტივის შემადგენელი ფიზიკური ელემენტების ღირებულებას. მაგალითად, საჯარო სექტორის ერთეული უზრუნველყოფს მომსახურებას სამგზავრო ავტომობილებისთვის, რათა ისინი წყალზე გადავიდნენ. ამჟამად ამ მომსახურების გაწევა ხორციელდება გვირაბის მეშვეობით. მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით ფასდება თანხა, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა ამ აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალისთვის. ამ მაგალითში, გვირაბისთვის. მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით არ ხდება მომსახურების ღირებულების შეფასება და შესაბამისად, იმ ალტერნატიული აქტივების (როგორცაა ხიდი ან საბორნო მომსახურება) ღირებულების შეფასება, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია იგივე მომსახურების გაწევა.

მიმდინარე საოპერაციო ღირებულება – არსებული გამოყენება

- BC53. ესა თუ ის აქტივი ერთეულს ეხმარება თავისი პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში მისი არსებული გამოყენების პირობებში. არსებული გამოყენება არის ის, თუ როგორ გამოიყენება აქტივი ან აქტივთა ჯგუფი ამჟამად. აქტივის არსებული გამოყენების შეფასებისას არ გაითვალისწინება სავარაუდო ალტერნატიული გამოყენებები და აქტივის ნებისმიერი სხვა მახასიათებელი, რომელსაც შეუძლია მისი საბაზრო ღირებულების მაქსიმიზაცია. ეს მიდგომა ასახავს ერთეულის ეკონომიკურ პოზიციას და არა ჰიპოთეტურ ბაზარზე გავრცელებულ პოზიციას.
- BC54. სსბასსს დათანხმდა, რომ არსებული გამოყენების კონცეფცია მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ქვაკუთხედი. სსბასსს დაეთანხმა განსახილველ დოკუმენტზე რეაგირებებს, რომ სამართლიანი ღირებულება არ წარმოადგენს შესაბამის შეფასების ინფორმაციას მომსახურების შესაძლებლობებისთვის ფლობილი აქტივებისთვის, რადგან სამართლიანი

ღირებულებით მოითხოვება აქტივების შეფასება მათი „მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენების პირობებში“. საჯარო სექტორის შეფასების საფუძვლით აქტივები უნდა შეფასდეს ისე, როგორც ისინი ამჟამად გამოიყენება ერთეულის პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. ეს შეფასება ერთეულის ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებს უზრუნველყოფს ინფორმაციით ერთეულისთვის ამ აქტივის ღირებულების შესახებ მისი ამჟამინდელი გამოყენების პირობებში.

მიმდინარე საოპერაციო ღირებულება – აქტივის არსებული ადგილმდებარეობა

BC55. სსბასსს-მა აღნიშნა, რომ დანახარჯების მიდგომის ფარგლებში შეფასების განხორციელებისას შეფასების პროფესიონალები გაითვალისწინებენ იმ ადგილის ღირებულებას, რომელიც შესაფერისია თანამედროვე ეკვივალენტური აქტივით მომსახურების გაწევის მიზნებისთვის. ეს შესაძლოა იყოს ფაქტობრივი ადგილის სიდიდით ან ადგილმდებარეობით მსგავსი ადგილი. როდესაც ფაქტობრივი ადგილმდებარეობა სათანადოდ აღარ მიიჩნევა იმის გამო, რომ, მაგალითად, მომსახურების უფრო ეფექტიანად ან ეფექტურად გაწევა შეიძლება სხვა ადგილიდან, მიწის შეფასების საფუძვლად გამოიყენება სათანადო ადგილმდებარეობის მქონე ჰიპოთეტური ადგილი, რაც განხილულ და შეთანხმებულ უნდა იქნეს ერთეულთან.

BC56. მიუხედავად ამისა, სსბასსს დათანხმდა, რომ ალტერნატიულ ადგილზე დაფუძნებული შეფასება მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასების მიზანს ვერ მიაღწევდა, რადგან ის ვერ უზრუნველყოფდა არსებული აქტივის ღირებულებას მის არსებული გამოყენების პირობებში. ამის მიზეზია ის, რომ მომსახურების სხვა ადგილმდებარეობიდან გაწევა ნაკლებად სავარაუდოა, რომ საზოგადოების ინტერესს წარმოადგენდეს იმის გათვალისწინებით, რომ ადგილი, სადაც აქტივია განთავსებული, შერჩეულ იქნა მომსახურების გაწევის საჭიროებებისთვის. აქტივის სხვა ადგილზე გადანაცვლება განცალკევებული, მომავალი პოლიტიკის გადაწყვეტილებაა, რომელიც არ უნდა იქნეს გათვალისწინებული აქტივის შეფასებისას. მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებები უნდა ეფუძნებოდეს ერთეულის საქონლის და/ან მომსახურებების მისი არსებული ადგილმდებარეობიდან მიწოდებას.

BC57. სსბასსს-მა აღნიშნა, რომ საოპერაციო შესაძლებლობებისთვის ფლობილი მიწის ნაკვეთის მის არსებულ ადგილზე, სრული შესაძლებლობისა და ფაქტობრივი ზომის გათვალისწინებით შეფასების შედეგად შესაძლოა მივიღოთ შეფასება, რომელიც ბაზრის მონაწილის შეფასების ან სამართლიანი ღირებულების მსგავსია.

მიმდინარე საოპერაციო ღირებულება – შეფასების მეთოდები

BC58. მიმდინარე საოპერაციო ღირებულების გამოყენების მხარდასაჭერად სსბასსს დათანხმდა, რომ საბაზრო მიდგომა და დანახარჯების მიდგომა ასახავენ შეფასების საფუძვლის მახასიათებლებს და შესაძლებელია მათი გამოყენება აქტივის ღირებულების შესაფასებლად, როდესაც მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით არის შეფასებული. შეფასების მეთოდის შესარჩევად არ შექმნილა იერარქია. სსბასსს დათანხმდა, რომ შეფასების იმ მეთოდის შერჩევა, რომელიც მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ფარგლებში აქტივის ღირებულებასთან მიახლოებულია, განსჯას უნდა ემყარებოდეს. სსბასსს-ს სჯერა, რომ უმეტეს შემთხვევებში აღნიშნული შერჩევა მარტივი იქნება, რადგან შეფასების მეთოდი, როგორც წესი, შეირჩევა იმ ერთეულისთვის ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე, რომელიც აქტივის შეფასებას

ახორციელებს.

- BC59. მაგალითად, შესაძლოა გარკვეული სახის აქტივებისთვის არსებობდეს იდენტური აქტივების აქტიური ბაზარი. ასეთ შემთხვევაში სავარაუდოა, რომ საბაზრო მიდგომით ადვილად განხორციელდება შეფასება. რაც უფრო მეტად სპეციალიზებულია აქტივი, მით უფრო მცირდება აქტიური ბაზრის არსებობის შესაძლებლობა. ასეთ გარემოებებში შესაბამისია დანახარჯების მიდგომის გამოყენება.
- BC60. სსბასსს დათანხმდა, რომ შემოსავლების მიდგომა შესაფერისი შეფასების მეთოდი არ არის იმ აქტივის ღირებულების შეფასებისთვის, რომელიც მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით არის შეფასებული. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო სექტორი ხშირ შემთხვევაში წარმოქმნის მცირე ოდენობით ფულად ნაკადებს ან საერთოდ არ წარმოქმნის მას, და საზოგადოდ, ფულადი ნაკადები საკმარისი არ არის საოპერაციო ხარჯების დასაფარად, სსბასსს-მა დაასკვნა, რომ არაპრაქტიკული იქნება მომავალი შემოსავლის ნაკადების დისკონტირება. უფრო მეტიც, მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ხასიათის გათვალისწინებით, შემოსავლების მიდგომა არ იქნება გამოყენებული შეფასების სხვა მეთოდთან ერთად, რადგან მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება აუცილებელი არ არის იმის გათვალისწინებით, რომ საბაზრო მიდგომა გულისხმობს, რომ აქტივის ფასები ხელმისაწვდომია შეფასების თარიღით, ხოლო დანახარჯების მიდგომა გულისხმობს, რომ აქტივის წარმოება ან განვითარება მყისიერად ხდება.

მიმდინარე საოპერაციო ღირებულების გამოყენება სსბასსს-ებში

- BC61. განხორციელდა არსებული სსბასსს-ების მიმოხილვა, რათა განსაზღვრულიყო საჯარო სექტორის სპეციფიკური შეფასების საფუძველი, მიმდინარე საოპერაციო ღირებულება, უნდა დამატოს თუ არა არსებულ შეფასების საფუძველებს თითოეულ სსბასსს-ში.
- BC62. სსბასსსს დათანხმდა, რომ მიმდინარე საოპერაციო ღირებულება ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რათა ძირითადი საშუალებების ღირებულება შეფასდეს სსბასსს 45-ის მოქმედების სფეროს ფარგლებში. სსბასსსს-მა პირვანდელ ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას დაუმატა მიმდინარე საოპერაციო ღირებულება, როგორც ძირითადი საშუალებების შეფასების საფუძველი, რადგანი მრავალი ძირითადი საშუალება საჯარო სექტორში ფლობილია მათი მომსახურების შესაძლებლობებისთვის, რომელიც შესაძლოა ზუსტად არ აისახოს სამართლიანი ღირებულების გამოყენებისას.
- BC63. სსბასსსს-მა თავის ლიტერატურაში გამოავლინა სხვა შემთხვევები, როდესაც შესაძლოა შესაბამისი იყოს მიმდინარე საოპერაციო ღირებულების გამოყენება. თუმცა, სსბასსსს დათანხმდა, რომ უმჯობესია შეფასების საფუძველების ნებისმიერი დამატებითი ცვლილების იმ პროექტების მეშვეობით შეტანა, რომლებიც კონკრეტული სსბასსსს-ისთვის სპეციფიკურია, რათა დაინტერესებულ მხარეებს მიეცეთ შეთავაზებული წინადადების ზეგავლენაზე აქცენტის გაკეთების შესაძლებლობა. ამ სტანდარტის გამოცემისას სსბასსსსს-მა არ წარმოადგინა მიმდინარე საოპერაციო ღირებულების სხვა სტანდარტისთვის დამატების წინადადება.

შესრულების ღირებულება (დანართი გ)

- BC64. შესრულების ღირებულების ჩამოყალიბებისას სსბასსსსს-მა განიხილა შესრულების ღირებულებასთან მიმართებით ბასსსსს-ის მიერ გამოყენებული კონცეფციები. შეფასების ორივე

საფუძველს აქვთ მრავალი საზიარო მახასიათებელი. თუმცა, ამ საფუძველებს შორის ერთი ძირითადი განმასხვავებელია ის, რომ შესრულების ღირებულებით მოითხოვება რისკის პრემიის ასახვა ვალდებულების შეფასებისას. რისკის პრემია, რომელსაც ასევე უწოდებენ რისკის კორექტირებას ან რისკის მარჟას, არის ფულდი ნაკადებისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობისთვის გადასახდელი ფასი.

BC65. 2019 წლის აპრილში თავის შეფასების საკონსულტაციო დოკუმენტში სსბასსს-მა შემოგვთავაზა მოთხოვნა, რომ შესრულების ღირებულების შეფასების საფუძველით ვალდებულების შეფასებისას ასახულიყო რისკის პრემია. რესპონდენტებმა კითხვები დასვეს დასაბუთებასთან დაკავშირებით და ექვევემ დააყენეს საჯარო სექტორში რისკის პრემიის საჭიროება. რესპონდენტებმა:

- (a) ექვევემ დააყენეს, უზრუნველყოფს თუ არა რისკის პრემია სამართლიანად წარდგენას და შესაბამის ინფორმაციას მომხმარებლებისთვის მომავალში დასაფარი ვალდებულებების ოდენობასთან დაკავშირებით;
- (b) აღნიშნეს, რომ ის არ ასახავს ვალდებულების უმცირესი დანახარჯებით შესრულებას; და
- (c) გამოთქვეს მოსაზრება, რომ რისკის პრემია იწვევს შეფასების მიკერძოებას იმის გამო, რომ ერთეული ინდიფერენტულად აღიქვამს ცვალებად და ფიქსირებულ ფულად ნაკადებს.

BC66. სსბასსს დათანხმდა, რომ დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული წუხილი ვრცელდება გარკვეულ გარემოებებში და ასევე დათანხმდა, რომ იმის შეფასება, რისკის პრემია უნდა აისახოს თუ არა ვალდებულების შეფასებაში, ექვემდებარება სპეციფიკურ სახელმძღვანელო მითითებებს, რომელიც ცალკეულ სტანდარტებში უნდა იქნეს მოცემული.

სამართლიანი ღირებულება (დანართი დ)

BC67. ამ სტანდარტის შემუშავებისას სსბასსს-მა განიხილა სამართლიანი ღირებულების შეფასების საფუძველი შესაბამისია თუ არა საჯარო სექტორის ერთეულების მიერ ფლობილი აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებისთვის. სსბასსს-მა დაასკვნა, რომ:

- (a) არსებობს საჯარო სექტორის მიერ ფლობილი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით უნდა შეფასდეს; და
- (b) ტერმინს „სამართლიანი ღირებულება“ იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რომელიც დადგენილია ფასს 13-ით, *სამართლიანი ღირებულების შეფასება*.

BC68. ამ ორი დასკვნის გაკეთებისას სსბასსს-მა აღნიშნა, რომ სსბასსს-ებში არის მინიშნებები სამართლიან ღირებულებაზე. თუმცა, სსბასსს-ში სამართლიანი ღირებულების განმარტება თავდაპირველად წარმოიშვა ფასს 13-მდე არსებული განმარტებიდან. ფასს 13-ში სამართლიანი ღირებულება შემდეგნაირად არის განმარტებული, როგორც გასვლის ღირებულება:

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

BC69. სსბასსს-ის 2014 წლის კონცეპტუალურ საფუძველებში სამართლიანი ღირებულება არ შედიოდა შეფასების საფუძველების ჩამონათვალში, რადგან სსბასსს-ს მიაჩნდა, რომ ფასს 13-ში მოცემული სამართლიანი ღირებულების მნიშვნელობა შესაფერისი არ იქნებოდა საჯარო სექტორის

მრავალი აქტივისა და ვალდებულებისთვის, რადგან ეს გასვლის ღირებულებაა. თუმცა, წინამდებარე სტანდარტის შემუშავებისას სსბასს-ის მიერ ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაწეულმა მუშაობამ გვიჩვენა, რომ გასვლის საფუძველზე გაკეთებული სამართლიანი ღირებულების განმარტება შესაბამისია მრავალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის და საზოგადოდ, ფინანსური შესაძლებლობებისთვის, საოპერაციო შესაძლებლობების ნაცვლად, ფლობილი აქტივებისთვის.

BC70. სსბასსს-მა გადაწყვიტა, რომ ტერმინი „სამართლიანი ღირებულება“ კვლავ გამოიყენება სსბასს-ებში და ფასს 13-ში მოცემული მისი მნიშვნელობა უნდა გავრცელდეს. ეს თავიდან აგვაცილებს გაურკვევლობას და ხელს უწყობს ხარისხიან შეფასებას, როდესაც შეფასების ეს საფუძველი გამოიყენება.

BC71. 2018 წლის ივნისში სსბასსს-მა დაამტკიცა სსბასს 41, *ფინანსური ინსტრუმენტები*, რომელიც ფასს-ებთან თავსებადი სსბასს-ია. სსბასს 41-ის მიხედვით სამართლიანი ღირებულება არის შეფასების საფუძველი, რომელიც გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ. სსბასსს-ს 2017 წლის სექტემბერში უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, რომ შეფასების პროექტით დაშვებული უნდა ყოფილიყო სამართლიანი ღირებულებით შეფასება და პრობლემას წარმოადგენდა ის, თუ როგორ განეხორციელებინათ ფასს 13-ში მოცემული სამართლიანი ღირებულების განმარტების სსბასს-ებში ინტეგრირება. სსბასსს-მა გადაწყვიტა, რომ სსბასს 46 უნდა მოიცავდეს ფასს 13-ის ტექსტის უმეტეს ნაწილს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მასში მოცემული სამართლიანი ღირებულების განმარტების თანმიმდევრულობა ფასს 13-ში მოცემულ განმარტებასთან და სსბასს 41-ში მოცემული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასების მოთხოვნების სათანადო მხარდაჭერა. აღნიშნულის საფუძველზე სტანდარტის სამართლიანი ღირებულების შესახებ დანართში „დ“ მოცემულია ფასს 13-ის ტექსტის უმეტესი ნაწილი და მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ სტანდარტში მოცემული სამართლიანი ღირებულების განმარტება იყოს იგივე, რომელიც დადგენილია ფასს 13-ით.

სამართლიანი ღირებულების გამოყენება სსბასს-ებში

BC72. იმის განსაზღვრისთვის, სამართლიანი ღირებულება შესაბამისი იყო თუ არა სსბასს-ებისთვის „სამართლიანი ღირებულება“ მემკვიდრეობითი განმარტების გამოყენებით, განხორციელდა არსებული სსბასს-ების მიმოხილვა. სსბასსს-მა ფასს 13-ში მოცემული სამართლიანი ღირებულების განმარტების კომპონენტები განიხილა, რათა გამოეყენებინა სამართლიანი ღირებულების შესაბამისობის ძირითადი მაჩვენებელი ან მაჩვენებლები. სსბასსს-მა დაასკვნა, რომ შეფასების საფუძვლების შერჩევისას სასარგებლო არ არის გასვლასა და შესვლას შორის სხვაობის გამოყენება (იხ. სსბასსს-ის კონცეპტუალური საფუძვლების პუნქტები BC7.19–BC7.22). სსბასსს-მა აღნიშნა, რომ ზოგიერთ იურისდიქციაში მიაჩნდათ, რომ სპეციალიზებულსა და არასპეციალიზებულს შორის სხვაობა სასარგებლო იქნებოდა იმის დასადგენად, სამართლიანი ღირებულება არის თუ არა შეფასების სათანადო საფუძველი. სსბასსს-მა დაასკვნა, რომ მართალია, აქტივის სპეციალიზაცია სასარგებლო განსხვავებაა, მაგრამ ის არ არის აშკარა განმსაზღვრელი ფაქტორი სამართლიანი ღირებულების შესაბამისობის შეფასებისას. სანაცვლოდ, სსბასსს დათანხმდა, რომ ყველაზე ნათელი მაჩვენებელია ერთეულის განზრახვა, აქტივს ან ვალდებულებას ფლობდეს ფინანსური ან საოპერაციო შესაძლებლობებისთვის. სსბასსს-მა დაასკვნა, რომ სამართლიანი ღირებულება შეფასების სათანადო საფუძველია,

როდესაც აქტივი ფლობილია ან ვალდებულება აღებულია, ძირითადად მისი ფინანსური შესაძლებლობებისთვის.

BC73. სსბასს-მა სიფრთხილისკენ მოგვიწოდა სტანდარტის მიხედვით სამართლიანი ღირებულებისადმი „საერთო მიდგომის“ გამოყენებასთან მიმართებით, რადგან შესაძლოა არსებობდეს შემთხვევები, როდესაც კონსოლიდირების დროს სამართლიანი ღირებულების გამოყენების შესაბამისობა შეიძლება განსხვავდებოდეს ანგარიშვალდებული ერთეულის მიხედვით, ან როდესაც ფულადი სახსრების წარმომქნელ აქტივს ან ფულადი სახსრების არწარმომქნელ აქტივს შესაძლოა შეფასების ჰიბრიდული მიზნები ჰქონდეს. შეფასების საფუძვლების შერჩევისას მნიშვნელოვანია ოპერაციისა და ერთეულისთვის სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინება თითოეული სსბასს-ის ფარგლებში.

BC74. როდესაც საოპერაციო შესაძლებლობებისთვის ფლობილი აქტივები და ფინანსური შესაძლებლობებისთვის ფლობილი აქტივები ერთიადიმავე სსბასს-ის მოქმედების სფეროშია, ერთეულმა პროფესიული განსჯა უნდა გამოიყენოს, გაითვალისწინოს ერთეულისთვის და ოპერაციისთვის სპეციფიკური ფაქტორები და გამოიყენოს არსებულ სსბასს-ებში მოცემული სააღრიცხვო პრინციპები. შეფასების ძირითადი მიზანი და თავის მხრივ, შეფასების საფუძველი განისაზღვრება თითოეული ინდივიდუალური აქტივისთვის ან აქტივების ჯგუფისთვის (ანუ, მსგავსი ხასიათისა და ერთეულის ოპერაციებში გამოყენების აქტივები ერთიადიმავე სსბასს-ში). სსბასსს-მა დაასკვნა, რომ სააღრიცხვო პრინციპები, რომლებიც გამოიყენება ერთეულის მიერ მსგავსი ხასიათის აქტივების დასაჯგუფებლად და განზრახული ძირითადი მიზნის განსაზღვრისთვის, საკმარისადაა ილუსტრირებული სსბასს-ების სახელმძღვანელო მითითებებში.

BC75. სსბასსს-მა დაასკვნა, რომ შემდგომი ცვლილებების საჭიროების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ცალკეული შემთხვევების საფუძველზე, სსბასს 46-ის შესაბამისად. ანალიზის დროს სსბასსს-მა თითოეული სსბასს განიხილა და გადაწყვიტა, რომ სსბასს-ებში შეენარჩუნებინა ტერმინი სამართლიანი ღირებულება და ამ სტანდარტში მოცემული განმარტება გამოეყენებინა გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- (a) სსბასს 43, *ოჯარა*,⁵ სადაც ტერმინი და სსბასს 43-ში მოცემული სამართლიანი ღირებულების განმარტება შენარჩუნებულია;
- (b) სსბასს 21, *ფულადი სახსრების არწარმომქნელი აქტივების გაუფასურება*, სადაც ტერმინი და სსბასს 21-ში მოცემული სამართლიანი ღირებულების განმარტება შენარჩუნებულია; და
- (c) სსბასს 32, *შელავითიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი*, სადაც ტერმინი და სსბასს 32-ში მოცემული სამართლიანი ღირებულების განმარტება შენარჩუნებულია.

სსბასსს-მა გადაწყვიტა, რომ თითოეულ შემთხვევაში, სადაც ტერმინი და სამართლიანი ღირებულების არსებული განმარტება შენარჩუნებულია, სამართლიანი ღირებულების განმარტების ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს მოცემული სსბასს-ის სპეციფიკური პროექტის ფარგლებში.

BC76. როგორც BC10 პუნქტშია აღნიშნული, სსბასს 46-ში მოცემული სახელმძღვანელო მითითებები ზოგადია. ამიტომ, ფასს 13-ში მოცემული შეფასების სპეციფიკური სახელმძღვანელო მითითებები გადატანილია შესაბამის სსბასს-ებში. მაგალითად, ფასს 13-ის პუნქტები 34–56 და 70–71 სპეციფიკურია ფინანსური ინსტრუმენტებისთვის და დაემატა სსბასს 41-ს, *ფინანსური ინსტრუმენტები*.

გამოყენების ღირებულება

BC77. ამ პროექტის ერთ-ერთი მიზანია უფრო დეტალური სახელმძღვანელო მითითებების უზრუნველყოფა ფართოდ გამოყენებული შეფასების საფუძვლების განხორციელებისთვის და იმ გარემოებებისთვის, როდესაც გამოიყენება შეფასების ეს საფუძვლები. იმის განსაზღვრისას, წინამდებარე სტანდარტში უნდა ასახულიყო თუ არა გამოყენების ღირებულებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებები, სსბასსს-მა დაასკვნა, რომ გამოყენების ღირებულება:

- (a) ფართოდ არ გამოიყენება – გამოყენების ღირებულება შემოიფარგლება სსბასს 21-ში, *ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება* და სსბასს 26-ში, *ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება*, მოცემული გაუფასურების შეფასებებით; და
- (b) კარგად აქვთ შესწავლილი, როგორც მისი გამოყენების, ისე იმის განსაზღვრის თვალსაზრისით, თუ როდის უნდა იქნეს ის გამოყენებული - სსბასს 21-ში და სსბასს 26-ში მოცემული შეფასების დეტალური სახელმძღვანელო მითითებები გამოყენების ღირებულებით შეფასებისთვის.

BC78. სსბასსს დათანხმდა, რომ გამოყენების ღირებულების სახელმძღვანელო მითითებების ამ სტანდარტში ჩართვა აუცილებელი არ არის. ამ გადაწყვეტილებას მხარის დაუჭირეს შეფასების საკონსულტაციო დოკუმენტთან დაკავშირებით მიღებულ კომენტარებში..

შეფასების მეთოდის გამოყენება

BC79. რადგან შეფასების მეთოდებში გათვალისწინებულია შეფასების საფუძვლების მახასიათებლები, შესაძლებელია ზოგიერთი მეთოდის რამდენიმე საფუძველთან გამოყენება. მაგალითად, სსბასსს-მა გადაწყვიტა შეფასების მეთოდის ზოგადი სახელმძღვანელო მითითებების ძირითად ტექსტში ჩასმა, რათა აესახა შეფასების მეთოდის ზოგადი ხასიათი და მიეცა ამ სახელმძღვანელო მითითებების შეფასების მრავალ შეფასების საფუძველში გამოყენების შესაძლებლობა.

BC80. სსბასსს-მა განიხილა, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო შეფასების მეთოდი ამა თუ იმ შეფასების საფუძვლის ფარგლებში აქტივის ან ვალდებულების ღირებულების შესაფასებლად, როდესაც საჯარო სექტორის ერთეული ხელმისაწვდომ მონაცემებს იყენებს ამ საფუძვლის მახასიათებლების შეფასებისა და ასახვისთვის. ამ ანალიზის საფუძველზე სსბასსს-მა დაასკვნა, რომ:

⁵ თუ სსბასს 46, *შეფასება*, მიიღება სსბასს 43-ის, *იჯარა*, მიღებამდე, ამ სტანდარტის შეფასების მოთხოვნები არ ვრცელდება სსბასს 13-ზე, *იჯარა*.

- (a) შესაძლებელია საბაზრო მიდგომის გამოყენება სამართლიანი ღირებულებისა და მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასების საფუძვლების ფარგლებში შეფასებებისთვის;
- (b) შესაძლებელია შემოსავლების მიდგომის გამოყენება სამართლიანი ღირებულებისა და შესრულების ღირებულების შეფასების საფუძვლების ფარგლებში შეფასებებისთვის; და
- (c) შესაძლებელია დანახარჯების მიდგომის გამოყენება სამართლიანი ღირებულებისა და მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასების საფუძვლების ფარგლებში შეფასებებისთვის.

სსბასს-მა აღნიშნა, რომ განსჯის გამოყენებაა საჭირო ყველაზე შესაბამისი მეთოდის შერჩევისა და გამოყენებისთვის, რათა შეფასდეს აქტივის ან ვალდებულების ღირებულება შეფასების კონკრეტული საფუძვლის ფარგლებში თითოეული ოპერაციისთვის ან მოვლენისთვის, რომელიც საუკეთესოდ აკმაყოფილებს ამ საფუძვლის მიზანს.

BC81. ამ სტანდარტის შემუშავებისას სსბასს-მა არჩია ფასს 13-თან, *სამართლიანი ღირებულების შეფასება*, შესაბამისობა და მიიღო ფასს 13-ში მოცემული შეფასების ყველა მეთოდი. დანახარჯების მიდგომა შეფასების შესაბამის მეთოდად მიიჩნევა სამართლიან ღირებულებასთან მიახლოებული მნიშვნელობის მისაღებად, რადგან აქტივის ჩანაცვლების ღირებულება შესაბამისობაშია გასვლის ფასის სამართლიანი ღირებულების განმარტებასთან. ერთეულის მიერ აქტივის ჩანაცვლების ღირებულება იქნება თანხა, რომელსაც ბაზრის მონაწილე ამ აქტივის მყიდველი (რომელიც მას ანალოგიურად გამოიყენებს) გადაიხდიდა მის შესაძენად (ანუ, შესვლის ფასი და გასვლის ფასი ერთმანეთის ტოლი იქნება ერთიდაიმავე ბაზარზე).

ცვეთა და ამორტიზაცია

BC82. ცვეთა არის აქტივის გამოყენების ხარჯი მისი შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. წინამდებარე სტანდარტი ცვეთას არ ეხება. ცვეთასთან დაკავშირებული მოთხოვნები და სახელმძღვანელო მითითებები მოცემულია სტანდარტების დონეზე. მაგალითად, სსბასს 45, *ძირითადი საშუალებები*, მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- (a) სააღრიცხვო ერთეული ცვეთისთვის;
- (b) ცვეთის აღიარება;
- (c) დრო, როდესაც იწყება აქტივზე ცვეთის დარიცხვა;
- (d) ურთიერთკავშირი ეკონომიკურ და სასარგებლო მომსახურების ვადებს შორის;
- (e) გარემოებები, როდესაც შესაძლოა მიწის ნაკვეთი გაუფასურებული იყოს;
- (f) ცვეთის დარიცხვის მეთოდები; და
- (g) ურთიერთკავშირი აქტივის მიერ წარმოქმნილ შემოსავალსა და ცვეთას შორის.

BC83. ამორტიზაცია არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება არამატერიალური აქტივის მოხმარებისთვის და რომელსაც ფიზიკური ფორმა არ გააჩნია. სსბასს 31, *არამატერიალური აქტივები*, ერთმანეთისგან განასხვავებს განსაზღვრული და განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე

არამატერიალურ აქტივებს და პირველი მათგანისთვის იძლევა მოთხოვნებსა და სახელმძღვანელო მითითებებს ამორტიზაციის პერიოდისა და დარიცხვის მეთოდების, მათი მიმოხილვისა და ნარჩენი ღირებულების შესახებ.

BC84. თავდაპირველი აღიარების შემდეგ შეფასებისთვის სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევამ შესაძლოა გავლენა იქონიოს იმაზე, აქტივს ცვეთა დაერიცხება თუ ამორტიზაცია. ეს საკითხი სტანდარტის დონეზე განისაზღვრება. მაგალითად, სსბასს 45-ით მოითხოვება, რომ მიმდინარე ღირებულების მოდელის ფარგლებში სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა დაერიცხოს. სსბასს 16-ით, *საინვესტიციო ქონება*, არ მოითხოვება საინვესტიციო ქონებაზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მიმდინარე ღირებულების მოდელით არის შეფასებული, ცვეთის დარიცხვა.

განმარტებითი შენიშვნები

BC85. შეფასების პროექტის მოქმედების სფერო მოიცავდა შეფასებასთან დაკავშირებული გაუმჯობესებული განმარტებითი შენიშვნების შემუშავებას, რომელიც ყველა სსბასს-ზე გავრცელდება. ამ განმარტებითი შენიშვნების შემუშავებისას სსბასსს დათანხმდა, რომ დამატებითი განმარტებითი შენიშვნები არ იქნებოდა მოთხოვნილი პირვანდელი ღირებულების მოდელით შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებებისთვის. თუ შეფასება არ ხორციელდება, არ არსებობს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც უნდა გამჟღავნდეს შემდგომი შეფასების ფარგლებში.

BC86. მიმდინარე ღირებულების მოდელის გამოყენებით შეფასებულ აქტივებსა და ვალდებულებებთან მიმართებით სსბასსს დათანხმდა, რომ მოითხოვებოდა დამატებითი განმარტებითი შენიშვნები. შენიშვნები, სადაც აისახება ინფორმაცია შეფასების მოდელის, ამოსავალი მონაცემებისა და მიმდინარე ღირებულების მოდელის გამოყენებით აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებისას გამოყენებული დაშვებების შესახებ სასარგებლო ინფორმაციას იძლევა გადაწყვეტილების მიღებისთვის.

BC87. სსბასსს-მა შეიმუშავა განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც თანმიმდევრულად უნდა იქნეს გამოყენებული ყველა სსბასს-ში, რომელთა მიხედვით მოითხოვება აქტივების ან ვალდებულებების შეფასების იმ საფუძვლის გამოყენებით შეფასება, რომელიც ხელმისაწვდომია მიმდინარე ღირებულების მოდელის ფარგლებში. განმარტებითი შენიშვნების აღნიშნული მოთხოვნები აისახა შესაბამის სსბასს-ში, რათა ნათლად განისაზღვროს, თუ რომელ სსბასს-ზე გავრცელდება ეს განმარტებითი შენიშვნები.

BC88. In March 2022 წლის მარტში სსბასსს-მა ხელახლა დაადასტურა, თუ სად აისახებოდა განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები. სსბასსს-მა განიხილა, საჭიროა თუ არა შეფასების საერთო განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების, რომლებიც ყველა სსბასს-ს ეხება, კონსოლიდირება შეფასების სტანდარტში. სსბასსს-მა წუხილი გამოთქვა განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების გაყოფის თაობაზე. სსბასსს დაეთანხმა არსებული მიდგომის შენარჩუნებას, რომელიც გულისხმობს განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების შესაბამის სსბასს-ში ასახვას, რათა ნათლად გამოჩნდეს, თუ რომელი განმარტებითი შენიშვნები უნდა იქნეს გამოყენებული.

გადასვლა

- BC89. სსბასსს-მა დაასკვნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სსბასს 46 არის მნიშვნელოვანი ახალი სტანდარტი, რომელიც ფასს 13-ის, *სამართლიანი ღირებულება*, მოიცავს, ეს კონცეფცია სსბასსს-ის ლიტერატურაში ინტეგრირდება და ამ სტანდარტის დიდი ნაწილი არსებული შეფასების სახელმძღვანელო მითითებების, რომლებიც ამჟამად მრავალ ინდივიდუალურ სტანდარტშია მიმოფანტული, კოდიფიცირებას წარმოადგენს. სსბასს 46 აერთიანებს შეფასების ზოგად სახელმძღვანელო მითითებებს, ხოლო ოპერაციისთვის სპეციფიკური სახელმძღვანელო მითითებები ინდივიდუალურ სსბასს-ებში რჩება.
- BC90. შესაბამისად, სსბასსს-მა გადაწყვიტა, რომ სსბასს 46 ძალაში უნდა შევიდეს 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. რადგან სსბასს 46 ვრცელდება, როდესაც სხვა სსბასს-ით მოთხოვება ან ნებადართულია შეფასების საფუძვლები, სსბასსს-ს სჯერა, რომ სსბასს 46-ის გახანგრძლივებული გარდამავალი პერიოდი საკმარის დროს უზრუნველყოფს ერთეულებისთვის, მათი აუდიტორებისთვის და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის, რომ ისინი მოემზადონ ამ მოთხოვნების განხორციელებისთვის.
- BC91. სსბასსს-მა შემოგვთავაზე პერსპექტიული გამოყენება, რადგან მიმდინარე ღირებულების შეფასებებს შორის ცვლილება განუცალკევებელი იქნება მიმდინარე ღირებულების შეფასებებში (ანუ, ახალი მოვლენები ხდება ან ახალი ინფორმაცია მოიპოვება, მაგ., უკეთესად აღქმის ან უკეთესი განსჯის მეშვეობით). ამგვარად, სსბასსს-მა დაასკვნა, რომ სსბასს 46 პერსპექტიულად უნდა იქნეს გამოყენებული (იგივენაირად, როგორც საადრიცხო შეფასების ცვლილება).

მითითებები დანერგვაზე

წინამდებარე მითითებები გამოყენებაზე დაერთვის სსბასს 46-ს, მაგრამ არ არის მისი შემადგენელი ნაწილი.

ნაწილი A: შეფასება

A.1. რა მახასიათებლები აქვს შეფასების თითოეულ საფუძველს

	სამართლიანი ღირებულება	მიმდინარე საოპერაციო ღირებულება	შესრულების ღირებულება	პირვანდელი ღირებულება
აქტივის შეფასება	X	X		X
ვალდებულების შეფასება	X		X	X
გასვლის ღირებულება	X		X	
შესვლის ღირებულება		X		X
ერთეულისთვის სპეციფიკური		X	X	X
საბაზრო ამოსავალი მონაცემები	X	X	X	
ბაზრის მონაწილე	X			
ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი	X			
რისკის პრემია	X			
ბაზრის არსებული პირობები	X	X	X	
ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი	X	X		
მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენება	X			
უმცირესი დანახარჯი		X	X	

A.2 რა გამჟღავნებებია მოთხოვნილი სსბასს-ით მოთხოვნილი მიმდინარე ღირებულების შეფასების საფუძვლის გამოყენებისას?

მიმდინარე ღირებულების მოდელის გამოყენებით შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებებისთვის მოითხოვება დამატებითი განმარტებითი შენიშვნები. პერიოდული შეფასებების ახალი ინფორმაცია ხელმისაწვდომი თითოეული შეფასების თარიღით. გამჟღავნებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციას შეფასების მოდელის, ამოსავალი მონაცემებისა და მიმდინარე ღირებულების მოდელის გამოყენებით აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებისას გამოყენებული დაშვებების შესახებ, სასარგებლო ინფორმაციას იძლევა გადაწყვეტილების მიღებისთვის. განმარტებითი შენიშვნების აღნიშნული მოთხოვნები აისახა შესაბამის სსბასს-ში, რათა ნათლად განისაზღვროს, თუ რომელ სსბასს-ზე გავრცელდება ეს განმარტებითი შენიშვნები. მაგალითად, სამართლიანი ღირებულების იერარქიასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები შესაბამის სსბასს-ში აისახება შემდეგნაირად:

			სამართლიანი ღირებულების შეფასება						მხოლოდ სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება		
			პერიოდული			ერთჯერადი					
სსბასს	შესაბამისი პუნქტი	მოთხოვნა	L1 ⁶	L2 ⁷	L3 ⁸	L1	L2	L3	L1	L2	L3
სსბასს 12 (50C (b))	(a)	სამართლიანი ღირებულების შეფასება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს	X	X	X	X	X	X			
სსბასს 16 (89C (b))	(a)	შეფასების მიზეზები				X	X	X			
სსბასს 27 (46C (b))	(b)	სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე	X	X	X	X	X	X	X	X	X
სსბასს 30 (30C (b))	(c)	სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული შეფასების მეთოდ(ებ)ის აღწერა და ამოსავალი მონაცემები		X	X		X	X		X	X
სსბასს 31 (123C (b))											
სსბასს 34 (23C (b))	(c)	შეფასების მეთოდ(ებ)ის ნებისმიერი ცვლილება და მიზეზები		X	X		X	X		X	X
სსბასს 38 (57C (b))	(c)	რაოდენობრივი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების შესახებ		X	X		X	X		X	X
	(d)	საწყისი ნაშთების შეჯერება საბოლოო ნაშთებთან			X						

	(e)	პერიოდის მთლიანი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც ასახულია ნამეტში ან დეფიციტში და მიკუთვნებადია საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ფლობილი არამატერიალური აქტივების არარეალიზებული შემოსავლის ან ზარალის ცვლილებაზე			X						
	(f)	ერთეულის მიერ გამოყენებული შეფასების პროცესის აღწერა			X			X			

	(გ)	არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილებების მიმართ სამართლიანი ღირებულების შეფასების სენსიტიურობის ტექსტური აღწერა			X						
	(გ)	ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების თვის, თუ გონივრული ალტერნატიული დაშვებების ასახვისთვის ერთი ან მეტი არაემპირიული ამოსავალი მონაცემის ცვლილება სამართლიან ღირებულებას მნიშვნელოვნად შეცვლის, ერთეულმა უნდა გაამყდევნოს ეს ფაქტი და ამ ცვლილებების გავლენა. ერთეულმა უნდა გაამყდევნოს, თუ როგორ იქნა გამოთვლილი გონივრული ალტერნატიული დაშვებების ასახვისთვის ცვლილების გავლენა. ⁹			X						

ნაწილი B: შეფასების საფუძვლის შერჩევა

B.1. როგორ განსაზღვრავს ერთეული აქტივის მიზნობრივი შეფასების ძირითად მიზანს?

როდესაც აქტივი ფლობილია როგორც მისი ფინანსური შესაძლებლობების, ისე მისი საოპერაციო შესაძლებლობებისთვის, ერთეულმა ამ აქტივის ფლობის ძირითადი მიზანი უნდა განსაზღვროს, რათა შესაბამისი შეფასების საფუძველი შეარჩიოს. ერთეულმა პროფესიული განსჯა უნდა გამოიყენოს და გაითვალისწინოს სსბასს 21-ში, ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება, (პუნქტები 16–21) მოცემული პრინციპები იმისათვის, რომ განსაზღვროს ამ

აქტივის ძირითადი მიზანი. როდესაც ერთეულს ამის გაკეთება არ შეუძლია აღნიშნული პრინციპების გამოყენებით, ერთეულმა უნდა მიიჩნიოს, რომ აქტივი ფულადი სახსრების არწარმომქნელია, სახელმწიფო სექტორის საერთო მიზნის გათვალისწინებით.

B.2. როგორ განსაზღვრავს ერთეული, აქტივი ერთი სააღრიცხვო ერთეულია თუ მრავალი სააღრიცხვო ერთეული?

ზოგიერთ შემთხვევაში როგორც ფინანსური შესაძლებლობების, ისე საოპერაციო შესაძლებლობებისთვის აქტივის ფლობა შესაძლოა მიუთითებდეს, თუ როდის უნდა შეფასდეს ამ აქტივის თითოეული ნაწილი ცალ-ცალკე და როდის უნდა შეფასდეს შეფასებული განსხვავებული საფუძვლის გამოყენებით. მაგალითად, საოპერაციო მიზნებისთვის გამოყენებული აქტივის ნაწილი შეფასებულია მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით, ხოლო ფინანსური მიზნებისთვის გამოყენებული აქტივის ნაწილი შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. ეს შესაძლოა მოხდეს, როდესაც საავადმყოფოს ერთი ფლიგელი ფინანსურ უკუგებას წარმოქმნის ჯანდაცვის მომსახურებისთვის საზღაურის დაკისრებით, ხოლო საავადმყოფოს მეორე ფლიგელი კი ფლობილია მხოლოდ მისი საოპერაციო შესაძლებლობისთვის, სადაც ჯანდაცვის მომსახურებებს უფასოდ უწევენ მოქალაქეებს.

⁶ 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემებია აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლებზეც ერთეულს წვდომა აქვს შეფასების თარიღით.

⁷ მე-2 დონის ამოსავალი მონაცემებია 1-ელ დონეში ასახული კოტირებული ფასების გარდა სხვა ამოსავალი მონაცემები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემპირიულია აქტივთან ან ვალდებულებასთან მიმართებით.

⁸ მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები არის აქტივის ან ვალდებულების არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

⁹ განმარტებითი შენიშვნების ეს მოთხოვნა შემოიფარგლება სსბასს 30-ში, *ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები*, შეტანილი ცვლილებებით.

აქტივი არის განცალკევებული, მრავალი ნაწილისგან შედგება თუ აქტივთა ჯგუფს წარმოადგენს, დამოკიდებულია მის სააღრიცხვო ერთეულზე. აქტივის ან ვალდებულების სააღრიცხვო ერთეული უნდა განისაზღვროს სსბასს-ით, რომლითაც მოითხოვება ან ნებადართულია ამ სტანდარტში მითითებული ერთი ან მეტი შეფასების საფუძვლის გამოყენება.

B.3. რა უნდა გაითვალისწინოს ერთეულმა შეფასების სათანადო მოდელის განსაზღვრისას?

ერთეულის აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად პირვანდელი ღირებულების მოდელის ან მიმდინარე ღირებულების მოდელის გამოყენება შესაძლოა განისაზღვროს ფაქტორებით, რომლებიც ერთეულის კონტროლს არ ექვემდებარება. ეს მაშინ ხდება, როდესაც პოლიტიკის ალტერნატივის არჩევა ხორციელდება:

(a) მთავრობის ზედა დონეზე სექტორში ან იურისდიქციაში ყველა ერთეულისთვის; ან

(b) სექტორის ან იურისდიქციის შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოთი.

როდესაც ანგარიშვალდებულ ერთეულს შეუძლია საკუთარი სააღრიცხვო პოლიტიკის ფარგლებში შეფასების მოდელის არჩევა, ერთეულმა შეფასების ისეთი მოდელი უნდა შეარჩიოს, რომელიც ყველაზე უკეთესად აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშების მომხმარებელთა საინფორმაციო საჭიროებებს.

შეფასების სათანადო მოდელის არჩევისას ანგარიშვალდებულმა ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს სურს თუ არა მას, რომ მისი აქტივები ან ვალდებულებები ოპერაციის ღირებულებას ასახავდნენ თავდაპირველი აღიარების თარიღით ან იგივე ოპერაციის მიმდინარე ღირებულებას შეფასების თარიღით.

ნაწილი C: პირვანდელი ღირებულება

C.1. არსებობს განსხვავება გარიგების ფასსა და პირვანდელი ღირებულების საფუძველს შორის?

დიახ. გარიგების ფასი არის აქტივის შეძენისთვის, შექმნისთვის ან განვითარებისთვის გადახდილი ანაზღაურება, ან ვალდებულების აღებისთვის მიღებული ანაზღაურება და გამოიყენება აქტივის ან ვალდებულების შესაფასებლად თავდაპირველი აღიარებისას. პირვანდელი ღირებულების საფუძველი მომდინარეობს გარიგების ფასის კორექტირებით გარიგების დანახარჯებისთვის ან დასაშვები საწყისი ღირებულებისთვის, საჭიროებისამებრ. ზოგიერთ შემთხვევაში პირვანდელი ღირებულების საფუძველი შეიძლება გარიგების ფასის ტოლი იყოს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში პირვანდელი ღირებულების საფუძველი მიიღება, ნაწილობრივ მაინც, იმ ოპერაციის ანსხვა მოვლენის ფასიდან, რომლის შედეგადაც წარმოიქმნა მოცემული აქტივი ან ვალდებულება.

C.2. ვალდებულების პირვანდელი ღირებულების განსაზღვრისას გარიგების დანახარჯები უნდა გამოიქვეითოს გარიგების ფასიდან?

დიახ. პირვანდელი ღირებულების განმარტება მოიცავს გარიგების დანახარჯებს, რადგან ეს დანახარჯები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. ვალდებულების ეკონომიკური ასპექტის სათანადოდ ასახვისთვის, ვალდებულების აღებისას გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვეითება ნასესხები თანხების სახელშეკრულებო თანხიდან. მაგალითად, ერთეული სესხულობს 1,000,000 ფ.ე.-ს, საიდანაც გარიგების დანახარჯებია 100,000 ფ.ე.. ასეთ შემთხვევაში

პირვანდელი ღირებულებაა 900,000 ფ.ე.. ამის მიზეზია ის, რომ 1,000,000 ფ.ე.-ის მიღებისთანავე უზრუნველ მოცემულ დაწესებულებას ან კონტრაქტს 100,000 ფ.ე.-ს და ერთეულს რჩება 900,000 ფ.ე.. 100,000 ფ.ე. გარიგების დანახარჯები აისახება საპროცენტო ხარჯში ამ ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში, რადგან საბალანსო ღირებულება, 900,000 ფ.ე. 1,000,000 ფ.ე.-მდე იზრდება ანგარიშსწორების თარიღით.

ნაწილი D: მიმდინარე საოპერაციო ღირებულება

D.1. როგორ ასახავს ერთეული აქტივის მომსახურების დარჩენილ პოტენციალს?

მომსახურების პოტენციალი არის მომსახურების გაწევის შესაძლებლობა, რომელიც ხელს უწყობს ერთეულის პოლიტიკის მიზნების მიღწევას. მომსახურების პოტენციალი ერთეულს საშუალებას აძლევს, რომ თავის მიზნებს მიაღწიოს წმინდა ფულადი ნაკადების გასვლის გარეშე. დარჩენილი მომსახურების პოტენციალის ასახვისთვის საჭიროა, რომ შეფასებაში აისახოს აქტივის ასაკი, ფუნქციონალურობა და აქტივის მდგომარეობა.

მაგალითად, მოსალოდნელია, რომ ახალ აქტივს უფრო მეტი მომსახურების პოტენციალი ექნება, ვიდრე აქტივს, რომლის მომსახურების ვადის ნახევარი გასულია. აქტივის ასაკი დაკავშირებულია დარჩენილ მომსახურების პოტენციალთან. შეფასებაში აქტივის ასაკის ასახვა უზრუნველყოფს დარჩენილი მომსახურების პოტენციალის სათანადოდ შეფასებას.

აქტივის ამჟამინდელი ასაკი, ფუნქციონალურობა დამდგომარეობა აქტივის შეფასებაში აისახება ფიზიკური, ფუნქციონალური და ეკონომიკური მოძველების გათვალისწინებით.

- (a) ფიზიკური მოძველება – ფიზიკური მოძველება დაკავშირებულია მომსახურების პოტენციალის დაკარგვას აქტივის ან მისი კომპონენტების ფიზიკური გაუარესების გამო, რაც გამოწვეულია ასაკით და გამოყენებით. ფიზიკური მოძველების შეფასებისას ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი მომავალი რუტინა და რეგულარული მოვლა-შენახვა, რადგან აღნიშნულმა შესაძლოა უზრუნველყოს ინფორმაცია აქტივის ან მისი კომპონენტების სასარგებლო მომსახურების ვადისა და მათი მდგომარეობის გაუარესების შესახებ.
- (b) ფუნქციონალური მოძველება – ფუნქციონალური მოძველება დაკავშირებულია მომსახურების პოტენციალის დაკარგვასთან, რაც გამოწვეულია შესაფასებელი აქტივის არაეფექტიანობით მის თანამედროვე ექვივალენტთან შედარებით - აქტივი შესაფერისია მისი არსებული ფუნქციისთვის? ფუნქციონალური მოძველება შესაძლოა წარმოიშვას აქტივის დიზაინთან და/ან სპეციფიკაციასთან დაკავშირებული წინსვლით ან ცვლილებებით, ან ტექნოლოგიური წინსვლით. მაგალითად, ჯანდაცვის ტექნოლოგიის განვითარება შესაძლოა ნიშნავდეს, რომ მოცემული აქტივი, რომელიც გამოიყენება, მოძველებულია ან საგანმანათლებლო მასალების ტექნოლოგიური წინსვლა შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ცარცი/თეთრი დაფა ციფრული ეკრანებით ჩანაცვლდება. საჭიროა მსგავსი წინსვლის ფუნქციონალური მოძველების შეფასებაში ასახვა.
- (c) ეკონომიკური (ან გარე) მოძველება – ეკონომიკური მოძველება დაკავშირებულია ვარგისიანობის დაკარგვასთან, რაც გამოწვეულია ეკონომიკური ან სხვა ფაქტორებით, რომლებიც ერთეულის კონტროლს მიღმაა. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს, მაგალითად, შესაძლებლობა, რომელიც ჭარბია არსებული აქტივის გამოყენების მოთხოვნებისთვის.

D.2. როგორ გამოითვლის ერთეული აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულებას, როდესაც აქტიური ბაზარი არ არსებობს?

როდესაც იდენტური ან მსგავსი აქტივის აქტიურ ბაზარზე შეძენის ფასი ხელმისაწვდომი არ არის, მიმდინარე საოპერაციო ღირებულება განისაზღვრება იდენტური ან მსგავსი აქტივის შექმნის ან წარმოების დანახარჯების საფუძველზე (ანუ, დანახარჯების მიდგომა).

იდენტური ან მსგავსი აქტივის შექმნის ან წარმოების დანახარჯების განსაზღვრისას ერთეულმა უნდა განსაზღვროს აქტივის შემადგენლობაში შემავალი თითოეული ნაწილის ფასი. აქტივის შექმნის ან წარმოების დანახარჯი მოიცავს ასევე თანხას, რომელიც გადაიხდება აქტივის ამ ნაწილების აწყობისთვის ან აქტივის შექმნისთვის. ემპირიული ამოსავალი მონაცემები გამოიყენება ნაწილების ფასისა და აწყობის, აშენების ან განვითარების დანახარჯების განსაზღვრისთვის, როდესაც ეს განხორციელებადია. რადგან მიმდინარე საოპერაციო ღირებულება ერთეულისთვის სპეციფიკური შეფასებაა, ემპირიული ამოსავალი მონაცემები გამოიყენება, როდესაც ისინი ხელმისაწვდომია და შესაბამისია მოცემული ერთეულისთვის. მაგალითად, თვითმფრინავის შეფასებისას თავდაცვის სამინისტრომ შეიძლება დაასკვნას, რომ ის თითოეულ ნაწილს აქტიურ ბაზარზე შეიძენს, მაგრამ საკუთარ პერსონალს გამოიყენებს თვითმფრინავის ასაწყობად (ანუ, უმცირესი დანახარჯები). ემპირიული ამოსავალი მონაცემები გამოიყენება ფუხელაჟის, ძრავის და სხვა ნაწილებისთვის, რადგან ეს შესაბამისია თავდაცვის სამინისტროსთვის. ამ ნაწილების აწყობასთან დაკავშირებული, ერთეულისთვის სპეციფიკური ამოსავალი მონაცემები გამოიყენება, რადგან თავდაცვის სამინისტრო საკუთარი ძალებით აწყობს თვითმფრინავს.

D.3. როგორ განსაზღვრავს ერთეული იდენტურ ან მსგავს აქტივს, როდესაც ახალი ტექნოლოგიის გამო არსებული აქტივი მოძველებულია?

ერთეული მიმდინარე საოპერაციო ღირებულებას აფასებს იმ ფასის გამოვლენით, რომელსაც ის გადაიხდიდა იდენტური აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალისთვის აქტიურ ბაზარზე. აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივი გამოიყენება მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ახალი ტექნოლოგია, რომლითაც ჩანაცვლდება შესაფასებელი აქტივი. მაგალითად, როდესაც ჯანდაცვის დაწესებულება 10 წლის წინ ნაყიდი ვენტილატორების მიმდინარე საოპერაციო ღირებულებას აფასებს, ის არ ითვალისწინებს უახლეს ვენტილატორს იდენტური აქტივის აგმოვლენისას.

როდესაც შეუძლებელია იდენტური აქტივის გამოვლენა, შესაძლოა მსგავსი აქტივი იყოს ამ აქტივის უახლესი ვერსია. თუმცა, მიმდინარე საოპერაციო ღირებულების განსაზღვრისას განხორციელდება აქტივის ამ უახლესი ვერსიის კორექტირება, რათა აისახოს შესაფასებელი აქტივის არსებული ასაკი, ფუნქციონალურობა და აქტივის მდგომარეობა.

D.4. არსებობს აქტივის ამჟამად გამოუყენებელი შესაძლებლობა, რომელიც არ შედის აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებაში?

გააჩნია რა შემთხვევაში. აქტივის ნებისმიერი ნაწილი, რომელიც ამჟამად გამოუყენებელია, შეფასდება, რათა განისაზღვროს, ეს გამოუყენებელი ნაწილი აქტივთან დაკავშირებული საოპერაციო მიზნებისთვის არის ფლობილი თუ არა. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც აქტივს გააჩნია უსაფრთხოების მოთხოვნები, სამართლებრივი ან სხვა შეზღუდვები ან როდესაც გამოუყენებელი ნაწილი აუცილებელი მომავალში გამოყენებისთვის (იხ. ქვემოთ მოცემული


გადაწყვეტილების ხე).

მაგალითად, მუნიციპალიტეტის, რომელიც ბუნებრივი კატასტროფებისადმი მოწყვლადია, სათემო ცენტრი 700 ადამიანს იტევს, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მხოლოდ 200 ადამიანი იყენებს მას რეგულარულად. გამოყენებულ ნაწილს მაინც გააჩნია საოპერაციო შესაძლებლობა, რადგან შენობა ორ მიზანს ემსახურება. ის ფუნქციონირებს როგორც სათემო ცენტრი და როგორც თემის თავმჯდომარე ბუნებრივი კატასტროფის შემთხვევაში. ამჟამად გამოუყენებელი 500 ადამიანის მიღების შესაძლებლობა მაინც საჭიროა მუნიციპალიტეტის უფრო ფართო საოპერაციო მიზნისთვის, ამიტომ, მთლიანი აქტივი აისახება მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებაში.

კიდევ ერთი შესაძლო მაგალითია, როდესაც ამჟამად გამოუყენებელი აქტივი მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება ახლო მომავალში. როდესაც სკოლა შენდება სწრაფად მზარდ თემში, ის შესაძლოა აშენდეს მოსწავლეთა მოსალოდნელი რაოდენობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა არსებული რაოდენობის გათვალისწინების ნაცვლად. მაშასადამე, ამჟამად გამოუყენებელი ნაწილი საჭიროა და აისახებ სკოლის მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებაში.

როდესაც განისაზღვრება, რომ აქტივის გამოყენებულ ნაწილს საოპერაციო დანიშნულება არ გააჩნია, ერთეულმა უნდა განსაზღვროს მისი ალტერნატიული გამოყენება. როდესაც ალტერნატიული გამოყენება ამჟამად მიუწვდომელია, მაშინ აქტივის შესაბამისი ნაწილი ფასდება ცალკე სააღრიცხვო ერთეულის სახით, შეფასების სათანადო საფუძვლის გამოყენებით. როდესაც გამოუყენებელ ნაწილს ალტერნატიული გამოყენება არ გააჩნია, ის აისახება მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებაში, მაგრამ ღირებულების გარეშე.

გამოუყენებელი შესაძლებლობების ილუსტრაცია



D.5. აქტივის გამოყენების ან გასვლის რაიმე შეზღუდვას ითვალისწინებენ თუ არა აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებისას?

დიახ. მრავალ აქტივს გააჩნია შეზღუდვა გამოყენებაზე ან გასვლაზე. მსგავსი შეზღუდვები გავლენას ახდენენ ერთეულის მიერ ამ აქტივის ოპერირებაზე. მაგალითად, სახელმწიფომ შესაძლოა შეზღუდვა დააწესოს მუნიციპალიტეტის მიერ მართულ შენობაზე, როდესაც საჭიროა, რომ ეს შენობა ბიბლიოთეკის სახით ფუნქციონირებდეს. როდესაც ერთეული ამ შენობის მიმდინარე საოპერაციო ღირებულებას აფასებს, ის ამ შენობას აფასებს იმის საფუძველზე, რომ მისი გამოყენება შეზღუდულია და მხოლოდ ბიბლიოთეკის სახით არის შესაძლებელი მისი გამოყენება.

D.6. რომელ ფაქტორებს ითვალისწინებენ თანამედროვე ეკვივალენტური აქტივის გამოსავლენად და რა კორექტირებებია საჭირო არსებული აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულების ასახვისთვის?

თანამედროვე ეკვივალენტს უნდა გააჩნდეს იგივე მახასიათებლები, რომელიც შესაფასებელ აქტივს აქვს. როდესაც ეკვივალენტ აქტივს შესაფასებელი აქტივისგან განსხვავებული მომსახურების პოტენციალი აქვს (თუმცა, აუცილებლად იმავე სახის), შედარების მეთოდები გამოიყენება ერთეულის შესაფასებელი აქტივისა და ეკვივალენტური აქტივის მომსახურების პოტენციალებს შორის განსხვავების კორექტირებისთვის.

ზოგიერთ შემთხვევაში თანამედროვე ეკვივალენტური აქტივი შეიძლება არ ასახავდეს შესაფასებელ აქტივს. მაგალითად, შეიძლება პრობლემური იყოს თანამედროვე ეკვივალენტური აქტივის დანახარჯების გამოთვლა სამემკვიდრეო აქტივის, როგორცაა მაგალითად ისტორიული შენობა, მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შეფასებისას. ამის მიზეზია ის, რომ ამ აქტივის ღირებულება სცილდება არსებული აქტივის ფაქსიმილეს. სამემკვიდრეო აქტივის თანამედროვე ეკვივალენტური აქტივით ჩანაცვლება ვერ ასახავს ამ აქტივის სამემკვიდრეო ღირებულებას და შესაბამისად, ვერ იქნება შესაბამისი შეფასება.

თანამედროვე ეკვივალენტური აქტივის დანახარჯები ასახავს თანხას, რომელიც გადაიხდებოდა, ეს აქტივი შეფასების თარიღით რომ შექმნილიყო ან წარმოებულყო. თუმცა, არსებობს ფაქტორები, რომელთა გამო შესაძლოა თანამედროვე ეკვივალენტური აქტივის დანახარჯების განსხვავდებოდეს ფაქტობრივი აქტივის შექმნის დანახარჯებისგან:

- (a) ეტაპობრივი სამუშაო – აქტივი შეიძლება ეტაპობრივად შეიქმნა. თანამედროვე ეკვივალენტური აქტივის დანახარჯები დაფუძნებული იქნება ერთ-ეტაპიან შექმნაზე და დანახარჯები შეფასების თარიღით შეფასდება. ერთ-ეტაპიანი შექმნაც შეიძლება ხანგრძლივი დროის პერიოდში მიმდინარეობდეს.
- (b) სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები – თუ ერთეული არ ახორციელებს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებას სსბასს 5-ის, *სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები*, შესაბამისად, მაშინ ერთეული თანამედროვე ეკვივალენტური აქტივის შეფასებისას უგულებელყოფს ფინანსურ დანახარჯებს.
- (c) არსებული აქტივის გაფართოებით გამოწვეული დამატებითი დანახარჯები – ეს დანახარჯები არ იქნება გათვალისწინებული, რადგან თანამედროვე ეკვივალენტური

აქტივის შეფასება განხორციელდება.

- (d) ცვლილებები ხელშეკრულებაში –ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის გამო დამატებითი სამშენებლო ხარჯები არ უნდა იქნეს გათვალისწინებული. შესაფასებელ თნამედროვე ეკვივალენტურ აქტივს იგივე მომსახურების შესაძლებლობა ექნება, როგორც არსებულ აქტივს მისი არსებული გამოყენებისას.
- (e) გეგმარების ცვლილება – ერთეულებმა უნდა გაითვალისწინონ დაგეგმარების ორგანოდან ნებართვის მიღება ხომ არ იქნება საჭირო თნამედროვე ეკვივალენტური აქტივის ასაშენებლად.

შეიძლება ყოველთვის არ იყოს პრაქტიკული მოძველების თითოეული ფორმისთვის კორექტირებების გამოვლენა. კერძოდ, შეიძლება რთული იყოს ფუნქციონალურ მოძველებისა და ეკონომიკური (ან გარე) მოძველების ერთმანეთისგან განსხვავება. მსგავს შემთხვევებში შეიძლება საჭირო იქნეს მოძველებისთვის კორექტირებების კოლექტიურად გათვალისწინება.

ნაწილი E: ექსპერტის გამოყენება

E.1. ვინ უნდა განახორციელოს აქტივების ან ვალდებულებების შეფასება?

ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებაზე პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ავტორი. თუმცა, შეფასება უნდა განახორციელოს პირმა (ან ორგანიზაციამ), რომელსაც შესაბამისი ექსპერტული ცოდნა აქვს იმისათვის, რომ შეასრულოს შეფასება, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად ასახავს აქტივების ან ვალდებულებების ღირებულებას სსბასს 1-ის, *ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*, 27-ე პუნქტის შესაბამისად.

აქტივების ან ვალდებულებების ხასიათი მიუთითებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებელს თუ რა სახის ექსპერტული ცოდნაა საჭირო. მაგალითად, საპენსიო სქემის ფარგლებში წარმოქმნილი ვალდებულებების შეფასებისთვის საჭიროა აქტუარის ექსპერტული ცოდნა; სამედიცინო მანქანა-დანადგარების შეფასებისთვის საჭირო იქნება განხილვა ექიმებთან და შესყიდვების ექსპერტებთან; ავტოპარკის მართვაზე პასუხისმგებელი პირები უნდა მონაწილეობდნენ ამ ავტოპარკის შეფასებაში; ერთეულის წინააღმდეგ ნებისმიერი სამართლებრივი სარჩელის შეფასებისთვის საჭიროა ერთეულის იურიდიულ მრჩეველებთან განხილვა; ინფრასტრუქტურის აქტივების შეფასება მოიცავს ინჟინრებსა და გეოდეზისტებს; მიწის ნაკვეთებისა და შენობების შეფასება კი უნდა განხორციელდეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე გეოდეზისტების მიერ.

E.2. რა სახის ინფორმაციას მოითხოვს შემფასებელი შეფასების განსახორციელებლად?

ერთეულმა და შეფასების სპეციალისტმა უნდა განიხილოს და შეთანხმდნენ შეფასების დავალების ხასიათსა და მასშტაბზე დავალების შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღებამდე. ინფორმაცია, რომელსაც შეფასების სპეციალისტი მოითხოვს ნაწილობრივ დამოკიდებულია შესაფასებელი აქტივებისა და ვალდებულებების ხასიათზე.

ინფორმაცია, რომელიც ერთეულმა უნდა გადასცეს შეფასების სპეციალისტს იმისათვის, რომ სპეციალისტმა შეძლოს შეფასების განხორციელება, როგორც წესი მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ზოგიერთი ან ყველა სახის ინფორმაციას:

- (a) შეფასების მიზანი. ერთეულს თავისი აქტივების ან ვალდებულებების შეფასება შესაძლოა მრავალი მიზეზის გამო დასჭირდეს და შეფასების დანიშნულება განსაზღვრავს შეფასების საფუძველს, რომელსაც ექსპერტი გამოიყენებს. ამ სტანდარტის გამოყენებისას შეფასების დანიშნულებაა ერთეულის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა. ერთეულმა შეფასების სპეციალისტს უნდა აცნობოს, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადდება სსბასს-ების შესაბამისად; სასარგებლო იქნება შესაბამისი სსბასს-ის (ან შესაბამისი ამონარიდის) შეფასების სპეციალისტისთვის გადაცემა და მასთან განხილვა. ერთეულსა და შეფასების სპეციალისტს შორის განხილვის შედეგად უნდა გაირკვეს თუ რა სახის შეფასების სამუშაო განხორციელდება და განმარტებითი შენიშვნები უნდა დაერთოს შეფასებას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კონკრეტული სააღრიცხვო საჭიროებების დაკმაყოფილება.
- (b) შესაფასებელი აქტივები ან ვალდებულებები. ერთეული და შეფასების სპეციალისტი უნდა შეთანხმდნენ, თუ რომელი აქტივები ან ვალდებულებები უნდა შეფასდეს ფინანსურ

ანგარიშგებაში ასახვისთვის. შეფასების სპეციალისტს დასჭირდება:

- (i) ერთეულის იურიდიული ინტერესის შესწავლა თითოეულ აქტივში ან ვალდებულებაში და ეს იურიდიული ინტერესი მთლიანად შეფასდება თუ მხოლოდ მისი ნაწილი;
 - (ii) ინფორმაცია აქტივის ან ვალდებულების ფლობის დანიშნულების შესახებ - ფინანსური შესაძლებლობებისთვის თუ საოპერაციო შესაძლებლობებისთვის - ამ დანიშნულებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს შეფასების სპეციალისტზე შეფასების მეთოდის (შეფასების საფუძვლის ან მეთოდის) შერჩევისას;
 - (iii) ინფორმაცია ერთეულის მიერ განხორციელებული გაუმჯობესებების შესახებ, როდესაც ერთეული უძრავი ქონების მოიჯარეა და აღნიშნული გაუმჯობესებები უგულებელყოფილი იქნება თუ არა განახლებისას, ან იჯარის მიმოხილვა და ერთეულს დასჭირდება თუ არა უძრავი ქონების თავდაპირველ მდგომარეობაში მოყვანა იჯარის ვადის დასრულების შემდეგ;
 - (iv) რა დონის კონტროლი აქვს ერთეულს უძრავ ქონებაზე ან ქონებაზე, ¹⁰ რომელსაც ერთზე მეტი ერთეული ფლობს და სხვა ერთეულების უფლებები როგორ ზღუდავენ ერთეულის უნარს, რომ გაყიდოს თავისი წილი უძრავ ქონებაში ან სხვა ქონებაში;
 - (v) იმის უზრუნველყოფა, რომ უძრავი ქონების პორტფელის კონტექსტში შესაბამისია ამ აქტივების ნებისმიერი დაჯგუფება;
- (c) დაშვებები. საერთაშორისო ან ეროვნული სტანდარტები, რომლებიც ამ სახის შეფასებაზე ვრცელდება, შესაძლოა განასხვავებდნენ დაშვებებს, რომლებიც თანმიმდევრულია ან შესაძლოა იყოს თანმიმდევრული შეფასების თარიღით ცნობილ ფაქტებთან იმართებით და როდის განსხვავდება შეფასებაში გამოყენებული დაშვებები ცნობილი ფაქტებისგან. საჭიროებისამებრ, ერთეული და შეფასების სპეციალისტი უნდა შეთანხმდნენ, თუ რომელ დაშვებებს გამოიყენებენ შეფასებაში, შეფასების საფუძვლის მახასიათებლების გათვალისწინებით; შეფასების ანგარიშში უნდა აისახოს ნებისმიერი დაშვება.
- (d) შეფასების თარიღი. ერთეულმა შეფასების სპეციალისტს უნდა აცნობოს კონკრეტული, მოთხოვნილი შეფასების თარიღის შესახებ.
- (e) საანგარიშგებო ვალუტა. ერთეულმა შეფასების სპეციალისტს უნდა აცნობოს საანგარიშგებო ვალუტა, რომელშიც უნდა გამოისახოს აქტივის ან ვალდებულების შეფასება, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც შესაფასებელი აქტივები ან ვალდებულებები ერთზე მეტ იურისდიქციაშია ან როდესაც მოცემულ აქტივ(ებ)თან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები გამოსახულია ერთზე მეტ ვალუტაში. ტიპური მაგალითია საზღვარგარეთ დიპლომატიური საქმიანობა.
- (f) შეფასების სპეციალისტის მიერ შესრულებული სამუშაოს შეზღუდვა. შეფასების სპეციალისტი დაიცავს შესაბამის საერთაშორისო ან ეროვნულ სტანდარტებს, რომლებიც ვრცელდება მოცემული სახის შეფასებაზე. შეფასების სპეციალისტის მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:
- (i) აქტივების ან ვალდებულებების ფიზიკური შემოწმება (კონკრეტულად, როდესაც შეფასების სპეციალისტი კონკრეტული აქტივების ან ვალდებულებების შეფასებას

პირველად ახორციელებს).

- (ii) გამოკითხვები (როგორც ერთეულის შიდა, ისე გარე გამოკითხვები).
- (iii) ერთეულის მიერ მიწოდებული ან დეტალური გამოკითხვების შედეგად მიღებული ან ფიზიკური შემოწმების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი.

ერთეულმა შეფასების სპეციალისტს უნდა აცნობოს ნებისმიერი შეზღუდვის შესახებ, რომელიც დაწესდება შეფასების დავალებაზე, რადგან ამ შეზღუდვებმა შეიძლება გავლენა იქონიონ შეფასებაზე და საჭიროა მათი შეფასების ანგარიშში ასახვა.

E.3. შეფასების რომელ საფუძველს იყენებს შეფასების სპეციალისტი?

შეფასების სპეციალისტი გამოიყენებს მოცემული შეფასების დავალების შესაბამის საერთაშორისო ან ეროვნულ სტანდარტებს. საზოგადოდ, შეფასების სპეციალისტი შეფასებისთვის იყენებს საბაზრო მიდგომას, შემოსავლების მიდგომას ან დანახარჯების მიდგომას, რაც დამოკიდებულია აქტივის (ან ვალდებულების) ხასიათზე, დანიშნულებაზე, შეფასების მიზანზე და საფუძველზე, გამიზნულ გამოყენებაზე და კონკრეტული დავალების კონტექსტზე, ისევე როგორც ნებისმიერ იურიდიულ, საკანონმდებლო ან სხვა სავალდებულო მოთხოვნებზე.

¹⁰ სხვა ქონება მოიცავს აქტივებს ან ვალდებულებებს, უძრავი ქონების გარდა, როგორც ეს ზემოთ არის განმარტებული.

E.4. რა სახის დაშვებების გამოყენება იქნება გონივრული შეფასების სპეციალისტის მიერ დანახარჯების მიდგომის მეშვეობით უძრავი ქონების შეფასებისას (ხშირად მას უწოდებენ ამორტიზებული ჩანაცვლების ღირებულების შეფასების მეთოდს)?

ნებისმიერი დაშვების ხასიათი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტის პრინციპებს. მიუხედავად აღნიშნულისა, რადგან შეფასება ერთეულისთვის სპეციფიკურია, მნიშვნელოვანია, რომ სპეციალისტმა შეისწავლოს ერთეულის პოზიცია უძრავ ქონებასთან მიმართებით, ინფორმაცია, რომელიც ამყარებს ამ პოზიციას და დაშვებების განსაზღვრას. სავარაუდოდ, დაშვებებში გათვალისწინებული იქნება ქვემოთ მოცემული ფაქტორები, რომლებიც შეფასების სპეციალისტმა ერთეულთან ერთად უნდა განსაზღვროს შეფასების დავალების მოქმედების სფეროს განსაზღვრისას.

(a) შენობის მშენებლობა მყისიერად ხორციელდება.

მართალია, შენობების აშენებას დრო სჭირდება, მაგრამ დანახარჯების მიდგომის გამოყენებით გადაფასებისას შეფასების სპეციალისტს მოეთხოვება დაშვების გაკეთება, რომ აქტივის შექმნა ან განვითარება მყისიერად ხდება შეფასების თარიღით, მშენებლობის სავარაუდო პერიოდის განმავლობაში დანახარჯების განსაზღვრის ნაცვლას, და მისი კორექტირება ფულის დროითი ღირებულებისთვის. საბაზისო ღირებულების განსაზღვრის მეთოდია ფაქტორი, რომელიც შეფასების სპეციალისტმა უნდა განსაზღვროს ერთეულთან ერთად.

(b) უძრავი ქონების არსებული ადგილმდებარეობა. საქონლისა და მომსახურების მიწოდება მრავალი ადგილიდან არის შესაძლებელი. მაგალითად, საავადმყოფო შეიძლება აშენდეს სხვადასხვა ადგილზე მოქალაქეთა ჯგუფისთვის ერთიდაიგივე ჯანდაცვის მომსახურების გასაწევად. მიმდინარე საოპერაციო ღირებულების გამოყენებისას შეფასების სპეციალისტს მოეთხოვება დაშვების გაკეთება, რომ ერთეული გააგრძელებს საქონლის და/ან მომსახურების მიწოდებას იგივე ადგილიდან, სადაც მოცემული აქტივი არის ახლა განთავსებული.

(c) ერთეულს აქვს თუ არა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზების პოლიტიკა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აქტივის მიმდინარე საოპერაციო ღირებულებაში აისახება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთეული ახორციელებს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებას სსბას 5-ის, *სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები*, შესაბამისად. როდესაც ერთეული არ ახორციელებს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებას, შეფასების სპეციალისტი პოლიტიკის ამ არჩევანს ასახავს თავის დაშვებებში და თანამედროვე ეკვივალენტური აქტივის შეფასებისას უგულებელყოფს ნებისმიერ ფინანსურ დანახარჯს.

(d) მოსალოდნელი დემოგრაფიული ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ შენობის გამოყენებაზე.

შეიძლება შენობის მომსახურების დარჩენილი ვადის განმავლობაში გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს დემოგრაფიული ცვლილებები. მსგავსი ცვლილებები შესაძლოა მოცემული შენობის გამოყენებით მიწოდებულ მომსახურებაზე მოთხოვნის

შემცირებაზე მიუთითებდნენ. აღნიშნულმა, თავის მხრივ შესაძლოა განაპირობოს შენობის გამოყენებასთან დაკავშირებული დაშვების ცვლილებაზე ან შენობის ეფექტიანი და ეფექტური ჩანაცვლებისთვის საჭირო სპეციფიკაციების ცვლილებაზე. საპირისპიროდ, დემოგრაფიულმა ცვლილებებმა შეიძლება ხელი შეუწყონ მოცემული შენობის გამოყენებით მიწოდებულ მომსახურებაზე მოთხოვნის გაზრდას, რამაც შეიძლება განაპირობოს ამ აქტივის უფრო მეტად გამოყენება, ვიდრე არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის პირობებში. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც სკოლა ასრული დატვირთვით არ ფუნქციონირებს, მაგრამ ტერიტორიაზე დაწყებული დევლოპერული საქმიანობის შედეგად სკოლა სრული დატვირთვით იმუშავებს, როდესაც აღნიშნული დევლოპერული საქმიანობა დასრულდება. დემოგრაფიული ცვლილებების შენობის ჩანაცვლებაზე გავლენა არის ფაქტორი, რომელიც შეფასების სპეციალისტმა ერთეულთან ერთად უნდა განსაზღვროს.

(e) შენობის სპეციალიზებული მახასიათებლები.

შენობას შეიძლება ჰქონდეს ჩვეულებრივი, საბაზისო დიზაინი, რომელიც იმ შენობების მსგავსია, რომლებსაც რეგულარულად ყიდულობენ და ყიდიან ბაზარზე, თუმცა, კარგად შემოწმების შედეგად შეიძლება გაირკვეს, რომ მას სპეციალიზებული მახასიათებლები აქვს, რომლებიც შექმნილია ერთეული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სპეციალიზებული მახასიათებლების მაგალითებია უსაფრთხოების/დაცვის გაუმჯობესება პერსონალის დასაცავად შენობებში, რომლებიც გამოიყენება მოსახლეობისთვის პირდაპირი მომსახურების გაწევისთვის; საელჩოების გარშემო დაცული ტერიტორია შენობების (და პერსონალის) ტერორისტული შეტევისგან დასაცავად; ან შენობის სხვა ადაპტაციები, რომლებიც აუმჯობესებენ მომსახურების მიწოდების ეფექტიანობასა და ეფექტურობას. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სპეციალიზებული მახასიათებლების მოთხოვნა არის ფაქტორი, რომელიც შეფასების სპეციალისტმა ერთეულთან ერთად უნდა განსაზღვროს.

(f) სტანდარტული მომსახურების ვადებისა და ხარჯთაღრიცხვების შესაბამისობა.

სამშენებლო ინდუსტრიაში, როგორც წესი, სხვადასხვა შენობებისთვის (საცხოვრებელი, კომერციული ან საწარმოო) არსებობს სტანდარტული მომსახურების ვადები არსებობს; ინჟინრები მსგავს მიდგომას იყენებენ გარკვეული სახის აშენებული სტრუქტურების მიმართ, როგორიცაა მაგალითად ხიდები ან კაშხლები. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა არსებობდეს სტანდარტული ხარჯთაღრიცხვები ქონების აქტივებთან დაკავშირებით. სავარაუდოა, რომ შეფასების სპეციალისტი ამ სტანდარტული მოდელის დაშვებებს გამოიყენებს შეფასების მოსამზადებლად, თუ არ არსებობს ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს, რომ საჭიროა ამ სტანდარტების კორექტირება. სათანადო მომსახურების ვადებისა და ხარჯთაღრიცხვების შესახებ ინფორმაცია არის ფაქტორი, რომელიც შეფასების სპეციალისტმა ერთეულთან ერთად უნდა განსაზღვროს.

E.5. რას ნიშნავს „თანამედროვე ეკვივალენტური აქტივი“?

თანამედროვე ეკვივალენტური აქტივი არის აქტივი, რომელიც უზრუნველყოფს შესაფასებელი აქტივის მსგავს ფუნქციას ასრულებს და მსგავსი სარგებლიანობა აქვს, თუმცა მისი დიზაინი თანამედროვეა და შექმნილია დანახარჯების თვალსაზრისით ეფექტური მასალებისა და

მეთოდების გამოყენებით.

თნამედროვე ეკვივალენტური აქტივის კონცეფცია გამოიყენება შემფასებლების მიერ უძრავი ქონების დანახარჯების მიდგომით შეფასებისას (ამორტიზებული ჩანაცვლების ღირებულების (DRC) შეფასების მეთოდი შეფასების ზოგიერთი საერთაშორისო ან ეროვნული სტანდარტებით).

ამორტიზებული ჩანაცვლების ღირებულების მეთოდი ეფუძნება ჩანაცვლების ეკონომიკურ თეორიას. საბაზისო თეორიის მიხედვით გაცვლის ოპერაციაში პოტენციური მყიდველი შესაფასებელი აქტივის შესაძენად არ გადაიხდიდა ეკვივალენტური ახალი აქტივის შესაძენად საჭირო დანახარჯზე მეტს. ეს მეთოდი მოიცავს თნამედროვე ეკვივალენტური აქტივის მიღებასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯის შეფასებას შეფასების თარიღით არსებული ფასებით.

იმ ფასის შესაფასებლად, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა ფაქტიური აქტივისთვის, საჭირო იქნება თნამედროვე ეკვივალენტური აქტივის მთლიანი ჩანაცვლების ღირებულების კორექტირება, რატა აისახოს განსხვავება აქტივსა და თნამედროვე ეკვივალენტურ აქტივს შორის. აღნიშნული განსხვავებები შესაძლოა ასახავდნენ მოძველების ფაქტორებს, როგორცაა ფაქტიური აქტივის ფიზიკური მდგომარეობა, დარჩენილი ეკონომიკური მომსახურების ვადა, შესადარისი საექსპლუატაციო ხარჯები და შესადარისი ეფექტიანობა და ფუნქციონალურობა. ცალკე შეფასდება თნამედროვე ეკვივალენტური აქტივისთვის საჭირო მიწის ნაკვეთი.

დანახარჯები მიდგომის ფარგლებში შეფასების სპეციალისტი ყველა შესაბამის დანახარჯს ასახავს ფასში, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა ამ აქტივში; აღნიშნული მოიცავს მიწის ნაკვეთის ღირებულებას, ინფრასტრუქტურის დანახარჯებს, დიზაინერის საზღაურს, დაფინანსების დანახარჯებს (საჭიროებისამებრ) და დეველოპერის მოგებას, რომელიც წარმოიქმნება მონაწილის მიერ ეკვივალენტური აქტივის შექმნისას.

როდესაც ერთეული არ ახორციელებს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებას სსბასს 5-ის, *სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები*, შესაბამისად, შეფასების ექსპერტმა დაფინანსების დანახარჯები უნდა უგულებელყოს.

საჭიროა თნამედროვე ეკვივალენტური აქტივის დანახარჯების კორექტირება, რათა აისახოს არსებული აქტივის მდგომარეობა, ფუნქციონალურობა და ნებისმიერი სხვა მოძველების ფაქტორი. შეფასების სპეციალისტი, ერთეულთან კონსულტაციით, გაითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

- (ა) ფიზიკური მოძველება – ფიზიკური მოძველება დაკავშირებულია მომსახურების პოტენციალის დაკარგვასთან აქტივის ან მისი კომპონენტების ფიზიკური გაუარესების გამო, რაც გამოწვეულია ასაკით და გამოყენებით. ფიზიკური მოძველების შეფასებისას ერთეულმა უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი მომავალი რუტინა და რეგულარული მოვლა-შენახვა, რადგან აღნიშნულმა შესაძლოა უზრუნველყოს ინფორმაცია აქტივის ან მისი კომპონენტების სასარგებლო მომსახურების ვადისა და მათი მდგომარეობის გაუარესების შესახებ.
- (ბ) ფუნქციონალური მოძველება – ფუნქციონალური მოძველება დაკავშირებულია მომსახურების პოტენციალის დაკარგვასთან, რაც გამოწვეულია შესაფასებელი აქტივის არაეფექტიანობით მის თანამედროვე ეკვივალენტთან შედარებით - შესაფერისია აქტივი

მისი არსებული ფუნქციისთვის? ფუნქციონალური მოძველება შესაძლოა წარმოიშვას აქტივის დიზაინთან და/ან სპეციფიკაციასთან დაკავშირებული წინსვლით ან ცვლილებებით, ან ტექნოლოგიური წინსვლით. მაგალითად, ჯანდაცვის ტექნოლოგიის განვითარება შესაძლოა ნიშნავდეს, რომ მოცემული აქტივი, რომელიც გამოიყენება, მოძველებულია, ან საგანმანათლებლო მასალების ტექნოლოგიური წინსვლა შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ცარცი/თეთრი დაფა ციფრული ეკრანებით ჩანაცვლდება. საჭიროა მსგავსი წინსვლის ფუნქციონალური მოძველების შეფასებაში ასახვა.

- (c) ეკონომიკური (ან გარე) მოძველება – ეკონომიკური მოძველება დაკავშირებულია სარგებლიანობის დაკარგვასთან, რაც გამოწვეულია ეკონომიკური ან სხვა ფაქტორებით, რომლებიც ერთეულის კონტროლს მიღმაა. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს, მაგალითად, შესაძლებლობას, რომელიც ჭარბია არსებული აქტივის გამოყენების მოთხოვნებისთვის.

E.6. აუცილებელია, რომ ერთეულის გარე შეფასების ექსპერტის გამოყენება?

აუცილებელი არ არის სხვა ორგანიზაციის ექსპერტის გამოყენება. თუ ერთეულს ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის ექსპერტული ცოდნის მქონე პირი (ანუ, შესაბამისი პროფესიული ორგანიზაციის წევრი), მაშინ შეუძლია ამ ექსპერტის გამოყენება შეფასებისთვის.

ექსპერტული ცოდნის წყაროს მიუხედავად, საჭიროა შეფასების სპეციალისტის სახელის, კვალიფიკაციისა და დამქირავებელი ორგანიზაციის მითითება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში. ეს ინფორმაცია შეიძლება გამჟღავნდეს საადრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებში ან აქტივების დეტალურ განმარტებით შენიშვნებში.

E.7. რა აისახება შეფასების სპეციალისტის ანგარიშში?

შეფასების საერთაშორსო და ეროვნული სტანდარტებით მოითხოვება, რომ შეფასების სპეციალისტმა გარკვეული ინფორმაცია ასახოს თავის ანგარიშში. ეს მოთხოვნა ძალაშია, მიუხედავად იმისა, შიდა შეფასებაა თუ გარე შეფასება.

ანგარიშში ასახული ინფორმაცია დამოკიდებულია ერთეულსა და სპეციალისტს შორის შეთანხმებაზე დავალების შესრულების დაწყებამდე, ნაწილობრივ შესაფასებელი აქტივების ან ვალდებულებების ხასიათზე და ნაწილობრივ შეფასების სპეციალისტის მიერ გამოყენებული სტანდარტის საფუძვლებზე.

ანგარიშში ასახული ინფორმაცია, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი ინფორმაციით:

- (a) შეფასების სპეციალისტის სახელი, კვალიფიკაცია, დამქირავებელი ორგანიზაცია და სხვა შესაბამისი დეტალები.
- (b) იმ ერთეულის დასახელება, რომელმაც დაუკვეთა შეფასების განხორციელება და ამ ანგარიშის სხვა სამიზნე მომხმარებლების სახელ(ებ)ი.
- (c) შეფასების დანიშნულება.
- (d) შესაფასებელი აქტივები ან ვალდებულებები. უძრავი ქონების აქტივების შემთხვევაში ანგარიში შეიძლება მოიცავდეს რუკებსა და გეგმებს, რაც დამოკიდებულია იურიდიულ მოთხოვნებზე, ისევე როგორც საკუთრების უფლების ტიპს (თავისუფალი საკუთრება ან იჯარით აღება და იჯარის შემთხვევაში, ფინანსური პირობები და შეკეთებაზე პასუხისმგებლობა საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით და ა.შ.).

- (e) გამოყენებული შეფასების საფუძვლები.
- (f) შეფასების თარიღი და შეფასების ანგარიშის თარიღი.
- (g) შეფასების სპეციალისტთან დავალების მიღებისას ჩატარებული დისკუსია - მაგალითად, დეტალური ინფორმაცია ფიზიკური შემოწმებების, ინტერვიუების, განსახილველი დოკუმენტების, ამ დავალებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებზე და სხვა.
- (h) დაშვებები და სპეციფიკური დაშვებები.
- (i) დადასტურება, რომ შეფასება განხორციელდა შესაბამისი შეფასების საერთაშორისო ან ეროვნული სტანდარტებით.
- (j) შეფასების თანხები და ამ თანხების მიღების გზები, მინიშნება გამოყენებულ საფუძვლებზე. ანგარიშში შეფასებული თანხები ცალ-ცალკე იქნება მოცემული მიწისა და შენობებისთვის და ამ მიწის ნაკვეთისთვის. სავარაუდოა, რომ შეფასების ანგარიშში ცალკე აისახება შეფასების თანხები აქტივის ცალკეული კომპონენტებისთვის, როდესაც ისინი არსებითია თანხის თვალსაზრისით ან თვითონ აქტივის თვალსაზრისით. ანგარიშში შეფასების თანხები აისახება როგორც სამუშაო, ისე საანგარიშგებო ვალუტაში (საჭიროებისამებრ).
- (k) შეფასების თანხებში ნებისმიერი არსებითი განუსაზღვრელობის განხილვა, როდესაც ეს აუცილებელია შეფასების თანხების სათანადოდ გასაგებად.
- (l) გარკვეული ვალდებულებებისთვის - მათ დასაფარად საჭირო გადახდების განხორციელების ალბათობა, ვადები და ოდენობა.

შედარება ფასს 13-თან

სსბასს 46-ში, *შეფასება*, მოცემული სამართლიანი ღირებულებით შეფასების მოთხოვნები ძირითადად აღებულია ფასს 13-დან, *სამართლიანი ღირებულების შეფასება* (გამოცემული 2011 წლის მაისში, მათ შორის 2023 წლის თებერვლამდე ცვლილებები). სსბასს 46-სა და ფასს 13-ს შორის ძირითადი განსხვავებებია:

- სსბასს 46-ში მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები პირვანდელი ღირებულებისთვის, მიმდინარე საოპერაციო ღირებულებისთვის, შესრულების ღირებულებისა და სამართლიანი ღირებულებისთვის. ფასს 13-ში სახელმძღვანელო მითითებები მოცემულია მხოლოდ სამართლიანი ღირებულებისთვის.
- სსბასს 46-ით მოითხოვება, რომ ერთეულმა გამოიყენოს შესაბამის სსბასს-ში მოცემული შეფასების გამჟღავნების მოთხოვნები. ფასს 13-ში მოცემულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებასთან დაკავშირებული გამჟღავნების ყველა მოთხოვნა.

შედარება სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკასთან

სსბასს 46-ის შემუშავებისას სსბასსს-მა გაითვალისწინა სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებები.

სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკასთან ძირითადი მსგავსებები და განსხვავებებია:

- სსბასს 46-ის და სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის ფარგლებში გაკეთებულ შეფასებებს შორის სხვაობები დამოკიდებულია ოპერაციების ფაქტებსა და გარემოებებზე და საბალანსო ღირებულებებზე საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს.
- თავდაპირველი შეფასებისას სსბასს 46-ით მოითხოვება გარიგების ფასით ან დასაშვები საწყისი ღირებულებით შეფასება, საჭიროებისამებრ. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის ფარგლებში, როგორც წესი, ყველა აქტივი და ვალდებულება საბაზრო ფასებით უნდა შეფასდეს, ამიტომ, ორივე მთგანის შემთხვევაში შეიძლება მსგავსი შეფასებები იქნეს მიღებული.
- სსბასს 46-ით მოითხოვება გარიგების დანახარჯების კაპიტალიზება ყველა აქტივისთვის, მაშინ როდესაც სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკით მოითხოვება მხოლოდ არაფინანსური აქტივების საკუთრების უფლების გადაცემის დანახარჯების კაპიტალიზება.
- შემდგომი შეფასებისას სსბასს 46-ით დაშვებულია პირვანდელი ღირებულების, მიმდინარე საოპერაციო ღირებულების, შესრულების ღირებულებისა და სამართლიანი ღირებულების შეფასების საფუძვლები. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის ფარგლებში, როგორც წესი, ყველა აქტივი და ვალდებულება საბაზრო ფასებით უნდა შეფასდეს, შესაბამისად, შეიძლება იგივე შედეგები იქნეს მიღებული, თუ საბაზრო მიდგომა იქნება გამოყენებული შეფასების მეთოდის სახით.

საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, განსახილველი პროექტები, საკონსულტაციო ნაშრომები, რეკომენდებული პრაქტიკული სახელმძღვანელო მითითებები და სსბასს-ის სხვა პუბლიკაციები ქვეყნდება ბსფ-ს საავტორო უფლებით.

სსბასსს და ბსფ არ იღებენ პასუხისმგებლობას ზარალზე, გამოწვეულზე ნებისმიერი პირის მიერ, რომელიც მოქმედებს ან თავს იკავებს მოქმედებისგან ამ პუბლიკაციის მასალის მიმართ, თუ ასეთი დანაკარგი გამოწვეულია გაუფრთხილებლობით ან სხვა გზით.

„საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო“, „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები“, „რეკომენდებული პრაქტიკული სახელმძღვანელო მითითებები“, „ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია“, ‘IPSASB’, ‘IPSAS’, ‘RPG’, ‘IFAC’, IPSASB-ის ლოგო და IFAC-ის ლოგო წარმოადგენენ IFAC-ის სავაჭრო მარკებს, ან IFAC-ის აშშ-ში და სხვა ქვეყნებში რეგისტრირებულ სავაჭრო მარკებსა და მომსახურების მარკებს.

საავტორო უფლება დაცულია © 2023 წლის მაისს, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) მიერ. ყველა უფლება დაცულია.

საავტორო უფლებებთან, სავაჭრო მარკასთან და ნებართვებთან დაკავშირებული ინფორმაციისთვის მიმართეთ: permissions@ifac.org.

